644/
1973/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისკარი

1

გილოცავთ ახალ წელს!

1973

თოვლი. ნახატი დ. ერისთავისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისტემა

187

გამოცემის მეჩვიდმეტე წელი

1

იანვარი

1973

თბილისი

სსრ. კა ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია, პროზა

3. ივანე თარბა. ლექსები. თარგმნეს ჯანსუღ ჩარკვიანმა, ვახტანგ ჯავახაძემ, ემზარ კვიტაიშვილმა, გივი ძნელაძემ
7. არჩილ სულაკაური. ლუკა. მოთხრობა. დასაწყისი
56. ლია ჭავჭავაძე. ლექსები
59. თეიდო გეკიშვილი. ლექსები
61. ბეჟან ბარდაველიძე. ლექსები
62. ჯუმბერ ტიკარაძე. ბერბილა. მოთხრობა
95. ზურაბ კუზიანიძე. ლექსები
97. თეიგიზ კაკაშვაძე. ლექსები
98. ზაურ მოლაშხია. ლექსები
99. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ლექსი
99. შუკო ჯიძია. ლექსები

— 50 —

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური

101. ზოთა აფრიდონიძე, დავით ჯაბიძე. ბრძოლაში ნაწრთობი მეგობრობა

წერილები

109. გივი ვარდოსანიძე. ბეწვის ხიდი
119. თაყარ ოკრუაშვილი. ფერთა სიმბოლიკა ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში
126. თამარ ინჯია. ზოგიერთი არქაიზმის შესახებ. კონსტანტინე ბაგრატიონ-ერეკლეს „დიდოსტატის მარჯვენაში“
130. ვახტანგ სიდამონიძე. ფაუური კაფიების პირველი შემკრები

ჩვენი კალენდარი

135. ალარა ტუღუში. ერთი ანონიმური წერილის გაგო

ხელოვნება

141. სიმონ ჭანტურიშვილი. ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ისტორიიდან

იუმორი

148. ჰენრი კოზიძე. მოდიან მონადირენი
156. ტია-ტია. საახალწლო სუფრასთან
159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი ბაქრაძე,
გივი გეგეჭკორი,
ვუფრამ გეგრიდონელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო ალაქაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ო

ციმბირის მინაზე

გზები

ჩემი მზერა ვერ მოიცავს უზარმაზარ მხარეს,
მაინც სად არ გავათენე, სად არ დავაღამე.
ვერაფრით ვერ მოვიარე, ვერაფრით ვერ მოვვლე,
ამ დალოცვილ ჩემს ქვეყანას ვერ ვუნახე ბოლო.

ერთგან მხოლოდ ტყეებია, ტყეებია მხოლოდ,
სხვაგან კლდეებს ქარიშხლებთან გაუმართავთ ბრძოლა.
სარკესავით თეთრი ტბები სიზმრად გავიყოლე,
ასე სიზმრად გავიყოლე ყინულების ძრწოლა.

დავდიოდი სახიფათო და ციცაბო მთებზე
მთებს მინდვრები ნაბდებივით მოუგდია გვერდზე.
ველებიდან მთებისაკენ მივდიოდი გზნებით,
ვერაფრით ვერ შევაერთე უსასრულო გზები.

გადავცურე მდინარენი, გადავცურე ზღვები,
ორბივით და არწივივით ცა მოვსაზე ფრთებით,
რამდენი არ შევიძინე ასული და ძენი,
მაგრამ კიდევ რამდენია თურმე შესაძენი.

სულ გზაში ვარ, არ მებნევა ქვეყნის გზა და კვალი,
სულ ახალი მეგობარი და ახალი კვამლი...
არასოდეს არ ექნება დასასრული ჩემს გზას
და თუ ეს გზა დასრულდება, ახალი გზა შემძრავს.

გუშინ ირტიშს შევუტრე, ობი გავაღვიძე
და ჩემს თვალწინ გადიშალა უსასრულო სივრცე...
მე ციმბირი ჩემი თვალით ვნახე დღისით, მზისით,
არცა დასასრული აქვს და არცა დასაწყისი.

ციმბირი ხომ ზღაპარია, ზღაპარია ცხადში,
ყველაფერი სხვა რიგია, ყველაფერი ფრთას შლის,
შენ რას იტყვი, ჩემი ხვალის უსასელო ლექსო?—
ხვალ შენშიც ხომ განუცდელმა უნდა დაიკვეხოს.

არა, ხვალაც არ ვაპირებ მოვლას უცხო მხარის,
ვაი იმას, ვინც არ იცის მისი მიწის ყავლი.
რა გამოლევს, ლექსო ჩემო, სიყვარულს და სურვილს,
არც არასდროს არ ექნება ჩვენს გზებს დასასრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალტაის ვაშლი

გარს გარტყია ოქროს მთები — ალტაი
და თავად ხარ მხარე ოქროს მთების.
შენი ზეცა — მობდღვრიალე ატამი,
შენი სივრცე — ვით იმედის ფრთები.

ერთხელ კაცი გაჩნდა შენს ცივ მიწაზე
და გაალხო სითბომ ძველი ყინვა,
მიწამ იგრძნო სიცოცხლე და სინაზე,
გაიხარა და დაიწყო ბრწყინვა.

თქვა სიმღერა, ბელტი გადააბრუნა,
დაუქროლა ქარბორიომ ტყესა,
იმის შემდეგ იბრძვის მამა-პაპურად,
წაღმა ხნავს და მხოლოდ წაღმა თესავს.

ზღვა არის თუ ყანა არის პურისა—
თავთავები უცინიან მიწას.
მიწა მღერის, მესმის სალამურის ხმა,
დღეს მიწაზეც კაცი ღმერთად იქცა.

როგორც კვიცი, მიწა დაიმორჩილა
და გახედნა ისე, როგორც კვიცი.
და როცა მზე მიწას შეხვდა მომცინარს,
აიმ დღიდან მზემ სიცილი იცის.

ჩემს ძარღვებში არის სისხლის ღვიძილი
და ჩანჩქერი სიტყვას ამბობს მგოსნურს...
ალტაიში ხიდან ვაშლი მიცინის, —
აფხაზეთის სამოთხიდან მოსულს.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა

ალტაის წვიმა

არ ჰყავდა ჭირისუფალი
მიწას დახეთქილს ბელტებად,
გადამავალი ღრუბელი
ცვარსაც არ გაიმეტებდა.
მწვანეს ყვითელი ჯაბნიდა,
ტყე სდუმდა უზარმაზარი,
მზე ახუნებდა მაღლიდან,
ემუქრებოდა ხანძარი.
იდგა მცხუნვარე ამინდი,
შედგა წისქვილის ბორბალიც,
წვიმას ელოდა სიმინდი,
წვიმას ელოდა ხორბალი.
ზეცა ვარვარა ქვაბივით
მიწას ეხურა ზემოდან,
წვიმას ელოდნენ ქვებიც და
ყვავილიც წვიმას ელოდა.
დამწვარ საძოვრებს ნახირი
პირსაც ვერ მიაკარებდა:
წყალს დაეძებდა დაღლილი —
გზასთან, ჭიშკართან, კარებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა და ზეცა მაღალი
იბრძოდნენ შესაბრალისად,
ბოლოს დაჰყარა ფარ-ხმალი
ზეცამ და შუბლი გაიხსნა.
გაწვიმდა, წვიმის წვეთებით
ყამირი დაჯილდოვეს,
შხაპუნა თავგამეტებით
გადმოეღვარა მინდორ-ველს;

ჰქუხდა და აღარ მიწყნარდა,
დიდი მინდორი დანამა,
გამოიღვიძა მიწამ და
ამოისუნთქა თამამად.
სივრცე აივსო ხალისით,
გაბრწყინდა მთელი ქვეყანა.
...მერე ნაწვიმარ ყამირზე
ცისარტყელები ეყარა.

თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ.

მწყემსი

ზოგი მთა ლამის ნისლებში გაქრეს,
ხანჯლებად ელავს კლდეები ცივი,
ზოგი დაჩოქილს გვაგონებს აქლემს,
ზოგსაც ჰკიდია ჩანჩქერთა მძივი.

ბილიკს იკვალავს იქ მონადირე,
ნადირს დაეძებს თვალის ცეცებით,
უცდის — მთა ნისლებს როდის გადირეკს,
იმალებიან მაღლა მხეცები.

მე მონადირის არა მაქვს დარდი,
ალტაის უღრანს სცოდნია შიში,
ამ მთებში ერთი ვაჟკაცი დადის,
ეს მთები მხოლოდ მისია, მისი.

დინჯად აუყვა კლდოვან ციცაბოს,
არ იხედება შემკრთალი უკან.
იცის — სად შედგეს,
სად დაიძაბოს,
გულს ჩახატვია ამ მთების რუქა.

ხეობებს წვდება მისი ხმის ექო,
უსმენენ ცხვრები. მიწყდა ხმაური.
ფარა მორჩილად მიჰყვება ბექობს,
მწყემსიც მიუძღვის, ვით მეთაური.

ალესილ მზერას მთიანეთს ესვრის,
ეს მთები ზრდიდნენ პირქუშად, მკაცრად.
დგას, თითქოს ლოდებს შეზრდია ფესვით,
ხან ფარას მაღლა, წვერისკენ დაძრავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა მწვერვალზე შესდგება ბოლოს
და დიდი მთების ეძლევა ძალა,
მის ტანზე თეთრი ღრუბლები ბოლავს,
ძირს ცვარები ძოვენ — თიბავენ ბალახს.

თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა

ქალებმა სუფრა გაშალეს...

დიდ მინდორში შრომობდნენ
ციმბირელი ქალები...
არ ვაჭარბებ, — მზისავით
უბრწყინავდათ თვალები.

ჩაიღიმეს ფარულად,
შეისწორეს თმები,
მოგვეგებნენ ქალური
სიმორცხვით და კდემით.

გაგვეცნენ და გავეცინეთ,
გაიხარეს ძალიან;
ეშმაკურად ჩაგვიცინეს, —
ქალი მაინც ქალია!..

გვესაუბრნენ გეგმებზე,
ვალში არც ჩვენ არ დავრჩით...
მერე თავაზიანად
შეგვიწვიეს კარავში.

სადაც შრომა მეუფობს —
რა გამოლევს ბარაქას!
სუფრა დაგვხვდა გაშლილი —
უკეთესი არა თქვათ!..

ასე ხელად — საიდან?
ენა იტყვის ადვილად,
რომ იტყვიან — მეფური
სუფრა იყო ნამდვილად!..

ისხდნენ დედოფლებივით
ციმბირელი ქალები,
ამომავალ მზესავით
უბრწყინავდათ თვალები.

— ტკბილად ძგერდეთ გულებო,
სიხარულით სავსენო, —
მამაკაცებს რა გვიჭირს,
სანამ ქალი არსებობს!..

ჩვენ აქ სიყვარულმა და
მეგობრობამ შეგვყარა, —
თითქოს ამ ერთ კარავში
იყოს მთელი ქვეყანა!..

...გაგვიწიეს ქალებმა
მაპატიძლობა ქებული, —
ვადღეგრძელეთ მამული,
ვადღეგრძელეთ დედული.

სადღეგრძელო დავცალეთ,
ძმებისა და დებისა!..
გული დაგვწყდა სუყველას
გამომშვიდობებისას.

თარგმნა გივი ქველაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ სულაკაური

ლუკა

ლუკა სტევნამ გამოაღვიძა. საწოლზე წამოჯდა და თვალები მოიფშვნიტა. მერმე მიაყურა: სტევნი ქუჩიდან ისმოდა. სწრაფად მიირბინა ფანჯარასთან და ქუჩაში გადიხედა. მიტო, ლუკას სკოლის ამხანაგი, ზურგით მიყრდნობოდა ჭადარს ვეტერინალური კლინიკის წინ და გამწარებული ცას უბერავდა. იქაურობას სტევნით აყრუებდა.

— ეი, მიტო! — გადასძახა ლუკამ.

— რა გინდა? — ალმაცერად ამოხედა მიტომ ქვემოდან.

— რას უსტევნ-მეთქი? — ჰკითხა სკოლის მეგობარს. თან ღიმილითა და ხელების მოძრაობით სცადა ენიშნებინა — თუ გინდა წაგეშველებიო. ლუკას ერთი სული ჰქონდა, თვითონაც დავსტევნა.

— ისე... ჩემთვის ვუსტევნ... რა, აკრძალულია?! — ჭადარს მიყრდნობილმა ამრეზით აჰყარა მხრები და კვლავ თითებით გამოიტენა პირი.

ლუკას, რა თქმა უნდა, გული დაწყდა, არა მარტო დაწყდა გული, ეწყინა კიდეც, ამ დილაადრიანად სტევნის შესაძლებლობა რომ დაპკარგა. მიტოს მიზეზი არ უთქვამს და უმიზეზოდ ხომ არ დაუსტევნდა? იდგეს ქუჩაში ახლა და სულელივით მარტომ უსტვინოსო, — ფეხშიშველი გამოტყაპუნდა შუშაბანდში, ტრუსისა და მაისურის ამარა.

შუშაბანდში ორივე დედა ტიროდა, ისინი პატარა მაგიდას მისხდომოდნენ და ჩუმად, უხმოდ ტიროდნენ.

ლუკა მათ თვალებზე პირველად ხედავდა ცრემლს და, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა. ერთი კი გაიფიქრა, — ამათი სლუკუნის თავი სადა მაქვს, მოდი, გაიძურწებიო, მაგრამ დედებრბმა მაშინვე იგრძნეს ლუკას შემოსვლა და ახლა უკვე ხმამაღლა აქვითინდნენ:

— დავიღუპეთ ლუკა!.. დავიღუპეთ!.. ომი დაიწყო!..

თავი პირველი

კაცმა რომ თქვას, იმ დილით, როდესაც დედებრებისაგან შეიტყო, ომი დაიწყოო, ეს ამბავი მაინცდამაინც არა სწყენია. ომზე მისი წარმოდგენა კინოფილმებში ნანახი წითლებისა და თეთრების საბრძოლო ეპიზოდებით შემოიფარგლებოდა. იქ ყოველთვის წითლები იმარჯვებდნენ და სულაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ამჯერადაც ისევე იოლად გაიმარჯვებდნენ, როგორც ეკრანზე. გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებით ბუდიონის იმედი ჰქონდა.

მაშინ გუნებაში გაეღიმა, — ბებრებმა რა იციან ომის გემოო, და აივანზე გამოვიდა. დედაბრების მიმართ ამ დამცინავ აზრს ისიც უმაგრებდა მხარს, რომ ლუკას მამა კავალერიის ოფიცერი გახლდათ.

მაგრამ აივანზე გამოსულს ანდუყაფარმა უთხრა ის, რაზეც მას ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა: აქ ომში ცხენები სამხედრო საჭურველის გადასაზიდად ანდა დაჭრილებისა და ლტოლვილების გადასაყვან-გადმოსაყვანად თუღა გამოდგებიან, თორემ სხვა დანიშნულება მათ უკვე აღარა აქვთო.

უფრო თავზარდამცემი ამბავი შეიტყო ლუკამ ანდუყაფარისაგან და მხოლოდ მაშინ მიხვდა, თუ რატომ ტიროდნენ დედაბრები ასე გამწარებით. ლუკას დედა ომის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე გაემგზავრა მეუღლის მოსანახულებლად დასავლეთ უკრაინაში. სწორედ იქ, საზღვრის მახლობლად, სადაც პირველად დატრიალებული ჯოჯოხეთის გამანადგურებელი ცეცხლი. ლუკას ტკივილისაგან გული კი შეეკუმშა, მაგრამ განსაცდელის სიახლოვე მძაფრად მაინც არ უგრძვნია, რადგან ცხადად ვერ წარმოიდგინა, თუ რა უბედურება შეიძლებოდა დასტყდომოდა თავს მათ ოჯახს.

მერმე გაახსენდა, როგორ გააცილეს დედა, გაახსენდა სადგურის ბაქანი, დედის ცრემლიანი ღიმილი, პირქუში, გაბოროტებული დეიდები.

დედამ გამგზავრების თადარიგი ადრევე დაიჭირა, მაგრამ თავის გადაწყვეტილებას საიდუმლოდ ინახავდა, უფრო სწორედ უფროს დებს უმალავდა. ლუკამ იცოდა, რატომაც არ ამხელდა დედა ამ განზრახვას. დარწმუნებული იყო, დეიდაბრებს გამორჩეულად სძულდათ სიძე. მათი აზრით უმცროსი, და, რომელიც შვილივით ჰყავდათ გაზრდილი, ცოლად გაჰყვა უღირს მამაკაცს. ეს კაცი თითო ცოლს ყველგან იძენდა, სადაც მისი სამხედრო ნაწილი დაბანაკდებოდა. ამ აზრს, რასაკვირველია, ... დაშვილი არ იზიარებდნენ.

იმ დღეს ანდუყაფარმა უთხრა: თუკი დედაშენმა ჩასვლა ჩაასწრო და მამაშენს შეხვდა, აღარაფერი გაუქირდებაო. ლუკასაც ასე ეგონა და ანდუყაფარის ნათქვამმა გული უფრო გაუმაგრა.

ანდუყაფარი ლუკას კარის მეზობელი იყო. სამეიდე წლისას ბოლოიმელტმა წაართვა ფეხები, მწოლიარე გაიზარდა და დავეჟაკადა. პატარაობისას ეზოში ჩაჰყავდათ და ასეირნებდნენ. შემდეგ ველოსიპედისთვლებიანი, მუშამბაგადაკრული სავარძელი შეუძინეს და იმით დასრიალებდა აივანზე. მამა ადრე დაეღუპა. დედა ხელმეორედ გათხოვდა და ახალ მეუღლესთან გადასახლდა საცხოვრებლად. თუმცა ხეიბარი ვაჟისთვის ზრუნვა არ დაუკლია, შვილს კვირაში სამჯერ მაინც აკითხავდა, ოთახს ულაგებდა, საჭმელს უმზადებდა, საცვლებს ურეცხავდა და უუთოვებდა.

სკოლაში არასოდეს უვლია. მიუხედავად ამისა, ლუკას მიაჩნდა, რომ ანდუყაფარი ყველაზე ჭკვიანი და განათლებული ადამიანი იყო მთელს დედამიწის ზურგზე. გაკვეთილების მოამზადებაში ხშირად ეხმარებოდა და ლუკა აშკარად ხედავდა, ანდუყაფარი ყველა საგანს ერთნაირი სიძლიერით ფლობდა, ასახსნელ მასალას სკოლის მასწავლებელზე უკეთ გადმოსცემდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა ლუკას.

ანდუყაფარის ოთახში ყოფნაც უყვარდა. ოთახის ერთი კედელი წიგნების ოთხოზის ჰქონდა დაკავებული. დიდ სიამოვნებას განიცდიდა და ერთგვარად სიამაყითაც კი ივსებოდა, როცა ანდუყაფარი დაავალებდა, — ამა და ამ თაროზან ესა და ეს წიგნი გადმომიღეო.

კიდევ კარგი, ანდუყაფარი ჩემი მეზობელია, თორემ რა შეშველებოდაო. — ფიქრობდა ხშირად ლუკა.

ყველა სიავეს, თვით ომის დაწყებასაც კი დეიდები ლუკას მამას აბრალებდნენ, თითქოს ის ყოფილიყოს აქქეყნად ყოველგვარი ბოროტების დასაბამი თუ სათავე. დღე და ღამე წყევლიდ-

ნენ, წყევლიდნენ ძირფესვიანად, სამარადისოდ. ამ წყევლაში ლუკასაც გამოიტანიებდნენ ხოლმე, ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდაც.

— პირწავარდნილი მამაშენი ხარ, შენგან კაცი არ გამოვა! — ეუბნებოდნენ დედაბრები.

პირწავარდნილი მამამისი რომ იყო, ლუკას ადრევე ჰქონდა გაგონილი დედებისგან, მაგრამ წინათ ამ სიტყვების წიაღ ნაგულისხმევი აზრისათვის ყურადღება არ გაუმახვილებია, რადგან ეგონა, ეს სიტყვები მხოლოდ მის დასატუქსად მოეგონათ დედაბრებს, როგორც ყურის აწევა ან კუთხეში დგომა.

ლუკა თითქმის უმამოდ გაიზარდა. მხოლოდ ზაფხულობით არდადეგებზე ნახულობდა მამას, ორიოდე თვით ჩაკაიახავდნენ ისა და დედა სამხედრო ნაწილში. იქ გატარებულ დღეებს ლუკა ყველაზე ბედნიერ დღეებად თვლიდა. მამამისის ჯარისკაცები ასწავლიდნენ ცხენზე ჯდომას, ცხენის ტარებას, ნამდვილი მხედარივით ისიც მიაჭროლებდა თავის ცხენს და ხმლით სხვაპადა გარდი-გარდმო დარჯობილ წკნელებს. საღამოობით კი მიდიოდნენ მდინარეზე და ცხენებს არწყულებდნენ, აბანავებდნენ, წმენდნენ, ასუფთავებდნენ... ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ცხენის მოვლას, ცხენთან სიახლოვეს ასეთი სიამოვნებისა და სიხარულის მინიშნება შეეძლო ადამიანისათვის.

ლუკა ხეიდავდა, სამხედრო ბანაკში რა პატივსა სცემდნენ და როგორ ეკრძალებოდნენ მამამისს. ყველანი ვაჟაცად და უშიშარ მხედრად თვლიდნენ. მართალია, ორი თვის განმავლობაში იქაც იშვიათად უხდებოდათ ერთად ყოფნა, მაგრამ მეთაურთა და ჯარისკაცთა აგგვარი დამოკიდებულება, მაინც გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდა მამაზე. გულის სიღრმეში ამაყობდა, ხოლო ამხანაგებთან და მეგობრებთან ტრაბახობდა კიდეც საკუთარი მამის ღირსებებით.

ახლა კი ხვდებოდა, რასაც ნიშნავდა ეს სიტყვები. გაბოროტებული დედაბრები თავიანთ სიძეს კაცად არ ფასობდნენ და გაუთავებლად ლანძღავდნენ. ლუკა ვერაფერს ეუბნებოდა და ბოღმას გულშივე იხშობდა.

— რა კარგია, რომ ქვეყანაზე ანდუყაფარი არსებობს. — ფიქრობდა მარტოდ დარჩენილი ლუკა.

ზაფხული ისე გავიდა, დედაზე თითქმის არ უფიქრია. უფრო სწორად, თავს აიძულებდა, არ ეფიქრა, რადგან დედა გაახსენდებოდა თუ არა, გული ეწუოებოდა და ტირილი უნდოდა. ამალამანავე მას შინაგანად სჯეროდა, დედას რაიმე საბედისწერო ხიფათი არ შეემთხვეოდა. მალე დაბრუნდებოდა, დაბრუნდებოდა ისეთივე ლამაზი, კეთილი და ბედნიერი, როგორიც იმ დღეს ბაქანზე ნახა, გაილებისას.

მაგრამ გადიოდა დღეები, გავიდა ერთი თვე, მეორე, დედა კი არ ჩანდა. ის მხარე, სადაც მამამისის ნაწილი იყო დაბანაკებული, გერმანელებმა აიღეს, არა თუ ის მხარე, თითქმის მთელი უკრაინა გადმოლახეს.

შინ დედიდი ადგილს ვეღარ პოულობდნენ და ერთმანეთს აწყდებოდნენ, ყოველდღე წერდნენ წერილებს და საღამოობით გზავნიდნენ, თავიანთ უმცროს დას, ლუკას დედას დაეძებდნენ. მაგრამ ვერავინ მიაგნო მის კვალს, ქვეყანაზე არავინ არაფერი იცოდა.

დეიდები დისშვილისათვის ძველებურად ვეღარ იცლიდნენ და ლუკა ანდუყაფარს მიეკედლა და მიენდო, იგი ამხნევებდა და ანუგეშებდა, როგორც თავის ტოლს ისე ეთამაშებოდა და ართობდა. ზოგჯერ კი, როცა ლუკა მოიწყენდა, სათობით უამბობდა ჯემს კუკისა და ლევინგსტონის ხიფათით სავსე ცხოვრებას ანდა ყაყვანოდა განძისა და მარგალიტის მძიებელთა ფათერაკიან თავგადასავლებს.

რაღაცნაირად ეზოს ყოფაც უცვლია შეიცვალა.

ომის დაწყებამდე მეზობლებს თით-

ქოს არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან დასამალი და გასაყოფი, ცხოვრების უმეტეს ნაწილს ადრიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ეზოსა და აივნებზე ატარებდნენ. სარეცხი ეზოში ირეცხებოდა და იფინებოდა, საუმელი აივანზე მზადდებოდა. აივნებზეევე შეექეცოდნენ საუზმეს, სადილსა და ვახშამს. აქვე იძინებდნენ, აქვე მართავდნენ სიტყვიერსა, თუ ხელჩართულ ბრძოლებს, რაც ხელთ მოხვდებოდათ ან ენაზე მოადგებოდათ დაურიდებლად ახლოდნენ ერთმანეთს. ეს კი იყო, დამდურება დიდხანს არ შეეძლო, გამარჯვებულები მეორე ან მესამე დღესვე უგზავნიდნენ დამარცხებულებს შეამავლებს, ოღონდ ელჩებს თავი ისე უნდა დაეჭირათ, ვითომ მიგზავნილები არ იყვნენ. ვითომ მხოლოდ და მხოლოდ კეთილმეზობლობისა თუ მეზობელთაშორის მშვიდობის აღდგენის სურვილი ამოძრავებდათ. დიდი თავპატიჟისა და დავიდარაბის შემდეგ ორივე მხარე მორცხად გაიღიმებდა და თავს ჩაჰკიდებდა. ამით გამოხატებოდა გუშინდელი, თუ გუშინწინდელი საქციელის გამო მწარე სინანული. მერმე კი ისევ გრძელდებოდა მეზობლების ტკბილი, მშვიდობიანი ურთიერთდამოკიდებულება.

ეს იყო ეზოს ყოფის განრიგი, ცხოვრების წესი, რომელსაც ყველა ერთნაირად ემორჩილებოდა.

ეზოს ყოფაც მოულოდნელად დაირღვა.

ხალხი ეზოებიდან და აივნებიდან ოთახებში შეიმალა და შეიხიზნა. აივნები დაცარიელდა, დაცარიელდა ეზო და მტკვრის ნაპირი. ყველაფერი დიდი ხნის მიტოვებულს დაემსგავსა. ყველა რაღაცას მალავდა. არ ამხელდნენ სიხარულს, მწუხარებასაც არ ამხელდნენ. მალავდნენ სიმდიდრეს, სიღარიბესაც ასევე მალავდნენ. კაცი იფიქრებდა, ამ ქველისმყველ, მინგრეულ შენობაში სულ სხვა ხალხი შემოუსახლებიათო. მდგმურები თითქოს არ იცნობდნენ და ამიტომაც არ ენდობოდნენ ერთმანეთს.

მხოლოდ ანდუყაფარმა არ უღალატა ჩვეულ წესს, ძველებურად ცხოვრობდა, ძველებურად დაასრულებდა ბავშვს ქველოსიპეფდისთვლიან სავარძელს, მოადგებოდა რიკულებიან აივნის კუთხეს, რომელიც ერთი მხრიდან ეზოს დაჰყურებდა, ხოლო მეორე მხრიდან მტკვარს, და საღამომდე კითხულობდა წიგნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეორე

მთელი ზაფხული მტკვრის პირას რიყეზე გაატარა ლუკამ. ხან მტკვარში ბანობდა, ხან მზის გულზე ეგდო, ხან თევზობდა.

— ლუკა! — გაიგონა ერთხელ ნაცნობი ხმა.

ლუკამ ნაცნობი ხმის გაგონებისთანავე თავი მიაბრუნა და ეზოში ცაცხვის ქვეშ მდგარი ძია ლადო დაინახა.

— არ გესმის, ლუკა?!

— გავიგონე, ძია ლადო, მოვდივარ!

ფეხშიშველმა ლუკამ წვალებით გაირბინა რიყე და რიყიდან აღმართულ აგურის კედელს მიადგა. ეს აგურის კედელი ეზოს კიდე იყო.

ძია ლადო ეზოს კიდესთან ჩაიცუცქა და თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო, ხმადაბლა თითქმის ჩურჩულით ჩამოსძახა ლუკას:

— წამო, ვითევზაოთ, ცოტა გული გადავაყოლოთ.

— წამოვალ, ძია ლადო! — მაშინვე დაეთანხმა ლუკა, ჩემი სათევზაოდ წაყვანა არ გადაიფიქროსო.

მანამდე ძია ლადოს ასეთი რამ არასოდეს შეუთავაზებია და ძველი მეთევზის მოულოდნელმა ნდობამ აღელვა კიდეც ლუკა.

— მაინდ დამიცადე, ახლავე მოვალ. — უთხრა ძია ლადომ და წავიდა.

ძია ლადო ძველი მეთევზე იყო, ოდესღაც თევზაობით ირჩენდა თავს. ახლა კი მენავედ მუშაობდა. ძველი ეორონცოვის ხიდიდან მუხრანის ხიდამდე მისი საგუშაგო გახლდათ. ყოველთვის ცაცხვის ქვეშ, გრძელ მერხზე იჯდა და მტკვარს აღმა და დაღმა თვალს ადევნებდა, რაიმე უბედურება არ მომხდარი-

ყო, ვერაგსა და დაუნდობელ მტკვარს ვინმე არ შეეტყუებინა და არ დაეხრჩო. კეთილ საქმეს ემსახურებოდა ძია ლადო. ბევრი სიკეთეც ჰქონდა ამ ქვეყნად დათესილი. ვინ უწყის, რამდენი კაცი გამოუტაცია მტკვრის ტალღებისათვის, რამდენი სიცოცხლე გადაურჩენია დაღუპვისაგან.

— მოეცალე, ბიჭო! — გაიგონა ლუკამ ძია ლადოს ხმა.

ძია ლადომ ეზოს კიდიდან თოკით ჩამოუშვა დიდი ვედრო. ლუკამ ვედროს მაშინვე წაატანა ხელი.

— მოიცა, ბიჭო, ნუ ჩქარობ, შიგ ბადეა, მაგ ვედროს ასე ადვილად ვერ მოერევი.

ვედრო მართლა მძიმე აღმოჩნდა. ლუკა ორთავე ხელით დაეჯაჯგურა და ძლივს უყო ძვრა.

ძია ლადო კედელ-კედელ მარჯვედ ჩამოცოცდა და რიყეზე ჩამოხტა. ვედროს დაავლო ხელი და მდინარისაკენ წავიდა. ლუკა უკან გაჰყვა. მენავეს ძველსაძველი, გაცვეთილი ჯვალოს შარვალი ეცვა, წელზევით შიშველი იყო.

— გიქეცი, ნავი ახსენი.

ლუკა გაიქცა.

ნავი ნაპირზე დარჭობილ აზარმაცზე იყო ჯაჭვით გამობმული. ლუკამ ყოარუნით შემოხსნა ჯაჭვი. ამასობაში ძია ლადოც მოვიდა. ჯერ ვედრო ჩადგა, მერე თვითონაც გადავიდა ნავში და რკინისკაპიანი ჯოხი მოიმარჯვა.

— ჩაჯექი!

ლუკამ იმ წამსვე ისკუპა და შეტორტმანებულ ნავის ფერდებს ორივე ხელით ჩაეფრინდა და ჩაიკუზა.

— სულ ეგ ხარ?! რამ შეგაშინა?!

ლუკამ დამნაშავესავით მიხედა ძია ლადოს და გაიღიმა. მერე თანდათან გათამამდა. მობრუნდა და ნავის ცხვირზე ჩამოჯდა. მართლაც და რისი უნდა შინებოდა, როცა თვითონაც მშვენივრად ცურავდა. ესეც არ იყოს ძია ლადოს ვვეღიით მტკვარში ვის გასჯირვებია, რომ ლუკას გასჯირვებოდა?!

ნავი ნაპირ-ნაპირ, დინების საწინააღმდეგოდ მიჰყავდა ძია ლადოს, ძალზე მოხერხებულად ხმარობდა ორ-ორ კაპიან ჯოხს. კისრის ძარღვები ეჭიმებოდა, შიშველ მხრებსა და მკლავებზე დაძაბული კუნთები ებურცებოდა და უხტოდა. ლუკა ნავის წინა ქიმზე მოკალათდა და იქიდან ადევნებდა თვალს მენავის ყოველ მოძრაობას.

— მაგ რგოლს ეგ თოკი გამოაბი!

— აბა თოკი?

— ვედროში გდია.

ლუკამ თოკის ერთი ბოლო ნავის ქიმზე შეხრახნილ ლითონის რგოლს გაუყარა და მაგრად განსაკეა. მტკვრის ნაპირიდან თუ აივნიდან ხშირად უდევნებია თვალი, როგორ თევზაობდა ძია ლადო. ამიტომ უკვე იცოდა, რისთვისაც იყო საჭირო ეს გრძელი თოკი. ის, ვინც ძია ლადოს თევზაობაში ეხმარებოდა, თოკის მეორე ბოლოს მდინარეში შეეჭრილ კედელზე ანდა ჯვბირზე გამოაბამდა, მერმე საჭიროების მიხედვით თოკს აგრძელებდა და ამოკლებდა, რომ მეთევზეს ბადე ერთიდაიგივე ადგილზე არ გაეშალა. თანაც ეს თოკი ნავს აკავებდა, უამთოკოდ მტკვრის ჩქარი დინება ნავსაც და მეთევზეებსაც გიიტაცებდა.

ძია ლადომ ლუკა გააფრთხილა: გამგრდიო და ნავს მიმართულება შეუცვალა. ჯოკს მთელი ძალით დააწვა. ნავი თითქმის შუა მდინარემდე გაიყვანა. მერე ჯოკი დაადგო და ნიჩაბს დასწვდა. ახლა ნიჩაბი მოუსვა ღონივრად. პირველი ტალღა წინა ქიმს შეეჯახა, გააპო და ჰაერში ორად ამტრიალებული მსხვილ წვეთებად გაიფანტა. ნავი ირწეოდა, ქანაობდა, ტალღებზე ადი-ჩადიოდა. ლუკას მთრობელ ჟრუანტელივით დაუარა სხეულში ტალღებზე ნავის სრიალით გამოწვეულმა სიამოვნებამ. გაბრუებული თავისთვის იღიმებოდა მთვრალი კაცივით.

მენავემ შეუძახა და ნირვანიდან გამოიყვანა ლუკა.

სულ მალე გავიდნენ გაღმა. ძია ლადომ ისევ ჯოკი მოიმარჯვა, დაებჯინა

და ნავი სანაპიროს კედელს ფრთხილად მიაყენა. ახლა კედელ-კედელ აჰყვნენ სანაპიროს, ასე იარეს ერთხანს, მერმე მენავემ ანიშნა და ლუკას თოკის მეორე, მარყუჟიანი ბოლო ბეტონის ჯებირიდან ამოჩრილ ერთ-ერთ მავთულზე ჩამოაცვა. მავთული ისე გადაგრიხა, რომ მარყუჟი უკვე ადვილად ღარ ასხლტებოდა.

— კარგი ხარ! — შეაქო თუ გაამხნევა მენავემ ლუკა, — ვიცოდი, რომ ჭკვიანი და დაკვირვებული ბიჭი იყავი. შენგან კარგი მენავე დადგება. — ძია ლადო ნავის ბაგეზე ჩამოჯდა, ხელები ჯვაროს შარვალზე შეიწმინდა და თუნუქის კოლოფი ფრთხილად გახსნა.

ლუკამ ვერ დაინახა, როდის ამოიღო ეს კოლოფი შარვლის ჯიბიდან ძია ლადომ.

მენავეს თუნუქის კოლოფი მუხლებზე დაეფინა და დიდხანს გულმოდგინედ ახვევდა თამბაქოს გაზეთის ქაღალდში.

გაღმა მოჩანდა ორსართულიანი, კრამიტით დახურული სახლი, სადაც ლუკა ცხოვრობდა. მოჩანდა რიგულებიანი აივნები, შუშაბანდები, ხის დაბრეცილი კიბეები. ასეთი სახლები მოსდგომოდნენ მტკვრის ნაპირს ერთი ხიდიდან მეორე ხიდამდე. ერთსართულიანები... ორსართულიანები... სამსართულიანები... ერთმანეთს მიჯრილები, ჩახლართულები... ზოგიერთი აივანი პირდაპირ მდინარეზე ეკიდა. კრამიტიან სახურავებს გაუქმებული ეკლესიის გუმბათი დაჰყურებდა ზემოდან...

აივანზე თავჩაღუნული იჯდა ანდუყაფარი და წიგნს კითხულობდა. ნეტავი თუ დამინახაო, -— ფიქრობდა ლუკა და მალიმალ გაღმა აივნისკენ იხედებოდა. რა თქმა უნდა, საშინლად დაწყდებოდა გული მდინარეში მისი სათევზაოდ გასვლა სამყაროსთვის შეუმჩნეველი რომ დარჩენილიყო.

ძია ლადო თევზაობას აყოვნებდა. ნავის ამიაზე ჩამომჯდარი ხმაგაკმენდილი აბოლებდა თამბაქოს. მომწვანო, გამჭვირვალე წყალი ნავის ქიმს ნაზად ეხეოდა და საამო, ჟრუანტელისმაგვარ ხმებს გამოსცემდა. ლუკამ მდინარის ნაპიზზე მოტიტივე საზამთროს ქერქები დაინახა და ძია ლადოს წინათ ნათქვამი სიტყვა გაახსენდა: „დიმახსოვრე, თუ მტკვარს საზამთროს ქერქები მოაქვს, ჭანრის დრო დგებაო“. ნავის ქიმზე წამოსკუპებულს ღრმადაც სჯერდა, რომ ჭანრებით გავსებული ნავით დაბრუნდებოდნენ. ლუკას მოთმინება ელეოდა, უნდოდა, რაც შეიძლება მალე დაეთრია თევზი, რომელსაც მისთვის აგრე ნაცნობი, დაბინდებული ვერცხლისფერი ზურგი ჰქონდა, ხოლო მუცელი თეთრი. ეს ორი ფერი ბუნებას ისე ზუსტად გაეწყლებინა, ვეგონებოდა, თევზს წინა ფარფლიდან ბოლომდე უხილავი სწორი ხაზი გასდევდეს.

ძია ლადომ თამბაქოს ნამწვავი მდინარის შუაგულისკენ მოისროლა და წამოდგა. ბადის თოკი მარცხენა მაჯაზე შეიბა და დაიხვია. მერმე დაიხარა და ბადის ღონე აკეცა. ვიდრე წელს გამართავდა, თავისი ლერჯი თვალებით ლუკას მიაშტერდა. ლუკა დაიძაბა, მენავისაგან მორიგ ბრძანებას ელოდა.

მენავემ ერთხანს ასე ყყურა ლუკას, მერმე ბადეს ხელები შეუშვა და მაჯიდან თოკიც მოიხსნა. ისევ ჩამოჯდა ძველ ადგილზე და მზერა გაღმა ნაპირისაკენ გააპარა. ლუკამ ახლაღა შეამჩნია, ძია ლადოს ძალზე დაღლილი სახე ჰქონდა, გამოუძინებელი, როგორღაც უფრო დაბერებული მოეჩვენა. შუბლზე ჩამოშლილი მეჩხერი, წითური თმა ღრმა ნოშეებს ვერ უმალავდა.

— რა უნდა ჭქნას კაცმა? — იკითხა ძია ლადომ და დიდი ხელები უმწეოდ გაშალა და გადაატრიალ-გადმოატრიალა. სულ არ უხდებოდა მის ღონიერ, დაკოცრებულ ხელებს ასე უმწეოდ გაშლა. — რას იზამ, წავიდა... სხვებიც წავიდნენ... მარტო ეგ ხომ არ წასულა?

— ვინ წავიდა, ძია ლადო?

— ჩემი კოტიკო... გუშინ საღამოთი გავაცილე.

— სად გააცილე?

— სად და სადაც მიდიან, — გაბრაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძია ლადო, — ომში... ფრონტზე... სად უნდა გამეცილებინა?! — ერთხანს ჩაფიქრდა, მერმე ისევ განაგრძო:—მე გავზარდე, ეგ ოხერი. თანაც რა ბიჭი დადგა? გულუხვიცა და თვალუხვიც! ტყუილია ეგეთი ბიჭი! ლუკა, შენ ხომ იცი, ეგრე იოლად კაცში არ მოეტყუვდები.

— ვიცი, ძია ლადო.

— ჰოდა, კარგი ბიჭი წავიდა.

კოტიკო, ძია სანდროს გერი, ასოთამწყობად მუშაობდა რომელიღაც სტამბაში. ერთი აწოწილი ვინმე იყო, ახმახი, მხრებში მოხრილი. ფეხებს ისე უშნოდ დაათრევდა, თითქოს შემთხვევით სხვისი გამოვპაო. ავადმყოფივით გაფითრებული სახე ჰქონდა, თანაც სულ შეწუხებული დადიოდა, თითქოს გამუდმებით რაღაც სტკიოდა და ამ ტკივილს ვერაფრით იუფრებდა. „ნეტავი ომში რა უნდა გააკეთოს, — გაიფიქრა ლუკამ, — მაგისთანა სუსტმა და უღონო კაცმა. არა სჯობდა შინ დარჩენილიყო?!“ ლუკას რატომღაც ეგონა, ომში წასვლა-არწასვლა კოტიკოს ნებასურვილზე იყო დამოკიდებული.

— მიტუშაც წავიდა, — თქვა ძია ლადომ, — აი ჩვენ წინ, დარაბაში რომ ცხოვრობდა. ისიც გავაცილეთ წუხელ. ძია ლადომ ისევ ამოიღო თუნუქის კოლოფი ჯიბიდან.

— გოგიაც წავიდა, მექვაბიშვილი, პეტოც... ჩოლახას ჯიბოცა... ყველანი კარგი ბიჭები იყვნენ... ჰო, კიდევ ვინ წავიდა? კოკილა... ოზო... ბევრნი წავიდნენ... მერმე გამახსენდება, ნელ-ნელა.

აქ ჩამოთვლილთაგანს ლუკა ყველას იცნობდა. ისინი ჩუღურეთელები იყვნენ, მზესა და მტკვრის წყალში გამოყვანილები, ჯანღონით სავსენი, შაბათ-კვირაობით მდინარის ნაპირზე იყრიდნენ თავს, მათი ხუმრობა და ღრიანცელი მთელ სანაპიროს იკლებდა. ეს ბიჭები, რა თქმა უნდა, ომში უნდა წასულიყვნენ და წავიდნენ კიდეც. მაგრამ კოტიკო რისთვის წავიდა, ვერაფრით განუმარტა ლუკამ საკუთარ თავს... „ეტყობა, ამათ აჰყვა“, — დაასკვნა ბოლოს.

— ზიპოც გავაცილეთ... ცხენთან ... ჯეკოც, — ძია ლადომ თამბაქო მოქაჩა და ბეტონის ჯუბრის შეაბოლა, — კურკაც, პუპუზაც... კიდევ... აი მაშოს ბიჭს რა ერქვა?

— ეზეკია.

— ჰო, ეზეკიაც წავიდა. ეზეკიას წაყვანა კი ჯერ ადრე იყო, სულ ბავშვია, გამოუცდელი... რუბენსაც გამოვიდა ნავოლუღის სადგურში. გაიცილა ბიჭები... როგორ ტიროდა ეგ საცოდავი. რა სხვანაირი გული ჰქონია მაგ ჯუჯასა. მე კი ქოსა კაცი არ მიყვარდა. „რუბენ, ნუ ტირი!“ — ვამშვიდებდი ჯუჯას, ის კი ქალივით ტიროდა, ღაპაღუპით ღვრიდა ცრემლს, — ძია ლადომ ნიჩაბი აიღო და წამოდგა. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ შინ აპირებდა დაბრუნებას, დღეს ადარ ითევზაავებდა.

ლუკამ თოკი მოქაჩა და ნავის ცხვირი ბეტონის კედელს მიეხეთქა. ხელი სწრაფად წაავლო კედლიდან გამოჩრილ მავთულს.

— ვიფიქრე, გულს გადავყოლებ-მეთქი, — თქვა ძია ლადომ, — არაფერი არ გამოვიდა... ხელები დამიძაბუნდა, ძალა გამომქალია.

ხუთი წუთის შემდეგ უკვე თავიანთ ნაპირზე გავიდნენ. ლუკა სწრაფად გადმოხტა რიყეზე, ჯაჭვი მოქაჩა, მოზიდა და ნავი გაიჩერა. ძია ლადო ნავიდან გადმოვიდა და შინისკენ გაეშურა.

— ძია ლადო, — დაუძახა ლუკამ, — ეს ბადე ნავში დავტოვოთ?

— დამავიწყდა ეგ ოხერი! — მერმე ჩაფიქრდა და ლუკას ჰკითხა: — თქვენებისგან რა ისმის?

— არაფერი.

— ვერ მიაგენით?

— ვერა.

ძია ლადო უკანვე გამობრუნდა, ცალი ფეხით ნავში ჩადგა და ბადე დაითრია, ვედროში ჩატენა. მერმე ვედროს დასწვდა და ნელი ნაბიჯით ეზოსკენ გაეშურა. ეზოსკენ მიმავალი ისევ მოუბრუნდა ლუკას, რომელიც ნავს ჯაჭვით

არჩილ ხულაველი
ლუკა

აბამდა მდინარის პირას დარჭობილ აზარმაცზე.

— კიდევ კარგი, შენ არ წაგიყვანა.

— მე კი არა, დედაჩემსაც უშლიდა — არ ჩამთხვიდეო.

— რათაო?

— რა ვიცი. — ლუკას დედის გახსენებამ გუნება აუმღვრია. გული ყელში მოებჯინა, ცრემლად აწვებოდა თვალებზე.

— იქნებ იცოდა, გერმანელები ომის დაწყებას რომ აპირებდნენ? — დაეკვა ძველი მეთევზე.

ლუკამ მხრები აიჩეჩა. ხმის ამოღება ვერ გაბედა, შეეშინდა, — ტირილი არ დავიწყოო.

ძია ლადო დაფიქრებული გამოსცქეროდა ლუკას, წყლისა და მზისაგან დაღარულ სახეზე ღრმა დაეჭვება გამოხატვოდა.

—იქნებ იცოდა, ჰა?!

მზე უკვე კარგად ასცდენოდა სახურავებს. ლუკამ ჯაჭვი შემოახვია აზარმაცს, განსაკვა და ძია ლადოსკენ გასწია. რიყის ქვები უკვე იმდენად გაეხურებინა მზეს, რომ ფეხშიშველი სიარული ჭირდა.

თავი მესამე

ანდუყაფარმა კი უთხრა ლუკას, ტყუილად მიდიხარ სკოლაში, წელს სწავლა პირველი ოქტომბრიდან იწყებაო, მაგრამ შინაბერა დეიდებმა არ ჰქნეს. — მაგან რა იცის, თავის სიცოცხლეში შინიდან გარეთ არ გასულაო. ლუკას რვეული და ფანქარი მიაჩეჩეს ხელში და სკოლისაკენ გაისტუმრეს.

ლუკამ თავისი სკოლის შენობა ვეღარ იცნო. თეთრი, ქთქთა კედლები მუქ ნაცრისფერად გადაეღებათ. სადარბაზოსთან ჯარისკაცები იდგნენ და უსაშვოდ შიგ არავის უშვებდნენ.

ლუკას აქა-იქ ღია ფანჯრებიდან დაჭრილი ჯარისკაცები დასჩერებოდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ამ დილაადრიანად მთელს ქუჩაზე მის გარდა კაცაშვილი არ ჭაჭანებდა. რაღაცნაირად ეჩოთირა, თუ ეუხერხულა, თანაც მოეჩვენა, თითქოს მთელი ქვეყანა ზემოდან ... როდა — ეს ტუტუცი ბიჭი ამ დროს ნეტავი აქ რამ მოიყვანაო? მოწყენილი, სკოლის შენობის გასწვრივ გაჰყვა რკინის მესერს. მერმე ჭიშკართან შეყოვნდა, ცოტა ხნით შეჩერდა, რადგან დაინახა, ჭიშკარს დიდი ბოქლომი ედო.

ეზოს სიღრმეშიც შეეჭვრიტა.

ეზოში რამდენიმე სამხედრო-სანიტარული მანქანა იდგა.

აშკარა იყო, მისი სკოლა, სადაც უკვე ამდენი წელი სწავლობდა, აღარ არსებობდა. ალბათ ასეა ომის დროს, — ფიქრობდა ლუკა, — ახლა ალბათ სამხედრო ჰოსპიტლები უფრო სჭირდებათ, ვიდრე სკოლებიო. მაგრამ ისიც არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ბავშვები სულ უსკოლოდ დაეტოვებინათ. ლუკა უკანვე გატრიალდა, — ერთი, მივალ და იმ ჯარისკაცებს ვკითხავ. იქნებ ჩვენი სკოლა სადმე სხვა შენობაში გადაიტანეს და იმათ იციანო.

ჯარისკაცებმა კედელზე გაკრულ განცხადებაზე მიუთითეს. ლუკამ განცხადება ჩაიკითხა და მადლობა გადაუხადა ჯარისკაცებს. მერმე რვეული და ფანქარი შარვლის ჯიბეში ჩაიტენა და ფრიად კმაყოფილმა და დამშვიდებულმა შინისკენ გაიბოტა. სკოლა სხვა შენობაში გადაეტანათ, თანაც, რაღა თქმა უნდა, ანდუყაფარი მართალი გამოდგა — სწავლა პირველ ოქტომბერს იწყებოდა.

ქუჩის კუთხესთან მისულმა მხარი იცვალა. იმის ნაცვლად მაცხოვნე წასულიყო და მერმე პროსპექტს შინისაკენ გაჰყოლოდა, მარჯვნივ ჩაუხვია და ვიწრო ოღრო-ჩოღრო ქუჩით მტკვრის ნაპირისკენ გასწია, იქნებ იქ სკოლის ამბანაგებს წავაწყდეო, იმათ, ვინც ჩემსავით არ იცოდა, სწავლა რომ პირველ ოქტომბერს იწყებაო.

ვიწრო ქუჩას გარდი-გარდმო დაბალი და ძველი სახლები გასდევდა. ერთადერთ გამონაკლისს მაღალ გალავანში მომწყვდეული ფსიქიატრიული საავადმყოფოს სამ-ოთხ სართულიანი შენობები წარმოადგენდა. ამ საავადმყო-

ფოს (რომელსაც ყველანი უბრალოდ „საგიჟეს“ უწოდებდნენ) რამდენიმე შენობა თავის გისოსებიანი ფანჯრებით პირდაპირ მტკვარს გადასცქეროდა.

რკინის ალაყაფის კარი ყოველთვის ჩაგმანული იყო და შიგ ბუზიც ვერ შეფრინდებოდა. ბიჭები სულს ლევდნენ, რას არ გაიღებდნენ იმისათვის, ერთხელ მაინც საგიჟის ეზოში რომ შეეხედათ და ენახათ, შიგ რა ხდებოდა, მაგრამ ამას ვერასოდეს ახერხებდნენ.

საგიჟეს რომ ჩაუარა, თვალებს არ დაუჯერა. ალაყაფის კარი ღია დახვდა. უფრო სწორად, ოდნავ იყო შეღებული. გაოცებული ლუკა უნებურად შეჩერდა. წლების მანძილზე მის არსებაში დაგროვილმა, შემდეგ კი მინავლულმა ცნობისწადილმა კვლავ გაიღვიძა. ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მას შეეძლო ხელი ეკრა კარისთვის, გაეღო და ენახა, რა ხდებოდა იქ, ამ უცნობ, იდუმალებით მოცულ ქვეყანაში.

კარი ფრთხილად შეაღო და თავი შეჰყო. ცნობისმოყვარეობით მიმოთვალიერა იქაურობა. საავადმყოფოს ეზო გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა. უზარმაზარი ხეებით იყო დაბურული; შუა ეზოში მრგვალი, ცარიელი აუზი უაზროდ მისჩერებოდა ზეცას. ეზოში კაცისშვილი არ ჭაჭანებდა. საოცარ სიჩუმესა და სიმშვიდეს მოეცცა იქაურობა. ხის ჩრდილში ავადმყოფებისათვის დადგმული მწვანე მერხები უიმედოდ, სამუდამო მიტოვებულებსა ჰგვანდნენ.

ამით გამხნევებულმა ლუკამ უფრო ღრმად შეაღო კარი და შევიდა. ლუკას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, ეზო შენობებით კი არა, თითქოს მაღალი, ნაცრისფერი კედლებით შემოეზღუდათ და ამ კედლზე უამრავი ბნელი ფანჯარა გამოეპრათ. ზოგი ფანჯარა ღია ჩანდა, ზოგი — დაგმანული. მაგრამ ერთიცა და მეორეც, ყველა უკლებლად რკინის გისოსებით იყო ამოჭედილი.

— ბიჭო! — გაიგონა უცებ ქალის ჩურჩულის მაგვარი ხმა და შეკრთა. — ბიჭო!

ლუკა ვერ მიხვდა, საიდან ეძახდნენ. დაბნეული და შეშინებული შებრუნდა. გაქცევაც კი დააპირა. — ნეტა ვიცოდე, რა მინდოდა, აქ რომ შემოვეთრიე.

— ბიჭო, მოდი, აქ, ცოტა ხანს მოდი! რაღაც მინდა დაგაბარო. — ისევ გაიგონა სულ ახლოდან ჩურჩული.

ლუკამ თავი მოაბრუნა და თავზარდაცემულს კინაღამ მუხლები მოეკვეთა, იქვე, მარცხნივ სრულიად შიშველი ქალიშვილი ღია ფანჯარას მოსდგომოდა. რკინის გისოსებისათვის თავზევით ხელები ჩაევლო და ლუკას მისჩერებოდა ნაღვლიანი, დიდი მომწვანო თვალებით. ლუკას სირცხვილისაგან სახე აეღეწა და სცადა შიშველი სხეულისათვის არ შეეხედა. თუ შეხედავდა, მხოლოდ თვალებში უმზერდა. მონუსხულივით იდგა და ადგილიდან არ იძვროდა. მაგრამ თვალები ლურსმანი არ არის, რომ ერთ წერტილს მიაჭედო. ხედვის არე გაცილებით ფართოა, ვიდრე წერტილი, რომელსაც მიშტერებისარ. თმაგადაკრეჭილი თავისა, საოცრად ნაზი, ფერმკრთალი და ლამაზი სახის გარდა ლუკა ხედავდა შიშველ მკლავებს, ორ თეთრ ბორცვსა და მაღლაშვერილ დიდსა და ვარდისფერ ძუძუსთავებს... ქალიშვილი წელამდე მოჩანდა ღია ფანჯრის რუხ ჩარჩოში გამოკვეთილი.

— რა გახდა, ბიჭო, შენი მოსვლა? მოდი, ბიჭო, მოდი! ცოტა ახლო მოიწიე, რაღაც მინდა შინ დაგაბარო! — ქალიშვილმა მოწყვეტით დაუშვა ხელები. ბუსუსებიანი იღლიები გაქრა და ლუკამ დაინახა გლუვი, დაქანებული მხრები.

ფანჯარას რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა და ქალიშვილი უფრო ლამაზი ეჩვენა თავისი პატარა, კოხტა თავითა და ლამაზი მომცრო ყურებით. ახლოა შენ�, რომ ქალიშვილს ტუჩებიც ზუსტად ისეთივე ვარდისფერი ჰქონდა, როგორც ძუძუსთავები.

— მე მთვარისა ვარ. გაგიგონია ასე-

აჩრილ სულაკაური
ლუკა

თი სახელი: მთვარისა? არა? თბილისში ვცხოვრობ. ვერჰარნის ქუჩაზე... აჰ, ჩემი ს

ფილა, იგი ნამდვილად ჩქარობდა, ოღონდ შინ კი არა, საიდანაც ამ ოცეიოდე წუთის წინ წამოვიდა, იქ ალაყაფის კარი ღიად დატოვა და ახლაც ღია ეგულებოდა. თავის ყოფილ სკოლას სირბილით ჩაუქროლა და თვალის დახამხამებაში მიადგა ნაცნობ ალაყაფს. აქლოშინებული ფრთხილად მიაწვა კარს. არ გაიღო. ახლა უკვე მთელი ძალით ჭკრა ხელი, მაგრამ კარი ამჯერადაც არ დაძრულა ადგილიდან, რადგან იგი ისევე მაგრად იყო ჩაკეტილი, როგორც ძველად, წლების მანძილზე და არავითარ იმედს არ იძლეოდა, რომ ოდესმე გაიღებოდა.

ლუკამ კარის წინ დაიწყო ბოდიალი. ეზოში შეეკვრეტაც სცადა. სულ ამაოდ გაისარჯა.

უჩვეულოდ მოთენთილი თუ დაქანცული მტკვრისაკენ დაეშვა და ქუჩის კიდესთან, საიდანაც მწვანე ფერდობი და საცალფეხო რიბი ბილიკი იწყებოდა, შეჩერდა და მოწყენილმა მზეზე აელვარებულ, უკაცრიელ ნაპირს გახედა.

მერმე ეს ყველაფერი ანდუყაფარს უამბო და ცოტათი შვებით ამოისუნთქა. თითქოს მძიმე ტვირთი მიჰქონდა და ახლა ნახევარი მაინც იმ ტვირთისა მეგობარს გადაულაგა მხრებზე. ანდუყაფარი უსმენდ უსმენდა, ჩვეულებრივად სამი-ოთხი დღის გაუპარსავი სავარძლის საზურგეს მისვენებოდა და თავის უმწეო, ძალაწართმეულ ფეხებს დასცქეროდა დაფიქრებული.

არ ეგონა, ერთხელ უკვე განცდილი, ხუთრობისას თუ ისევ ააღელვებდა. მისი სულის სიმები უაღრესად დაჭიმული და დაძაბული იყო, ხოლო დილანდელი შემთხვევის გახსენება უხილავი თითებივით ეხებოდა ამ სიმებს და ათრთოლებდა. ამავე დროს სჯეროდა, რომ ანდუყაფარი აუხსნიდა და განუმარტავდა იმას, რაც მისთვის აუხსნელი, განუმარტავი და ბნელში მომწყვდეული დარჩა. მაგრამ ანდუყაფარი ხმას არ იღებდა. ჩაფიქრებული დაასრულებდა თავის ველოსიპედისთვლებიან სავარძელს აიკანზე. ხის მოაჯირს ზურგით მიყრდნობილი ლუკა თვალს ადევნებდა ვიღაცეებს და გრძელი ხელების მოძრაობას. ეს მოქნილი ხელები თითქოს იმიტომ იყვნენ შექმნილნი, რომ ველოსიპედის ბორბლები მთელი სიცოცხლის მანძილზე ეპრუნებინათ და სავარძელში უღონოდ მიწოლილი კაცისათვის ფეხების მაგივრობა გაეწიათ.

დუმილში გამოხდა ხანი. ანდუყაფარმა თავისი სავარძელი ონკანთან მიაგორა. გადიხარა და წყალი მოუშვა. სავარძელი მოქეკა, საიდანღაც ფინჯანი დაადო და წყალი დალია. მერმე ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები ლუკას მიაპყრო და ისე ხმადაბლა ჰკითხა, კაცი იფიქრებდა, თავისთვის ჩაილაპარაკაო.

— შენ ამბობ, კარი ღია იყოო?

— კი.

— მანამდე არასოდეს ყოფილა ღია?

— არასოდეს.

— ნამდვილად ღია იყო?.. დარწმუნებული ხარ?

— ხომ გითხარი, შიგ შევედი-მეთქი.

— ეზოში სხვა არავინ გინახავს?

— არავინ.

ეტყობა ანდუყაფარს ეშვი შეეპარა. ლუკასაც აღარ უცდია თავისი სიმართლის დაცვა, შებრუნდა და ეზოს მხარეს გადაეყუდა მოაჯირს. ეზოში ჯუჯა რუბენა ფუსფუსებდა საკუთარ სამტრედესთან. ეს იყო მთელი მისი აკლადოდება, მტრედების მოშენებითა და ყიდვა-გაყიდვით ედგა სული. რუბენას განსაკუთრებით უყვარდა ერთი ქალაქი — სამტრედია. იგი არასოდეს ენახა და ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, თითქოს ეს პატარა და ლამაზი ქალაქი ძირითადად მტრედებით იყო დასახლებული.

— ასე თქვა, მთვარე იბზარება და ნაწილ-ნაწილ ირღვევაო? — გაიგონა ლუკამ ანდუყაფარის ხმა.

— კი, ირღვევაო. — უპასუხა და ანდუყაფარს მოხედა.

— ესეც თქვა, რომ ჩემი სხეულის

აარჩილ სულაკაური
ლუკა

ყოველი ნაწილი დარღვეული მთვარის ნაწილებთან არისო დაკავშირებული?

— ჰო, ეგრე თქვა.

— ოოთხმეტ ნაწილად მერღვევაო სხეული?

— რატომ მეკითხები, არა გჯერა ჩემი?

— როგორ არა... ისე... ძალზე დამაინტერესა... — ანდუყაფარმა აივნის სიღრმეში გააგორა თავის საკაძელი და ისევე მალე მობრუნდა. — ეს ვერ-ჭარნის ქუჩა რაღაა?.. თუმცა, შესაძლებელია, მართლაც ამ ქუჩაზე ცხოვრობდეს. თუ არა ვცდები, თბილისში არის ასეთი ქუჩა, სადღაც დიდუბეში ანდა ნაძალადევში.

ლუკა სულგანაბული უსმენდა, — ანდუყაფარი ლაპარაკის გუნებაზე მოდგა და ალბათ ბევრ რამეს მეტყვისო, მაგრამ ანდუყაფარმა საკაძელი თავის ოთახისაკენ წაიჩოჩიალა და ოთახში შესულმა ლუკას გამოსძახა:

— უცნაური კაცი ხარ, ლუკა, ყველაფერს შენ უნდა გადაწყდე ხოლმე!

თავი ეოოთხე

ლუკამ რამდენიმე დღის შემდეგ დრო იხელთა და შინიდან გაიპარა. ამ დღეების მანძილზე ხშირად ფიქრობდა მთვარისაზე: ზოგჯერ ესიზმრებოდა კიდეც. ერთი-ორჯერ გადაწყვიტა, ანდუყაფარისთვის გაენდო თავისი საწუხარი, მაგრამ თქმა რომ დაეპირა, უცებ მიხვდა სათქმელი არაფერი ჰქონდა, თვითონაც არ იცოდა რა აწუხებდა, რატომ იყო ასე მოუსვენრად. არადა, რაღაც უცნობი ძალა ეზიდებოდა იმ ჩაბნელებული ფანჯრისაკენ, საიდანაც პირველად გამოანათა მისთვის მანამდე უნახავმა შუქმა.

ისევ მიადგა ნაცნობ ალაყაფს. რკინის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ხელი ჰკრა, მხრითაც მიაწვა, ამაოდ! რკინის კარი ისევე მაგრად იყო ჩაგმანული, როგორც შარშან, როგორც შარშანწინ. გულდაწყვეტილმა და იმედგაცრუებულმა რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა აგურის მაღალ გალავანს და თავქვე დაეშვა. ქუჩის ბოლოდან მდინარის ნაპირზე ბაგეში ხეება. ნაპირი უკაცრიელი მოეჩვენა, მაგრამ, როცა კარგად დააკვირდა, ვერის ხიდის ქვემოთ, რიყეზე მჯდარი ბიჭი შენიშნა. ვინმე ჩვენიანი იქნებაო, — გადაწყვიტა გუნებაში და მწკანე ფერდობზე ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა.

ბიჭმა ალბათ იგრძნო, ვიღაც მიახლოვდებაო და ლუკას მხარს უკან მოხედა.

ლუკა ამ ბიჭს არ იცნობდა, პირველად ხედავდა. ნაბიჯი შეანელა და გამობრუნება დააპირა, მაგრამ უცნობმა ბიჭმა ალაღად გაუღიმა, თან ხელი დაუქნია, — მოდი, აქვე ჩამოჯექიო.

უცნობს წითური, ხუჭუჭი თმა და ჭორფლიანი სახე ჰქონდა. ცოცხალ, ქოლალ თვალებსაც წითური, საკვირველად მოალე და ხშირი წარბები უჩრდილავდა. ძალზე გამხდარი იყო, მაგრამ სახე მზეს შეერუჯა და ჯანსაღი იერი დაპკრავდა.

ჭორფლიანმა რიყეზე გამხდარი ხელი დაატყაპუნა და ლუკას უთხრა,— დაჯექი, სად გეჩქარებაო.

ლუკა მორჩილად დაჯდა.

— ცურვა იცი? — მოულოდნელად ჰკითხა ჭორფლიანმა.

— ვიცი. — მიუგო ლუკამ.

— მე — არა. — უცბადვე თქვა ჭორფლიანმა ისეთი კილოთი, თითქოს ტრაბახობდა, ანდა ნიშნს უგებდა, ცურვა რომ არ იცოდა.

— ცურვას რა უნდა, ისწავლე..

— ვა, როგორ ვისწავლო, ვიძირები.

— როცა ცურვა გეცოდინება, აღარ ჩაიძირები.

— ვა, ეს ვინ ყოფილა, — გაიცინა ჭორფლიანმა, — როგორ მეცოდინება, ვიძირები და...

ლუკას სათქმელი აღარაფერი ჰქონდა და გაჩუმდა, ჭორფლიანიც დუმდა. დუმილის შემდეგ დაასკვნა:

— ალბათ გამხდარი ვარ და იმიტომ.

ლუკას ხმა არ გაუღია.

— შენ ფიქრობ არა ვჭამ? ვჭამ და არ ვსუქდები, — და უცებ, — შენ სადა ცხოვრობ?

— ჩუღურეთში. — ლუკამ მდინარის გაყოლებით ხიდისკენ გაიშვირა ხელი და განაპირა თაღს მიღმა ორსართულიან სახლზე მიუთითა. ჭორფლიანმა რა თქმა უნდა, იმ დაბრეცილი კედლების, ივიზების, ათასფრად შეღებილი შუშაბანდების და კრამიტიან სახურავების ზედახორაში ლუკას სახლი ვერ გამოარჩია.

— იქ თუ ცხოვრობ, აქ რა გინდა? — ისევ მიახალა კითხვა ჭორფლიანმა.

— აქ დავდივარ სკოლაში. — ლუკას კიდევ უნდოდა ეთქვა, ჩემი სკოლა სხვაგან გადაიტანეს, ხოლო შენობაში ახლა სამხედრო ჰოსპიტალიაო, მაგრამ დაეზარა. უფრო სწორედ იმიტომ დაეზარა, რომ გაიფიქრა, ამისთვის ალბათ სულერთია ჩემი სკოლა სად გადაიტანესო.

— მაშ იქიდან აქ დადიხარ?

— კი.

— კარგი! რა გქვია?

— ლუკა.

— ლუკა რა სახელია?! — გულწრფელად გაეცინა ჭორფლიანს, — პირველად მესმის.

— რა ვიცი, დამარქვეს... — მერმე მორცხვად დაუმატა, — პაპაჩემს რქმეია.

— მე ალბერტი მქვია.

— ალბერტი?

— კარგია, არა?

— კი, — დაეთანხმა ლუკა.

— ჰო, კარგის რამისაა. — ალბერტმა ქვა აიღო და წყალში ისროლა. ლუკამაც ისროლა ქვა წყალში.

— მიდი, რა, იცურავე. ერთი გნახო, როგორ ცურავ. — შეეხვეწა ჭორფლიანი.

ლუკა სრულებით არ იყო ახლა ცურვის გუნებაზე, თანაც ეზარებოდა დასველებული ტრუსის გაშრობა და უაზრო ლოდინი... ამიტომაც სიტყვიერად მოახსენა ჭორფლიანს, როგორი ცურვა იცოდა, რისთვისაც შემდეგ საკმაოდ დაისაჯა და რის გამოც სინანული გულში კარგა ხანს ჩარჩა.

— მე შემიძლია აქედან ჩემს სახლამდე ცურვით გავყვე მტკვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვა? — გაოცდა ალბერტი. — მეც მე ტუფლები, შარვალი, ხალათი... ეგ რევე მიცურავ?

— არა, — გაეღიმა ლუკას, — გაკვეთილები რომ დაგვიმთავრდება, ბიჭები აქ ჩამოვდივართ ხოლმე საცურაოდ. როცა ცურვით გულს ვიჯერებთ, ჩემს ტანსაცმელს ამხანაგებს გავატან. მე ცოტახანს მოვუცდი და მერმე შევცურდები, დინებას გავყვები.

— დინებას? — რატომღაც ეს სიტყვა ამოირჩია ალბერტმა, უფრო მეტი გაოცება რომ გამოეხატა.

— ჰო, დინებას.

— მიდი, რა, მიდი!

ლუკამ ღიმილით თავი გააქნია, — ახლა არა, სხვა დროსო.

— მაჩვენე რა, როგორ ცურავ. გინდა შენი ხარახურა მე წავიღო? ოღონდ შენ იცურავე და სულ სირბილით წავალ... ჩემმა მზემ!..

— ახლა არ შემიძლია, გუნებაზე არა ვარ, თანაც ჯერ ადრეა, ცოტა ცივა.

— წყალს გუნება რათ უნდა. ცურვა ვიცოდე, სულ წყალში ვიქნებოდი. მიდი, რა, გაიხადე... ერთი მაჩვენე, რა! კაცი არა ხარ!

ლუკა წამოდგა და ფეხსაცმელები წაიძრო, მერმე შარვალი და გაქთქათებული, დღეს დილით საგანგებოდ დაუთოვებული თეთრი პერანგი გაიხადა. პერანგს მაისურიც მიაყოლა. მერმე ეს ყველაფერი გულისყურით დაკეცა და ალბერტს გაუწოდა.

— იცი, სად უნდა მიიტანო?

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე?

— გაგიგონია რიყის ქუჩა?

— „პესკა“, არა?

— ჰო.

— მაგის მეტი რა ვიცი. შენ ნომერი მითხარი.

— ჩვიდმეტი. ეზოში შეხვალ და ცაცხვის ქვეშ დამელოდები. ოღონდ სწრაფად უნდა იარო.

— ვა, სულაც ტროლეიბუსით წავალ!

არჩილ სულაკაური
ლუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალბერტმა ფერდობისაკენ ხელი გაიშვირა და უთხრა, — იქიდან შეგხედავ. მერმე გავიქცევი... თუ შენ მიმასწარი, ამ დანას გაჩუქებ, — ჯიბიდან რამდენიმეპირიანი ჯაყვა ამოიღო და ლუკას უჩვენა, — თუ მე უფრო მალე მივედი, მაშინ შენ მაჩუქე ბამე.

— კარგი. — დაეთანხმა ლუკა.

ალბერტმა სირბილით გაიარა რიყე და სირბილითვე აათავა მწვანე ფერდობი. ფერდობზე ასულმა ლუკას შეუძახა:

— ჰა, ჩქარა, თორემ წავედი!

მომწვანო წყალი საამოდ თბილი და გამჭვირვალე იყო. ტკვესავით ხელებაწეული ლუკა ნელ-ნელა შედიოდა წყალში. უცებ ისკუპა და ჩაყურყუმალავდა. წყალქვეშ გასცურა რამდენიმე მეტრი და წყალქვეშვე ამოტრიალდა. მერმე მშვიდად ამოჰყო თავი და მარცხენა ხელით თვალებიდან და სახიდან წყალი ჩამოიწურა.

ალბერტი ფერდობზე იდგა. გახარებული იცინოდა და ხტოდა, თან ხელს უქნევდა. ერთხანს მიადევნა თვალი ლუკას, ლუკაც არ აშორებდა თვალს, იღიმებოდა. — მაშ რა გეგონაო და ისიც ხელს უქნევდა.

ჭორფლიანს კიდევ ერთხელ ამოხდა ალტაკების ყიჟინის მაგვარი ხმები ყელიდან, მერმე შეხტა, შეკუნტრუშდა და ისე უცებ გაუჩინარდა, როგორც სიზმარში.

ლუკა არ ჩქარობდა. შუაგულ მდინარეში შეკრილი ტალღების დინებას მიდოდა. რა სჭირდა ასაჩქარებელი?! ჭორფლიანი გინდაც სირბილით გამსკდარიყო, ლუკას მაინც ვერ მიასწრებდა. ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი რომ სწორი ხაზია, ლუკამ აქ, მტკვარზე დაამტკიცა.

რა სისულელეა, იმ დანას როგორ გამოვართმევო, — ფიქრობდა ლუკა და წყალქვეშ დინჯად და ზომიერად ამოძრავებდა ხელებსა და ფეხებს. კარგი დანა ჩანდა და სწორედ ამიტომაც არ უნდოდა გამიერთმია, გული დაწყდებაო. „ისე კი არ უნდა იყოს ურიგო ბიჭი. მხიარულია, ალბათ ცოტა წაიტაცებს კიდეც“.

მდინარის მარჯვენა მხარეს მუხრანის ხიდამდე ბეტონის მაღალი ჯვარი აყუდებულიყო. მარცხნივ ჯერ არ ჰქონდა სანაპიროს კედელი და ნაპირი მოღიაღებული იყო. როცა ლუკა შინისკენ მიცურავდა, ყოველთვის მარცხენა ნაპრის გასაქერადა. უყვარდა ამ პატარა სახლებისა და სხვადასხვაფერად შეღებილ შუშაბანდებისა და აივნების ცქერა. ყველაფერი ეს მისთვის ნაცნობიც იყო და უცნობიც, ახლობელიც და შორეულიც. შუა მტკვრიდან თვალისმადევნებელი ყოველთვის აღმოაჩენდა ხოლმე ორ სახლს შორის ჩაჭედილ სახლს, რომელიც მანამდე არ ენახა ან არ ჰქონდა შემჩნეული. ზოგჯერ ლამაზ აივანს გამოარჩევდა. ამ ლამაზრიკულებიან აივანსაც, რა თქმა უნდა, პირველად ამჩნევდა. ზოგჯერ კი სრულიად უცხო ფანჯარას იპოვიდა. ფანჯარა მართლაც უცხოდ ელვარებდა მზეზე, ფერადმინებიანი.

ხიდის თაღს რომ გაივლიდა, გული უკვე საგულეში ჰქონდა, რადგან აქედან უკვე ჩუღურეთი იწყებოდა. ეს კი უკვე ბევრ რამეს ნიშნავდა. ჩუღურეთი მისი უბანი იყო, მისი სამფლობელო.

ხიდს გასცდებოდა თუ არა, მდინარეს ორად ჰყოფდა რიყით მოფენილი პატარა კუნძული. მარცხნივ პირდაპირ მდინარიდან აღიმართებოდა მაღალი შენობის თეთრად შეფთექილი კედელი. ეს კედელი შეღებილი არ გეგონოთ, ფქვილით იყო შეფიფქული. მის ფანჯრებიდან ყოველთვის ბერტყავდნენ ფქვილიან ტომრებს ანდა უვარგის ქატოს ზემოდან უბოდიშოდ პირდაპირ მტკვარში გადმოუძახებდნენ ხოლმე.

მერმე გაუქმებული ეკლესიის ყელი და გუმბათი გამოჩნდებოდა. ამ გაუქმებული ეკლესიის ეზოში მაიკო ცხოვრობდა, ლუკას კლასის ამხანაგი. ჩრდილში ეზრდილიყვნ დალეული, წრიპა გოგო. როდესაც. ლუკას მაიკო გაახსენებდა, რატომღაც წარმოიდგენდა, თითქოს

ეს გოგო სადმე ბნელ კუთხეში თავისთვის მეყოუეულიყო, იჯდა და თხილს აკანატუნებდა.

ეკლესიის ქვემოთ ისეე რიყე იწყებოდა. რიყე მდინარეში იყო შეპრილი და ავტო სკოლის გარაჟიდან ბაბოს კედლამდე რამდენიმე ეზოს გასდევდა. ლუკა კუნძულს ჩაუვლიდა, და სწორედ იქიდან, სადაც ეს ტოტი მდინარის მთავარ კალაპოტს უერთდებოდა, იწყებდა ნაპირზე გასვლისთვის ზრუნვას.

აქედან უკვე კარგად მოჩანდა ლუკას ეზო, ორსართულიანი სახლი და დიდი ცაცხვი. ლუკამ მაშინვე ცაცხვს გახედა, აბა თუ მიმასწრო ჭორფლიანმა ალბერტმა მოსვლაო. ეზო ცარიელი აღმოჩნდა. არც ცაცხვის ქვეშ მდგარა ვინმე.

ლუკამ ნაპირისკენ მოუსვა და ნავის ფერდს დაებღაუჭა. მხოლოდ ნაპირზე ამოსულმა იგრძნო დაღლილობა. სხეული თითქოს დამძიმებოდა. მაგრამ ეს სიმძიმე მისთვის უცხო არ იყო, ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა სკოლიდან ცურვით ბრუნდებოდა შინ.

მეორე სართულის აივანზე ანდუყაფარი დაასრულებდა თავის მუშამბაგადაკრულ ველოსიპედის ბორბლიან სავარძელს. დედები, როგორც ყოველთვის, ოთახში იყვნენ შეკეტილნი.

ლუკა მზეზე იდგა და შრებოდა. ცოტათი შესცივდა კიდეც, სხეული გაულურჯდა და აეხორკლა. გაუხდელად ზედვე იწურავდა სველ ტრუსს. მერმე რიყე გადაჭრა და კედელს მოფარებულმა ტრუსი გაიხადა. — უკეთესია გავწურო, ტანზე როდის შემაშრებაო. გაწურა და ჩაიცვა კიდეც. ისევ მზეზე გამოვიდა. თუ ფეხით იარა, ჯერ ვერ მოაღწევდაო. — ფიქრობდა. თუმცა არც ტროლეიბუსით წამოსვლა იყო დიდი ბედენა, იშვიათად დადიოდა და ისიც ძლივს დაჩაჭაქვდა, ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდა.

მრავალპირიანი დანა უკვე მოგებული ჰქონდა და საკუთარ ჯიბეშიაც კი ეგულებოდა. საქმე ის იყო, რომ ლუკამ გზაში გადაიფიქრა. ჯერ ერთი ჭორფლიანი ისეთი ბიჭი ჩანდა, წაგებულს არ შეირჩენდა, მეორეც, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მოსწონდა სადაფენტი რიანი პატარა, ლამაზი დანა.

ტანზე წყლის წინწკლებიც კი შეაშრა, სილურჯემ გაუარა. გათბა და კანი დაეწმინდა. მხოლოდ თმა და ტრუსი ჰქონდა სველი. თუმცა სველი არც ეთქმოდა, უფრო დანამულსა ჰგავდა.

ეზოს კიდეს ჯვალოს შარგალხალათიანი ძია ლადო მოადგა. ჯიბეებში ხელებ-ჩაწყობილმა რიყეს გადახედა.

— ამოდი, მანდ რას უდგეხარ? — უთხრა ლუკას.

— ამხანაგს ველოდები.

— აქ დაელოდე. — ძია ლადო სკამზე დაჯდა და გაზეთის ქაღალდში თამბაქოს გახვევა დაიწყო.

ლუკას ტრუსის ამარა დაცარიელებულ ეზოში დგომა და ლოდინი არ უნდოდა. ახლა რახან ძია ლადო გამოჩნდა, სწრაფად მიადგა კედელს და ზედ კატის სისწრაფითა და სიფრთხილით აცოცდა. ეზოში ასულმა მტვრიანი ხელები დაიფერთხა და იმავე სკამზე, უფრო სწორედ, გრძელ მერხზე ძია ლადოს გვერდით ჩამოჯდა, მტკვრისაკენ ზურგშექცევით. ასე იმიტომ დაჯდა, რომ ქუჩიდან ეზოში შემოსასვლელ ჭიშკრისათვის ეცქირა. ჭორფლიანი ესესაა მოვაო, — ფიქრობდა.

ჭორფლიანი იგვიანებდა.

ძია ლადომ მყარალი თუთუნი გაამბალა, მერმე ჩაიჩოჩა და ცაცხვის მერქანს ზურგით მიეყრდნო. ეს მერხი, რომელზედაც ისხდნენ ახლა, ძია ლადოს ნახელავი იყო. მთელი ეზოს მამაკაცები ამ ცაცხვის ქვეშ იყრიდნენ ხოლმე საღამოობით თავს და დასაჯდომი კი არ ჰქონდათ. ძია ლადომ მტკვარში დაჭერილ მორს ბოლოები წაუმახვილა. წამახვილებული მორის ორი ნაჭერი ერთმანეთის მოშორებით დაარჭო. ზედ ფიცარი გასდო და დააჭედა. მერმე ამ მერხს ასევე დაუდგა მაგიდა. ერთი მერხი, რასაკვირველია, მეზობლებს არ

აარჩილ სულაკაური
ლუკა

ეყოთ, ვინც მოსვლას დაადგენებდა. ფეზზე იდგა. ამიტომ ძია ლადომ მაგიდის მეორე მხარესაც გამართა ისეთივე მერხი.

ჭორფლიანი ალბერტი ისევ არ ჩანდა.

— რას უცდი? — ჰკითხა ძია ლადომ. — რატომ შინ არ ადიხარ?

— რა ვიცი, ერთი ჭორფლიანი ბიჭია, ალბერტა ჰქვია, იმას ვუცდი.

— რა მინდაო?

— არაფერი. ტანსაცმელი უნდა მომიტანოს.

— საიდან?

—ვერის ხიდიდან ცურვით წამოვედი და ტანსაცმელი იმას გამოვატანე.

— იცნობ, ვინ არის?

— არა. ღღეს გავიცანი.

— აბა, შენა ყოფილხარ! — ძია ლადო უცებ აღელდა და როგორც ლუკას მოეჩვენა, გაბრაზდა კიდეც. — უცნობ ბიჭს გამოატანე ტანსაცმელი?

— რა ვიცი.

— როგორ თუ, რა იცი?!

— კარგი ბიჭი ჩანდა.

— კარგი ბიჭი! — ძია ლადომ ეზოდან რიყეზე გადააპურჭყა და აბოლებული ნამწვავი მოისროლა. — როგორი ბიჭი იყო?

— ჭორფლიანი, გამხდარი... ცეცხლივით წითელი თმა ჰქონდა.

— აბა, შენა ყოფილხარ!.. წამოდი, ქუჩაში გავიდეთ.

— არა, ძია ლადო, ისეთი ბიჭი ჩანდა, არ მომატყუებდა. — ლუკა მაინც დარწმუნებული იყო, ჭორფლიანი მოვიდოდა და ტანსაცმელს მოუტანდა. ძია ლადო სულ ტყუილად ღელავდა.

— წამოდი-მეთქი, გეუბნები — ძველმა მეწავემ ხელი მკლავში წაიალო, მერხებს გადაალაჯა და ლუკაც გადაათრია.

ქუჩაში გავიდნენ.

ლუკასთვის ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდა ძია ლადოს ამგვარი აღელვება და გაბრაზება. კაცი უცებ გამოიცვალა, სახე დაეძაბა და დაეჭიმა. ვიწრო, ჩამჭრალი თვალები აენთო და გაუფართოდა. ალბათ თვითონ ლუკასაც გრძნობდა, რა მაგრად უჭერდა ლუკას მკლავზე ხელს. ლუკა ტკივილისაგან იმანჭებოდა, — ოღონდ ხელი შემიშვას და ჯანდაბას ჩემი ტანსაცმელიო.

— წამოდი, წამომყევი. იქნებ სადმე წავაწყდეთ! — ძია ლადომ ლუკას შეუშვა ხელი და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას ეკლესიისაკენ.

— ძია ლადო, სირცხვილია, სულ ტიტველი ვარ! — რკინის მარწუხებისაგან განთავისუფლებულმა ლუკამ შვებით ამოისუნთქა.

— სირცხვილი ის იყო, თავი რომ მოატყუებინე. ვერ ვითმენ რა, როცა კაცს ატყუებენ!.. ერთი, თუ ხელში ჩამივარდა!..

ლუკამ ეკლესიის ეზოსთან დაინახა მაიკო. იგი ვიღაც სამ გოგოსთან ერთად იდგა. გოგოები საუბრობდნენ და თანაც მზესუმზრიას შეექცეოდნენ.

გიჟივით გავარდა უკან. ძია ლადო არც გაუფრთხილებია, ისე მოჰკურცხლა შინისაკენ.

ლუკა დარცხვენილი, საკუთრად ჩადენილი შეცდომისა და დანაშაულის ამღიარებელი კაცის იერით წარსდგა დეიდების წინაშე. შინაბერა დეიდებმა, რა თქმა უნდა, შეიცხადეს დისშვილის ასე უსინდისოდ გაცურება და გაძარცვა. მაგრამ დანაშაულის მთელი სიმძიმე მაინც ლუკას მამას დაწვა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ის იყო ყოველგვარი ბოროტების სათავე, ასე მიიჩნდათ ტყუპ, შინაბერა დებს. ლუკა დაუდევარი და ბეყეერათია — იმიტომ, რომ პირწავარდნილი მამაა. ლუკამ იცოუა, მაინც მამაა დამნაშავე, რადგან ისიც მატყუარა და ცრუ კაცია. ლუკას შინ დაბრუნება შეაგვიანდა, მეგობრებთან საუბარმა შეაყოვნა ან ბუთი ითამაშა ან ლაზტი, ან ოთურმა, ესეც მამის ბრალია. ის კაცი მთელი ცხოვრება ხომ მხოლოდ იმას ფიქრობს, როგორ გალაღდეს, დრო როგორ გაატაროს, როგორ გაინავარდოს.

ლუკას ერჩია ეს ქარიშხალი პირადად მას დასტყდომოდა და არა მამამისს. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის აუგად ხსენება ამწარებდა და აბორტებდა. ლმობიერი და მიმტევებელი გული წვეთწვეთობით შხამითა და ბოღმით ევსებოდა. ხმაგაკმენდილი თვალს ადევნებდა ოთახებში დიდების ამაო ფუსფუსს და ბავშვური აღღოთი გრძნობდა, ეს ფუსფუსიც მისთვის იყო გამიზნული, აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა მინიშებული, ვითომ ნახე, ჩვენ რამდენს ვშრომობთ, შენ კი მამაშენივით უქნარობასა და უსაქმურობაში ამოგდის სულიო.

ზოგჯერ ფიქრობდა, განგებამ ამ ქვეყნად ეს ტყუპი, შინაბერა დიდები ჩვეს სატანჯველად მოავლინაო. ისინი წამდაწამ ეძახდნენ საბაბს ლუკას დასჯისა და დატუქსვისათვის. გარდა იმისა, რომ ზუსტად ერთნაირად იცვამდნენ, ერთნაირადვე ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ, ერთნაირი წარმოდგენა ჰქონდათ საგნებსა და მოვლენებზე და ამიტომაც ზედმიწევნით შეთანხმებულად მოქმედებდნენ ლუკას წინააღმდეგ. ბოლო ხანებში კი ლუკას დასჯის უმაკცრესი ხერხიც მოიგონეს: მამას ულანძღავდნენ.

ლუკა ოთახში ხმაგაკმენდილი იდგა, შურისძიებაზე, სამაგიეროს მიზღვაზე ფიქრობდა. დედაბრები იმდენად ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ ლუკა შარშანდლამდე თითქმის ვერ ანსხვავებდა, რომელი იყო დიდი ნატო და რომელი დიდი ნუცა.

ერთი სიმაღლისანი იყვნენ, მაღალნი, ხმელხმელნი. ორივეს გრძელი და დამჭკნარი ხელები, დიდი და შავი თვალები ჰქონდათ, საკმაოდ სწორი და პატარა ცხვირები. თმაში არც ერთი თეთრი ღერი, თუ არ ჩავთვლით იმ ჭაღარა ზოლს, რომელიც ყმაწვილქალობაშიც შავ თმაზე ისევე გასდევდათ, როგორც ახლა. ლუკას დედისგან და სხვებისგანაც გაგონილი ჰქონდა, რომ მისი დიდიები ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ ულამაზეს ქალიშვილებად ითვლებოდნენ.

ლუკას კარგად ახსოვს, როგორ ბრაზდებოდნენ და როგორ ტუქსავდნენ, თუკი შეეშლებოდა და მათ სახელებს აურევდა. ეს ჭაღარა თმის ზოლი სხვებისგან დასხვა მხარეს მაინც გასდევდეთ, — უფიქრია ზშირად, — მაშინ მათი გამოცნობა ასე არ გამიჭირდებოდაო.

დაბოღმილმა გადაწყვიტა, არასოდეს აღარ მიემართა დიდებისათვის თვითანო ნამდვილი სახელებით. საკუთარი გულის მოსაოხებლად ამიერიდან დიდა ნუცას დიდა ნატოს დაუძახებდა, ხოლო დიდა ნატოს დიდა ნუცას. დარწმუნებული იყო ეს სახელების არევდარევა სიგიჟემდე გაიწმატებდა და გაიცოფებდა დიდებს.

მაგრამ თავისი გადაწყვეტილება როიცა ანდუყაფარს გაუმხილა, იმ წამსვე მიხვდა, რომ ანდუყაფარმა განზრახვა გუნებაში არ მოეწონა. ეს სახის ცივ გამომეტყველებაზე შეატყო, თანაც აივანზე თავისი ბორბლებიანი საკარძლით მოსეირნემ სიტყვა ბაზზე აუგდო და ჰკითხა: — თქვენი სკოლა რომელ ქუჩაზე გადავიდაო?

ლუკამ შურისძიების გეგმა ჩაფუშულად ჩათვალა და აივნის მოაჯირს დაყრდნობილმა მტკვარს აღმა გახედა. ისევე გაახსენდა დილანდელი მარცხი.

შინაგანად მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ ჭორფლიანმა მოატყუა და ტანსაცმელი წაჰგლიჯა. ალბათ ჩვენს ეზოს ვერ მოაგნოო — ფიქრობდა. ეგონა, ხვალ მათი გაცნობის ადგილზე მისულს ჭორფლიანი ალბერტი უსათუოდ დახვდებოდა და ლუკას ტანსაცმელი, ისევე სათუთად დაკეცილი, როგორც ოვითონ დაუტოვა, იქვე იდებოდა პატრონის მოლოდინში.

ასეც მოიქცა.

მეორე დილას გაეშურა ვერის ხიდისაკენ. ახლანდელ მარჯანიშვილის მოედნამდე, სადაც მაშინ ჯერ კიდევ ძველი კირხე იდგა, ტროლეიბუსით იმგზავრა. მერმე უკან გამობრუნდა და ლენინგრადის ქუჩით თავისი ყოფილი სკოლისკენ ზლაზვნით გაემართა. ტანსაცმელი, რომლის გამო შინ ასეთი ამბა-

---

აკაჩილ სულაკაური
ლუკა

ვი დაათიეს, ამ ერთ დღეში შეჯავრებდა. და მიუხედავად იმისა, რომ გაცვეთილი ფეხსაცმელებისა და ძველი შარვლის ამარა დარჩა, მათ დაბრუნებაზე სიამოვნებით იტყოდა უარს.

ლენინგრადის ქუჩა გაიარა და მარცხნივ გაუხვია. მალე გამოჩნდა ლუკას სკოლა — ახლა უკვე სამხედრო ჰოსპიტალი. სადარბაზო შესასვლელთან ისევ იდგნენ ჯარისკაცები. იქვე იყო გაკრული განცხადებაც. სადარბაზოს ჩაუარა და მესერის გასწვრივ ქუჩას გაჰყვა. წინ მუქი-მწვანე ფერის სამი სამხედრო — სანიტარული მანქანა დაინახა. ისინი ერთიმეორის მიყოლებით, ფრთხილად შედიოდნენ ჭიშკარში. როდესაც ლუკა ჭიშკართან მივიდა, დიდულგაშა ჯარისკაცი რკინის კარს ბოქლომს ადებდა. ეზოს სიღრმეში კი მწვანე სანიტარული მანქანები დინჯად მიზოზინებდნენ, როგორც პარადზე.

ლუკამ ქუჩა გადაჭრა და ვიწრო ო

-ჩოღრო ქუჩით მტკვრისაკენ დაეშვა. როგორ არ უნდოდა ახლა იქ მისვლა. ნეტავი რაღაცნაირ ჭორფლიანი არ დამხვდესო, — ნატრობდა გზადაგზა. მაგრამ, სხვამ თუ არა, მან ხომ დანამდვილებით იცოდა, რომ ცეცხლისფერ-ბაბიანი ალბერტი მტკვრის პირას ელოდებოდა.

თავი მეხუთე

სექტემბრის შუა რიცხვებში დეიდა ნუცა, რომელიც თავის ტყუპისცალზე ორმოცდაათი წუთით უფროსი იყო, მოულოდნელად გარდაიცვალა. გარდაიცვალა საკუთარ საწოლში მძინარე, უხმოდ და უდრტვინველად. როგორც ჩანს, შუაღამისას, როდესაც დეიდა ნატომ დაახლოებით ღილის ექვს საათზე შემზარავი კივილი ასტეხა და მთელი ეზო შეაკრა.

მეორე სართულის აივანი მეზობლებით გაიჭედა. დფფეთებულები ამორბოდნენ კიბეზე და შეძრწუნებულები კითხულობდნენ, — რა მოხდაო?! მერმე, როცა შეიტყობდნენ, რაც მოხდა, სინანულით აქნევდნენ თავებს და ... ლებთან აყუდებული, მდუმარე ... იდგნენ. ზოგნი დეიდა ნატოს ამშვიდებ... დნენ და ანუგეშებდნენ, უმეტესად ქალები.

მერმე ყველაფერი მიჩუმდა. ტირილისაგან თვალებდასიებული დეიდა ნატო მიცვალებულის წინ იჯდა გაშტერებული და მეზობელი ქალების ხმადაბალ შეკითხვებზე ჩურჩულითვე პასუხობდა, თითქოს ისინიცა და ესეც მიცვალებულს რაღაცას უმალავდნენ. მეზობელმა ქალებმა ამ საუბრიდან გამოარკვიეს, რომ ქალბატონ ნუცას სამოცდაათი წლის მანძილზე, ფრჩხილი რა არის, ფრჩხილიც კი არ წამოსტკივებია. უმცროსი დის ჯარმა გადაიყოლაო. — ერთსულოვნად დაასკვნა ყველამ.

ეს მართლაც ასე იყო. ტყუპებს უკვე დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზია, როდესაც მათმა დამ, მერმე უკვე ლუკას დედამ, დააპირა ამ ქვეყანას მოვლენოდა. სამწუხაროდ, ტყუპების დედა მშობიარობას გადაჰყვა და უფროსმა დებმა იკისრეს ბავშვის გაზრდა. გაზარდეს კიდეც. კარგად გაზარდეს. თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრებინეს, სწორედ ამიტომ გადმოსახლდნენ ქუთაისიდან თბილისში. განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდათ, თავს ეკლებოდნენ. დაჰკარკალებდნენ და, როგორც იტყვიან, — ცივ ნიასაც კი არ აკარებდნენ. პირველი თავზარი, რომელიც უმცროსმა დამ დასცა უფროს დებს, ის იყო, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე რომ გამოუცხადა — ვთხოვდებიო და წარუდგინა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ვაჟი — გოგა ჯორჯაძე. უფროსი დების შეცხადებას არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. რასაკვირველია, მათ არ უნდოდათ უმცროსს დაც გაუთხოვარი და შინაბერა დარჩენილიყო, მაგრამ ცხოვრებამოუწყობელი, ქვეყნად აღოღიალებული სამხედრო ვაჟისათვის არ ემეტებოდათ აგრეთვე ... ნალოლიავები და.

ახლა კი საშინლად განიცდიდნენ უმცროსი დის ასე უაზროდ დაკარგვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის სამი თვე გავიდა და მისი ასავალ-დასავლისა ვერაფერი შეიტყვეს. დილიდან დაღამებამდე ყოველ წამს, ყოველ წუთს შფოთავდნენ და წუხდნენ დები და არა მარტო დაღამებამდე, ლუკას გვიანობამდე ესმოდა დედაბრების ლაპარაკი. ზოგჯერ მათი ხმა აღვიძებდა კიდეც. მიაყურებდა, თუმცა წინდაწინვე იცოდა, რაზე საუბრობდნენ და შფოთავდნენ.

ლუკა მოესვენრად დაბოდიალობდა მეზობლებით სავსე ოთახებსა და შუშაბანდში. ხანდახან აივანზეც გადიოდა. მოაჯირს დაყრდნობილი ჩასცქეროდა მტკვრის დინებას. ეცოდებოდა საკუთარ საწოლში გაშეშებული დედა, რომელსაც სახე უფრო მეტად დასკკნობოდა და ჩაყვითლებოდა. ოღონდ ეს კი იყო: ტანჯვისა და ტკივილის ნაცვლად მიცვალებულის სახეს სრული სიმშვიდე აღებეჭდა.

როდესაც ნატო დეიდას მეზობლები ეკითხებოდნენ სიკვდილის მიზეზს, ლუკას შეეშინდა, — ვაითუ ესეც დეიდა ნატომ მამაჩემს დაუბარალოსო. მაგრამ დეიდას ლუკას მამაზე სიტყვა არ დასცდენია. დაკარგულ დას ხშირად ახსენებდა, უხმობდა, ეძახდა. უხმობდა იმისათვის, რომ უკანასკნელად ერთხელ მაინც დაეხედა თავისი აღმზრდელი უფროსი დისათვის.

პირველმა ელდამ გიარა. დადუმებულმა მეზობლებმა ხმა ამოიღეს. იქვე შეუდგნენ დასაფლავების თადარიგს. მსჯელობდნენ, კამათობდნენ. ლუკა შორიდან უგდებდა ყურს და ძალიან რთულად ესახებოდა მიცვალებულთა დაკრძალვის წესები, იმდენად რთულად, რომ შეშფოთდა კიდეც, თუ ყველა ამ წესის დაცვა აუცილებელია, დეიდა ნუცას ალბათ ვერასოდეს დავასაფლავებთო.

დათიკო ბერიშვილმა, რომელიც პირველ სართულზე ცხოვრობდა, სხვათაშორის თქვა: მართალი გითხრათ, მე ჯერაც ვერ გავრკვეულვარ, რომელი გარდაიცვალა — ნუცა თუ ნატოო? ამ გაუგებრობის გამო ერთი ორმა ჩაიხითხითა კიდეც, მაგრამ მოხითხითენი მაშინვე ჩაეხუმეს, — სირცხვილიაო! დათიკო თავისას მაინც არ იშლიდა, — ნამდვილად არ ვიციო, — ამტკიცებდა. როგორ თუ არ იცი, — უთხრეს, — აქ რომ შემოვედით, ნატომ არ შემოგვატარა, — ნუცა, ნუცა მოკვდაო! ამაზე დათიკო ბერიშვილმა უპასუხა, — ალბათ იმიტომ, რომ შეეშინდა, ამ ხალხს მკვდარი მე არ ვეგრძნო. აქ ისევ ატყდა ჩუმი ხითხითი. მაგრამ მალვე შეწყდა, ეტყობა, ლუკა უფრო ადრე შენიშნეს, მანამდე, ვიდრე იგი თავს მოაბრუნებდა და ტრადიციების დამცველ მეზობლებს შეხედავდა თვალებში, რომლებშიც ახლა დაღვრემილი თანგრძნობის მეტს ვერაფერს აღმოაჩენდა კაცი.

საღამო ხანს უკვე ნათესავები მოცავდნენ. ამ ნათესავთაგან თითქმის არავის იცნობდა ლუკა. ისინი მოსვლისთანავე საქმიანად დატრიალდნენ, იმ წამსვე შეადგინეს ტექტი ტელეგრამებისათვის და ფოსტაში კაცი აფრინეს, რათა თბილისს გარეთ მცხოვრებ ნათესავებისა და მახლობლებისათვის შეეტყობინებინათ დეიდა ნუცას გარდაცვალების ამბავი.

სულ ტყუილად გაისარჯნენ, ხუთიოდე ნათესავი თუ ჩამოვიდა სოფლებიდან. .ამ ხუთიდან მხოლოდ ერთი ახმახი იკლავდა თავს, ვარდისფრად გაღაჟღაჟებული მელოტი კაცი. ეზოში შემოსვლისთანავე განწირული ხმით აბღავლდა: ვაიმე, დაო, ეს რა დაგვემართა, რა გვიქნენ, რატომ დაგვღუპეო — თან ლაპაღუპით ღვრიდა ცრემლს. ღამით კი, როცა კუბოზე დანთებული სანთლიდან პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და შენიშვნა მისცეს, — რას შერები, პოლიკარპე, მაქედან ცეცხლის მოკიდება ვის გაუგონიაო?! — პოლიკარპე აღფოდა და შენიშვნის მიმცემს მკაცრად გადაულაპარაკა:

— ნუ გადამაყოლებთ ახლა ამ გადაბეხრეკებულ დედაბერს! ნუცა კი არა.

არჩილ ხულაკაური
ლუკა

ვარსკვლავივით ბიჭები იხოცებიან ომში უსაშველოდ!

— კი მარა, შენ არ იყავი, თაეს რომ იკლავდი, რატომ დაგვლუპეო? — დამცინავად ჰკითხა შენიშვნის მიმცემმა.

— თუ კაცი ხარ, მაცალე! ამ ხნის კაცს მოქცევა შენგან არ მესწავლება. ორმოცდაათი ნათესავი მაინც დამისაფლავებია, თუ მეტი არა! — ისევ დუღდა ბატონი პოლიკარპე.

ანდუყაფარი ოთახიდან თითქმის არ გამოდიოდა. ლუკას შესთავაზა, — საღამ დეიდაშენს დაასაფლავებენ, ჩემთან ათიე ღამეო. სხვებმაც ასევე ურჩიეს და ლუკამ სამი ღამე გაათია ანდუყაფართან. უფრო სწორედ გაათენა, რადგან ძილი არ ეკარებოდა. თუკი წასთვლემდა, ხან მამის სამხედრო ბანაკი ესიზმრებოდა, ვითომ ცხენები მიჰყავდა მდინარეზე განსაბანად, ხან მთვარისა. მთვარისა უფრო ხშირად ეცხადებოდა წათვლემლს, უცნაურად მომღიმარე, რომლითაც სიხარულსაც და მწუხარებასაც ერთნაირად გამოხატავდა. თითქოს ტკივილი ნეტარებასაც ჰგვრიდა.

სკოლის ამხანაგთაგან მხოლოდ მიტო და მაიკო აკითხავდნენ. ეტყობა სხვებმა ვერ გაიგეს ეს ამბავი, ზოგი ამხანაგი ამ ღროს, შეიძლება, თბილისში არც იმყოფებოდა. მიტო და მაიკო ყოველ საღამოს მოდიოდნენ ლუკასთან და გვიან ღამემდე რჩებოდნენ. ამ უბედური დღისათვის საგანგებოდ გაჩახჩახებულ აივანზე ისხდნენ. აივნიდან ნახევარი თბილისი, როგორც ხელის გულზე, ისე მოჩანდა: მარცხნივ ძველი მეზრანის ხიდი, მიღმა მეტეხი, ზემოთ კი ნარიყალა, მთაწმინდა ხომ ზედ თავზე წამოსხდომოდათ. მარჯვნივაც ძველი ხიდი— (ეს ხიდები ახლა უკვე აღარ არსებობენ, მათ ნაცვლად ახალი ხიდებია აგებული), უფრო ზემოთ — ფერქის გორაზე შეფენილი სახლები, ხოლო შორს — თრიალეთის ქედის ფერდობები. აივნიდან გუმბათიც მოჩანდა გაუქმებული ეკლესიისა, რომლის ეზოშიც მაიკო ცხოვრობდა.

სალაპარაკო პირველსავე ღღეს მოათავეს, შემდეგ ღროის უმეტეს ნაწილს ღუმილით ავსებდნენ, მაგრამ ლუკასთან მდუმარედ ჯდომაც შვებას გვრიდა, რადგან დაკრძალვის სამზადისი — ნერვიული, გაუთავებელი ფაცი-ფუცი და ფუსფუსი მასაც აღიზიანებდა და თრგუნავდა. ამდენ ჭირისუფალთა შორის ორ კაცსაც ვერ იპოვიდი, დაკრძალვის წესებზე ერთნაირი აზრი რომ ჰქონოდა. ყველა თავისას ამბობდა და ამტკიცებდა. თანაც თავის აზრს ყველა ამ სიტყვებით ამაგრებდა: — ჩვენ, ქართველებმა ასე ვიცით, ბატონო, კაცის დაბარხვა და თქვენ თუ ახალი წესი მოიგონეთ. ნუ გვიმალავთო. პასუხს, რა თქმა უნდა, არ უგვიანებდნენ: მეც ქართველი ვარ, ჩემო ბატონო, და თუ ღმერთი გწამს, ნუ მასწავლი, როგორ უნდა კაცის დამარხვაო! — ეს ბატონი პოლიკარპე გახლდათ. პაპაროსს კუბოზე დანთებულ სანთლიდან რომ მოუკიდა ცეცხლი.

სკოლის ამხანაგების საუბრები სკოლითვე იყო მოზღუდული. დაბნეულებივით იყვნენ და არ იცოდნენ, როგორ შეგუებოდნენ სხვა შენობას, სხვა საკლასო ოთახებს. განსაკუთრებით მიტოს მოწოდებულმა ცნობამ შეაშფოთათ. მე დანამდვილებით ვიცი, — თქვა მიტომ, — ჩვენ ყველანი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სულ სხვადასხვა სკოლებში დაგვანაწილესო. ამას ოც სექტემბერს შეგვატყობინებენო. მიტოს ცნობა სიმართლეს ჰგავდა და ლუკამაც და მაიკომაც მაშინვე დაიჯერეს. მეტად ეძნელებოდათ ახალსა და უცნობ გარემოში მოხვედრა, თუმცა ამ გარემოს მაინც ჰქონდა ერთგვარი მიმზიდველობა, სწორედ იმიტომ, რომ ახალი და უცნობი იყო.

მერმე მიტო და მაიკო წასასვლელად აიშლებოდნენ. სამიანენი ერთად დაეშვებოდნენ კიბეზე, რადგან ლუკა მათ ჭიშკრამდე აცილებდა ხოლმე. დაკრძალვის წინა ღამეს მიტო შედარებით ადრე წავიდა, — ხვალ ღილით ჩემი უფროსი ძმა ფრონტზე მიდის და რაღაც ვერ ვისვენებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიკო დარჩა.

პანაშვიდი დამთავრდა. მუსიკოსებმა თავიანთი საქმე მოათავეს. გასაოცარი სისწრაფით ჩაალაგეს საკრავები ბუდეებში და თითქმის სირბილით დაეშვნენ კიბეზე. ეზოც სირბილითვე გაიარეს. ხალხი დაიშალა, ავინიდან თანდათან ჩაწრიტა ქვედა სართულსა და ეზოში, საიდანაც მერმე თავიანთ გზას გაუდგნენ. ოთახში კი ჯერ კიდევ ისხდნენ კუბოს აქეთ და იქით, კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე ჭირისუფალნი. მახლობლები შუაბანდშიც ირეოდნენ და ხვალინდელ გეგმებს აწყობდნენ.

მაიკოს ავინის მოჯირთან მიედგა სკამი და თავისთვის მყუდროდ იჯდა. ლუკა, მანამდე რომ იდგა დაძაბული, სამგლოვიარო მუსიკისა, ქალების კივილის, შეცხადებისა თუ ზარის შემდეგ ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ ახლა უკვე ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა. აივანზე დადიოდა წინ და უკან, ხანდახან შუაბანდს გაივლიდა, ოთახში შეიხედავდა და უკანვე გამობრუნდებოდა.

— ლუკა, — დაუძახა მაიკომ.

ლუკა მოაჯირთან მივიდა და სკამზე ჩამოჯდა.

—დაიღალე?

— არა.

— ისეთი დაღლილი სახე გაქვს...

— რა ვიცი, შეიძლება, დავიღალე კიდეც... მე ვერაფერს ვერა ვგრძნობ.

ფუნიკულიორი განათებული იყო. მთაწმინდის ფერდობზე ტრამვაის ორი ვაგონი ერთმანეთისაკენ მიღოღავდა, ერთი ზევიდან — ქვევით, მეორე ქვევიდან — ზევით. მიღოღავდნენ ერთ ხაზზე ნელა, შეუმჩნევლად. ასევე შეუმჩნევლად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

— აქედან თურმე ჩვენი ეკლესიის გუმბათიც მოჩანს. — თქვა მაიკომ.

— კი, მოჩანს. — მაშინვე დაეთანხმა ლუკა.

— იცი, რა არის ახლა იმ ეკლესიაში?

— არა.

— საწყობი.

— რისი?

— დეკორაციების.

— რა დეკორაციების?

— ოპერის დეკორაციებს ინახავენ. ჩვენმა მეზობელმა, ერთი მოხუცი კაცია, პენსიონერი, ოპერის ორკესტრში ქართულ ცეკვებს უკრავდა დოლზე, სულ ზეპირად იცის, რომელი რომლისაა. ნანქანა რომ შემოხრიგინდება, ყველას გასაგონად ამაყად იტყვის „აიდა“ მოვიდაო. ეს „ყარმენიაო“, ეს „აბესალომ და ეთერიო“...

თითქოს დაუსრულებლად მიღოღავენ ვაგონები ერთმანეთისკენ, ერთი ზევიდან — ქვევით, ხოლო მეორე ქვევიდან — ზევით, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად უახლოვდებიან ერთმანეთს.

— შენ დადიხარ, ლუკა, ოპერაში?

— იშვიათად.

— მე თითქმის ყოველ კვირას.

— ყოჩაღ!

— რა, დამცინი?

— არც მიფიქრია.

ლუკას მართლაც არ უფიქრია დაცინვა. ისე ანგარიშშეიცემლად წამოსცდა ეს სიტყვა. მაგრამ ამ სიტყვამ მაიკოს ლაპარაკის გუნება, როგორც ჩანს, წაუხდინა. ავინის კუთხეში, მოაჯირთან მიდგმულ სკამზე მიიკუნტა, ისედაც ერთი ციცქნა, სულ დაპატარავდა.

ვაგონები კი ისევ მიღოღავდნენ. თანდათან უახლოვდებოდნენ, მერმე მიახლოვებულებმა ერთმანეთს გვერდი აუქციეს. ასე გაიარეს მცირე მანძილი და ისევ ერთ ხაზზე დადგნენ. ერთი ზევით წავიდა, ხოლო მეორე — ქვევით. ვაგონები ახლა უკვე შორდებოდნენ ერთმანეთს, ნელ-ნელა შორდებოდნენ, ისევე შეუმჩნევლად, როგორც წელან უახლოვდებოდნენ.

— მე წავალ.

— რა თქვი?

— არაფერი. წავალ-მეთქი. — მაიკო წამოდგა და კაბა გაისწორა.

— როგორც გინდა. მაგრამ ცოტახანს კიდევ შეგეძლო დარჩენა.

— არა, წავალ.

არჩილ სულაკაური
ლუკა

— კარგი.

მათ ორივემ ერთად გაიარეს აივანი და ხის კიბეზე დაეშვნენ. მაიკო სწრაფად ჩარბოდა და ლუკამ გაფრთხილა, — მოაჯირს არ მიეხეთქო, მორეულია. კიბის საფეხურები თითქმის ზედ პირველი სართულის მოაჯირთან თავდებოდა და მერმე იქვე ხელმარცხნივ იწყებოდა ახალი კიბე, რომელიც პირველ სართულს ეზოსთან აკავშირებდა. მაგრამ პირველი სართულის მოაჯირი არც ისე იყო მორეული, რომ ვისმე ერთი მიწოლით გადაენგრია, მით უმეტეს მაიკოს. მაიკო მოაჯირს სულაც არ შეხებია, მარცხნივ ჩაუხვია და ის კიბეც სირბილით ჩაათავა.

რაღაც ეწუინაო, — ფიქრობდა გუნებაში ლუკა, — ალბათ შეამჩნია, გულისყურით რომ არ ვუსმენდიო. მაინც რას მიაცევდა ფუნეკულორის ეაგონებს, თითქოს არასოდეს არ ენახა? მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ მას შემდეგ, რაც პატარა ბავშვმა საგნების ერთმანეთისაგან გამორჩევა შესძლო, ამ აივნიდან მთაწმინდას შესცქეროდა და იმდენად შეაჩვია თვალი, — ვეღარც ამჩნევდა. თუკი ზოგჯერ შეხედავდა, ეს იყო წამიერი თვალის გადავლება, თითქოს მთაწმინდის ფერდობებს ღრუბლის ჩრდილმა გადაურბინა.

მაიკომ და ლუკამ ხის ჭიშკარს გადაბიჯეს და ქუჩაში გავიდნენ. ფანჯრებში უკვე შუქი ენთო. ასეოდე ნაბიჯზე ტელეგრაფის ბოძიდანაც დასცინცინებდა ერთი ნათური ქუჩას; მიუხედავად ამისა, ქუჩაში მაინც საკმაოდ ბნელოდა.

— ატყობ, ლუკა, როგორ დაცარიელდა ქუჩები?

— კი, ძალიან. — დაეთანხმა ლუკა და მერმე, როცა მაიკომ წასვლა დააპირა, უთხრა, — გაგაცილებ.

— მოსახვევამდე მიმყევი. მერმე აღარ მეშინია. იქიდან უკვე მოჩანს ჩვენი ეზო

ისინი ნელა მიდიოდნენ. არც ერთი და არც მეორე არა ჩქარობდა. დარაბასთან, სადაც მოხუცი დაბაღი ცხოვრობდა, მაიკომ მკლავი გაუყარა ლუკას. ლუკამ, ცოტა არ იყოს, უხერხულად იგრძნო და როგორღაც შეიბრუნა სხეული. თითქოს ბორკილები დაადეს ხელებზე და ფეხებზეც. ეჩვენებოდა: კი არ მიდიოდა ჩვეულებრივად, არამედ მიყავდა ყალებდა. თანაც ცდილობდა, როგორმე ფეხი აეწყო მაიკოს ფეხისთვის დრაც უფრო მეტად ცდილობდა, მით უფრო ვერ ახერხებდა.

მაგრამ ლუკამ ისიც იგრძნო, რომ ეს მშვენიერი ბორკილი იყო. მიუხედავად ასეთი უხერხულობისა, მაინც დაწყებოდა გული, მაიკოს რომ ხელი გაეშვა. ეს პაწაწინა, მსუბუქი ხელი მოულოდნელი, უხილავი ძაფებით აკავშირებდა ამ წრიპა გოგოსთან და უცნაურად კარგ, უფრო ზუსტად, აღსარების გუნებაზე აყენებდა.

ლუკას ეჩვენებოდა, რომ მაიკოსთან არასოდეს არ ჰქონია რაიმე დასამალი და გასაყოფი. ყველა საიდუმლოს უმხელდა, ყველა ფიქრსა თუ გულისნადებს უმეღავნებდა. ახლა მდუმარედ მიმავალი ფიქრობდა, — დიდი ხანია მაიკოს აღარ შეეხვედრივარ და ბევრი სათქმელი დამიგროვდაო. თქმით მაინც არაფერი უთქვამს. მას აღსარების სურვილი დაებადა, ამისათვის განეწყო კიდეც. მაგრამ ვერაფერი უთხრა, შეიძლება იმიტომაც, რომ არაფერი ჰქონდა სათქმელი.

ასე ხმისამოუღებლად მივიდნენ წყალსაწვეის ქუჩამდე, საიდანაც უკვე მოჩანდა ოპერის გარდერობად ქცეული ეკლესიის გუმბათი. მაიკო შეჩერდა და ლუკას უთხრა:

— ახლა მე წავალ.

— ბარემ ეზომდე მიგაცილებ.

— არა, არა, აქედან უკვე აღარ მეშინია. — თქვა მაიკომ და დაუმშვიდობებლად გაიქცა. წყალსაწვეის ქუჩა გადასჭრა და მერმე სიბნელეში გაუჩინარდა.

ლუკა გამობრუნდა. ახლა უკვე ჩქარი ნაბიჯით ბრუნდებოდა შინ. მოხუცი დაბაღის დარაბასთან შეყოვნდა და გაიფიქრა, — ნეტავი რას იტყოდნენ ანდუყაფარი ან მიტო, მაიკოსთან ასე

მკლავგაყრილი ქუჩაში მოსცერნე რომ დავეხახეო. ანდუყაფარი არ იცოდა, რას იტყოდა, ხოლო მიტო ნამდვილად შეუფრიდა სკოლას, მთელს ქვეყანას მოსდებდა ამ ამბავს და მერმე რა გაუძლებდა ამხანაგების ორეოფუულ შეკითხვებსა და დაცინვას. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ცოტათი სასაცილო იყო, ამ ნახევრად ბნელ ქუჩაში დიდებივით მკლავგაყრილი სეირნობა.

როდესაც ეზოში შესასვლელი გვირაბი გაიარა და თავისი სახლისკენ გაუხვია, ძია ლადოს ხმა გაიგონა. ძია ლადო ცაცხვის ქვეშ მერხზე იჯდა ცალი ხელით მაგიდას დაყრდნობილი.

ლუკამ მიმართულება იცვალა, ძია ლადოსთან მივიდა.

— დაჯექი. — უთხრა ძია ლადომ.

ლუკა მორჩილად დაჯდა.

— როგორა ხარ?

— არა მიშავს რა, ძია ლადო, გმადლობთ.

— ტანსაცმელი შეიტყაპუნა იმ ოხერმა.

— კი.

— ბევრი ოხერი დადის ამ ქვეყანაზე. ძნელი კია, მაგრამ კაცი მაშინა ხარ, როცა შეგიძლია ოხრების გამორჩევა..: მეც ბევრი შემხვედრია ეგეთი. — ძია ლადო მცირე ხნით გაჩუმდა და მერმე მოულოდნელად ჰკითხა ლუკას. — შეგიძლია ხვალ ექვსს საათზე ადგე?

— შემიძლია, ძია ლადო.

— მართლა?

— კი, ძია ლადო, მე ახლა თითქმის არც მძინავს.

— უნდა დაიძინო... ბავშვისთვის უძილობა არ შეიძლება! ახლა წადი, გათენებისას აქ გელოდები, არ დამაღალატო, სათვეზაოდ უნდა წავიდეთ, შენ არ გაგაღვიძებდი, მაგრამ, რას იზამ, დამხმარე კაცი ვერ ვიშოვნე, ყველა წასულია... ძალზე მურდალი ომია.

სხვა დროს ასეთი ნდობა ლუკას აღბათ ისევე გაუხარდებოდა, როგორც მაშინ გაუხარდა, მაგრამ ხვალ დეიდა ნუცას დაკრძალვის დღე იყო და სათვეზაოდ წასვლაზე რაღაცნაირად გული ეთანღრეებოდა.

— იცი, რა ლუკა? თვეზი მაინც ეფიჰიროა ქელეზზე. ერთ ორ საათში საკმაოდ დავიჭერთ. მოხარშვით კი მე მოვხარშავ.

თავი მეექვსე

ლუკას მთელი ღამე მართლა არ ძინებია. ბორგავდა, წვალობდა, ხანდახან წასთვლედა. წათვლემილს შიშველი მთვარისა ესიზმრებოდა. ოღონდ მთვარისა ახლა რკინის გისოსებში გამოსვლას როგორღაც ახერხებდა და ორიენტ, მთვარისა და ლუკა, მკლავებგაყრილები დასეირნობდნენ საავადმყოფოს ეზოში. აუზი ლურჯი, გამჭვირვალე წყლით იყო სავსე და შიგ ოქროს თევზები დასრიალებდნენ.

უცნაური შინაგანი ბიძგი აღვიძებდა. მერმე ისევ თვლემა მოერეოდა და ახლა უკვე ლურჯ კრიალა აუზში ოქროს თევზების ნაცვლად ლუკა და მთვარისა დაცურავდნენ.

სიზმრისეული აუზი, როგორც ჩანს, გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ის, საავადმყოფოს ეზოში რომ ნახა — ამომშრალი და დანაგვიანებული. ანდა სიზმარში თვითონ პატარავდებოდნენ, რადგან აუზში მთვარისას ცურვით დასდევდა და ვერ იჭერდა. მაგრამ ეს დეენა, თუ ლტოლვა მთვარისასაკენ წარმოუდგენელ, ჯერ განუცდელ ნეტარებას ანიჭებდა. მთვარისა წყალში თევზივით დასრიალებდა, თან ამბობდა: რა ბედნიერებაა მთვარეში ბანაობა... ეს ხომ მთვარეა, ბიჭო, ჩვენ, მთვარეში დასრიალებთო...

— რა მოგვივიდა, ლუკა?! თუ გინდა, სინათლეს ავანთებ? — ეს ანდუყაფარის ხმაა.

— რა ვიცი. — ბურტყუნებს ლუკა.

— ავანთო?

— როგორც გინდა.

— დაიძინე... დაიძინე...

— არა მძინავს და მაინც სიზმრებს ვხედავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალბათ წაგთვლიმა. სიზმარს რა უნდა, ერთი წამი. ორიოდ წამში მთელი ეპოქის ნახვა შეიძლება.

არც უცდია ლუკას ამის დაჯერება, არც წინააღმდეგობა გაუწევია. უძილობითა და უძილო სიზმრებით გაბრუებულმა გაიფიქრა, — ალბათ ასეა, რადგან ამას ანდუყაფარი მეუბნებაო. იგი უკვე მესამე ღამე იყო, ანყუდაფარის ოთახში წვებოდა დასაძინებლად. ლოგინს ძველ, ჭრიალა ტახტზე იშლიდა, რომელიც ოთახის შორეულ კუთხეში იდგა მივიწყებული, წელიწადი ისე გაივლიდა, ზედ არავინ დაჯდებოდა.

— რა ნახე, რა დაგესიზმრა?

— რა ვიცი.

— ყველაფერზე „რა ვიცის“ როგორ ამბობ?

— მთვარისა დამესიზმრა, ვითომ აუზში ვბანაობდით... მე დასაპერად დავდევდ...

— ჰოო?! — თქვა ანდუყაფარმა და გაჩუმდა, დიდხანს არ ამოუღია ხმა. მერე სიბნელეში ისევ გაიგონა ლუკამ ანდუყაფარის ხმა: — ხშირად ფიქრობ მთვარისაზე?

— არა... არც ისე...

— ლუკა, ნუ გინდა, მოეშვი მთვარისაზე ფიქრს.

— სულაც არ ვფიქრობ... ხანდახან გამახსენდება ხოლმე.

—ლუკა, მოდი, ნუღარ იფიქრებ, საწყალი, სულით ავადმყოფია და ასეთ ავადმყოფზე ფიქრი, მკრეხელობაა. შენ იცი, რას ნიშნავს „მკრეხელობა?“

— ვიცი. — უპასუხა ლუკამ კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ.

— ამიტომაც აღარ იფიქრო მთვარისაზე.

— მე ცუდს არაფერს ვფიქრობ.

— დამიჯერე, ლუკა. მე ვიცი, რასაც ფიქრობ და როგორ ფიქრობ.

ლუკას სახეზე ცეცხლი შემოენთო. კიდევ კარგი სიბნელეა და არა ვჩანვარო, — გაიფიქრა. მერმე გაიტრუნა და დიდხანს იწვა ლოგინში ასე გატრუნული. — ვითომ მძინავსო, — ანდუყაფარს ატყუებდა.

— ცოდვაა სულით ავადმყოფზე ასე ფიქრი. გესმის ჩემი, ლუკა!

— კი, მესმის.

— მომეცი პირობა, რომ აღარ იფიქრებ.

— კარგი, აღარ ვიფიქრებ.

— ეცადე.

— გითხარი, აღარ ვიფიქრებ-მეთქი.

— ჯიუტად გაუმეორა ლუკამ.

— შენ თვითონ არ იცი, როგორი ბიჭი ხარ, ლუკა...

— რომელი საათი იქნება?

— ალბათ სამი. დაიძინე.

— ექვსზე უნდა ავდგე... კი არ უნდა ავდგე, უკვე ეზოში უნდა ვიყო.

— მით უმეტეს, გამოუძინებელი ხომ ვერ წაჰყვები სათევზაოდ.

— კარგი კაცია, არა, ძია ლადო?

— იშვიათი. ძალიან მძიმე ცხოვრება აქვს გადატანილი. სხვა მაგის ადგილზე გაბოროტდებოდა, დაიბოღმებოდა... საკვირველია, როგორ შეინარჩუნა მაინც ესეთი კეთილი გული.

დილის ექვს საათამდე ლუკამ თავი მოიკატუნა. ანდუყაფარს მოაჩვენა, ვითომ ტკბილად და უდრტვინველად ეძინა. სინამდვილეში თვალიც არ მოუხუჭავს. იგი ამ საუბრის შემდეგ როგორღაც დამნაშავედ გრძნობდა მთვარისას მიმართ თავს, მიუხედავად იმისა, რომ ანდუყაფარის საყვედური სამართლიანად არ ეჩვენებოდა.

ექვს საათზე კი ლუკა უკვე ეზოში, ცაცხვის ქვეშ უცდიდა ძია ლადოს.

ჯერ ისევ ბნელოდა.

დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი, ძია ლადო მაშინვე გადმოდგა პირველი სართულის აივანზე და ლუკას დაუძახა. ძია ლადომ რკინისკაპანი ჭოკი და ნიჩაბი გადმოაწოდა, — შენ ესენი წაიღეო.

ლუკამ ჭოკი ეზოდან რიყეს მიუწვდინა და აგურის კედელზე მიაყუდა, ხოლო ხის ნიჩაბი, იმის შიშით არ გამიტყდესო, გაჭირვებით ჩაიტანა. აგურის კედელზე ჩაცოცება უნიჩბოდაც ეძნელებოდა.

ეზოს კიდეს ცოტა ხანში ძია ლადოც

მოადგა ვეებერთელა ვედროიანად. რაღას უცდი, ეგენი ნავში ჩაყარეო, — ჩამოსძახა ზემოდან.

ძია ლადოს ღამით ნაპირზე ამოეთრია ნავი. ლუკამ ნიჩაბი და ჭოკი ნავში მოისროლა, მერმე ნავის ქიმს დაეჯაჯგურა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. სანამ ძია ლადო მოვა, ამ ჯაჭეს მაინც შევხსნიო, — გაიფიქრა და აზარმაცს ჯაჭვი შემოხსნა.

ძია ლადომ ჯერ ნავის უკანა ქიმი შეაცურა მდინარეში, შემდეგ ლუკას უთხრა: გამეცალეო და წინა ქიმს ჩაავლო ღონიერი ხელები. ნავი რიყის ქვებზე ხრიალ-ხრიალით გასრიალდა და მდინარეში შეეცურებულმა ტორტმანი იწყო. ლუკა ძია ლადოს კი მოეცალა, მაგრამ ჯაჭვისთვის ხელი არ გაუშვია, ორივე ხელით ჩაებღაუჭა, ნავი მტკვრის დინებას რომ არ გაეტაცა.

ძველი მეთევზე ნაგზე გადავიდა და ვედრო გადაიტანა. ლუკას ანიშნა, შენც გადმოდიო და რკინისკაპიანი ჭოკი მოიმარჯვა. ლუკა წინა ქიმთან მოკალთდა და ნავი დაიძრა ნაპირ-ნაპირ, მტკვრის დინების საწინააღმდეგოდ.

ლუკამ მეორე სართულის აივანს ახედა, ელექტროშუქით გაჩახჩახებულ აივანზე არავინ ჩანდა. ჯერ ყველას ეძინა. როცა ოთახიდან გამოვიდა, ანდუყაფარი მშვიდად, უდრტვინველად მიძინებული დატოვა.

ძია ლადო მთელი ძალით აწვებოდა ჭოკს და ნავი მარჯვედ მიჰყავდა ზედ ნაპირის გასწვრივ. ავტოსკოლის გარაჟის წინ ნავს სწრაფად და მკვეთრად უცვალა მიმართულება და შუა მდინარეში შეაცურა. ლუკამ ამასობაში თოკის ერთი ბოლო ნავის ქიმზე მიხახნილ ლითონის რგოლში გაუყარა და გასწავა.

ბოლმა გავიდნენ, ბაბოს კედლის პირდაპირ, სანაპიროს ჯებირთან ამოზიდულ პატარა ნაპირზე. ლუკამ არ იცოდა, რატომ ერქვა ან რატომ იყო ის კედელი მაინცდამაინც ბაბოსი. ის კი იცოდა, მდინარეში შეჭრილ ამ ადგილის სქელ კედელსა და სხვა მის მსგავს კედლებზე უმსხვილესი ჯაჭვებით წყლის ნიშველები იყო ძველად გამობმული. ერთ-ერთი ლუკასაც კარგად ახსოვდა, არც ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც სტეფანეს წისქვილი წყალდიდობამ იმსხვერპლა.

— სიბნელეში ვერ შევამჩნიე, მტკვარი ცოტათი მოდიდებულა, — თქვა ძია ლადომ,—ცუდია, დიმახსოვრე, მტკვარი რომ მოდიდდება, თევზი ძველი გზით ალარ მოდის, ერთხელ არჩეულ გზას ჰკარგავს, თუმცა ახლა არც ისე მოუმატებია, შინ ხელმოცარულნი რომ დავბრუნდეთ.

როდესაც ძია ლადომ პირველი ბადე გაშალა, ცამ ფერი იცვალა, გაბაცდა. უკვე თენდებოდა. პირველ ნასროლს სამი საკბინე და ერთი მურწა ამოჰყვა. ბადის სროლისას ძველი მენაე ლუკას ასწავლიდა, როგორ მოქცეულიყო და ლუკაც დიდი მონდომებით ასრულებდა თავის მოვალეობას: თოკს მიუშვებდა, ნავი მტკვრის დინებას დაჰყვებოდა და, როცა ძია ლადო ეტყოდა, — კმარაო, — ლუკა თოკს ლითონის რგოლში ამოუყრიდა და ორივე ხელით დაეჭიდებოდა. სანაპიროს ჯებირზე გამობმული თოკი დაიჭიმებოდა და ნავი ჩერდებოდა.

ძველი მეთევზე მარცხენა ხელში ისევ აკეცავდა ბადის ჭერს, ჯიბეებს ზემოთ გაყრილ ტყვიის ბურთულებიან თოკს კბილებით დაიჭერდა და ღონის მესაზედს მარჯვენა ხელით აკრეფდა. მერმე ერთი წამით შეყოვნდებოდა, თვალით მოზომავდა მდინარის იმ მონაკვეთს, რომელზედაც ბადე უნდა დაეფარებინა. მარჯვენა მკლავს მოიქნევდა, გაშლილი ბადე გაიბრწყინებდა და შუაღელთ დაეფარებოდა მდინარეს.

მკრთალად განათებულ ცის კიდეზე თანდათან გამოიკვეთა ერომანეთის მიჯრილი ძველი სახლების საკვამურებიანი სახურავები. სიფრცეში აისეტტა გაუქმებული ეკლესიის მაღალი ყელი და გუმ-

---

ანრილ ბულაკაური
ლუკა

ბათი. მდინარეც შეუმჩნეველად იცვლება ფერს, ნელ-ნელა უბრუნდებოდა ოდნავ შემდვრეული მომწვანო ფერი.

ნავში დროდადრო გროვდებოდა ბადეს ამოყოლილი წყალი. ლუკა ამ წყალს უკანვე უბრუნებდა მდინარეს. ნიჩბით წყლის ამოხაპვა განსაკუთრებულ სიამოვნებას გვრიდა ლუკას.

თევზობისას ხშირად გახედავდა ხოლმე თავის ეზოსა და აივანს. აივანზე, კარგა ხანს არავინ გამოჩენილა. მალე ანდუყაფარი მოადგა თავისი სავარძლით მოაჯირს, თვალს ადევნებდა თევზაობას. ლუკას ხელითაც კი ანიშნა,— რა ჰქენითო? ბლომად დავიჭირეთო! — ხელის ქნევითვე დამშვიდა ლუკამ. მერმე ანდუყაფარი ისევ გაქრა. ახლა უკვე სხვები გამოჩნდნენ. ელექტროშუქით გაჩახჩახებულ აივანზე დაბორიალობდნენ, დაფუსფუსებდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ, რაღაც-რაღაცეები გაჰქონდგამოჰქონდათ. ერთი სიტყვით, აივანმა საქმიანად გაიღვიძა.

— კარგი ფეხისა ყოფილხარ! — უთხრა ლუკას ძველმა მეთევზემ, როდესაც უკანვე გადმოსჭრეს მტკვარი და ნავი ძველ ადგილზე დააბეს. — მეც კარგ ხელზე გავშალე ბადე, რას იტყვი?

ლუკას რა ჰქონდა სათქმელი, თევზი მართლაც ბლომად დაიჭირეს და ახლა შინ ისე ბრუნდებოდა, როგორც ნაჯაფარი და დიდი მოვალეობის წინაშე ვალმახდილი კაცი. თევზი ძია ლადომ შინ წაიღო მოსახარშად. თავიდან ფეხებამდე გაწუწული ლუკა კი სირბილით აუყვა კიბეს, ფეხსაცმელები წყლით გავსებოდა და ჭყაპა-ჭყუპი გაუდიოდა. აივანზე ასულს პირველად ბატონი პოლიკარპე შეეფეთა, თითებში პაპიროსგაჩრილი ასანთს დაეძებდა. ასე გაწუწული ლუკა რომ დაინახა, ჯერ შეიცხადა. — რას გავს ეს უპატრონოო! მერე კი ლუკას მიუბრუნდა და დაყვავებით უთხრა — სად მოასწარი, ბიძია, ამ დილაადრიან... წადი, გამოიცვალე ტანსაცმელი, მალე ხალხი მოვა და სირცხვილიაო.. საგარეო ჩაიცვიო! — ესეც დასძინა.

ლუკამ ანდუყაფართან შეაბოტა ჭყაპა-ჭყუპით. სველი ტანსაცმელი გაიხადა და „საგარეოო" გამოწყობას შეუდგა. ანდუყაფარს ფანჯარასთან მიეგორებინა თავისი სავარძელი და წიგნს კითხულობდა. ლუკას შესვლისთანავე წიგნი ლოგინზე მოისროლა.

— შენი ადგომა ვერ გავიგე, ეტყობა, მაგრად მეძინა.

— კი, კარგად გეძინა.

— დაიჭირეთ რამე?

— ბევრი, ძია ლადომ თქვა, მტკვარი ცოტათი რომ არ იყოს მოღიდებული, უფრო მეტს დავიჭერდითო.

— ძია ლადომ თავისი საქმე იცის.

— ერთი ეარე ვიცოდე ბადის გაშლა და მეტი არაფერი მინდა.

— ხომ არ შეგცივდა?

— არა, სულ არ ცივდა.

— ისე კი კარგად გაწუწულხარ.

— ამ ფეხსაცმელებს რა ვუყო, არ ვიცი.

— რა დაემართა?

— დამისველდა. როგორმე უნდა გავაშრო.

— სხვა არა გაქვს?

— არა.

— რაც გქონდა სხვას გაატანე და რა შეგრჩებოდა. — ანდუყაფარმა ხელების მოძრაობით მოაბრუნა სავარძელი და ტანსაცმლის კარადას მიადგა. მერე ასევე სწრაფად გადაიხარა, გამოიღო ქვედა უჯრა, რომელიც ჩვრებითა თუ გაცვეთილი ტანსაცმლით იყო გამოტენილი. ანდუყაფარი დიდხანს უთავბოლოდ იქექებოდა. მერმე სილრმიდან ცალი ფეხსაცმელი გამოაძვრინა და ლუკას ესროლა. — აბა, ნახე, იქნებ ჩაგეტიოს ფეხიო.

ლუკამ ფეხსაცმელი გადაატრიალ-გადმატრიალა და ფეხზე მიიზომა. ანდუყაფარი მხარს უკან მისჩერებოდა.

— უნდა ჩამეტიოს. — თქვა ლუკამ.

ანდუყაფარმა მეორე ცალიც გამოაძვრინა უჯრის სილრმიდან და თავის საკარძლიანად მისრიალდა ლუკასთან.

— ჩემი ბავშვობის ფეხსაცმელებია. მე უფრო გაცვეთილი მეგონა, თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გაცვეთდა, მე ხომ მაგით არც მივლია, უბრალოდ დამიპატარავდა.

ლუკა „საგარეოდ“ გამოეწყო. თუმცა რა „საგარეო“ ეთქმოდა, შარშან ზაფხულში ნაყიდ, უკვე საკმაოდ გაცვეთილ, დამოკლებულსა და დავიწროებულ შარვალსა და პერანგს. მიუხედავად ამისა, ეს ძონძები საგულდაგულოდ დაეთოვნებინა. (ემამ დაუთოოვა, ჯერ ორებენა ნალბანდიშვილის დამ) ეტყობოდა, მთელი წლის მანძილზე ერთსაც და მეორესაც მრავალი ძმიმე წუთი ჰქონდა გადატანილი, განსაკუთრებით შარვალს. ნაცრისფერი მაუდის შარვალი მუხლებსა და საჯდომზე საკმაოდ შეცრეცილ-შელახულიყო და ძელნის გარდა ბევრგან დამჩნეოდა გაურკვეველი წარმოშობის ლაქა. რას იზამდა. ახლები ჯორფლიან ალბერტს საკუთარი ხელით ჩააბარა — კოხტად და სათუთად დაკეცილი. ყველაზე უკეთ ანდუყაფარის ნახმარი ფეხსაცმელები გამოიყურებოდა. თუ არაფრად ჩავაგდებდით იმას, რომ ფეხსაცმელებიცა და ლუკაც ამქვეყნად ერთ წელს იყვნენ მოვლენილნი.

აივანზე უამრავი ხალხი ირეოდა. მაგრამ ყველასგან დაუცხრომელი საქმიანობით მაინც ბატონი პოლიკარპე გამოირჩეოდა. განკარგულებებსა და რჩევა-დარიგებებს უხვად იძლეოდა. გამწარებული არბოდა და ჩამორბოდა კიბეებზე. ეზოში უკვე ცეცხლი დაენთოთ. უზარმაზარ ქვაბებში ქორვაჭრებისაგან მამასისხლად ნაყიდი ლობიო და ბრინჯი იხარშებოდა. იქვე ონკანთან ირეცხებოდა და ხარ-სხდებოდა ათასნაირი მწვანილი.

ნათესავების ერთმა ნაწილმა, აღმოსავლურმა შტომ, წინადადება შემოიტანა, ცხვარი დაკლათო. მეორემ — დასავლურმა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — რას ჰქვია, ცხვარი დაკლათო! ორმოცამდე ხორცის ჭამა ვის გაუგია. ამ უკანასკნელთ ბატონი პოლიკარპე სარდლობდა და ბრძოლა რა თქმა უნდა; დასავლეთ საქართველომ მოიგო, რადგან თავად დეიდა ნუცა იქაური გახლდათ. როგორც ჩანს, წარმომავლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა.

ბატონი პოლიკარპე ხმამაღლა, აღმოსავლეთ საქართველოს გასაგონად წუხდა: „ი მაგ თქვენი ცხვრის ფულით თვენი რომ გვაშოვნინა, სუფრას ის დახატავდაო. ლუკას უნდოდა ეთქვა, — თვენი იქნებაო, — მაგრამ თავი შეიკავა. ბატონი პოლიკარპე ისე იყო საქმით გართული, მაინც არ მოუსმენდა და გინდაც მოესმინა, ძალზე ეჭვიანი კაცი ჩანდა, არ დაუჯერებდა. ამ ფაცა-ფუცში გადაიოდა დრო. ბოლოს ლუკას უთხრეს. ბანაშვილი იწყება და შენს ადგილზე დადექიო. ლუკამ, ვიდრე თავის ადგილზე დასადგომად წავიდოდა, ეზოში მოშავალ მაიკოს მოჰკრა თვალი და რაღაცნაირად გუშინდელზე და გუშინწინდელზე უფრო მეტად გაუხარდა მისი დანახვა.

ლუკა კუბოს თავთან დააყენეს სხვა მახლობელ ჭირისუფალთა გვერდით. ბატონი პოლიკარპეც იქვე იდგა. გუშინ ანდუყაფარმა იკითხა: — ვინ არის ეგ პოლიკარპე, რა შემაზრზენი ტიპიაო. ლუკამ არ იცოდა, რა ნათესავად ერგებოდა და ვერაფერი უპასუხა. თვითონვე უკვირდა, — თუ ასეთი ახლო ნათესავი და ჭირისუფალი გვყავდა, ნეტავი აქამდე რატომ არ ჩანდაო?

ოთახში შეგუბებული, სულის შემხუთავი სუნი იდგა, ნელსაცხებლების, წამლებისა და მიცვალებულის ყვავილთა მოტკბო სურნელით გაზავებული.

პანაშვიდზე მხოლოდ დეიდა ნატო ტიროდა მიცვალებულსაც და ლუკას დედასაც, თითქოს ერთის ნაცვლად ორი კუბო მდგარიყო. ერთმწკრივად დაწყობილ მოსამძიმრეთა შორის მაიკოც გამოჩნდა. დაღვრემილი მოდიოდა, პატარა, ერთი ციცქნა. ლუკას ხელი ჩამოართვა, მერმე თითის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა. მაიკო წავიდა და გულისამრევად შეხუთულ ოთახში

აარჩილ სულაკაური
ლუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი სიგრილე და ახალდაბანილი, ჩვილი ბავშვის სუნი დატოვა.

ბოლოსდაბოლოს პანაშვიდი დამთავრდა და შინიდან ყველა გარეთ გამოისტუმრეს. ოთახში დარჩენილი მამაკაცები კუბოს სამჯერ შემოატრიალებენენ და ბერმე სამჯერ მიაკახუნებდნენ დაგმანულ კარს. ეს წესი, როგორც ჩანს, მიცვალებულს ეოლად აუგეს. მთავარი სიძნელე ჯერ გადაულახავი იყო და წინ ელოდებოდათ.

მართლაც კიბის სიიწროვის გამო ძალზე გაჭირდა კუბოს ჩატანა. ბატონი პოლიკარპე მოხერხებულობა და სიმარჯვე რომ არა, ვინ იცის, როგორ დამთავრებოდა ეს ყველაფერი. კუბოსა და მოაჯრის შორის რამდენიმე კაცი გაჭედა და კუბოს ძირა ვერ უკვეს. ხალხი აყაყანდა და ატეადა ჩოჩქოლი, კიდევ კარგი, ეს ჩოჩქოლი და ყაყანი უცებ დაახშო ცაცხვის ჩრდილში შეუყუჟულმა სასულე ორკესტრმა, რომელმაც გაშშაგებით დასცხო შოპენის სამგლოვიარო მარში.

ბატონი პოლიკარპე გადაირია. ოფლად გახვიოქულმა რამდენიმე კაცის დახმარებით კიბეზე გაჭედილთა მხრები მშვიდობიანად გადაიარა და კუბოს ტკვეშიდან მოექცა. ახლა იქიდან შეუტია, — რამსიმძიმეა ეს შობელძღლო, — და კუბო რაღაც მანქანებითა თუ სასწაულით დასძარა კიდეკ.

ქუჩაში ბალდახინი იდგა. საწყალი დეიდა ნუცა ბალდახინზე დაასვენეს და პროცესია ფეხით გაუდგა გზას სასაფლაოსკენ. ჰაერი არ იძეროდა, ცხელოდა. წინ მიმავალი ბალდახინის ცხენები საშინელ მტვრის ბუღში ხვევდნენ ქუჩასაც და ჭირსუფლებსაც. ლუკა ჯერ მარტო მიდიოდა, მერმე მიაკო და მიტო ამოუდგნენ აქეთ-იქიდან. ამან თუ ახლა მკლავი გამიყარა, ხვალ მიტოს დაცინვას რა ვაუძლებსო, — გაიფიქრა ლუკამ. მაგრამ მაიკოს, როგორც ჩანს, მკლავის გაყრა არც კი გაუფლია გუნებაში.

ლუკას ცუდ ხიზმარივით ახსოვს ეს გაუთავებელი, ცხელი და მტვრიანი გზა: სვანეთის უბანი, კუკიის სასაფლაოს მიმავალი, ვიწრო, მზით გახურებული ქუჩები. ავიენბსა და ფანკრეზზე გადამდგარი ხალხის ცნობისმოყვარე სახეები და სასულე ორკესტრი, რომელიც გარშემო ყველაფერს აყრუებდა.

მიტო და მაიკო გვერდიდან არ მოშორებიან, უხმოდ მიჰყვებოდნენ. ასევე უხმოო მიაცილეს იგი სასაფლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა მარტო გრძნობდა, დანამდვილებით იცოდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო, რომ ახლა მთვარისას სიზმარში ხედავდა და გაკვირვებული ფიქრობდა: ნეტავი, რატომ მესიზმრება ახლა მთვარისა, მე ხომ ანდუყაფარს პირობა მივეცი, არ ვიფიქრებდი მთვარისაზე და მთელი დღე ისე გავდა, მარილაც, არც გამხსენებიაო. ვიდრე ძილში ამას ფიქრობდა, მთვარისა გისოსებიანი ფანჯრიდან გაიმოვიდა და ლუკასკენ გამოეშურა. მშვიდი და ნეტარი ღიმილი ეფინა სახეზე. ამ ნეტარებას ალბათ ლუკას ხილვა ანიჭებდა. ლუკა აღელდა. ათრთოლებულ გულს უცნობი გრძნობის თბილი ტალღა მიეხეთქა და მთელ სხეულში ჟრუანტელის მოგვრილ შხეფებად განიბნა. მთვარისა მივიდა, ორივე ხელი მოხვია ლუკას...

— ლუკა!

ლუკამ ძილშივე იცნო მაიკოს ხმა და ისეთ გუნებაზე გაეღვიძა, თითქოს დანაშაულზე წასწრეს.

— სად დაიკარგე, ლუკა!

— რა ვიცი, არ შემეძლო იქ დგომა.

— რამდენი გეძებე. დავიღალე.

— მოდი, ჩამოჯექი.

— რა დროს ჩამოჯდომაა, ნახეკარზე მეტი ხალხი წავიდა.

— წავლენ, მაშ რას იზამენ, აქ ხომ არ დარჩებიან?.. მე არ მომიკითხეს?

— კი. განსაკუთრებით ერთი მელოტი გეძებდა. ძალიან გაბრაზდა: ეგეთი უზნეო და უხეირო ბავშვი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო. საკუთარ დიდას არ უნდა დამშვიდობებოდაო, ხვალაც ნახავს, თუ რაო!

— პოლიკარპე იქნებოდა.

— ვინ არის ეს პოლიკარპე.

— რა ვიცი... პირველად ვხედავ. მოდი, დაჯექი. — ისევ შესთავაზა ლუკამ.

მაიკოც იქვე ჩამოჯდა ცოკოლზე. ლუკას გვერდით.

— სწავლა მაინც დაიწყოს მალე, მიმწყინდა სულ სახლში ყოფნა. — თქვა მაიკომ.

— მეც მომწყინდა. — ლუკა ისე აკვირდებოდა ამ პატარა, შაგგვრემან გოგონას, თითქოს პირველად ხედავდა. ტავი გაიზრდება, თუ სულ ასეთი პატარა დარჩებაო. — ფიქრობდა თან.

მზე დასავლეთისკენ წასულიყო და საფლავებზე კიპაროსების წაგრძელებული ჩრდილები ესვენნ. ლუკას ახლახან გაახსენდა, რომ წეღან ისევ დაესიზმრა მთვარისა და გუნება შეეცვალა. ეჩვენებოდა, თითქოს ყველასგან დაფარული დანაშაულს ჩადიოდა. მის ცნობიერებაში ახლა ერთი სიტყვა ამოტივტივდა, რომლის მნიშვნელობა მან კარგად არ იცოდა, მაგრამ ალღომ და იმ ღამით ანდუყაფართან შექმნილმა მდგომარეობამ აგრძნობინა, თუ მიახვედრა, „მკრეხელობა“ ამას და ამას უნდა ნიშნავდესო. შესაძლოა, ამის გამოც მოატყუა ანდუყაფარი, როცა უთხრა, ვიცი, რასაც ნიშნავს ეგ სიტყვაო. ასე იყო, თუ ისე, მის არსს კარგად ვერ ჩაწვდა და ეს ბოლომდე ვერგაგებული სიტყვა შაშის ზარს სცემდა.

— ძალიან შემეცოდა დეიდაშენი, — დაარღვია დუმილი მაიკომ, — სულ მარტო დარჩა...

— მეც ძალიან მეცოდება.

— ამბობენ, ტყუპების განსაკუთრებით უყვართო ერთმანეთი.

— ეტყობა, ეგრეა.

— ძალიან შემეცოდა. — მაიკოს დიდ თვალებში ცრემლი დაუგუბდა და თავი გვერდზე მიაბრუნა, ალბათ ლუკამ არ დამინახოსო.

ლუკა ახლოს მიუჩოჩდა მაიკოს. ისე ახლოს, რომ მკლავზე მისი მხარის შეხება იგრძნო. გადაიხარა და ფრთხილად, თითქოს მტვერს სულს უბერავსო, ლოყაზე აკოცა. ლუკამ გარკვევით დაინახა, ჩითის კაბის საყელოდან როგორ ამოცურდა სიწითლე. ეს მუხთალი სიწითლე ჯერ ყელს მოეკიდა და მერმე მთელ სახეს უცემ შემოენო. მაიკოს ხმა არ ამოუღია, არც განძრეულა, იჯდა გაბუსენებული.

ლუკამ მეორედაც აკოცა მაიკოს. მაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კო ამჯერად წამოდგა და მკაცრად მოხედა ლუკას. თვალებში ისევ ცრემლი ჰქონდა დაგუბებული, ჯერ არ შეშრობოდა. ლუკაც წამოდგა, რაღაც უნდოდა ეთქვა და ენა დაება. მიაკომ კი ამდენი არ აცალა. გატრიალდა და წავიდა. ნელი ნაბიჯით მიდიოდა საფლავებს შორის, თავდახრილი და დაფიქრებული ლუკა მორჩილად მისდევდა უკან.

შეთანხმებულებივით შეჩერდნენ დიდა ნუცას საფლავთან. ახალ საფლავზე ცოცხალი და ხელოვნური ყვავილების გვირგვინები ეწყო. გარშემო კაცი-შვილი არ ჩანდა. ეტყობა, დიდიხნის წასულები იყვნენ. მერმე მაიკომ და ლუკამ ეს საფლავიც უსიტყვოდ დატოვეს და გასასვლელისაკენ გაემართნენ. მაგრამ სასაფლაოს ლაბირინთიდან თავის დაღწევა არც ისე იოლი აღმოჩნდა; მათ კარგახანს იბოდიალეს და ალბათ კიდევ დიდხანს მოუწევდათ იქ ბოდიალი, შემთხვევით სასაფლაოს დარაჯს რომ არ წასწყდომოდნენ.

იმავე ქუჩით დაეშვნენ, რომლითაც ამოვიდნენ კუკიაზე. რკინიგზის ლიანდაგი გადასჭრეს და სვანეთის უბანში გავიდნენ. არც ერთს და არც მეორეს ხმა არ ამოუღია. დამდურებულებივით მიდიოდნენ. „ტყუილად ვაწყენინე. — ფიქრობდა ლუკა. — ბოდიში უნდა მოვუთხადო. თუ მაპატია, ხომ კარგი, თუ არადა ხვალ ან ზეგ შევეცდები, შევირიგო“.

— მაიკო!

მაიკომ ისე უცებ ახედა ლუკას, თითქოს მთელი გზა მხოლოდდამხოლოდ იმას ელოდებოდა, როდის დამიძახებსო, თანაც სულ სხვანაირი შუქი შეანათა სახეში. ეს მზერა სულაც არ ჰგავდა წეღანდელ მკაცრსა და საყვედურიან გამოხედვას. მაიკო არც გაბრაზებული და არც ნაწყენი არ ჩანდა. პირიქით, ლუკას გამხიარულებულიც კი ეჩვენა. ლუკას უნდოდა ეთქვა, — ხომ არ გეწყინაო. მაგრამ ამის თქმას აზრი არ ჰქონდა, ეს მაშინვე იგრძნო, როცა მაიკოს მოლოდინით სავსე თვალებს ისევ წააწყდა. მიუხედავად ამისა, მაინც იგივე ჰკითხა:

— ხომ არ გეწყინა, მაიკო?

მაიკო ჯერ გაყუჩდა, მერე ისევ ძოღიუშა, თითქოს ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა და ამ გახსენებამ ისევ გული ატკინა.

— არ გეწყინოს, რა! — ლუკამ ხელი ხელზე წაავლო.

პატარა, ჟრუანტელის მომგვრელი ხელიც გაყუჩდა ლუკას ხელში მომწყვდეული. არავითარი წინაღმდეგობის გაწევა არ უცდია, თითქოს საკუთარი ნება-სურვილით ჩაბარდა ტყვედ. მაგრამ როგორც კი ტრამვაის ხაზზე გავიდნენ, მაიკომ მოულოდნელად გამოსტაცა ხელი და გაიქცა. სწრაფად გაირბინა ქუჩა და მოსახვევში გაქრა.

მოსახვევიდან უკვე მოჩანდა ეკლესიის გუმბათი. მოჩანდა ისიც, როგორ გარბოდა მაიკო ფეხით მოსიარულეთა შორის, სწრაფად უვლიდა გამვლელებს გვერდს და უკან მოუხედავად ისევე მიჰქროდა, როგორც იმ დამეს. ლუკას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ხელიდან ძვირფასი რაღაც გამოჰგლიჯეს, თანაც შეეძლო დასდევნებოდა, უკანვე წაერთმია ის, რაც ეს-ესაა გამოსტაცეს, მაგრამ რატომღაც თავს იკავებდა და არ მისდევდა.

თავისი ეზოს ჭიშკარს ბინდ-ბუნდში მიაღწია. ცაცხვს რომ ჩაუარა, გარკვევით გაიგონა ბატონი პოლიკარპეს ხმა. მთვრალი პოლიკარპე ძია ლადოს ეხვეოდა და ჰკოცნიდა. მოზღვავებულ მადლობის გრძნობას ვეღარ იოკებდა.

— კაცი ხარ ქვეყანაზე, ლადო! შენ წარმოიდგინე, თევზი ყველას ეყო. მე პოლიკარპე გირკვლიე ვარ და ამას არასოდეს დაგივიწყებ, ჩემო ლადო!

თავი მეშვიდე

დაკრძალვის შემდეგ ერთი თვეც არ იყო გასული, დათიკო ბერიშვილმა, იმ დღეს რომ ვერაფრით დაეზუსტა, ტყუპი დებიდან რომელი გარდაიცვალა, დეიდა ნატოს კაცი მიუგზავნა და ბინების გაცვლა შესთავაზა. ბერიშვილის ოჯახი პირველ სართულზე ერთ ოთახში ცხოვრობდა. ოთახი საკმაოდ მოზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილი იყო. ორი სული, დათიკო თავისი ცოლით თავისუფლად ეტეოდა, მაგრამ ოთახს, როგორც ამბობდნენ, სინათლე აკლდა და არც ნიავდებოდა. ერთადერთი ფანჯარაც და კარიც ეზოს მხარეს ჰქონდა მოქცეული.

ორ ოთახში ერთ ოთახს თავაზობდა. უფრო ზუსტად, მეორე ოთახისა და შუამბანდის საფასურს იხდიდა. შუამავალმა ასე დაასრულა თავისი სტყვა: მეტს ვერაფერს გეტყვით. ფულზე ალბათ თქვენ თვითონ მორიგდებითო.

უცებ აღელდა და გაბრაზდა დეიდა ნატო, ერთთანად ცახცახმა იატანა, გაფითრდა და კარგა ხანს ხმის ამოღებაც კი ვერ მოახერხა. შუამავალი ძველი დაბაღი გახლდათ, ჩუმი და წესიერი კაცი, რომელიც დარაბაში ცხოვრობდა. ლუკამაც კი შეატყო, რომ დაბაღი კარგად ვერ შეერჩია სარიშვილს საშუამავლოდ, რადგან დეიდა ნატოს დასამშვიდებლად ასეთი რამ უთხრა:

— ნუ ღელავთ, ქალბატონო, განა ღირს ამ უბრალო რამეზე ასე აღელვება? მე ერთი პატარა კაცი ვარ, დამბაძარს და ამბავი მოგიტანეთ. თქვენი ნებაა, ნუ გაუცვლით. ჩემი რჩევაც ეგ იქნება... ეს ოხერი ომი ერთხელ ხომ უნდა გათავდეს. თქვენებიც დაბრუნდებიან, ეს ბიჭიც, ღმერთმა მიხედოს, თვალდათვალ იზრდება, მალე ოჯახსაც მოეკიდება. იმ ბნელ ოთახში ამდენი სული ვერ იცხოვრებთ. კაცი გაჭირვებისთვის არის დაბადებული და ცოტა უნდა გავიჭირვოთ.

ძველი დაბაღი დინჯად, აუღელვებლად ლაპარაკობდა, მის ხმაში სიმშვიდესთან ერთად რაღაცნაირად ნაღველმა, გულისტკივილმა გამოქონა. მაგრამ ამას სულაც არ დაუმშვიდებია დეიდა ნატო, — როგორ, როგორ, გამბიდესო! — ამბობდა და ნერვიულად იმტვრევდა თითებს. მერმე ძველ დაბაღს მიუბრუნდა:

— მაგას უპატრონო ხომ არ ეგონავარ! ჩემი სიძე ომშია, გერმანელ ფაშისტებს ებრძვის. ყოველ წუთს სიკვდილს უყურებს თვალებში, ეგ კი აქ თბილად მოკალთებულა და ჩემს ბინაზე ოცნებობს!

დეიდა ნატოს პოზიცია უკვე გარკვეული იყო და ძველი დაბაღი წამოდგა, დამშვიდობებისას დიდი მოწიწებით გაუწოდა ხელი, კართან მისულმა მადლობაც კი გადაუხადა და წავიდა. ლუკას ბინების გაცვლა-გამოცვლის მნიშვნელობისა ბევრი არ გაგებულა. მისთვის თითქმის სულ ერთი იყო, სად იცხოვრებდნენ, რამდენი ოთახი ექნებოდა — ერთი, თუ ხუთი. იგი სულ სხვა რამემ შესძრა. დეიდამისის ნათქვამიდან იგრძნო, რომ მათ ოჯახს ერთი მფარველი ჰყავდა, ძლიერი, შეუვალი. მისი სახელის ხსენებაც კი საკმარისი აღმოჩნდებოდა ბევრისთვის უკან დასახევად. ეს მფარველი მამამისი იყო და, რაც მთავარია, ამას თვით დეიდა ნატოც აღიარებდა.

ლუკას უცებ გული აუწუყდა და ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში, აღელვებული დეიდა უფრო რომ არ გაეღიზიანებინა. ფანჯრის რაფაზე ქუჩისკენ ზურგით ჩამოჯდა. ღია კარიდან ხედავდა, დეიდა ნატო აკანკალებული ხელით პატარა ჭიქაში როგორ ისხამდა რაღაც წვეთებს. ლუკა ახლა ნანობდა გუშინდელ სიჯიუტეს. დეიდამ სამჯერ მაინც სთხოვა, — სასაფლაოზე წამყევიო და არ წაჰყვა. — გაკვეთილები მაქვს დასამზადებელიო. ლუკას კი სახელმძღვანელოებისაკენ არც მიუხედავს. კვირა დღე აივანსა და ეზოში, ცაცხვის ქვეშ მჯდარმა გაატარა უსაქმოდ.

წინასაღამოს ანდუყაფარისაგან შეიტყო: ძია ლადოსთან ვიღაც გაურკვეველი ეროვნების, ასაკისა და პროფესიის ქალი მისულა და თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გოგონა მოუყვანია. თქვენი შეიღეშვილიაო, — უთქვამს ძია ლადოსთვის. — მე ამის რჩენა კი არა, თავი ძლივს გამაქვსო. დაუტოვებია

არჩილ სულაკაური
ლუკა

და წასული. — რა ვქნა, თქვენს შვილიშვილს რომორმი თქვენ მოუარეთო. ძია ლადო საგონებელში ჩავარდნილა, — რატომ აქამდე არ ვიცოდი, თუ კოტიკოს ცოლი და თანაც ამოდენა შვილი ჰყავდათო. კოტიკო გერად ეოგებოდა, მეორე ცოლს უკვე საკმაოდ მოზრდილი ჭაბუკი მოჰყვა, შესაძლებელია, ძია ლადოს მართლაც არაფერი სცოდნოდა, რადგან ის ვაჟი ერთი გულჩახვეული და პირქუში ვინმე იყო. უთქმელი. სიტყვაძუნწი. ძია ლადოს ქორწინების ქაღალდი მოუთხოვია, მაგრამ გაურკვეველი ეროვნების ქალს უთქვამს — რა ქაღალდი, რის ქაღალდი, მე კოტიკოს საყვარელი ვიყავი და ეს გოგო რომ ნამდვილად მისია, თუ გინდათ, წერილობით შეეკითხეთ და გიპასუხებთო.

ამ ამბავმა, როგორც ჩანს, მეზობლები ძალზე დაინტერესა, ასე ერთსულოვნად გამოფენილები ლუკას დიდი ხანია არ ენახა. არც თვითონ დარჩენილა გულგრილი. ჯუჯა მემტრედესთან ერთად იჯდა ცაცხვის ქვეშ და ცალი თვალი ძია ლადოს აეგნისაკენ ეჭირა. რუბენამ სხვაზე მეტი არაფერი იცოდა იმ გოგოს შესახებ და მაინცდამაინც არც ცდილობდა დამატებით რაიმე ახალი ამბავი გაეგო. იგი უფრო თავისი მტრედების გამო წუხდა: — რა მეშვენება, საქმელს ვეღარ ვშოულობ და ალბათ ყველას გაყიდვა მომიწევსო.

მეზობლები და მათ შორის ლუკაც ამოდ დამშრნენ ლოდინით. კოტიკოს ქალაშვილი გორეთ გამოსვლას, ეტყობა, არ აპირებდა. მხოლოდ ძია ლადო სახლის აივანს მოადგა და მტკვარს გადახედა, თან ზედიზედ მოქაჩა გაზეთის ქაღალდში გახვეული თამბაქო.

მეორე დილით სკოლაში მიმავალი ლუკა ცაცხვის ქვეშ მჯდარ რუბენას მიესალმა. ძალზე გაუკვირდა და შეეკვდა თანაც, თავაზიანმა ჯუჯამ სალამი რომ არ დაუბრუნა. დაეკვეტული ლუკა ერთი წუთით შეყოვნდა და ახლა უფრო მეტი გაოცება გამოეხატა სახეზე. რუბენა ტიროდა, ქოსა, დამჭკნარ სახეზე ცრემლი წურწურით ჩამოსდიოდა. ... კა მიუახლოვდა და ჰკითხა:

— რა მოხდა, რუბენ, რა გატირებს?

— მტრედები მომპარეს! — როდის, როდის უპასუხა ჯუჯამ, თან მუშით მოიწმინდა ცრემლი.

მწვანე სამტრედეს კარი ღია იყო. წუხელ ღამით გამიტეხესო, — ამბობდა მემტრედე და ლუკასთან ერთად ამოწმებდა გატეხილ კარს, დაცარიელებული სამტრედე დამბალი და დაობებული პურითა და ნაყღმით ყარდა.

ასეთ დროს ძნელია კაცი ანუგეშო. მით უმეტეს, ძნელი იყო ლუკასთვის, რომელმაც ძლივს მოახერხა ეთქვა, — გული დამწყდაო. ლუკას მართლა შეეცოდა რუბენა და გულიც ნამდვილად დაწყდა. ჯუჯა თუმცა თავზე დაჩანგალებდა თავის მარჩენელ მტრედებს, მაგრამ სტადიონზე ასაფრენად მაინც ემეტებოდა. ლუკასაც არა ერთხელ წაუყვანია უბეში ჩამალული მტრედები და პირველი გოლის გატანისთანავე აუფრენია. მერმე უდღეკია კიდეც, ვაითუ სახლს ვეღარ მოაგნონ და დაიკარგონო. ღელვა ამაო გამომდგარა, ეზოში შესვლისას ამაყად მომღიმარი რუბენას ქოსა სახე დაუნახავს და მიმხედარა, რომ მტრედებს გზა არ შეშლიათ და თავის სახლის კრამიტიან სახურავზე უკლებლივ დაფრენილან.

— სულ რამდენი იყო? — ჰკითხა ლუკამ.

— ოცი წყვილი. — დაუფიქრებლად უპასუხა ჯუჯამ.

ლუკამ სინანულით გააქნია თავი და ჭიშკრისკენ გასწია ზლაზვნით, გულმოკლული მემტრედე ლაპარაკ-ლაპარაკით მიაცილებდა, ჯუჯას ბოლომდე არ ჭქონია იმედი გადაწურული. — თუ თვეობით არ დაამწყვდიეს ან არ შემიჭამეს, ნახევარზე მეტი მაინც დამიბრუნდებაო. მართლაც, ოთხი მტრედი ერთკვირის შემდეგ მოფრინდა. საწყლები ძალზე დაჭუჭყიანებულები და დამშეულ-დაღლილები იყვნენ. ეტყობოდათ შორი და ძნელი გზა გამოვლილი, ვიდრე თავის ძველ ბუდეს მიაგნებდნენ. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმე კიდევ სამი მტრედი დაბრუნდა, ესენიც ადრემფრენილებს ჰგავდნენ. ჯუჯა სიხარულისგან ფეხზე ადარ იდგა, მაგრამ ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა: ეს იყო და ეს, ორმოცდაან მხოლოდ შვიდმა მოაგნო თავის ძველ სამყოფელს.

ლუკა იმ დღეს მემტრედე რუბენაძ ლაპარაკით შეიყოლია და პირველ გაკვეთილზე დაადგინდა. იგი გზაშიე მიხვდა. პირველ ზარს, გინდაც სიობილით გამსცდარიყო, მაინც ვეღარ მიუსწრებდა და ამიტომ სულაც არ აჩქარებულა.

მათი სკოლა ბელგიის ქუჩაზე გადაიტანეს. შენობა არც ისე ურიგო გამოდგა. მაგრამ თავისი ვიწრო დერეფნებითა და პატარ-პატარა საკლასო ოთახებით, ძველს მაინც ვერ შეედრებოდა ერთი მტკაცელი ეზოც შესვენებებზე უწყალოდ ზღუდავდა მოსწავლეთა ცელქობისა თუ გართობის შესაძლებლობებს. ამ სკოლას ერთი სიკეთე მაინც ადმოაჩნდა. იგი ძველ სკოლასთან შედარებით ახლოს იყო და ლუკა შინიდან უკეკ ათი წუთით გვიან გამოდიოდა.

თუ აგვიანდებოდა, ერთი პატარა, სწორი ქუჩით მოკრიდა გზას. ეს ქუჩა მეტად მოსახერხებელი იქნებოდა, ვიღაც დაბალ-დაბალი, შავტუხა ბიჭი რომ არ ყოფილიყო ქვეყანაზე. იგი საულავაზეზ წამოზრდილი შავი ღინღლით. მოსწრებული ცხვირითა და დაფანჩული წარბებით შინის ზარსა სცემდა ლუკას. ქუჩის თავშივე შეაჩერებდა და მაშინვე გაუჩითავდა ჩანთას. საშლელს, ფანქარს, კალმასტარს ან სუფთა რვეულს. ერთი სიტყვით, რაც მოეწონებოდა, წაართმევდა, მერმე ერთს გემრიელად დაანაღლურებდა და სკოლაში გაისტუმრებდა.

ლუკა არც ისე მხდალი და უძლური ბიჭი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უბანს — გეოგრაფიულ გარემოს ეძლეოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ფიქრებში ხშირად გაუტყუებია ეს წარბებდაფანჩული, მრისხანე ბიჭი თავის უბნისკენ და გვარიანადაც მიუბეგვავს, მაგრამ ეს მხოლოდ წამოსახეა, შეურაცხყოფილი და ფიქრებული კაცის ფიქრები და სურვილები იყო.

ლუკას, რა თქმა უნდა, ისიც შეეძლო შეგობრები მიეყვანა და საერთო ძალით გასწორებოდა შარაგზის ყანაღსა თუ არამკითხე მებაღეს. მისაკე უბანში. ასეთი რამ არ უკანრია, რადგან ერთზე რამდენიმე ბიჭის თავდასხმას არაკეთილინდისიერ საქციელად თვლიდა. თანაც პირველსავე დღეს ნაკამი შინისა და სიმხდალის გამეკლავნების რცხვენოდა. რცხვენოდა იმდენად, რომ გახსენებისას წოთლდებოდა კიდეც. ამ სირცხვილს არავის უმხელდა, თვით ანდუყაფარსაც კი. გულშივე ეკლავდა და იბოღმებოდა. მეორე დღეს შურისძიებით აღკურვილი გაემართებოდა საბედისწერო ქუჩისაკენ, რათა მარტოდმარტო გასწორებოდა მოწინააღმდეგეს. მაგრამ დაინახავდა თუ არა მებაღეს, ყარგად მოფიქრებული და ყოველმხრივ აწონდაწონილი შურისძიება თაეისთავად გადაიდებოდა მეორე დღისათვის, ხოლო ლუკას კვლავ დაეუფლებოდა ამაზრზენი, დაუძლეველი სიმხდალე, რომლის გამოც მერმე საკუთარი თავი სძულდა.

ამ სამი დღის წინათ, ლუკამ ისევ მოჰკარა ქუჩის კუთხეში მდგარ შავტუხას თვალი და, — იქნებ ამჯერად მომეშვასო, — არც გაუხედავს მისკენ, ჩქარი, საქმიანი ნაბიჯითვე განაგრძო გზა სკოლისკენ. თავი გადარჩენილი რომ ეგონა, სწორედ იმ დროს დაუძახა მებაღემ:

— ეი, ჩვენი ძმა!

ლუკას შიშისაგან გული გადაუქანდა და შეჩერდა.

— მოდი აქ! — უბრძანა ქუჩის გადაღმა კედელზე მაყუდებულმა, თან თითით ანიშნა, — გადმოდიო.

„არ გადავალ!“ — ჯიუტად გაივლო გუნებაში ლუკამ.

არჩილ სულაკაური
ლუკა

— მოდი აქ-მეთქი!

— რა გინდა?

— გადმოდი!

— არ გადმოვალ! — უპასუხა ლუკამ, მაგრამ ტროტუარიდან ქვაფენილზე მაინც გადავიდა.

მან ცალი თვალით დაინახა, რომ იქვე სადარბაზოდან გამოსული ბიჭი იდგა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მათ მისჩერებოდა. შესაძლოა, ამ ბიჭის გამოც გაჯიუტდა ასე; წინათ ლუკას დამცირებასა და დაცემას არვინ დასწრებია, ახლა კი ეიღაც უფროსი ვაჟი უნებურად ხდებოდა მისი ლაჩრობისა და სიმხდალის მოწმე. საკუთარ ძალაში დარწმუნებულ მებაჟეს სახეზე გესლიანი ღიმილი გაუკრთა, კედელს მოშორდა და ზლაზვნით გადმოდგა სამოიდე ნაბიჯი.

— მაშ, არ მოდიხარ, არა?!

— არა!

უცნობი ვაჟი მათკენ გამოეშურა, ისიც ზლაზვნით წამოვიდა, მიახლოვებას არა ჩქარობდა, ალბათ აინტერესებდა მის ჩაურევლად როგორ განვითარდებოდა მოვლენები. შავტუხა ბიჭი ტროტუარის კიდეწინან იდგა, წარბებდაფაჭარულ სახეს წეღანდელი ღიმილი გასცლოდა და ლუკასთვის მეტად ნაცნობი იერი დაბრუნებოდა. ეს ის ზზერი იყო, რომელიც შინის ზარსა სცემდა. ახლა უკვე ლუკას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ დაეთმო, თუნდაც ეს წინააღმდეგობა სიკვდილის ფასად დასჯდომოდა.

ლუკამ უცებ აღმოაჩინა, ძველი შიში და სიმხდალე გაჭქრობოდა. საოცარი კია, მაგრამ ასე იყო, მას ახლა ამ ორ მეტოქისა უფრო არ ეშინოდა, ვიდრე იმ ერთისა, რომელიც თითქმის ყოველდღე ხვდებოდა ამ ქუჩაზე.

— გამარჯობა, ნაკეც! — მიესალმა შავტუხა უცნობ ვაჟს ისა ერთგვარი ღირსების გრძნობითაც კი გაუღიმა.

— რა შენი ნაკეცი ვარ, შე ლაწირაკო!

— ჰო... — უცბად დაიბნა შავტუხა მებაჟე, — გამარჯობა, ირაკლი!

ირაკლი ლუკას მიუბრუნდა.

— მოდი აქ, ნუ გეშინია!

— არ მეშინია! — უპასუხა ლუკამ და ქუჩა გადმოსჭრა.

— ამასთან რა ანგარიში გაქვს?

ლუკამ მხრები აიჩეჩა.

— საქმე რომ იყოს, გახვალ?

ლუკა შეყოყნდა.

— ქართველი ხარ?

— კი... — უპასუხა ლუკამ.

— რა გქვია?

— ლუკა.

— აბა, ცოტა ზვეით წამოდით. — ორივეს მიმართა ირაკლიმ.

ორმოცდაათიოდე ნაბიჯი გაიარეს. ირაკლი ერთ ჭიშკართან შეჩერდა და შეიხედა. ლუკამაც თვალი გააპარა იქითკენ, ეზოში შესასვლელი გვირაბიც და ეზოც ცარიელი იყო, არავინ ჩანდა

— შედით და დაარტყით... — უთხრა ირაკლიმ ერთსაც და მეორესაც, მერმე ლუკას მიუბრუნდა, — ეგ ჩანთა, მე მომეცი. დაგიჭერ.

— ვისა, ამას უნდა ვეჩხუბო?! — გაიცინა გაკვირვებულმა შავტუხა მებაჟემ, — ერთი რომ დავარტყა, მოკლავ! — მერმე მარჯვენა მუშტი შეკრა და დაჭიმული მკლავი ნელ-ნელა მოღუნა, — შენ მუსაკულები ნახე!

ლუკას გამალებით დაუწყო გულმა ცემა, ასეთი ძლიერი და გამალებული გულისცემა არასდროს ეგრძნო. გაფითრდა, მკლავები მოუდუნდა და ულონოდ ჩამოუცვივდა. როცა მეტოქემ გამომწვევი გაბედულებით გადაბიჯა ჭიშკარს და გვირაბში შევიდა, ლუკამ უნდობლად გაუწოდა ირაკლის ჩანთა. მანამდე კი გაიფიქრა, — მოდი, ერთს აქედან მოგუსვამ და მერმე ამ ქუჩაზე ჩემს სიცოცხლეში ფეხს აღარ დავდგამო, — მაგრამ არც ისეთი ლაჩარი იყო, რომ ეს დამამცირებელი ფიქრი განეხორციელებინა.

შეჰყვა და მუშტებიც მოიმარჯვა, საჩხუბრად განეწყო. როგორც კი შეხედა სპრძოლველად გამზადებულ მეტოქეს, გაიფიქრა, — ამ თავხედს, ეტყობა, ჯერ არავისთან, არასდროს არ უჩხუბიაო.

ისე სასაცილოდ იგრიხებოდა და ისე უშნოდ იტრიალებდა ცხვირწინ მუშტებს, ერთი წამით შეეცოდა კიდეც. ლუკას დიდხანს აღარ დაუყოვნებია, გაუქანა და სახეში ლეწა მუშტი. ვაი, მამაჯანო! — იღრიალა შავტუხა მებაღემ და ქუჩაში გავარდა, ლუკამ პანღურის ამოკვრა დააპირა და ფეხსაცმლის ჭვინტი ძლივს მიაწვდინა გაქცეულს.

დღეს კი სკოლაში დაგვიანებით მისულმა, ირაკლი, იგივე ნაკეცა თავის კლასში აღმოაჩინა, უკანა მერხზე მორცხვად მჯდარი. საკლასო ოთახიდან თითქმის არც ერთი არ გასულიყო გარეთ, რადგან ახალი მოსწავლე აინტერესებდათ და ყველანი ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდნენ და ამოწმებდნენ.

როგორც კი ლუკა დაინახა, წამოდგა, სახეგაბადრული გამოემართა და ხელი ჩამოართვა.

— გამარჯობა, ლუკა.

— გაგიმარჯოს.

— როგორა ხარ?

— რა ვიცი, არა მიშავს.

— ის ხომ აღარ დაგხვედრია?

— არა.

— რას დაგხვდებოდა. ეგეთი მშშარა, მეორე არ ცხოვრობს ჩვენს უბაწში. თანაკლასელები სულ დაიბნენ და ტყემლად გადაიქცნენ, ასეთი მეგობარი რომ აღმოაჩნდა მოულოდნელად ლუკას.

ლუკაც და ირაკლიც უმალვე მიხვდნენ ამას და თავიანთი ძველი ურთიერთობა წინასწარ შეუთანხმებლად, უფრო მეტად გაუმკვირავალე ნისლით შებურეს.

— შენ ხომ არ გინახავს? — ახლა თავის მხრით ჰკითხა ლუკამ.

— არა, არ მინახავს. — გაღიმა ორაზროვნად ირაკლის.

— ძალიან კი მინდა შემხვდეს.

— ყურებზე ხახვი არ დაგაკრას.

მთელი კლასი გაყუჩებული და გაბრუებული მისჩერებოდა მოსაუბრეებს.

— წამო, თითო გავაბოლოთ ეზოში.

— შესთავაზა ირაკლიმ.

— მე არ ვეწევი.

— არა.

— ხო, მართლა, არ ეწევი. მერმე [illegible] მაინც წამომყევი.

— სიამოვნებით, მაგრამ ვერ მოვასწრებთ, საცაა ზარი დაირეკება.

— მართლა?

— კი.

— მაშინ დიდ დასვენებაზე იყოს. — ირაკლიმ ჯიბისკენ წაღებულ ხელს მიმართულება შეუცვალა და მხარზე დაუტაპუნა ლუკას.

მალე ზარი დაირეკა და საკლასო ოთახში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ზაქარია ინწკირველი შემოვიდა, დაბალი, ჭაღარა ბერიკაცი, რომელსაც დიდსა და კეხიან ცხვირზე ოქროს პენსნე ეკეთა. ზაქარია ინწკირველი ძველი პედაგოგი იყო, თბილისის ერთ-ერთ გიმნაზიაში კლასიკურ ენებს — ბერძნულსა და ლათინურს ასწავლიდა, მაგრამ სკოლებში ამ ენების გაუქმების შემდეგ აშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას შეუდგა. წელს ბავშვებს დამრიგებლად მოეკლინა და ცდილობდა ყოველთვის მკაცრი და სამართლიანი ყოფილიყო. კლასის დამრიგებელი სამართლიანი აღმოჩნდა, ოღონდ, რაც შეეხება, სიმკაცრეს, მაშინვე აიუღეს ალღო და გაუგეს, რომ ის სიმკაცრე მოჩვენებითია და ერთგვარად გაუთამამდნენ კიდეც. თუმცა სამართლიანობის გამო მისი პატივისცემა არ დაუკარგავთ.

ზაქარია ინწკირველმა სიის ამოკითხვამდე შენიშნა ახალი მოსწავლე. — რა გვარი ხარო, — ჰკითხა და თავის მაგიდას მიუჯდა. ირაკლი მაშინვე წამოდგა და თავაზიანად მიუგო:

— დეგდარიანი, პატივცემულო მასწავლებელო.

— რა გქვია.

— ირაკლი.

— შალვა დეგდარიანის რა ხართ?

— არაფერი.

— კარგი კაცი იყო შალვა... რომელ სკოლიდან გადმოხვედი?

— მეოცდახუთედან.

— მეოცდახუთედან კი არა ოცდამეხუთედან. — შეეხეწორა ინწკირველმა.

— დიახ, ოცდამეხუთედან.

მოელი კლასი სულგანაბული უსმენდა მასწავლებლისა და მოსწავლის საუბარს, ყველას ერთნაირად ინტერესებდა ახალი თანაკლასელის ბიოგრაფია.

— ვეტყობა, ჩარჩენილი ხარ კლასში.

— დიახ, პატიცემულო მასწავლებელო. — დაუყოვნებლივ უპასუხა ირაკლიმ.

— თანაც, თუ არა ვცდები, ორჯერ უნდა იყო ჩარჩენილი.

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო!

კლასის ცნობისმოყვარეობა დაიძაბა, რადგან ბავშვებს ერთხელ დარჩენილი მოსწავლე რამდენიც გნებავთ, იმდენი ენახათ, ხოლო ორჯერ დარჩენილს პირველად ხედავდნენ.

— ისე, ზრდილობიანი ბიჭი ჩანხარ... მაგრამ, როგორც ჩანს, კლასიდან კლასში გადასვლისთვის მხოლოდ ზრდილობა არ კმარა. — ჩაილაპარაკა თავისთვის ინწკირველმა.

ირაკლი გაწითლდა. ეტყობა, გაბრაზდა კიდეც, რადგან გესლიანად გაიღიმა.

— დაჯექი.

ირაკლი დაჯდა.

დამრიგებელმა საკლასო ჟურნალი გადაშალა, სიას გადახედა და ვიღაცას თვალით დაუწყო ძებნა, მალე მზერა ლუკაზე შეიჩერა.

— რატომ გააცდინე პირველი გაკვეთილი?

— დამაგვიანდა, მასწ. — წამოდგა ლუკა.

— ხვალვე მოვიდეს დედაშენი.

— დედაჩემი ვერ მოვა.

— რატომ?

ლუკამ არაფერი უპასუხა.

— რატომ ვერ მოვა, გეკითხები!

— პატივცემულო მასწავლებელო.— მეზობელი მერხიდან მაიკო წამოდგა.

— ლუკას დედა ომის დაწყებიდან ხუთი დღით ადრე გაემგზავრა [illegible] ნაში თავისი მეუღლის სანახავად და დღემდე არ დაბრუნებულა, წერილიც კი არ მიუღიათ... უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

— ეს რა უბედურებაა!.. აქამდე რატომ არ მითხარი, ბიჭო?!

— რა ვიცი... რატომ უნდა მეთქვა.

— კარგი, დაჯექი.

— დედიდ კი ამ ერთი თვის წინ დაასაფლავეს. — ეს ცნობაც მაიკომ მიაწოდა ზაქარია ინწკირველს.

— დასხედით. დასხედით.

მაიკო და ლუკა დასხდნენ.

ლუკას გუნება შეეცვალა, თითქოს პირველად ახლა შეიტყო, რომ დედა უგზო-უკვლოდ დაკარგოდა. უცვა როგორღაც თავბრუ დაესხა და სახეზე ოფლმა გამოყინა, მოეჩვენა თითქოს შიმშილისაგან გული ერეოდა. გაფითრებული იდაყვით მერხს დაეყრდნო და თვალები დახუჭა.

— რა მოგივიდა, ლუკა? ცუდად ხომ არა ხარ? — წასჩურჩულა გვერდით მჯდარმა მიტომ.

— არაფერი. არაფერი... ცოტა დაბოდეა... — უპასუხა ლუკამ.

თავი მეოთხე

ბოლო გაკვეთილი რომ დამთავრდა, ზაქარია ინწკირველი დერეფანში დახვდა ლუკას და სამასწავლებლოში შეიყვანა. იქ დაწვრილებით გამოჰკითხა დედის ამბავი, მერმე კიბემდე მიაცილა და გაამხნევა კიდეც, — ნუ გეშინია, უსათუოდ დაბრუნდებაო.

გარეთ გამოსულს მაიკო დახვდა სკოლის ეზოსთან ატუზული. სხვა ამხანაგები შინ წასულიყვნენ. ირაკლი, რომელმაც ლუკას შესთავაზა, დიდ დასვენებაზე გავაბოლოთო, უკვე ზაქარია ინწკირველს გაკვეთილის შემდეგ გაიპარა და სკოლაში ბარე ხუთი დღე ალარ გამოჩენილა.

მაიკო და ლუკა ერთად წამოვიდნენ, ლუკა ატყობდა, მაიკოს ერთი სული ჰქო-

ნდა გაეგო, გაკვეთილების შემდეგ რატომ დატოვა კლასის დამრიგებელმა, მაგრამ თავს იკავებდა და შეკითხვას ვერ უბედავდა. ლუკაც არ იყო ლაპარაკის გუნებაზე და ისე უსიტყვოდ მოდიოდნენ ერთ ხანს. ქუჩა თითქმის ცარიელი იყო. ორჯერ სამხედრო პატრულები შეხვდნენ. პატრულები ქუჩა-ქუჩა აუჩქარებლად დადიოდნენ, ზოგჯერ მოქალაქეებს აჩერებდნენ და საბუთებს უსინჯავდნენ.

ასე ხმისაბოუდებლად გამოიარეს რამდენიმე ქუჩა და საპარიკმახეროსთან მივიდნენ. ეს საპარიკმახერო იქვე, მაიკოს ეზოსთან იყო მიდგმული, მაიკო თითქოს მიუხვდა, ლუკას შინ მისვლა რომ არ უნდოდა და შესთავაზა—ცოტა ხანს ჩვენთან შევიდეთო. ლუკამ ჯერ იუარა, მაგრამ მალევე დაეთანხმა — კარგი, ცოტა ხანს შემოვალო.

ეკლესიის ირგვლივ ერთსართულიანი და ორსართულიანი პატარ-პატარა ხის აივნებიანი სახლები შემორტყმოდა. რიყის ქვით მოკირწყლული ეზო სუფთად იყო დაგვილი. ლუკამ და მაიკომ ეზო გადაკვეთეს და ეკლესიის უკან ცისფერად შეღებილ შუშაბანდს მიადგნენ. მაიკომ ჩანთიდან გასაღები ამოიღო. შუშაბანდის კარი გააღო და ლუკას შეუძღვა.

როგორც კი შევიდა ნახევრადბნელ შუშაბანდში, საიდანაც უფრო ბნელი ოთახი მოჩანდა, ლუკას უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა და მაშინვე ინანა, აქ შესვლას რომ დაეთანხმა. თვითონაც არ იცოდა, რატომ დაეუფლა ასეთი გრძნობა, ფეხი ძლივს აქონდა შემოდგმული და უკვე შინ გაბრუნებაზე ფიქრობდა. გაახსენდა, ანდუყაფარს რომ შეპპირდა, სკოლიდან მალე დავბრუნდებიო. ჯერ ერთი, პური უნდა მეტანა და ეზოში შემოსვლამდე შენწინა, რამდენი რიგი იდგა პურის მაღაზიასთან. მეორეც, პარკების კეთებაში უნდა მოხმარებოდა. ეს საქმე დათიკო ბერიაშვილმა გაუჩინა, მასვე მოჰქონდა ანდუყაფარისათვის დაჭრილი ქაღალდი და ყოველ დამზადებულ პარკში რვა-ათ კაპიკს აძლევდა.

მაიკომ ჩანთა ფარდაგადაფარებულ ტახტზე მიაგდო. მერმე ლერჩი ქაღალი გაიხადა და კედელზე მიმეედილ ხის საკიდზე ჩამოკიდა. ლუკასაც გამოართვა ჩანთა და ისიც ტახტზე მოისროლა.

— იცი რა, მაიკო, მოდი, მე წავალ.

— მოიცადე, რა.

— არა. ანდუყაფარს შევპირდი, პურს მოგიტან-მეთქი.

— დიდხანს არც მე გაგაჩერებ.

— არა... არა...

—ანდუყაფარი ცოტა ხანს მოიცდის, არაფერი უშავს.

შუშაბანდში ტახტი, კარადა და მუშამბაგადაფარებული მაგიდა იდგა. მაგიდაზე გაურეცხავი ჭურჭელი იყო დახეავებული.

— არც გუშინ და არც დღეს დილით წყალი არ მოდიოდა. — მოუბოდიშა მაიკომ ლუკას, მერმე ოთახში შევიდა და სინთლე აანთო.

განათებული ოთახი გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე შუშაბანდიდან ჩანდა. აქაც იდგა მაგიდა და ერთი ტახტი. ამას გარდა ოთახს ავსებდა ორი ნიკელის საწოლი, ტანსაცმლისა და ჭურჭლის კარადები, ვენური სკამები. ჭერიდან კედელზე ჩამოშვებული იყო ჭრელი, სპარსული ნოხი, რომელიც ტახტს მთლიანად ეფინებოდა. ნოხზე შავ ჩარჩოში ჩასმული ქალისა და მამაკაცის ძველი, გახუნებული სურათი ეკიდა.

— ეს ჩემი საყვარელი ტახტია. — თქვა მაიკომ, სწრაფად შემოუარა მაგიდას და ტახტზე მუთაქებსა და ყურბალიშებს შორის რბილად დასკუბდა. მერმე ერთ-ერთი მუთაქა გაისწორა, მკლავსა და ზურგს მოარგო. ფეხები ზევით აიტანა და ნებიერად მიწვა.

ლუკა შუა ოთახში შტერივით იდგა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, დამჯდარიყო თუ ასევე ფეხზე მდგარს

ეცქირა მაიკოს ნებიერობისათვის. მაიკო აღტაცებული შეჰყურებდა ლუკას. იგი კმაყოფილი ჩანდა. ეტყობა, ძალზე მოსწონდა თავისი ტახტი, რომელიც მყუდროების ელფერს ანიჭებდა ოთახს და მართლაც მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო წამოსაწოლად.

— მე აქ წამოვწვები და ვოცნებობ ხოლმე. — თქვა მაიკომ. — ჩვენები საღამომდე არ ბრუნდებიან შინ და მე სულ მარტო ვარ ხოლმე. მე ისე მიყვარს მარტო ყოფნა. — ახლა ტახტის მარცხენა მხარეს გადაინაცვლა. იქაც მოიარეო მუთაქები და მიწვა, თითქოს ლუკას უმტკიცებდა: ეს ტახტი მხოლოდდამხოლოდ იმისთვის არის შექმნილი, რომ ზედ ჩემისთანა ციცქნა არსებამ, როგორც მოესურვება, ისე წამოწვეს და იოცნებოსო.

— კარგი ტახტია. — როგორც იქნა, აღიარა ტახტის ღირსება ლუკამ.

— მოდი, დაჯექი.

— მე აქ დავჯდები. — ლუკამ სკამი გამოაჩოჩა და დაჯდა.

— იცი რა, ლუკა, ამ ერთ წელიწადში ძალიან გაიზარდე.

— რა ვიცი, მე ვერ ვატყობ.

— კი, ძალიან... მე სულ არ გავზრდილვარ... დედაჩემი მეუბნება — ტანს უცებ აიყრიო... ბავშვობაში მეც შენსავით ვიყავიო...

— რა თქმა უნდა, აიყრი.

— გინდა, კარტი ვითამაშოთ!

— მე არ ვიცი კარტის თამაში.

— არც ერთი!

— არც ერთი.

— რა სასაცილოა!

მერმე დუმილი ჩამოვარდა. ეს დუმილი კარგი ხანს გაგრძელდა. ყოველ შემთხვევაში ლუკას მოეჩვენა, რომ ორივენი ძალიან დიდხანს დუმდნენ. ლუკა ფამოდგა და კედელზე გაკრულ სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჩარჩოში ჩასმულ სურათებს დაუწყო თვალიერება. თითქმის ყველა სურათზე მაიკო იყო აღბეჭდილი. ყველა ასაკის მაიკო — აკვნიდან დღემდე. მშობლებთან ერთად გადაღებული, ხან — ცალკე. „ლამაზი გოგოა, — გაიფიქრა, — ანდა ეტყობა, სურათში გამოდის ლამაზად“. ეს უცებ მობრუნდა, თითქოს თავისი ფიქრის შემოწმება უნდოდა, მართლა ლამაზი იყო მაიკო, თუ ფოტოსურათზე აღბეჭდილი ჩანდა ლამაზად.

მაიკო ახლა გულაღმა იწვა ტახტზე. დიდრონი შავი თვალები ჭერისათვის მიეპყრო, ლუკამ საკუთარი გულისცემა გაიგონა და გაინაბა. მერმე, თითქოს გამაბრუებელი სურნელებით გაღელვნილი ჰაერი შეისუნთქა, ძარღვები სასიამოვნოდ მოუდუნდა და შეუმჩნეველად აიტანა თრთოლვამ. ნელ-ნელა მიუახლოვდა მაიკოს და სახეზე დახედა. მაიკოს თვალები ცრემლით ჭქონდა სავსე.

— რა გატირებს, მაიკო?

— წადი!

— კარგი, წავალ.

— არა. ჯერ ნუ წახვალ! ცოტახანს მოიცადე!

— კარგი, მოვიცდი.

თვალებში დაგუბებულმა ცრემლმა ჯვბერი გადალახა, უცებ გაიღვა და ნოხზე დაცემისთანავე ჩაჭარა, სახეზე სველი ზოლები დატოვა.

— რა გატირებს?

მაიკო ტახტზე წამოჯდა და საყვედურით შეაშტერდა ლუკას, მერმე დამშვიდებული ხმით უთხრა:

— ახლა წადი!

— წავიდე?

— ხო, წადი!

— არ მეტყვი, რატომ იტირე?

— არა!

— როგორც გინდა!

ლუკა გატრიალდა, შუშაბანდში ტახტზე მიდგებულ ჩანთას დაავლო ხელი, კარი გააღო და ეზოში გავიდა. ეზოში ისევე, როგორც შემოსვლისას, არავინ შეხვედრია. ჩქარი ნაბიჯით გაიარა ქვაფენილი და ქუჩაში გასულმა უკან მიიხედა. თუმცა წინდაწინვე იცოდა, რომ მაიკოს პატარა სახლს ეკლესია ეფარებოდა და ვერ დაინახავდა.

შინისკენ მიმავალმა ნაბიჯი შეანელა. გრძნობდა, რაღაც ძალა თანდათან როგორ ეჭაჩებოდა უკან, სადაც დიდი ანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟური იასამნისფერ შუქში ხვევდა ოთახს, სადაც სპარსულ ხოხზე მაიკო იჯდა და ტიროდა. ოღონდ ასე ფეხმორთხმულად მჯდარის ნახვა აღარ ეწყადა. მას უნდოდა, კიდევ ერთხელ ენახა გულადმა მწოლი, დიდრონი თვალებით ჭერს მიშტერებული მაიკო.

ლუკა ფეხს ითრევდა. მაგრამ, როგორც არ უნდა აეთრია ფეხი, გზა მაინც დაილია და იგი თავის ჭიშკართან აღმოჩნდა. ეზოდან გამომავალი ძველი დაბადი ძლივს მობაჯბაჯებდა. ლუკასთან ისე შეჩერდა, თითქოს შეისვენაო, და ჰკითხა:

— როგორა ხარ, ლუკა?

— გმადლობთ. თქვენ თვითონ როგორ ბრძანდებით, ძია გრიგოლ?

— ღმერთი რომ კაცს დაივიწყებს, ისე ვარ... იმ დღეს დეიდაშენს ვაწყენინე, არა?

— სულაც არ სწყენია, ძია გრიგოლ.

— ეგეთ მურდალ საქმეზე შუაკაცობა არ უნდა იკისრო ხოლმე... მაგრამ რა მექნა, არ მომეშვა ის მამაცხონებული.

— ძველი დაბალი უცნაურად შეირხა, თითქოს იჯდა და წამოდგომა სცადაო. მერმე მძიმედ წაიჩოჩიალა დახუთული ფეხები თავის დარაბისაკენ.

ლუკამ ეზოდანვე დაინახა მეორე სართულის აივანზე მოსეირნე ანდუყაფარი და გაიფიქრა: მე მელოდება, ეტყობა ძალიან დავაგვიანეო. ორივე სართულის კიბეები აირბინა, ჩანთა შუშაბანდის წინ მდგარ მაგიდაზე დატოვა და ანდუყაფარს დარცხვენილი მიეახლა.

— დავიკარგე, არა?

— არც ისე.

— წიგნაკი მომე, პურს მოგიტან.

— დედაჩემმა მომიტანა... ეს-ესაა წავიდა.

— ხომ არ იცი, შინ არის დეიდაჩემი?

— მგონი, არ უნდა იყოს. გშია?

— არა.

— თუ გშია, წამოდი ცოტას გაჭმევ.

— არა, სულ არ მშია. გინდაც მშოდეს, შევალ და ჩვენთან შევჭამ. დეიდა ნატო საჭმელს დატოვებდა.

— გაიგე მტრედების ამბავი?

— კი.

— მტრედების მოპარვა აღარ გამიგია.

— შარშანაც ხომ მოპარეს?

— ის სხვა იყო, შარშან ერთი წაიყვანეს... რომ იცოდე იმ მტრედს მთელი თბილისის მემტრედეები ემტერებოდნენ. ეხლა კი მთლიანად გაძარცვეს. საწყალი ჩემთან ამოვიდა და იტირა.

— დილითაც ტირიდა.

— ისეთი დრო დადგა, მტრედებით თავს მაინც ვერ გაიტანდა. პარკების კეთება უნდა დავიწყოო. — მოვიდა და სამი-ოთხი საათი მეხმარებოდა. ბერიშვილი მაგასაც შეჰპირებია. თანაც უთქვამს, შენი სარდაფი მომაქირავე, ქაღალდის საწყობად მჭირდებაო.

ქვევით ეზოში ქერათმიანი ქალიშვილი გამოჩნდა. ანდუყაფარმა ლუკას გადახედა და უთხრა:

— ეგ არის.

ლუკა უცებ ვერ მიხვდა, ვინ იყო და ანდუყაფარმა დაუზუსტა:

— კოტიკოს ქალიშვილი, გუშინ რომ მოუყვანეს ძია ლადოს.

— მართლა?

— კარგი გოგოა!

ქერათმიანი ქალიშვილი ცაცხვის ქვეშ მერხზე დაჯდა და მიუხედავად იმისა, რომ ცაცხვს ფოთლები შემშკნარი და სანახევროდ დაცვენილი ჰქონდა, მეორე სართულზე მოსაუბრენი მაინც ვერ ხედავდნენ.

— თურმე იზა ჰქვია.

— იზა?

— რა გაგიკვირდა!

— რა ვიცი...

— გაიგე, კოტიკო რომ დაღუპულა?

— როგორ თუ დაღუპულა?!

— ცნობა მიუღია ძია ლადოს, ფოსტალიონს ასე უთქვამს რუბენასთვის. გუშინ იმ ქალს გოგო რომ მოუყვანია, ძია ლადოს უკვე სცოდნია დაღუპვის ამბავი, მაგრამ არ გაუმხელია, კოტიკოს დედას უმალავს თურმე.

ლუკას უცებ აეწეწა და აემღვრა გუ-

აგჩილ ხულაკაური
ლუკა

ნება, ის ბედნიერი წინაგრძნობა, რომელიც აქამდე ასულდგმულებდა, მოულოდნელად ჩაეღეველფა. ნელ-ნელა ინაღლებოდა იმედი, რომ ოდესმე მაინც იხილავდა უგზო-უკვლოდ დაკარგულ მშობლებს. კოტიკო ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ წავიდა, ლუკას მშობლები კი პირველივე დღიდან იქ იყვნენ. მათ თავზე გადაიარა პირველმა ქარიშხალმა. ახლაც ისევე გაფითრდა, როგორც სკოლაში და სახეზე ცივმა ოფლმა გამოჟონა. ისევე დაეხეა თავბრუ და გული აერია.

— უკვე მოვიდნენ! — თქვა ანდუყაფარმა.

ლუკამ გაიგონა ანდუყაფარის სიტყვები, მაგრამ მისი მნიშვნელობით არ დაინტერესებულა, მისთვის სულერთი იყო ახლა, ვინ მოვიდა ან რატომ მოვიდა. თავბრუ ეხვეოდა და მისი გონება ამღვრეული ბურუსით იყო მოცული... ლუკას რადაც გაურკვეველის, უსახოსი და უფორმოს დანახვა თვალნათლივ, გარკვეულად უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან თვითონაც არ იცოდა, რისი წარმოსახვა სურდა.

— რუბენას ხარდაფს ათვალიერებენ, — თქვა ანდუყაფარმა. — ეტყობა, ბერიშვილს საქმის გადადება არ უყვარს.

ლუკა უჩუმრად გაეცალა იქაურობას, თითქოს ვიღაცას გაეპარა, ფეხაკრეფით წავიდა შუშაბანდისკენ. კარი დაკეტილი აღმოჩნდა. მაგიდაზე ხელი მოაფათურა და გასაღები მონახა, მერმე მუშამბის ქვეშ ხელი შეპყო და გასაღები გამოიღო.

— ლუკა! — გაიგონა ანდუყაფარის ხმა. — ლუკა, მოდი აქ.

— რა იყო?

— შენი მეგობარი გოგონა მოდის.

ლუკა სირბილით მიეჩქარა მოაჯირთან და ეზოში გადაიხედა. პირველი სართულის კიბეზე მაიკო ამორბოდა. ლუკა გაფრიალდა და მაიკოს კიბისთავთან დაელოდა. მაიკომ პირველი სართულის კიბე ამორბინა და ზედა სართულს ამოხედა, ლუკა დაინახა. გაუღიმა. ლუკამ ახლახან შენიშნა, რომ მაიკოს ჩანთა მოჰქონდა და უნებურად შუა ოთახისკენ მიდგმულ მაგიდას გადახედა.

— ჩემი ჩანთა წამოგიღია! — ამოსძახა მაიკომ შუა კიბიდან.

— ახლოა მიეხედი, — უთხრა ლუკამ. — შენს ჩანთას რომ შევსედე.

ლუკამ აიეხიდან კიბეზე ამომავალ მაიკოს რომ მოჰკრა პირველად თვალი, რატომღაც ეგონა, გაღიზიანდებოდა, ამისთვის შეამზადა კიდეეაც საკუთარი თავი. მოიღუშა და სახე შეეშუხნა. მერმე კიბისთავთან მისულმა უეცრად იგრძნო, რომ სრულებითაც არ იყო გაღიზიანებული, პირიქით, მოულოდნელი, ნეტარი სიმშვიდე დაეფლეთოდა. ეს გარეგნულადაც გამოეხატა სახეზე. ღიმილს ვეღარ იკავებდა. ამასობაში მაიკოც ამოვიდა. ეტყობოდა, სულ სირბილით გამოველო მანძილი თავისი სახლიდან აქამდე, გული ამომჯდარი ჰქონდა.

— როგორ შეგეშალა, ლუკა. — თქვა და სული მოიბრუნა.

— რა ვიცი, შემეშალა. — ლუკამ დამნაშავესავით გაიღიმა.

მაიკომ ანდუყაფარი დაინახა და თავზეხანად მიესალმა:

— გამარჯობათ, ბატონო ანდუყაფარ!

— გაგიმარჯოს, მაიკო!.. ჩანთები აგერიათ?

— ლუკას შეშლია, ბატონო ანდუყაფარ.

— როგორ შემეშალა! ჩემი შავია, შენი — კი ყავისფერი!

ლუკამ შავი ჩანთა გამოართვა მაიკოს და ყავისფერი დაუბრუნა.

— წავედი, — თქვა მაიკომ.

— რას მორბოდი. ბოლოსდაბოლოს შევამჩნევდი, ჩემი რომ არ იყო და მოგიტანდი.

— მაგას შენ კარგა ხანს ვერ შეამჩნევდი, ჩემო ლუკა. — უთხრა ანდუყაფარმა.

— ნახვამდის, ბატონო ანდუყაფარ!

— ნახვამდის.

მაიკო კიბეზე დაეშვა. ლუკა ჩაჰყვა და ორივემ ერთად ჩაათვეს კიბეები. ეზოში ჯუჯა რუბენა, დათიკო ბერიშვილი და ვიღაც მსუქანი კაცი იდგნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვანე სამტრედესთან. იზა თავისთვის იჯდა ცაცხვის ქვეშ მოწყენილი და დაფიქრებული.

— ღმერთო, რა ლამაზი ეოგოა, ვინ არის? — იკითხა მაიკომ ეზოდან გასულისთანავე.

ლუკამ უთხრა, ვინც იყო.

— ეგეთი ლამაზი გოგო ჯერ არ მინახავს! — გაოცებასა და აღტაცებას ვერ ფარავდა მაიკო.

— მართლა ეგეთი ლამაზია?!

— ვითომ არ იცი?!

— საიდან მეცოდინება, წესიერად არც კი მინახავს. — ლუკას გაახსენდა, კვირას მთელი დღე რომ ელოდა უცნობი გოგონას გამოჩენას, მისი გულისთვის სასაფლაოზეც კი არ წასულა დეიდამისს. ახლა კი როგორღაც სრულებით დაჰკარგვოდა მაშინდელი ცნობისწადილი, გვერდით ისე ჩაუარა, რომ კარგად არც კი შეუხედავს ცაცხვის ქვეშ მარტოდმარტო მჯდარი ქალიშვილისათვის.

— ჩემი ჩანთა ხომ არ გაგიხსნია?— ჰკითხა მაიკომ მოუთმენლად.

— არა!.. რა იყო?!

— არაფერი.

— რატომ გაგხსნიდი? შენს ჩანთაში რა მესაქმებოდა?

— ისე გითხარი, არ გეწყინოს! ქუჩაში ლაპარაკ-ლაპარაკით გამოვიდნენ ის მსუქანი კაცი და ბერიშვილი. მსუქანმა ცარიელი ეტლი გაიჩერა, ჩაჯდა და წავიდა, ბერიშვილი უკანვე შებრუნდა ეზოში.

— კარგი, წავედი. — თქვა მაიკომ.

— გინდა, შენთან წამოვიდე?

— არა. დარჩენა რომ გდომოდა, დარჩებოდი და აქ არ მომარბენინებდი.

— რა ვიცი... შენ არ მითხარი, წადიო... თუმცა ახლა მაინც ვერ წამოვალ. სახლის გასაღები წამომყოლია.

— ნახვამდის.

— ნახვამდის. ხვალ ხომ მოხვალ სკოლაში?

— რა თქმა უნდა.

ლუკამ თვითონაც კარგად იცოდა, მაიკო ფსიქოლოგ მოიდოდა ხვალ სკოლაში და მხოლოდ იმიტომ ჰკითხა, რომ ცოტახნით მაინც შეეყოვნებინა. მაგრამ მაიკომ არ მოიცადა და წავიდა. ბაღში ერთი ციცქნა სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. ოდნავ მარჯვნივ გადახრილი, როგორც ჩანს ჩანთა ამძიმებდა. ძია გრიგოლს — ძველ დაბალს სკამი ქუჩაში გამოეტანა, თავისი დარაბის წინ იჯდა და ქარვის კრიალოსანს მარცლავდა. მაიკომ ჩაუქროლა და უკან მოუხედავად განაგრძო გზა. ლუკას გაუკვირდა, რომ ბერიკაცმა თვალი არ გააყოლა, იგი ხომ იმისთვის იჯდა ქუჩაში, ყველაფრისათვის თვალი ედევნებინა. ახლა კი რატომღაც გამორჩა მაიკო, ვერ შეამჩნია. წინ წასხლილი ორივე მკლავით მუხლებს დაყრდნობოდა, ფილაქანს ჩასჩერებოდა და დინჯად მარცლავდა ქარვის კრიალოსანს. რატომღაც გული დაწყდა ლუკას, მაიკო რომ ვერ შენიშნა ძველმა დაბალმა.

ეზოში შემობრუნებულმა დაინახა, ჯუჯა რუბენა და იზა ცაცხვის ქვეშ ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და საუბრობდნენ. გაჩერებას არ აპირებდა, მაგრამ რუბენამ დაუძახა, — ლოტანს აქ მოდიო. ლუკა მოვიდა.

— გაიცანი, — უთხრა ჯუჯამ, —ეს იზაა, ჩვენი კოტიკოს შვილი.

იზამ ხელი ჩამოართვა. თბილი და რბილი ხელი. ვიდრე ლუკა სახეში შეხედავდა, გაიფიქრა, — ნეტავი მართლა თუ ისეთი ლამაზია, როგორც მაიკოს მოეჩვენაო. ყველაზე მეტად მხრებზე ჩამოშლილმა თმამ გააოცა. არასოდეს ენახა ასე ოქროსფრად მოელვარე, მბზინავი თმა. ისე ბრწყინავდა, თითქოს საიდანღაც მზის სხივი ეცემოდა.

იზა ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა ლუკას სახეში. დიდი, ლურჯი თვალები ჰქონდა. პაწაწინა ცხვირი და წითელი, თითქმის სისხლისფერი ტუჩები, ლუკა ოცდა გაწითლდა. მოეჩვენა, თითქოს. იზა მიუხედა, ისე გულისყურით რომ ამოწმებდა მის გარეგნობას. წასვლა დაადარა.

არჩილ სულაკაური
ლუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაჯექი. — შესთავაზა ჯუჯა რუბენამ, რომელიც სულ ერთთავად იღიმებოდა და მაგიდაზე დამჭკნარი თითებით რატომღაც „ბაღდადურს“ უკაკუნებდა.

— გაკვეთილები უნდა დავამზადო. — თქვა ლუკამ.

— დაჯექი რა! — ისევ სხთოვა ჯუჯამ.

„ნეტავი თვითონ თუ იცის ასეთი ლამაზი რომ არის?“ — ფიქრობდა კიბისკენ მიმავალი ლუკა. კიბეები სირბილით აიარა, კიბისთავთან ანდუყაფარი დახვდა უცნაურად აღელვებული.

— რას გელაპარაკებოდა? — შეაგება ლუკას ასვლისთანავე შეკითხვა.

— რა ვიცი, არაფერს...

— ღვთაებრივი გოგოა! — ანდუყაფარმა უცებ მოაბრუნა საკარძელი და თავის ოთახში გაუჩინარდა.

თავი მეცხრე

— თბილად ჩაიცვი! — გამოსძახა შუშაბანდიდან დეიდა ნატომ.

— მეტი რა ვქნა, რაც მაქვს ზედ მაცვია, — უპასუხა ლუკამ და ძველ, საკმაოდ დამოკლებულსა და დავიწროებულ პალტოში გამოკრული შუშაბანდში გამოვიდა.

დეიდა ნატომ ორი ძველებური თითბრის შანდალი ჩააწყო ხელჩანთაში, მერმე სკამზე გადაფარებული კაბა აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, ფრთხილად დაკეცა და შანდლებს დააფარა. მერმე ოთახში გავიდა და ზეწარი გამოიტანა, შეამოწმა ყოველი მხრიდან, სინათლეზეც კი გახედა და დაკეცილი, ისიც ჩანთაში ჩადო.

დეკემბრის უკანასკნელი კვირა დილა იყო, ნოტიო, სუსხიანი, სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა. დეიდა და დისშვილი საბურთალოს ბაზრისკენ გაემართნენ.

ლუკას ბევრი რამ ჰქონდა საბურთალოს ბაზრის შესახებ გაგონილი. ბევრჯერაც უნატრია იქ მოხვედრა, მაგრამ ახლა, როცა ამ მძიმე ხელჩანთას მითრევდა, როცა ორი შანდალი, დეიდამისის კაბა და ზეწარი მიჰქონდა გასაყიდად, ფეხები უკან რჩებოდა. ვერც კი წარმოედგინა, როგორ უნდა დაეკვებინა ხელში შანდლები და მუშტარს დალოდებოდა. თანაც გულუბრყვილოდ უკვირდა: ის, რაც მთა აღარ სჭირდებოდათ და გასაყიდადაც კი ემეტებოდათ, სხვა რად შეიძენსო? ამიტომ საბურთალოს ბაზარი მისი წარმოდგენით, ერთი დიდი მოედანი იყო, სადაც უამრავი ხალხი მხოლოდ იმიტომ მიდიოდა, რომ ყველა მათგანს უნდოდა რაღაც გაეყიდა.

ლუკამ არც ის იცოდა, როდის გადაწყვიტა დეიდა ნატომ ამ ნივთების გაყიდვა დღეს დილით, გუშინ, თუ გუშინ წინ. დღეს ადრე ადგა და ლუკაც ადრიანად გაღვიძა. — პურის ფული არა გვაქვს და რაღაც-რაღაცები უნდა გავყიდოთო. რა თქმა უნდა, უარი ვერ უთხრა, ანდა როგორ ეტყოდა უარს. ეს ოხერი პურის ფული დეიდა ნატოს მარტო თავისთვის ხომ არ უნდოდა? იმ პურს, რასაც წაგნაკებით იღებდნენ, გროშები სჭირდებოდა, ეს გროშები დეიდას არასოდეს შემოელეოდა, მაგრამ ხანდახან, ლუკა არ დამემშესო, სანოვაგისათვის ბაზარშიც დადიოდა, სადაც ყველაფერი ოცმაგად ძვირი ღირდა.

დეიდა ნატომ წერილების წერა შეწყვიტა. ალბათ იმათ, ვისაც ამ წერილებს წერდა, თავი მოაბეზრა და პასუხებს აღარ უგზავნდნენ. ეტყობა, ბეფს დამორჩილდა. არც ლუკას დედას, არც ლუკას მამას აღარ ახსენებდა, თითქოს ამქვეყნად არასოდეს არ ყოფილიყვნენ. აღარც სასაფლაოზე დადიოდა, სრულიად მიეგიწყა დის საფლავი. ორმოციც აღარ გადაუხდიათ, როგორც დასაფლავების შემდეგ შეთანხმდნენ ნათესავები და დღეც კი დათქვეს, როდის უნდა გადაეხადათ.

ყველა ძველი საზრუნავი დაივიწყა დეიდა ნატომ და დარჩა მხოლოდ ერთი: ლუკა! ლუკა ყველაფერს ამას გრძნობდა და ზოგჯერ ასეთი გადაგებული ზრუნვის გამო უსიამოვნო გრძნო-

ბაც კი ეუფლებოდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ უმადური იყო ანდა ძველი ბოღმა ჰქონდა გულში შემორჩენილი. არა. ჯერ ერთი, მას არასოდეს არ ანებივრებდნენ და ამგვარ ზრუნვას ვერ ეგუებოდა, მეორეც, დედაბერი ძალზე ეეცოდებოდა. სულ დაილია და დადნა. მხრებში მოიხარა და დაუძლურდა. მიუხედავად ამისა, მაინც არ ისვენებდა, უთვნია დგებოდა და გვიან ღამით იძინებდა. ცდილობდა, როგორც ქარში ანთებულ სანთელს, ლუკას ყოველი მხრიდან მოფარებოდა.

ერთხელ, როცა ზრუნვით თავგამეზრებულმა ლუკამ დეიდა ნატოს სრულიად გაუზრებლად უთხრა: დეიდა, შენს თავზეც იზრუნე, შენ რომ რაიმე დაგემართოს, მე რა მეშველება, სულ მარტო ვრჩები ამ ქვეყანაზეო. დედაბერს მუხლები მოეკვეთა, ტახტზე დამეხო და თითქმის მთელი დღე ტიროდა გულაჩუყებული.

— ღმერთო, მაპატიე, ღმერთო, ისე ნუ წამიყვან, ეს ბავშვი ფეხზე დამდგარი არ მაჩვენოო!

საბურთალოს ბაზარში (იქ, სადაც ახლა სპორტის სასახლეა) შესვლისთანავე ვიღაც წვერგაუპარსავმა კაცმა დეიდა ნატოს ქვითრების შეძენა მოსთხოვა. დეიდა ნატო ცოტა არ იყოს დაიბნა და ძლივს მოახერხა ეთქვა: ჯერჯერობით ფული არა მაქვს, თუ რამე გაკეთდა ქვითარს მაშინვე შევიძენო. წვერგაუპარსავი კაცი გაბრაზდა, — ყველა ეგრე მეუბნებით, — გადაიპუჭუა და წავიდა.

ბაზარი უკვე ხალხით იყო გაჭედილი. ასაკად-დასავალს ვერ გაუგებდი, ისე ირეოდნენ ერთმანეთში. დეიდამ ხელი მოჰკიდა ლუკას, — არ დამეკარგოო, და ბაზრის სიღრმისკენ წაიყვანა, ძლივს მიაკვლევდა გზას ამ ჩუქად მოფუსფუსე ხალხში. მერმე გაჭირვებით მიაღწიეს ფარდულების რიგს და ერთ-ერთი ფარდულის უკან შეჩერდნენ.

დეიდა ნატომ ხელჩანთიდან კაბა და ზეწარი ამოიღო, ჩანთა უკან დაუბრუნა, ხოლო გასაყიდი საქონელი მკლავებზე გადაიკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე რა ვქნა? — ჰკითხა ლუკამ და ჩანთას ჩახედა, რადგან დაწყობილი ყოფილიყო, შანდლების გაყიდვა მას ეავლებოდა.

— რა უნდა ჰქნა, არაფერი.

მართლაც, რა უნდა ექნა, იდგა პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი თავისი საკვოიაჟით. ერთხანს არ სცოდა, რადგან ქუჩაში სიარულით საკმაოდ იყო შეხურებული. მერმე ამ სითბოს მარაგი შემოელია. გაყინული ყურები პალტოს საყელოში ჩამალა და ადგილზეც კი დაიწყო ხტუნვა. ერთი საათის შემდეგ ყოველგვარი იმედი გადაეწურა, — ჩვენ აქ ვერაფერს გავყიდითო; თითქოს წეღანდელი ფიქრები გაუმართლდა: არავინ არაფერს ყიდულობდა, ყველა რაღაცას ყიდდა. რაღაცას კი არა, ყიდდნენ ყველაფერს: ნახმარ დაჟანგულ ლურსმნებს, ეტლის გატეხილ ბორბლებს, მანქანის საბურავებს, მანქანის საბურავებისაგან შეკერილ ფეხსაცმელებს. ცალ-ცალ წინდას, სამხედრო გიმნასტიორებს, მეზღვაურის ბუშლატებს, ჩექმებს, კარაკულის ქუდებს, ქოლგის ტარს, წიგნებს, საჯდომსა და მუხლისთავებზე დაკერებულ მამაკაცის ნიფხვებს, აგრეთვე ქალებისასაც, ძველ სურათებს ანდა ჩარჩოებს, საათებს, აღვირებს, ყანწებს, ნავთქურებს, ქვაბებს, ტომრებს, დანა-ჩანგალს, ბოთლებს... ჭიღებს... ამას ყველაფერს ყიდდნენ, მყიდველი კი არ ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, ლუკა მათ ვერ ხედავდა. ხედავდა მხოლოდ დაღლილ, პირქუშ სახეებს, ყველა ასაკის ქალებსა და მამაკაცებს. უმეტესად კი მათ ზურგებს, მხრებს, კისრებს. და მათ შემხედვარეს ზოგჯერ უცნაური გრძნობა ეუფლებოდა, ეჩვენებოდა, თითქოს მთელმა ქვეყანამ შეაქცია მათ ზურგი და აღარავის არ აინტერესებდა, რისთვის დგანან აქ ამ ფიცრებისაგან შეკოწიწებულ ფარ-

---

აკაჩილ სულაკაური
ლუკა

დულის უკან ატუზულები. ხანდახან თვალს გააპარებდა დედაბრისკენ და გული ტკივილისაგან ეკუმშებოდა, როცა ხედავდა სიცივისაგან გალურჯებულ საცოდავ არსებას, როძელსაც უმწეოდ გაშვერილ ხელებზე გადაფენილი ჰქონდა გასაყიდად გამოტანილი ზეწარი და კაბა.

მერმე თავისთვის მოხტუნავედ უამრავ ზურგს შორის ერთი გამოარჩია, ძალზე ნაცნობი ზურგი, ამ ზურგებში ძნელი კი იყო მისი გამორჩევა, მაგრამ მაინც გამოარჩია და, როცა ეს ზურგი მობრუნდა, იგი ზაქარია ინწკირველი აღმოჩნდა — ლუკას კლასის დამრიგებელი. ზურგი მობრუნდა და მათი გაოცებული თვალები ერთმანეთს შეეფეთა. ეტყობა, არც ერთი და არც მეორე არ მოელოდა ასეთ უადგილო ადგილზე შეხვედრას.

— შენ აქ რას აკეთებ, ლუკა? — ჰკითხა გაოცებულმა ზაქარია მასწავლებელმა.

— რა ვიცი... ვდგავარ. — აიწურა ლუკა და გაწითლდა

ზაქარია ინწკირველი, რომელსაც მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული საზაფხულო შარვალ-ხალათი, ლუკასთან მივიდა.

— მარტო ხარ?

ლუკამ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, ინწკირველმა დეიდა ნატო დაინახა და დიდი მოწიწებითაც მიესალმა.

— გამარჯობათ, ქალბატონო ნატო.

— ოჰ, ბატონო ზაქარია! — ვითომ ახლაღა შენიშნა დეიდა ნატომ, ეტყობა, წეღან, იმის იმედით, იქნებ ვერ დამინახოსო, თვალი აარიდა, — როგორ ბრძანდებით, ბატონო ზაქარია?

— ყველანი ერთ დღეში ვბრძანდებით, ქალბატონო! — ამოიოხრა ზაქარია მასწავლებელმა, — ხედავთ? — დასძინა მერმე და მკლავზე გადაკიდებული თავისი საზაფხულო შარვალ-ხალათი უჩვენა.

— ვხედავ... ვხედავ, ჩემო ბატონო!

— ისე გამოვიტანე გასაყიდად, თითქოს ზაფხული აღარ დადგება.

— გაჭირდა ცხოვრება.

— ნამეტანი, ქალბატონო, ნამეტანი. გამეყიდა მაინც, რომ ვერცა ყიდი.

— როგორც ჩანს, ვაჭრობა ჩვენი საქმე არ არის.

— ნამდვილად ეგრეა, ქალბატონო!

— ცოტა ხანს კიდევ მოვიცდი და თუ არ გაიყიდა, წავალ შინ... ბავშვი გამეყინა.

— ნამეტანი სიცივეა, ქალბატონო. მაგრამ სიცივეს ვინ დაეძებს?!

— არც ისაა კარგი, ბავშვი რომ ამ სისაძაგლეს მისჩერებია.

— მაგის ხუ გეშინიათ, ქალბატონო, ბავშვმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს. კარგია, ნახოს, როგორ ცხოვრობს ხალხი... გაიგებს, მარტო თვითონ რომ არ არის ამ შავ დღეში ჩავარდნილი.

უცებ ბრბოდან, როგორც სცენის ფარდიდან ტაკი-მასხარამ, თავი გამოჰყო პორფლიანმა ალბერტმა. ლუკამ მაშინვე იცნო პორფლიანი ალბერტი და მისი დანახვა ისე გაუხარდა, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი ყოფილიყო.

— ალბერტ! — დაუძახა ლუკამ.

ალბერტმა ვერ იცნო ლუკა და დაეჭვებით შეხედა. მერმე რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა და კარგად დააკვირდა. მაინც ვერ იცნო.

— ვერ მიცანი?

— ვერა.

— მე ლუკა ვარ!

— აბა, ლუკა?

— არ გახსოვს მტკვრის პირას რომ გავიცანით?! ლუკა!

— ვახ, გამარჯობა, ლუკა! ისა ხარ, არა, კარგად რომ ბანაობ?

— კი, ისა ვარ.

— მერმე სად დაიკარგე, ბიჭო, განა ეგრე იქნება?!

— მე დავიკარგე?

— შენ არაფერი არ იფიქრო, ლუკაჯან, შენი ხარახურა ეგრევე შენახული მაქვს. მთელი დღე ვიარე „პესკაზე“ და ვერ გიპოვნე.

— ბევრი მეძებე?

— ძალინ ბევრი, მაშ!

— ვერ მომაგენი?

— ეს ვინა ყოფილა, ვა!

— არ გაბრაზდე, ალბერტ, ვიცი, რომ მეძებდი.

— გეძებდი და ეგრე?! შენი ხარახურა ჩემთან არის. ნუ გეშინია! გინდა, ხვალ მოდი, დილით, ცხრა საათზე, ყველაფერს მოგიტან.

— სად მოვიდე?

— იქა, რა, საგიჟესთან.

— დილით გაკვეთილზე მივდივარ.

— ერთი გაკვეთილი შატალო დაარტყი!..

— ჩუმად! — გააფრთხილა ლუკამ ჭორფლიანი ალბერტი. მერმე კი ჩურჩულით აცნობა, — ეს ჩემი კლასის დამრიგებელია!

გაკვირვებულმა, თანაც შეშინებულმა ჭორფლიანმა ალბერტმა ირიბად გახედა ზაქარია ინწკირველს და დიდი ნატოს. იგი ერთხანს აკვირდებოდა გულისყურით ორივეს, თითქოს სწავლობდა ანდა იმახსოვრებდა მათ გარეგნობასა თუ ჩაცმულობას, მერმე ლუკას მოუბრუნდა და ჰკითხა:

— ის ქალი ვინ არის?

— დეიდაჩემია.

— გაყიდეთ რამე?

— ვერა.

— რა მაზალო ხალხია! ეგრე როგორ გაყიდით, ეხლა მუშტარი თვითონ უნდა ეძებთ.

— მე რა ვიცი, სად უნდა ვეძებოთ?

— აქ იყავით, მუშტარს მოვიყვან. — თქვა საქმიანად ჭორფლიანმა ალბერტმა და მაშინვე გაუჩინარდა. სადღაც გაქვარა და დაიკარგა.

ლუკა ძალზე კმაყოფილი ჩანდა ალბერტთან შეხვედრით. მას თავისი დაკარგული ტანსაცმლის დაბრუნება არ ახარებდა იმდენად, რამდენადაც ის, რომ მოტყუებული და მოღორებული არ აღმოჩნდა. უცებ შეუყვარდა ეს ბიჭი და უკვე ნანობდა, სინდისის ქენჯნასაც კი განიცდიდა იმის გამო, რომ ოდესღაც გუნებაში თაღლითი და გარეწარი უწოდა.

დეიდა ნატო და ზაქარია ინწკირველი აქვე იდგნენ და საუბრობდნენ. ზაქარია მასწავლებელმა საქმის ცოდნით დაახასიათა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა და დაასკვნა, — ცხოვრება უფრო გაძნელდება და გაძვირდებაო. ასე იყო, თუ ისე, ამ ხნის განმავლობაში არავინ გაჰკარებია, არავინ დაინტერესებულა, ეგ კი არადა, ფასიც არ უკითხავთ ყასიდად, რა ღირს თქვენი საქონელიო. შემცივნებულები და მოწყენილები უთმენდნენ იდგნენ. ალბათ ასევე იდგებოდნენ ბოლომდე, ხსნასავით რომ არ გამოჩენილიყო ჭორფლიანი ალბერტი.

ალბერტი მობრუნდა და ვიღაც ჭილყვავივით კაცი მოიყვანა. ჭილყვავი რატომღაც დიდგულზე ჩანდა, გრძელსა და გალურჯებულ ცხვირამდე ჩამოფხატულ კეპის ქვემოდან ათვალიწუნებით შეხედა ერთსაც და მეორესაც.

— სულ ეს არის? — იკითხა ბოლოს და, მგონი, წასვლაც კი დააპირა.

— არა, ბატონო. — შეაჩერა დეიდა ნატომ, — კიდევ შანდლები გვაქვს. ლუკა აჩვენე შანდლები.

ლუკამ საკვოიაჟიდან შანდლები ამოიღო.

— ახ, რა მშვენიერი შანდლებია! — ალტაცება ვერ დაფარა ზაქარია ინწკირველმა.

— მშვენიერი! — თქვა ზიზღით ჭილყვავმა.

— ბებიაჩემის მზითევია! — მიაწოდა ცნობა დეიდა ნატომ.

— ჩემთვის სულერთია! — თქვა ჭილყვავმა. — შანდლები, ზეწარი, კაბა— სამანი მანეთი.

— ეგ სამი კილოგრამი პურის ფულიც არ არის! — შეეკამა ზაქარია ინწკირველი.

—შე დალოცვილო, ცოტაა სამი კილო პური! — გაბრაზდა ჭილყვავი.

— არა, ბატონო, მე არაფერს ვამბობ. — უთხრა შეშინებულმა დეიდა ნატომ.

— საკვოიაჟესაც ხომ არ ჰყიდი?

— არა.

— ალბერტ, გამოართვი! — გასცა ბრძანება ჭილყვავმა. ჭორფლიანმა ჯერ

არჩილ სულაკაური
ლუკა

ლუკას გამოართვა შანდლები, მერმე დეიდა ნატოს — ზეწარი და კაბა.

—ამ შარვალ-ხალათსაც ხომ არ ინებებთ? — მოწწიებით შეჰბედა ზაქარია მასწავლებელმა ჭილყავს.

— ორასი მანეთი.

— კი, ბატონო, თანახმა ვარ!

ალბერტმა ზაქარია მასწავლებელსაც გამოართვა შარვალ-ხალათი, ხოლო ჭილყავაქმა პალტოს ერთი, ზედა ღილი შეიხსნა და უბიდან ფული დაადრო, ერთსაც და მეორესაც თავისი მიუთვალა და უსიტყვოდ, დაუმშვიდობებლად წავიდა. ჭორფლიანი ალბერტი უკან გაჰყვა მორჩილად.

— ალბერტ! — დაუძახა ლუკამ.

— ჰო, ოგორიცა ვთქვით, რა! — გაეპასუხა ჭორფლიანი.

დეიდა ნატო და ზაქარია ინწყირველი იქვე დაემშვიდობნენ ერთმანეთს და გაშორდნენ. თითქოს ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც საჭირო იყო. მაგრამ ლუკამ განწორებისას მაინც შენიშნა. როგორ შეეცალა მასწავლებელს სახე. იგი რაღაცნაირად დარცხვენილი და შეშფოთებული ჩანდა; თითქოს დანაშაულზე წასაწრესო, უცებ დაპატარავდა და მოიკუნტა. მერმე თითქოს ამ დანაშაულის აღიარება და ბოდიშის მოხდაც კი დაუპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. სახე დაემანჭა და თავისი სულიერი დაძაბულობის შესანიღბად საწყალობლად გაიღიმა. ცხვირის კეხზე ჩამოცმული რქის სათვალე საჩვენებელი თითით შუბლს მიაწყლიტა და ბრბოში გაერია. ამ სათვალეს უკვე ორი თვეა, რაც ატარებს ზაქარია მასწავლებელი, ოქროს პენსნე, როგორც ჩანს, გაყიდა.

ვათოშელი და ხელუფუხდამზრალი ლუკა შინ დაბრუნებისთანავე ჩაეწერნა და ჩაათბუნა ლოგინში დეიდა ნატომ. ლოგინშივე დაალევინა ცხელი, უშაქრო ჩაი, რომელსაც სასურსათო წიგნაკებით ნაყიდი ჯემი და პურის ნაჭერი მიატანა. დაღლილს მალე ჩაეძინა.

მერმე მთელი საღამო ანდუყაფართან გაატარა. ჯერ გაკვეთილები დაამზადეს, შემდეგ კი პარკების კეთებას შეუდგნენ, ანდუყაფარმა საუბრის დროს ... გამოსთქვა, — არა მგონია იმ შენმა ჭორფლიანმა ხვალ ტანსაცმელი მოგიტანოსო, მაგრამ რჩევით მაინც ურჩია — წადი, ვინ იცის, იქნებ მართლაც კარგი ბიჭია და მე ვცდებიო.

ღილით, რაც უფრო უახლოვდებოდა დათქმულ ადგილს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ჭორფლიანი ალბერტი არ მოვიდოდა. მთელი არსებით უნდოდა ასე არ ეფიქრა, მაგრამ სუსხიანი ქარი, ძვალსა და რბილში გამჭოლავი სიცივე სულ სხვანაირ გუნებაზე აყენებდა. ვინ დაიჯერებდა, რომ ასეთი ყინვაში, ამ ღილაადრიანად გარეთ გამოვიდოდა, რათა კარგა ხნის წინათ დაკარგული და თითქმის დავიწყებული ნივთები დაებრუნებინა? ლუკა შინაგანად ამართლებდა ჭორფლიანი ალბერტის არმოსვლას და წინდაწინვე ემზადებოდა მოსალოდნელი იმედგაცრუებისთვის.

მაგრამ ლუკამ დათქმულ ადგილს ვერ მიაღწია, ნაცნობი ქუჩის ჩავლისას უცებ მოეჩვენა: საავადმყოფოს ალაყაფის კარი ღია იყო. კარის წინ ერთი წამით შეყოვნდა. იმიტომ კი არა, რომ გადაეწყვიტა, — რა ვქნა, შევიდე ეზოში თუ არ შევიდეო? ასეთი რამ არც გაუვლია გუნებაში, იგი ეკვამს შეაჩერა, ეს კარი ნამდვილად ღიაა, თუ თვალი მატყუებსო?

კარი ნამდვილად ღია აღმოჩნდა. ლუკა კარს მხრით მიაწვა და ეზო ფრთხილად მოათვალიერა. მერმე ასევე ფრთხილად გააპარა მზერა იმ ფანჯრისაკენ, სადაც მთვარისა ეგულებოდა. არა მარტო მთვარისასი, ყველა ფანჯარა დახურული აღმოჩნდა.

ეზოში არავინ ჩანდა და გათამამებულმა ლუკამ შენობებს ჩამოუარა, პირველი სართულის ფანჯრები შეათვალიერა. ყველა ფანჯრიდან მხოლოდ ცარიელი სიბნელე იხედებოდა...

ლუკამ უცებ ფრთხილი ნაბიჯების ხმა გაიგონა, შეშინებული შემობრუნდა და მისკენ მომავალი ორი თმაგადახტარილი მამაკაცი დაინახა: ნელი ნაბიჯით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსეირნეებმა სულ ახლოს ჩაუარეს, მაგრამ, ეტყობა, საუბრით იყვნენ გართულნი და ლუკა ვერ შეამჩნიეს. ორთავეს ნაცრისფერი, ფართხუნა ხალათები ეცვათ. ხალათებს ქვემოთ თეთრი ნიფხვები მოუჩანდათ.

ალბათ სიცივეს ვერ გრძნობდნენ, რადგან წინდები არ ეცვათ, შიშველი ფეხები ფლოსტებში ჰქონდათ წაყოფილი. ერთი, ოდნავ დაბალი, წინ მიდიოდა გულხელდაკრეფილი. ლუკას ჯერ ეგონა, ეს კაცი იმიტომ დადიოდა გულხელდაკრეფილი, რომ ხელებს იღლიებში ითბობდა, მაგრამ მერმე, როცა ხალათზე დაკერებული დიდი ჯიბეები შენიშნა, გაიფიქრა, — —როგორც ჩანს, ასეა შეჩვეული სიარულსო. მეორე მამაკაცი — მაღალ-მაღალი ნახევარი ნაბიჯით უკან მისდევდა და გამომეტყველებითა და მთელი არსებით უდიდეს მოკრძალებასა და მოწიწებას გამოხატავდა დაბლის მიმართ.

ისინი შორს არსად წასულან, იქვე ტრიალებდნენ უზარმაზარ ხეებს შორის. ლუკასაც აურ-ჩაუარეს რამდენჯერმე, მაგრამ იგი ამჯერადაც არ შეუმჩნევიათ, თითქოს ამ ქვეყნად არ არსებობდა. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ლუკას უცდია თვალებში შეჩხირებოდა, მაინც შეშინებული იყო და ერიდებოდა, შეძლებისდაგვარად ხეებს ეფარებოდა.

ლუკა მიხვდა, გიჟები რომ იყვნენ. თუმცა გიჟებზე მას სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდა და ძალზე უკვირდა, როცა ეზოში ასე თავისუფლად მოსეირნეებს ხედავდა, თანაც ასე სერიოზულად დაფიქრებულებს. თუ გიჟები არიან, გაჩეთ რა უნდათ, თუ გარეთ არიან რატომ არ ყვირიან ან ერთმანეთს რატომ არ ურტყამენო, — ფიქრობდა ლუკა,— ყოველ შემთხვევაში ქვას მაინც უნდა ისროდნენო.

ლუკას მათი საუბარიც ესმოდა. ამ საუბარმა ხომ სულ მთლად შეუცვალა გიჟებზე წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნალაპარაკევიდან ბევრი რამ ვერ გაიგო.

— თუ შეიძლება, ერთი შეკითხვა მოგაცეთ? — მიმართა მაღალმა დაბალს და მოწიწებით გაუღიმა. — რა არის ბედნიერება?

— ჩემის აზრით, თქვენ არასწორად დასვით საკითხი, — უპასუხა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაბალმა. — ჯერ უნდა გავარკვიოთ, არსებობს თუ არ არსებობს ბედნიერება და მერმე უნდა ვიკითხოთ, რაში მდგომარეობს მისი არსი.

— სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ თქვენ მის არსებობაში ოდნავ მაინც შეგეპარებოდათ ეჭვი, ნუთუ თქვენ არასოდეს ყოფილხართ ბედნიერი, ნუთუ თქვენ არასოდეს არ განგიცდიათ ბედნიერება?!

— არასოდეს!

— არც იტალიაში ყოფნისას?

— არა!

— არც ეგვიპტეში?

— არა!

— თვრამეტი ბრიუმერი?

— არა!

— ნუთუ აუსტერლიცის მზემაც არ გაგათბოთ ბედნიერებით?

— არა და არა!

— იქნებ... — აქ ცოტათი შეყოყმანება მაღალი და ბოლოს შეჰპეიდა, — იქნებ ვატერლოო?... თუმცა... მაპატიეთ, თქვენო უდიდებულესობავ!..

— ვატერლოოს ნუ გამახსენებთ! თუმცა რატომ?..—ისევ ჩაფიქრდა დაბალი და ფიქრის შემდეგ უპასუხა.—მე მაშინ მივხვდი, რომ შესაძლებელია, მართლაც არსებობდეს ბედნიერება!

— მაშინ მიხვდით პირველად?

— დიახ, ჩემო კეთილო! ახლა კი სრულ ბედნიერებას განვიცდი, მე ჭეშმარიტად ბედნიერი ვარ!

— მადლობა ღმერთს!

— მე ხშირად მიფიქრია, რატომ ვარ მეთქი ასე ბედნიერი და ამიხსნია კიდეც. რატომ? იმიტომ, რომ ცოცხალი აღარა ვარ! იმიტომ, რომ გარდაცვლილი ვარ!

— როგორ? განა თქვენ ცოცხალი აღარა ხართ?

არჩილ სულაკაური
ლუკა

— რა თქმა უნდა! არც მე და არც თქვენ! ჩვენ უკვე დიდი ხნის გარდაცვლილები ვართ!

— გმადლობთ, თქვენო უდიდებულესობავ!

— ნუთუ თქვენ ისურვებდით სხვა გარსში ყოფნას? — ახლა თავის მხრივ ჰკითხა დაბალმა.

— რასაკვირველია, არა!

— ჩვენ უკვე ღმერთმა დაგვიფარა წარმავალი უმადურებისაგან. ჩვენ უკვე აღარ შეგვეხება ქვეშევრდომთა და მეგობართა ღალატი, რომელსაც იქ... — დაბალმა იღლიიდან მარჯვენა ხელი დაიძრო და საჩვენებელი თითი ალაყაფისკენ გაიშვირა, — კიდევ დიდხანს ექნება აფარებული ნიღბად მოჩვენებითი ერთგულება.

— ოჰ! რა საშინელებაა უმადურება!

— არ არსებობს უფრო შემზარავი გრძნობა! განა უმადურების სახვრალი ხელით არ განიგმირა დიდი კეისარი? განა უმადურების ძღვერმა ყბებმა არ გამოხრეს საშობლოდან გადახვეწილი სახელოვანი სციპიონის ძვლები, ეს მე დავაწერე მის საფლავს ეპიტაფიად: „უმადურო საშობლოვ, შენ ვერ ეღირსები ჩემს ძვლებს“.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ!

დაბალმა დამცინავად ჩაიღიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

—მე შევაჩვიე ისინი დიდ გამარჯვებებს და მათ ერთი პატარა მარცხი აღარ მაპატიეს!..

მაღალს უცებ აღელვება დაეტყო:

— თქვენო აღმატებულობავ, უკან ხომ არ შევბრუნდეთ?

— უკან?

— დიახ! შინ შევბრუნდეთ, თორემ ცერბერი გვიახლოვდება.

— აჰა! რა თქმა უნდა!

ისინი ფაცხაფუცხით გაიკრნენ შენობისაკენ, წინ დაბალი მიაფრატუნებდა ფლოსტებს, უკან—მაღალი. მერმე ქვის ხუთიოდე საფეხური აირბინეს, კარი შეაღეს და უკანმოუხედავად შეცვივდნენ შენობაში.

ლუკასკენ ხელოცოცხიანი მეეზოვე მოდიოდა. ლუკას ახლაც შიშისაგან გული ... გადაუქანდა, დაიბნა, აღარ იცოდა, საით გაქცეულიყო. დაბნეულმა სწრაფად გაირბინა მანძილი ქვის კიბეებამდე. ანგარიშშიუცემლად აათავა საფეხურები და შენობას შეაფარა თავი. შიშით გახეა გრძელ დერეფანს. ნახეკრად დაბნელებულ დერეფანში წეღანდელი მოსაუბრენი ისე დინჯად დასეირნობდნენ, როგორც მასწავლებლები დიდ შესვენებაზე.

შესვლისთანავე გაყუჩდა კარს მიაყურა: გარედან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ისე გაყუჩებული იდგა კარგახანს. მერმე კარი გააღო და ეზოში გამოიხედა. ეზოში არავინ ჩანდა. გამოვიდა და იქაურობას ისევ შიშით მოავლო თვალი.

— მოდი აქ, მოდი! დაგიჭირე თუ არა, შე ყურუმსაღო შენა!

ლუკამ ჯერ ცოცხი დაინახა, მერმე — ფარაჯიანი მეეზოვე. როგორც ჩანს, ლუკას ხის უკან ჩაუსაფრდა და ელოდებოდა, შენობიდან როდის გამოვიდოდა.

ლუკამ გაქცევა სცადა, მაგრამ უცებ იგრძნო, რომ გაქცევას ვერ შესძლებდა, შიშისგან მუხლებში ძალა გამოსცლოდა და ძლივს იდგა ფეხზე. ბედს დამორჩილდა. მოხუცმა მეეზოვემ მხარში მძიმე ხელი ჩაავლო და ეზოს სიღრმისკენ წაიყვანა.

— მაპატიე, ძია! — უთხრა ლუკამ მორთოლვარე ხმით. — მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ!

ფარაჯიან მოხუცს ლუკას ვედრებისათვის ყური არ უთხოვებია, არც ხელი შეუშვია, ისე დაჭერილი მიჰყავდა საღლაც.

— გამიშვი რა, ძია, — ისევ სთხოვა ლუკამ, — სკოლაში მაგვიანდება!

— აქ რომ შემოდიოდი, მაშინ არ გაგვიანდებოდა სკოლაში?!

— მე ხომ არაფერი დამიშავებია!

მოხუცმა მეეზოვემ ლუკა ერთ მერხთან მიიყვანა და უთხრა: აქ დაჯექი, ცოტა წაისაუბროთო. ლუკა დაჯდა. მოხუცი მეეზოვე გვერდით მიუჯდა, ცოცხი მერხზე მიაყუდა. ლუკას რა თქმა უნდა, წარმოდგენილი არ ჰქონდა,

როგორ წარიმართებოდა მათი საუბარი და არც ინტერესებდა. ერთთავად იმაზე ფიქრობდა, იქნება რაღაც მანქანებით დავუსხლტე ამ შემზარავ მოხუცს და აქაურობას გავეცალოო.

— ამ დილაადრიან რა გინდოდა, რისთვის შემოხტები? — ჰკითხა მოხუცმა.

— რა ვიცი... კარი ღია იყო და შემოვედი.

— ბიჭოს! სადაც ღია კარს ნახავ, ყველგან კი არ უნდა შეხვიდე!

— მაპატიეთ, არ ვიცოდი...

— რა არ იცოდი?

— თუ არ შეიძლებოდა აქ შემოსვლა.

— იმათთან რა საქმე გქონდა?

— ვისთან?

— აქ რომ დაეთრეოდნენ.

— არაფერი. პირველად ვნახე. არც კი შეუხედავთ ჩემთვის, ხმაც კი არ გაუცია.

— არც გაგცემდნენ. ის დაბალი მაინც ძალზე ამპარტავანი ვინმეა, დიდი რაღაც ჰგონია თავისი თავი. მაგრამ სადაც წავასწრებ ერთს ლაზათიანად გავიცინებამ და, იცოცხლე, კუდს ამოიძუებს ხოლმე. არ მიყვარს ამპარტავანი ხალხი. თუ კაცი ხარ, კაცი იყავი, რას იბერები, შე ოხერო! — მოხუცმა მრისხანედ გახედა შენობის კარს, სადაც წეღან ის ორნი შეიძურწნენ.

ლუკა ამ საუბარმა ცოტათი დაამშვიდა. — არც ისე ცუდი მოხუცი ყოფილაო. მაგრამ მაინც წუხდა, დრო გადიოდა, ეს კი აქ უაზროდ იჯდა და მეეზოვეს ელაპარაკებოდა. ალბათ მეორე გაკვეთილიც საცაა დამთავრდებაო, — გაიფიქრა.

ამასობაში მოხუცმა მეეზოვემ ფარაჯის უბიდან ფანდური დააძრო. ხმა გაუსინჯა, გამართა და თითებიც ჩამოჰკრა. ჯერ „ახ, ტრაქტორო...“ იმღერა, მერმე — „შირაქში ერთმა მეცხვარემ“. „აუ, ამ სიმღერას როდის გაათავებს!“ — შეწუხდა ლუკა. მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. ბოლომდე უნდა ესმინა. იჯდა თავისთვის და ქუჩაში გასასვლელ კარს მოწყენილი გასცქეროდა. უცებ სასაცილო ფიქრმა გაუელვა თავში: ნეტავი, რას იფიქრებს ანდუყაფარი, შემოხვევ-ვით აქ რომ შემოიხედოს და ასე მარტო-სამ დამინახოსაო. ამ ფიქრმა, ცოტა არ იყოს, გაამხიარულა ლუკა და გუნება შეუცვალა.

მოხუცმა მეეზოვემ „შირაქში ერთმა მეცხვარემ“ ბოლომდე იმღერა, მერმე წამოდგა და ლუკას უთხრა: ახლა წავიდეთ, შენთვის არა მცალიაო!

ორივენი ქუჩაში გასასვლელი კარისკენ გაემართნენ სამმაინი ნაბიჯით. მთვარისას ფანჯარას რომ გაუსწორდნენ, ლუკამ უცებ ჰკითხა:

— ძია, აქ რომ ქალი ცხოვრობდა, ახლა სად არის?

— სადა?

— აი აქ, —თითი გაიშვირა ლუკამ ნაცნობი ფანჯრისკენ.

— მანდ არავინ არ ცხოვრობდა, ეგ სამრეცხაოა.

— როგორ არა, ძია, მე ვიცნობდი... მთვარისა ჰქვია. — არ მოეშვა ლუკა.

— შენ მე აქაურობას ნუ მასწავლი, ოცდაათი წელია აქ ვმუშაობ და ყველას ვიცნობ. რა მთვარისა, რის მთვარისა? ეგ ფანჯარა სამრეცხაოსია! — მოხუცმა მეეზოვემ ლუკა ქუჩაში გამოისტუმრა და დამშვიდობებისას უთხრა, — თუ დრო გექნეს, გამოიარეო. — მერმე კარი შიგნიდან ჩაკეტა.

ლუკა ერთხანს გაოგნებული იდგა. ფიქრში სცადა, ცხადად წარმოედგინა ის დღე, როცა პირველად აქ შემოვიდა და ფანჯარას მომდგარი მთვარისა ნახა. ლუკას ყველაფერი ზედმიწევნით კარგად ახსოვდა. მთვარისას ხმაც კი გაიგონა. მაინც დაეჭვდა: „იქნებ მომეჩვენა, იქნებ მართლაც არ არსებობს ქვეყანაზე მთვარისა?“

როცა გამოტრიალდა, გაახსენდა, რისთვისაც იყო მოსული. ქუჩას ქვევით, მტკვრისაკენ დაჰყვა, კიდევ მეტიდა და ნაპირს გახედა. ნაპირზე ჯორფლიანი ალბერტი არ დახვედრია, გინდაც მოსულიყო, ამდენ ხანს ალბათ არ მოიცდიდა.

ცივი დღე იყო, ნაცრისფერი, მტკვრიდან მსუსხავი ქარი უბერავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან „სიმღერა გერნიკას მუხაზე“

ესპანეთის პატიოსან და მამაც შვილებს

ლექსი პირველი

ყივის მამალი, მამალი ყივის,
დღე გუშინდელი მოდის დღეისკენ,
მთებს გაღმა ვისი გიტარა ტირის —
გადაიხედე პირინეისკენ.

იქ ახლა ფერი მღვრიე და თალხი
დამძიმებულა ცაზე ღრუბლებად,
აი, იქ ცხოვრობს პატარა ხალხი,
რომელსაც უყვარს თავისუფლება,

მიდიოდა იოვანე

„განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე, რაითა აღიღოს ძე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და იელტოდის სპანიად... რამეთუ ასმიოდ ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ“.

გიორგი მთაწმინდელი

მზის ამოსვლისას ამღერდა ზარი,
მას, იოვანეს, სდევდა ნათელი,
სმენად დაემხნენ შვიდივე ცანი,
— სადღაც ცხოვრობსო ძმაი ქართველის.

ერჭოლას შეეპყრო სული და ტანი,
შორით ეძახდა ვიღაც მზიანში,
თან გაიყოლა სპანიად ყრმანი
და წარემართა იბერიაში.

კრთოდა ვარდისფრად ზედაზნის მთვარე
და ატმის სხივი სოფელ ლიაში
და მიდიოდა - ის, იოვანე
იბერიიდან იბერიაში...

მუხაო უწმინდესო

ანგელოსნი დაფრენილან
შენს ნაზ რტოებზე,
შვილებიც მოსულან,
ნუღარ სწუხარ,
მუხაო უძველესო,
მუხაო უწმინდესო,
გერნიკას მუხავ.

მუხის წვერის ანგელოზთა
უგალობენ, იქნებ,
ვით ლაშარზე ჩვენთან,
ვით ჭყონდიდთან, ჩვენთან,
ნუმც მოგშლოდეს გაღიმება
გაზაფხულის ფერთა,
ნუმც მოგშლოდეს მოწიწება
ამაყ შვილთა შენთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ მზისკენ კვლავ მიფრინავ
რტოთა შრიალით,
შვილებიც მოსულან,
ნუღარ სწუხარ,
ისმის გალობა,

შეშინებულ მუმლს აკრიალებს,
ბერმუხავ დიდო,
მუხაო უწმინდესო,
გერნიკას მუხავ...

ბერსოლარის* ნათქვამი

1. ფორთოხლის ჭალაში დაცემულ პოეტზე

ფორთოხლის ჭალაში დაცემულ პოეტზე
ვმღერი,
სიმღერავ ჩუმო, შენ ტირილი ხარ,
ჩემი,
შენს ნაზ წამწამებს აბრწყინებს მძიმე
ცრემლი,
ჩუმო სიმღერავ, მწარე კვნესა ხარ
ჩემი,
ფორთოხლის ჭალაში დაცემულ პოეტზე
ვმღერი.

2. ჯალათი

იმ ადგილას, ჯალათო,
სადაც ლორკა მოკალი,
სადაც ლორკა მოკალი,
ფორთოხლის ხე ამოვიდა
უტურფესი ყვავილებით,
შენ გეგონა,
მოკალი?

პ ი ე ტ ა

როცა მდინარე ნერვიონზე, ბილბაოში,
ცისფერ მდინარე ნერვიონზე, ბილბაოში,
ნისლი დაწვება იდუმალი, ბილბაოში,
ნისლი დაწვება არჩანდადან წამოსული,
მდინარისაკენ მიბარბაცებს შაოსანი,
მერე დაძრულ ნისლს შეერევა შაოსანი
და ქრება ქალის მწუხარე ლანდი ნერვიონთან...
და ვეღარავინ ვერ გაიგებს მერე, ვერასდროს
ვინ ტირის ბინდში — ნისლი, ქალი თუ ნერვიონი?

გაგვაფხული ებროზე

„ერთ ღამეში გადავლახეთ ებრო,
აი, კარმელა, აი, კარმელა“.

რესპუბლიკელთა სიმღერა

ღვიძავთ გადამწვარ მუხების ფესვებს
და მოსძახიან ტკივილს მიწიერს;
— ჩვენ დავბრუნდებით,

ჩვენ დავბრუნდებით,
ჩვენ დავბრუნდებით
და შურს ვიძიებთ..

---

* სახალხო მთქმელი, მომღერალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთიყუშის ბალადა

დონ ანტონიო მაჩადოს ხსოვნას

იქ, სადაც დგანან კასტილიის თეთრი კოშკები,
ერთი კოშკია სამუდამოდ მიტოვებული,
ცარიელ კოშკში დანავარდობს ქარი დეკემბრის.
დგას ახლა იგი მაღალი და დაობლებული,
სარკმელში მხოლოდ თუთიყუში ჭრელი ჩანს ერთი.
ჰატარა ჩიტი მღვრიე ქარში თრთის, იყინება
და ყველა გამვლელს თუთიყუში ასე ჩასძახის:
— არ იყიდება სიმღერები, ბატონებო,
არ იყიდება,

არ იყიდება სიმღერები,
არ იყიდება...

ᲛᲝᲮᲣᲪᲘ

„ზღვის გაღმა, მშობლიურ მიწაზე“...
დაიწყებს თქმულებას უძველესს,
იმ უცნობ, სანატრელ ქვეყანას
ძალიან ხმადაბლა უმღერებს,
ძალიან ხმადაბლა უმღერებს

სულში კი ოქტომბრის თვე არის
და წითლად ანთია ასკილი,
სად არის ის მიწა, თუ არის,
საიდან მოვიდნენ ბასკები?

„ზღვის გაღმა, მშობლიურ მიწაზე“,
ქვეყანა, ლეგენდად ქცეული,
სად არის ის მიწა, მოხუცო,
სად არის ის მიწა, გრძნეული?

ᲔᲞᲘᲢᲐᲤᲘᲐ

ინტერბრიგადელის დედის საფლავზე, ქართლში

შვილო, გელოდე დიდხანს,
იყო თოში და ხვატი,
აწლა საფლავში მიმაქვს
შენი ნატრული ხატი...

არა სიტყვითა ერთითა

მეგობრებო, მყობადს მამულისა
მოვლა უნდა, როგორც უცხო ყვავილს;
არა ოდენ სიტყვითა და კალმით,
მკლავით, ძმებო, გულითა და მკლავით!

დრო ჩავლილი ნისლის აცლას ლამობს,
სად მაღალი აჩრდილები დგანან...
სად ყოყმანის და სიფრთხილის გამო
მიეთვალა ბევრი მტრების ბანაკს.

ხვალე გვიცდის და წარსული გვისმენს,
ვინ გახედნის ამ კვიცების რემას?
არა ოდენ მემთვრალეთა ლიზღი
და უაზრო გულზე ხელის ცემა...

შენ, თაობავ რეაქტიულ კვამლის,
ლაქვარდებში ავარდნილი ზღაპრად;
შენც იმდენი მოგდევს ქვეყნის ვალი,
რაიც შენთა მამათა და პაპათ!

შენ ამაყი და ძლიერი ქედი
მოგიხრია... სწივ მძიმე ჯაპანს.
არ არსებობს საქმე უფრო წმინდა
ვიდრე ჯაფა, ქვეყნისათვის ჯაფა!

რადგან მუხის ფესვებსა და ლეპოს
მხოლოდ ერთი წყაროსთვალი ჰკვებავს,
ჩვენც თამამად უნდა შევძლოთ, ძმებო,
სამამულე ოფლის გამოშვება!

ყ ა ნ ჩ ე ბ ი

ლატველ პოეტს ალფონსას ბუკონტასს

გუშინ ვიხილე: ამ მთათა ზვივთ
ცას მოკკვალავდნენ თეთრი ყანჩები
და გამახსენდა, რომ ძმა ხარ ჩემი,
რომ ორნივ ერთ ცეცხლს ვეთამაშებით.

გამოვაყოლე ფიქრები ფრთოსანს,
ცად შემართული ლულა დავუშვი.
ვიცი, გახარებს მაისის მოსვლას
და შემოგიტანს სითბოს მამულში.

ვიცი, ეგ ყანჩა ქართლის თავაწზე
მუდამ გადიფრენს გზებით კეთილით:
ჩვენ საქართველოს ზეცა ნათელი
მხოლოდ მტრებისთვის გვაქვს ჩაკეტილი...

ხოლო სითბოს და ვარდობის მაცნე,
ძმაო, მე მიყვარს შენი ყანჩებიც;
მით უფრო, როცა ვხედავ და ვამჩნევ,
რომ ორნივ ერთ ცეცხლს ვეთამაშებით...

უ ცხ ო ს ტ უ მ ა რ ი

ის აჩქარებით ამოჰყვა კიბეს,
ჩამესმის მისთა ნაბიჯთა ჩქამი.
აი, მოვიდა. ხელს ხელზე მკიდებს,
აი, ჩემს გვერდით დაიდგა სკამი.

მიყვება რაღაც უცნაურ ამბავს
და მაშტერდება თვალებით ცივით.
სიტყვებს ნაცნობი სინტაქსით ლამბავს,
მაგრამ ხმა იგი — გველივით წივის.

ჯერ ვერ გავიგე სტუმრობის აზრი,
ჯერ ნელა, ნელა მოცოცავს შიში...
მიყურებს, თითქოს ცელი პირბასრი,
მიკეტავს არეს და წასვლას მიშლის.

დგება ოთახში თამბაქოს ბოლი,
წვება ოთახში დუმილი მძაფრი.
მსურს ვითამაშო მასპინძლის როლი,
ის სავსე სასმისს უკანვე მაწვდის.

ვათვალიერებ ღარიბულ ბინას,
რა მივცე? რითი მოვუღბო გული?
ღამეა ახლა, მეზობლებს ძინავთ,
აი, რაცა მაქვს, ღმერთი და რჯული!

ის იღიმება და ჩემთა ფერხთით,
გორად მიხვავებს შუქნათელ ლითონს.
გონებას ვძაბავ. თანდათან ვხვდები
რისთვის მოსულა: ის სინდისს ითხოვს...

და დამცინავი, ქილიკი მზერა
თითქოს ბაგეზე მიყინავს უარს.
ყვირილით ვშველი დაჭიმულ ნერვებს,
მაგრამ ვინ გისმენს... ეტყობა ყრუა...

დასაფლავება

მოწყენილია ირგვლივ ამინდიც.
სავსეა გორა ხალხით და თალხით.
შეკრულ ბაგეებს მხოლოდ აქა-იქ
წასცდება სიტყვა სინანულისა.

გულდასურულა ირგვლივ ყოველი...

მხოლოდ ბარდებში მიმალული ციცქნა ჩიტუნა
გალობს და გალობს ისე ჯიუტად
თითქოს იმ თოკის გაწყვეტა სურდეს,
რომლის თავ-ბოლო
თავგანწირულად
ჩაუბღუჯიათ მკვდარსა და ცოცხლებს.

მ ი ვ დ ი ვ ა რ თ

დასაკარგავი ვკარგეთ და
გასაღებელი გავიღეთ.
წასაგებელი წავაგეთ,
ხან ჩვენით ჩამოვარიგეთ.
ასაგებელი ავაგეთ.
იყო დრო, მტერიც ვიფრინეთ,
რამეთუ სხვა გზა არ იყო,
უფრო უმეტეს — ვითმინეთ.
შემოგვასხიპეს მხარ-მკლავი,
ყოვლის მხრით ჩამოგვათალეს,
მაგრამ კვლავ წამოვიმართეთ,
როცა კი მკვდარად ჩაგვთვალეს.
კვლავ ცეცხლი დავაგუგუნეთ
კახეთს, იმერეთს, თრიალეთს,
მიშლილ-მოშლილი მამული,
ღვთის მადლით, გავამთლიანეთ!..
მივდივართ, გზები შორია,
ეჰა, რა გზებით ვიარეთ!

სიტყვათა სიტყვა

სიტყვას ვუფრთხილდები,
როგორც ძუნწი ოქროს,
დედა — ჩვილს,
გველი — ხვითოს,
ქურდი — ბოქლომს,
მებაღე — კვირტს,
მჭედელი — ლითონს.

სიტყვათა სიტყვის უსიერ ტევრში
დავძრწივარ, როგორც
მონადირე ტყეში.
აქ საჭიროა აუცილებლად
განსხვავებული ალღო და გეში.
ზოგი მოგხვდება, როგორც ხანჯალი,
ზოგი ტკბილია, როგორც ნუგეში.

ზოგი ეჭვივით არის მტანჯავი,
ზოგი ლოდივით არის უხეში.

ბევრი დავდივართ და დავნადირობთ
ამ გაუვალს და უსიერ ტყეში.
ზოგს თოფი მარჯვედ აქვს შემართული,
ზოგსაც ტყუილად უჭირავს ხელში.
უნდა დაასწრო, რომ უნაპირო
სიტყვათა სიტყვა მოინადირო.

სიტყვას ვუფრთხილდები
როგორც ძუნწი ოქროს,
დედა — ჩვილს,
გველი — ხვითოს,
ქურდი — ბოქლომს,
მებაღე — კვირტს,
მჭედელი — ლითონს.

●

ამტკივა ძვლები
სხვის საფლავში დამარხულ მამის.
ვეღარ ვინძრევი,
მკერდზე მადევს ბრინჯაოს ხმალი.

ხმას ვერ ვაგონებ
და ვერავის ვეღარ ვიხსენებ.
ჩუმად ვაგროვებ
უცნობისათვის დადენილ ცრემლებს.

ვინა ხარ, რა ხარ,
ან რამდენი გავიდა ხანი?..
ეწევარ გულაღმა,
მკერდზე მადევს ბრინჯაოს ხმალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ფიქარაძე

ბ ე რ ბ ი ჭ ა

პროლოგი

მიხეილ ორმოცაძე ქალების მოყვარული კაცი გახლდათ. თითქოს-და უჩვეულო არაფერია, რადგან ქალის სიყვარული მამაკაცისათვის ისეთივე აუცილებელი და დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, როგორც გაზაფხულისათვის სიმწვანე ან ზამთრისთვის ყინვა და თოვლი, მაგრამ მიხეილი ამ მხრივ განსაკუთრებული მოვლენა იყო— ლამაზ ქალს რომ დაინახავდა, ისეთს, რომელიც თვალში მოუვიდოდა, პირდაპირ ჭკუას ჰკარგავდა; ამ უბედურებას კიდევ არა უშავდა რა, თავშეკავების უნარი მაინც რომ ჰქონოდა, მაგრამ მიხეილის აღელვებასა თუ აღელვების მიზეზს ყველა ამჩნევდა და გრძნობდა, ვინც კი ასეთ დროს მის ახლოახლოს იმყოფებოდა. ლამაზ ქალს დაინახავდა თუ არა, სახეზე წამოენთებოდა, მერე წამოწითლებასაც არ იკმარებდა და თვალებს აახამხამებდა, ესეც ცოტა იყო, რაღაც შინაგან ცახცახსა და თრთოლვას გრძნობდა; ხმას თუ ამოიღებდა, მტრისას, ლაპარაკი უჭირდა, იფიქრებდი — ენაბლუა ეს საცოდავო.

მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც, როცა გაიგებს, რომ მიხეილ ორმოცაძეს, ამ სამოც წელს მიტანებულ და ქალებზე გადარეულ კაცს, ცოლი არ ჰყავდა და არც არასოდეს ჰყოლია, თუმცა, ვინ იცის, და იქნებ სწორედ ეს უცოლობა იყო იმის მიზეზი, მიხეილი ასე რიგად რომ ჰკარგავდა ქალებზე ჭკუას. ისე კი, მგონი, ამ ოცდათხუთმეტიოდე წლის წინათ კინაღამ ცოლი შეირთო მიხეილმა. ის გოგონა --- ქეთევანი, მაშინ უკანასკნელ კურსზე სწავლობდა და მალე პედაგოგის დიპლომსაც მიიღებდა. ხალხი მთელი ოთხი თუ ხუთი თვის მანძილზე ამჩნევდა, როგორ დასეირნობდნენ ხოლმე ერთად მიხეილი და ქეთევანი. შეხედავდი ამ წყვილს და აუცილებლად გაგიელვებდა — ბუნებას ისინი ერთმანეთისთვის შეუქმნიაო და მერე მიხვდებოდი კიდეც, რომ ქალ-ვაჟს ერთმანეთთან დიდი გრძნობა აკავშირებდა, მაგრამ არც ვაჟს წამოცდენია სიყვარულზე სიტყვა და არც ქალს, ამ მხრივ მეტისმეტად ამაყები იყვნენ და ერთურთს ელოდნენ — არა ის იტყვის და არა ისო... ბოლოს სათქმელს ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოაბა თავი და ერთმანეთს ჩამოშორდნენ კიდეც. მერე ქეთევანიც აღარ დაოჯახებულა. მასწა-

ვლებლობდა. დრო კი ულმობლად მიდიოდა — უსიყვარულოდ და უმამაკაცოდ.

ცოლის მოყვანა ქეთევანის შემდეგაც შეეძლო მიხეილს, ახოვანი კაცი იყო, გარეგნობითაც თვალს იტაცებდა და, რაღა თქმა უნდა, ქალები ვერ დაიწუნებდნენ. მერე რა, ქეთევანს რომ ვერ უთხრა სათქმელი, სამაგიეროდ, სხვებს თოვლის ფიფქივით ადნობდა, ისეთებს ეტყოდა ხოლმე, მაგრამ იმგვარი გრძნობა, ქეთევანმა რომ გაუღვივა, არც ერთ მათგანთან აღარ განუცდია და ალბათ ამიტომაც იყო, სხვა ქალებს ასე თამამად რომ ექცეოდა.

მერე კი წუნიაობა დასჩემდა მიხეილს; ამ სენით ოცდაათ წელს რომ გადაბიჯა, მაშინ დაავადდა, დაუახლოდებოდა რომელიმე ლამაზმანს და იმის მაგივად რომ დამტკბარიყო, ცდილობდა რაიმე ნაკლი აღმოეჩინა მის გარეგნობასა თუ ხასიათში და ადგილდაც პოულობდა. სულ მალე ისე გაიწართნა და გავარჯიშდა — ქალის გაცნობისთანავე შეუცდომლად იცოდა მისი ავკარგი. დარწმუნდებოდა — ეს ქალი უზადო არ ყოფილაო და ერთდროულად სიხარულიც ეუფლებოდა და წყენაც. საოცარი იყო ეს განცდა, დიდი ალღოიანი კაცი ეგონა თავისი თავი და სიხარულითაც ეს ახარებდა, ზოგჯერ გამაყდებოდა კიდეც და გაუელვებდა — ბიბლიოთეკარი კი არა, ფსიქოლოგი უნდა გამოესულიყავით, წყენით კი ის სწყინდა, ამ ხნის კაცი ვარ და ცხოვრებაში ერთი უნაკლო ქალი მაინც შემხვედროდა...

„ვინ იცის, იქნებ ქეთევანი იყო უზადო, ვინ იცის, ჰა“... — გაიფიქრებდა მერე...

ორმოცდახუთს რომ გადააბიჯა, წუნიაობის სენი უზგოუკელოდ. გაუქრა მიხეილს, ახლა საკმარისი იყო ოდნავ მაინც მოსწონებოდა რომელიმე ქალი, რომ კერპად გაეხადა, მერე კუბოს კარამდე ასე დარჩა, ქალებზე ჭკუადაკარგულ კაცად და ის უკანასკნელი ფათერაკებიც ქალების სიყვარულის შეემთხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

იმ დილით, სამსახურში წასვლის წინ, მიხეილმა ოთახს მოავლო თვალი, ყველაფერი კრიალებდა — იატაკი, ჭერი, კედლები თუ სარკმლის მინები და ლურჯი, გამქვირვალე ფარდები, რომლის მიღმა მაღალი ხეები ბრდღვიალებდა მზეში. ოთახში ფერთა ჰარმონია სუფევდა, ჭერი ბაცლურჯად იყო შეღებილი, ლურჯი ფერის უბრალო ჭაღი და იმფერივე ფარდები საოცარი სიმსუბუქისა და მყუდროების განწყობილებას ჰქმნიდა; კედლები და ავეჯი ერთი ფერისა იყო — ღია ყავისფერი. ოთახის სიმყუდროვეს კიდევ უფრო აძლიერებდა ყვავილებიანი ლარნაკი, საწერ მაგიდაზე რომ იდო და ირგვლივ სურნელს აფრქვევდა. მიხეილი ერთ ხანს მონუსხულივით იდგა, მერე საწერ მაგიდასთან მივიდა, ლარნაკს ადგილი შეუცვალა — სარკმლის რაფაზე გადადგა და მოეჩვენა, თითქოს ოთახში უფრო მეტი სურნელი დაიღვარა.

„უცხო კაცი ვერც წარმოიდგენს ამ ოჯახს ქალის ხელი თუ აკლია“... — გაიფიქრა და კარისკენ გაემართა.

დიდებული სანახაობა იყო მიხეილის სიარული, ფართო მხარ-ბეჭს დინჯად და მსუბუქად დაარწევდა, დაბაიჯებდა და აშკარად ემჩნეოდა კმაყოფილი, თავდაჯერებული კაცის სიამაყე.

ღილის რვა საათი იყო.

მეზობლებმა მიხეილი დაინახეს და მიხვდნენ — სამსახურში მიდისო, დილობით შინიდან ყოველთვის ასეთ დროს გადიოდა ხოლმე; მეზობლები როცა დაინახავდნენ, უკვირდათ და სიამოვნებდათ ამ სამოც წელს მიღწეული კაცის ახალგაზრდული იერი და ნატიფი სიარული, მიჩვეულები კი იყვნენ, მაგრამ მაინც უკვირდათ და სწორედ ამიტომ იყო, საღამოს, როცა მიხეილი

სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, მეზობლებმა განცვიფრება ვერ დამალეს, ამ კაცს უცებ დაჩნეოდა წლები, მოშვებული და წელში მოხრილი მოაბიჯებდა და, რაც მთავარია, თავის წლოვანებასთან შედარებით, გაცილებით მეტი ხნისა ვეგონებოდა, ნაბიჯსაც გაუბედავად დგამდა, თითქოს მხრებზე სიმძიმე რამ დასწოლოდა.

ახლა კი... ახლა დილის რვა საათი იყო, ქუჩაში ზაფხულის ცხელი მზე იღვრებოდა და მიხეილ ორმოცაქე სამსახურისკენ მიიჩქაროდა.

დღეს დილით ჩვეულებრივზე ადრე გამოღვიძა, ალბათ ექვსი საათი თუ იქნებოდა, მზე უკვე ზემოთ ადიოდა და სარკმლის ფარდას გრილი სიო არხევდა, ლოგინიდან რომ წამოდგა და სარკმლიდან გადაიხედა, სწორედ მაშინ გაიხსენა ის დიდი ხნის წინანდელი საღამო, რომლის შემდეგ ოცდათხუთმეტი გრძელი წელი გავიდა... თუმცა ახლა ქუჩაში ზაფხულის ნაადრევი, გრილი დილა იდგა და ცაც მოწმენდილი იყო, აქა-იქ ღრუბლის მსუბუქ, თეთრ ფთილას თუ შეამჩნევდი, მაშინ კი, ოცდათხუთმეტი წლის წინათ, ქარიანი საღამო გახლდათ, ცივი და უყმური, ცა შენობებს ჩამოსწოლოდა და შავ, ერთმანეთზე გადაბმულ ვეებრა ღრუბლებს ქარი მიაზოზინებდა... და თითქოს მიხეილს ახლა ის ქარიანი საღამო არ უნდა მოგონებოდა, მაგრამ გაახსენდა და უცებ მიხვდა რატომაც, მიზეზი მტკვარი იყო. ტანთ რომ ჩაიცვა და სარკმლიდან გადაიხედა, უცებ მტკვარს მოჰკრა თვალი და სწორედ ჯებირებს შორის განაბულმა მღვრიე მდინარემ გაახსენა ის საღამო, თანაც ისე ცხადად, თითქოს წუხანდელი ამბავი ყოფილიყო.

ქეთევანს მაშინ ლურჯი დაწინწკლული კაბა ეცვა და შუბლზე ჩამოყრილ ხშირ, შავ თმას ქარი უწეწავდა.

ისინი ნელა მიჰყვებოდნენ მტკვრის ნაპირს, ჩაფიქრებულები და დაღვრემილები... მიხეილი ღრდადრო გადახედავდა ხოლმე ქეთევანს, ქალი თეთრ, სუსტ მკლავებს ფრთებივით მიარხევდა და თავაწეული მიირწეოდა.

„დღეს უნდა ვუთხრა ყველაფერი, — ფიქრობდა მიხეილი, — დღეს, დღეს, სწორედ ახლა, ამ წუთას“... მაგრამ საქმელი ყელში ეჩხირებოდა.

— ...ხვალ მიდიხარ, არა? — ჰკითხა და მიხვდა, ეს არ უნდა ეთქვა.

ქეთევანმა თვალებში შეხედა. მიხეილმა ვერ გაუძღო ამ მზერას და გაიფიქრა: „რა მემართება, თვალს ვერ ვუსწორებ, ერთხელ მაინც უნდა გავუსწორო, ერთხელ მაინც, თუ შევძელი, მერე ვეტყვი“...

— ჰო, — უთხრა ქეთევანმა, — ხვალ დილით... ზეგ კი პირველად შვილ გავიფილზე... შვილ და თუ ქარი იქნა, არც სიას ამოვიკითხავ, არც ბავშვებს გავეცნობი, რომელიმე მათგანს წამოვაყენებ და ვეტყვი: „აბა, მითხარი, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“... — ქეთევანი უცებ ჩაფიქრდა და თავი დახარა, მიხეილმა დაინახა, თვალები ცრემლით რომ ევსებოდა ქალს, — ხვალ ხვალ...

მერე ხელი წაავლო მკლავზე, იგრძნო, როგორ შეტოკდა ქალი და უმალვე შეუშვა.

— ქეთევან.

ქალმა თავი ასწია.

— ჰა...

— ქეთინო... — ეს ხმადაბლა წარმოთქვა და ქალმა მზერა შეანთა.

„ერთხელ მაინც შემეხედა თვალებში, ერთხელ მაინც“...

ქარი კი ღრუბლებს მიერეკებოდა და მდინარეს ტალღებად ჰქონრავდა. მერე უცებ მტკვრის ნაპირას ღუქანს მოჰკრა თვალი და თქვა:

— ქეთევან, ღვინო უნდა დავლიო.

— ღვინო? კეთილი, როგორც გინდა.

დახლიდარი დაღონებული თვალებით შესცქეროდა მტკვარს.

— ერთი ბოთლი გახსენი... — უთხრა მიხეილმა.

— ახლავე, რა უბედური ამინდია, — თქვა დახლიდარმა.

— შენ გაგიმარჯოს, — უთხრა მიხ...

ილმა ქეთევანს, — შენს გამგზავრებას...

ქეთევანი სივრცეს გასცქეროდა.

„ამ ბოთლს გამოვცლი და ვეტყვი, თვალს გავუსწორებ და მერე თამამად ვეტყვი“...

— აუცილებელია, რომ გამოსცალო?

— ჰკითხა ქეთევანმა.

— ჰო, რატომღაც მომინდა.

ბოთლი დაცარიელდა.

— კარგად იყავით... —დაემშვიდობა დახლიდარი.

კარგა ხანს მიდიოდნენ უბრად.

„ვერ ვეტყვი, არ შემიძლია, — გადაწყვიტა მიხეილმა, — მერე მივწერ წერილს“.. თუმცა მაშინვე მიხვდა, რომ ვერ მისწერდა და მხოლოდ თავს ინუგეშებდა.

— ნუ გამაცილებ, — უთხრა ქეთევანმა. — სახლამდე მარტო მივალ.

— კარგი.

— მგონი რაღაც უნდა გეთქვა, — უთხრა უცებ ქალმა.

— მე? — მიხეილი ჩაფიქრდა, — ჰო, უნდა მეთქვა,—მთვარეს ხედავ?

— რას?

— მთვარეს... ხან დაიმალება ღრუბლებში და ხან გამოჩნდება, ხან დაიმალება, ხან ისევ გამოჩნდება, ლამაზია... ქეთევანმა მკვეთრი, ცივი ხმით გადაიკისკისა.

„დამცინის, — მიხვდა მიხეილი, — დამცინის...“

— მთვარე ყოველთვის ასეთია, — შეწყვიტა ქალმა სიცილი, — ეს უნდა ვთქვა?

— ჰო, შეხედე, რა ლამაზია.

ქეთევანი ვაყს შესცქეროდა და ტუჩები უთრთოდა.

— წავედი, კარგად იყავი...

მიხეილს უკვირდა, როგორ გაიხსენა ასე ზუსტად ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი საღამო, ცხადად ახსოვდა ქეთევანის მიხრა-მოხრა, ღრუბლები, ის დახლიდარიც კი და ქეთევანის ხმა, როშლის გახსენება ხშირად მონდომებია, მაგრამ ვერ მოუხერხებია, ახლა კი მიხვდა, ღრმად ჰქონოდა მეხსიერებაში ჩარჩენილი, ისე ღრმად, რომ წლებს ვერ
ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფერი დაეკლო.

მიხეილმა საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და ძველ ფოტოსურათებსა და მოსაწვევ ბარათებს შორის ქეთევანის სურათი მონახა. ზუსტად ასე იხსენებდა ქალს ამ რამდენიმე წუთის წინათ — ფართო შავი თვალები, აზიდული წვრილი წარბები, ყურის თეთრი, პატარა ბიბილოები, ოდნავ ამობურცული ვიწრო, ლამაზი ტუჩები, თეთრი, მაღალი ყელი და ის კაბა — წინწკლებიანი...

„მერე კი ვახერხებდი ხოლმე თვალის გასწორებას, — გაიფიქრა მიხეილმა,— იმ საღამოდან ხუთი წლის შემდეგ რომ შემხვდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარა ჰქონდა, თუმცა. ვინ იცის, იქნებ კიდევ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ იცის, ა“...

2

გოჩა საწერ მაგიდას მისჯდომოდა, თავი ჩაეღუნა და გაფაციცებით წერდა, წიგნებსა და წიგნებს შორის მისი სუსტი მხრები კიდევ უფრო ვიწრო და ბავშვური ჩანდა; რომელიმე წიგნს აიღებდა, დანომრავდა, მერე გადაშლიდა, ფურცელზე ბეჭედს დაარტყამდა და ჟურნალში ავტორის გვარს, წიგნის სათაურსა და ნომერს იწერდა. გვერდით ოთახიდან ქალების ლაპარაკის ხმა გამოდიოდა, ამ ოთახებს ერთმანეთისგან თხელი კედელი ჰყოფდა და როცა ქალები ხმამაღლა საუბრობდნენ, კედელს მიღმა ხმა გარკვევით ატანდა.

გოჩას ნერვებს უწიწკნიდა ქალების საუბარი და კარი რომ გაიღო და მიხეილს მოჰკრა თვალი, ესიამოვნა.

— გამარჯობა, გოჩა! — ბოხი ხმით თქვა მიხეილმა.

— გაგიმარჯოს, ბატონო მიხეილ!

„ოცდაათი წლისა გეგონება“... — გაიფიქრა გოჩამ და შურით შეავლო თვალი მიხეილის განიერ მხრებს და ჯანსაღ, ახალგაზრდულ სახეს.

ჯუმბერ ჩიკაკაძე
ბერბიჭა

— ეკა, რაო შენმა ქმარმა... მოეწონა კაბა? — იკითხა კედელს მიღმა იზოლდამ.

იზოლდას ხმის გაგონებაზე მიხეილს უსიამო განცდა დაეუფლა.

— კი, — უპასუხა ეკამ.

ეკა სულ სხვა იყო, ამ ქალის ხმის მოსმენა სიამოვნებას ჰგვრიდა ხოლმე მიხეილს და ახლაც გუნება გამოუკეთდა.

— ზოგიერთი ქმარი ვერც ამჩნევს, ცოლი ახალს რომ ჩაიცვამს. — თქვა **იზოლდამ.**

— ეგ უკეთესია, — გაეპასუხა ეკა,— დიტომ ზეპირად იცის რამდენი კაბა მაქვს და რამდენი პერანგი... თავი მომაბეზრა.

— ბედნიერებაა... — შეაწყვეტინა იზოლდამ, — ნეტავ დღეს თუ შემოივლის რუსიკო.

—მგონი უნდა გამოიაროს, ბავშვისთვის დავაბარე ფეხსაცმელი.

— ისე, რომ იცოდე, ეკა, ორმაგს გვახდევინებს ის ქალი.

— რას ამბობ, გოგო, — გაისმა ეკას ხმა, — ორმაგის გადახდა არა სჯობს? სულ ინგლისური და იტალიური საქონელი მოაქვს.

კედელს მიღმა სიჩუმე ჩამოვარდა, ახლა დროდადრო ქალების ჩურჩულს თუ მოჰკრავდი ყურს.

— ბატონო მიხეილ, — წამოიწყო გოჩამ, — წეღან ვიღაც ქალი გირეკავდათ.

მიხეილი წამოენთო.

— ზარივით ხმა ხომ არა ჰქონდა, წკრიალა...

— მგონი, — მიუგო გოჩამ, — ისეე დავრეკავო...

მიხეილს თვალები აუციმციმდა და რატომღაც თავის კანტურს მოჰყვა. გოჩა მიხვდა — ახლა ეს კაცი ნეტარებას განიცდიდა.

— რა ქალია, რა ქალი, რომ იცოდე,

— შეწყვიტა თავის კანტური მიხეილმა,

— ბიჭო, შენ მართლა მოგყავს ცოლი?

— კი, — მიუგო გოჩამ, — მომბეზრდა ამდენი მარტობა.

— ქალებში უნდა გევლო, მარტობასაც აღარ იგრძნობდი, ახალგაზრდა კაცი ხარ, ახლა დაიდგამ უღელს და...

— არ მოვიყვანო?

— არა, — შეცცა მიხეილი, — მაგრამ კი არ ვამბობ, რამდენი წლისა ხარ ახლა, შენ...

— ოცდახუთის... ჩემს ამხანაგებში თითქმის მარტო მე დავრჩი უცოლო.

მიხეილი ერთხანს დუმდა.

— მე რომ ცოლი მომეყვანა, ახლა შენნაირ შვილი უნდა მყოლოდა, შენნაირ კი არა, კაცო, უფრო დიდიც, აბა, კაი ხნისა ვარ, თუმცა კაცი შვილი ვერ მიხვდება ამ ასაკისა თუ ვარ, თავშენახული კაცი გახლავარ, რა მოხელეა შენი საცოლე...

— სტუდენტი... თვრამეტი წლისაა.

— ჰოო...

გოჩა ვერ მიხვდა რას ნიშნავდა ეს „ჰოო“...

ოთახში ორი საწერი მაგიდა იდგა, ორგვლივ თაროები სქელტანიანი წიგნებით დაეხუნძლათ. აქ დაკომპლექტების სექტორი გახლდათ, მიხეილ სექტორის გამგე იყო, ამ ორიოდე წლის წინათ დამსახურებული ბიბლიოთეკრის წოდებაც მიიღო, გოჩამ კი სამსახური სამი წლის წინათ დაიწყო და ჯერჯერობით მხოლოდ რიგითი ბიბლიოთეკარი იყო, თუმცა დიდი იმედი კი ჰქონდა მალე დამაწინაურებენო, ახალგაზრდა კაცს უკვე ძველ-რბილში გასჯდომოდა საკანცელარიო მუშაკის ჩვევები, ყველაზე დიდ სიამოვნებას წიგნების დაკომპლექტება ანიჭებდა. მიხეილი ვერ იტანდა ნაადრევად მობერებულ ყმაწვილ კაცს. ახლა ორთავენი საქმით იყვნენ გართული — წიგნებს აკომპლექტებდნენ და ხმას არც ერთი მათგანი არ იღებდა.

„ალბათ ზინამ თუ დამირეკა, — გაიფიქრა მიხეილმა, — რა ქალია, ღმერთო ჩემო, რა ქალია, ნამდვილად ზინა იქნებოდა“.

— შეიძლება, ბატონო, მიხეილ? — ოთახში ეკამ შემოიხედა.

მიხეილმა თვალი რომ მოჰკრა ამ ლამაზ ქალს, შინაგანი ორთოლვა და ცახ-

ცახი დაეუფლა, სახეზეც წამოენთო და სწორედ ამიტომ იყო, გვიან რომ გამოეპასუხა:

— შემოდი, ეკა, შემოდი... — ხმაც შესამჩნევად აუცახცახდა.

ქალი გამოემართა. კაცი მის ყოველ ნაბიჯს გულმოდგინედ აკვირდებოდა. კაბაში გამომწვევად თრთოდა ლამაზი ნაკვთები და კაცს ტკბილი ჟრუანტელი უვლიდა მთელ სხეულში. ეკა საწერ მაგიდას მიუახლოვდა და მიხეილის წინ, სკამზე ჩამოჯდა; მას არ გამოპარვია კაცის მღელვარება, ყოველთვის ამჩნევდა ხოლმე და ეკეკლუცებოდა კიდეც მიხეილს. ეკა ყოველმხრივ ქალური ქალი გახლდათ და ალღოთი გრძნობდა ხოლმე, რა ემართებოდა ამ კაცს მისი დანახვისას. რა თქმა უნდა, ყოველ ქალს სიამოვნებას გვრის, როცა გრძნობს მამაკაცს მოგწონვარო და ეკასაც სიამოვნებდა.

— ბატონო, მიხეილ, — თქვა ეკამ, — მოსაწვევი მოგიტანეთ, იცით რა მოსაწვევია?

მიხეილი წელან ქალის დანახვისთანავე აღელდა, ახლა კი ეკა მის წინ რომ ჩამოჯდა, ქალის მაორობელა სურნელიც იგრძნო და უფრო უარესად აირია.

— მოსაწვევი? — წაილუღლუღა ბოლოს.

— პო, — ჩაიკისკისა ეკამ, — ახლავე გამოგიტანთ...

ქალი ოთახიდან გავიდა და სურნელი დატოვა, ტკბილი, ჟრუანტელისმომგვრელი...

გოჩა მიხეილს შესცქეროდა და თვალები უბრწყინავდა, მიხეილმა იგრძნო ბიჭის დამცინავი მზერა და თვალი თვალში გაუყარა, გოჩამ ილაჩრა — თითქოს შემთხვევით მოუვიდაო, თავი უცებ დახარა და წერა განაგრძო.

„ეს ბედოვლათი ვერასდროს ვერ გაიგებს ქალის ყადრს...“ — გაიფიქრა მიხეილმა.

მარილაც შესანიშნავი მოსაწვევი ყოფილიყო, ძველი, გაყვითლებული, ზედ პორტრეტი ეხატა — წვერმოშვებული და თავაწეული გალაკტიონი ლექსს კითხულობდა.

— დიდებულია, — თქვა მიხეილმა,— ვინ მოგცა?

— შემთხვევით ვიპოვე ძველ წიგნებში, თქვენ ხომ არ გაქვთ ასეთი?

— არა, ჩემს კოლექციას დაამშვენებს, ჩინებულია.

— ერთხელ პიონერთა სასახლეში მოვუწყეთ შეხვედრა გალაკტიონს და მაშინდელია, აღარც მახსოვდა ეს მოსაწვევი თუ მქონდა, თქვენ ალბათ მდიდარი კოლექცია გექნებათ.

— კი, — უპასუხა მიხეილმა და შიშველ მკლავებზე მოაკლო მზერა, — ორიათასზე მეტი მოსაწვევი მაქვს, მალე გამოფენასაც მოვაწყობ, ალბათ დათვალიერებ, არა?

— აუცილებლად, — მიუგო ეკამ და ამოისუნთქა, მიხეილმა დაინახა, როგორ აბანცალდა ქალის ლამაზი მკერდი და იგრძნო — ჰაერი აღარ მყოფნისო.

— მშვენიერი კაბა გაცვია, — უთხრა უცებ, — ლამაზად გამოიყურება.

ქალი წამოწითლდა.

— კარგი რა, ბატონო მიხეილ...

— სიმართლეს გეუბნები, ბედნიერია შენი ქმარი, ასეთი საუნჯის პატრონი.

— კარგი რა, ნუ მარცხვენთ, — ხმა გაინაზა ეკამ და ძალიანაც მოუხდა, — დიტო ვეღარც მამჩნევს, ისე შემეგუა.

— შეუძლებელია, — თქვა მიხეილმა და კიდევ ერთხელ გადახედა ტუჩებზე, მხრებზე, მკერდზე... — ასეთი ლამაზი არასდროს ყოფილხარ.

ქალს შექება ესიამოვნა.

— კარგი რა, ბატონო მიხეილ, ნუ მაწითლებთ.

ეკას გასვლის შემდეგ მიხეილი კვლავ დიდხანს იყო გაოგნებული. მერე კედელს შეხედა, ჯუჯრუტანას თხელ კედელზე. ეს ჯუჯრუტანა მიხეილის დიდი საიდუმლოება გახლდათ.

რუსიკოს საზღვარგარეთული ტანისამოსი და ფეხსაცმელი მოჰქონდა ხოლმე

ქალებთან და ორმაგ ფასად ჰყიდდა. ბიბლიოთეკის ქალებმა ერთხელ დაითხოვეს კიდეც, მაგრამ ამაზე ეკა გაწყრა და ხათრი ვეღარ გაუტეხეს, ეკა ჭკუას ჰკარგავდა საზღვარგარეთულ ტანსაცმელზე და მხოლოდ ის ყიდულობდა ხოლმე. საღამოობით, როცა სამუშაო დამთავრდებოდა, ეკა ტანსაცმელს სამსახურშივე ისინჯავდა, ქალები მსჯელობდნენ და ბოლოს აუცილებლად დაასკვნიდნენ — ძალიან გიხდება, გხატავსო... ეს მართლაც ასე იყო. სამსახურის დამთავრების შემდეგ გოჩა შინისკენ მიეშურებოდა, მიხეილი ფრთხილად ჩარაზავდა კარს შიგნიდან და თხელ კედელთან მივიდოდა, კედელს მიღმა გარკვევთ ატანდა ქალების საუბარი, ჭუტრუტანიდან კი ყველაფერი ჩანდა, რადგან ეკა ტანსაცმლის გასინჯვისას აუცილებლად შუა ოთახში ჩადგებოდა, რომ ქალებს კარგად შეეფასებინათ ახალი სამოსი. მიხეილი შესცქეროდა ხოლმე ქალს, რომელიც სამოსს ისინჯავდა და არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა, პირიქით, ეს მისთვის ბედნიერების საამური წუთები იყო.

ერთხელ კი... ერთხელ, როცა სამუშაო საათები დასრულდა, გვერდით ოთახში რუსიკო შევიდა და მიხეილმა გაიგონა:

— ეკა, რა პერანგი მოგიტანე, რა პერანგი, ალბათ ჭკუას დაკარგავ.

— უი, რუსიკო, შენი ჭირიმე, მაჩვენე? — ვეღარ ითმენდა ეკა.

მერე ეკამ პერანგი შეათვალიერა და მიხეილს ჩაესმა:

— უი, რუსიკო, მოდი გაკოცო, რა კარგია, გოგო, რა კარგი...

გოჩა ახალგასული იყო.

— რა კარგია, რა კარგი... —ისმოდა ქალების ხმა.

მიხეილმა კარი ჩარაზა და ჭუჭრუტანასთან მივიდა.

— ჩქარა, ეკა, ჩქარა გაისინჯე...

ეკას აჩქარება აღარ სჭირდებოდა, შუა ოთახში დადგა, დაიხარა და კაბა გაიხადა, ის ადგილი, სადაც ქალი იდგა, უცებ აბრდღვიალდა და სინათლე მთელ ოთახს მოედო. ხორცსავსე ქალი ეკა ნგნისამარა იდგა შუა ოთახში, მერე ეკა ერანგის გახდა დაიწყო, პერანგის ბოლო სავსე ბარძაყებზე აცურდა, ნელ-ნელა აცურდა, აცურდა, მერე უფრო ზემოთ, უფრო ზემოთ და ქალმა პერანგი მოიროლა, ის ადგილი კიდევ უფრო თვალისმომჭრელად აკაშკაშდა, შეუძლებელი იყო ცქერა, კაცი მაინც ვერ აცილებდა თვალს... იდგა რძისფერი ქალი და მიხეილს ეშინოდა, არ დაეგმინა. ალბათ აყვირდებოდა კიდეც ის ამბავი რომ არ მომხდარიყო — უეცრად ეკას პერანგისამარა იზოლდა ამოუდგა გვერდით.

— თუ კარგად მეკნა, მეც ვიყიდი პერანგს, — თქვა იზოლდამ.

მიხეილს ელდა ეცა, იმდენად შემზარავი ეჩვენა ეს გამხდარი ქალი, ეკას რომ ამოდგომოდა გვერდით. იზოლდა სილამაზით არასდროს გამორჩეული, მაგრამ არც ისეთი მახინჯი ყოფილა, მაშინ რომ გამოჩნდა. მიხეილი მას ადრეც ვერ იტანდა, იმ დღის შემდეგ კი დასანახადაც შეიძულა.

...ეკა ახალგასული იყო. მიხელმა მოსაწვევი ბარათი უჯრაში შეინახა. ოთახში კვლავ იდგა ქალის გამაბრუებელი სურნელი, რომელიც ეკამ დატოვა და მიხეილი მიხვდა — საქმეს ვერაფრით ვერ განვაგრძობ, ვიდრე ეს მათრობელა სურნელი არ გაიფანტებაო.

— რაიმე სუნი გცემს? — ჰკითხა უცებ გოჩას.

გოჩამ კალამი გვერდით მიაგდო და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

— ნავთისა და ბენზინის სუნი დგას, — თქვა მან, — წუხელ ალბათ დამლაგებელს იატაკის მოწმენდის შემდეგ ჰაერი აღარ გაუნიავებია.

„ფუ, ბედოვლათი, — გაიფიქრა მიხეილმა, — არ გაუბედურდება ის ქალი, მართლა თუ შეცდა და ამას გაჰყვა ცოლად“?

—თქვენ რამდენ ხანს მუშაობდით რიგით ბიბლიოთეკრად? — იკითხა გოჩამ.

მიხეილი საოცრად იყო გაღიზიანებული და მიახალა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მახსოვს.

— მაინც, იქნებ გაიხსენოთ.

„მართლა ბედოვლათია...“ — გაუელა მიხეილს და ამის გაფიქრებაზე რატომღაც დამშვიდდა.

— ზუსტად არ მახსოვს, რაში დაგჭირდა.

—უკვე მეოთხე წელია, რაც რიგითი ბიბლიოთეკარი ვარ.

— ჰოო, მეტ ხანსაც არიან.

— არც ერთი გაცდენა არა მაქვს, — თქვა გიჩამ, — სამსახურშიც დროზე მოვდივარ, ამას ხომ უნდა აქცევდეს დირექტორი ყურადღებას.

„ეს ახლა ოცდახუთის კი არა, ოთხმოცი წლისა უნდა იყოს“, — გაუელა მიხეილს.

— ბატონო მიხეილ, — განაგრძო გიჩამ, — მივალ დირექტორთან და ვეტყვი დამაწინაუროს, ბოლოს და ბოლოს ცოლი მომყავს, ქალებზე მეტს აღარ ვუშლიობ? იმათ წარამარა რომ აწინაურებს, მივალ და ვეტყვი, როდემდე უნდა ეიყო რიგითი ბიბლიოთეკარი, ცოლი რომ არ მომყავდეს, მაშინ სხვა ამბავია.

მიხეილს უცებ მართლაც ბენზინისა თუ ნავთის მკვეთრი სუნი ეცა და კინაღამ მიახლა, ბედოვლათი ხარო.

ბენზინისა და ნავთის სუნი კარგა ხანს სცემდა მიხეილს, იმდენ ხანს, ვიდრე ტელეფონმა არ დაიწკრიალა, ამ ხმის გაგონებაზე უცებ გახალისდა, პატარა ოთახი კვლავ ქალის სხეულის, თმისა და სუნთქვის მათრობელა სურნელით აივსო, რადგან მიხეილი მიხვდა, მე მირეკავენო, ალღოთი იგრძნო, ისიც გამოიცნო — ზინა მირეკავსო.

ზინა ოცდათხუთმეტიოდე წლის ლამაზი ქალი იყო, ამ ქალის სილამაზე მიხეილს თავგზას უბნევედა. ქერა თმა ჰქონდა ზინას, თეთრი სახე და ცისფერი თვალები, ქალს უკვე სიმსუქნე შეპპარვოდა და მიხეილს სწორედ ეს მოსწონდა ყველაზე ტანად, რომ ვეკითხათ — ზინა სჯობს თუ ეკაო, ვერ გიპასუხებდათ. როცა ზინას ხედავდა, ზინა მოსწონდა, როცა ეკას, — რა თქმა უნდა, ეკა. ამ ქალებთან განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდა, ეკა თანამშრომელი იყო და მოსწონდა კიდეც, მაგრამ აშკარად ვერ ეუბნებოდა ამას, თუმცა ქათინაურებს არ იშურებდა, მაგრამ ზღვარს არ გადადიოდა, ქათინაურები კი ქალსაც სიამოვნებას გვრიდა. ზინასადმი სულ სხვაგვარად იყო განწყობილი მიხეილი, ქათინაურებს გარდა აშკარა შეტევაზეც გადადიოდა და სადაც მოახლეთებდა, ყველგან ეარშიყებოდა, კარგად იცოდა, ქალი გათხოვილი რომ იყო და ქმრად კარგი ვაჟკაციცა ჰყავდა, მაგრამ ეს ამბავი მიხეილს ჩირადაც არ უღირდა, გრძნობდა — ქალი არ იყო გულგრილი ამ ქათინაურებისა თუ აშკარა არშიყობის მიმართ, იმასაც ხვდებოდა, ქალს მოვწონვარ და ხელსაყრელი ვითარება თუ შეიქმნა საწადელსაც მივაღწევო. ბავშვობის ძნელი გზა ჰქონდა გამოვლილი ზინას, რუსეთში დაიბადა, ომი რომ დაიწყო, მშობლები დაჰკარგა და საქართველოსკენ წამოიყვანეს, აქ გაიზარდა უპატრონო ბავშვთა სახლში და რუსული მთლიანად გადავიწყდა, თუმცა მშობლიური ენას ვეღარა ფლობდა, მაგრამ მამაკაცებისადმი თამამი, თავისუფალი ქცევა და დაუოკებელი ენება მაინც გამოჰყვა, დიახ, ეს თანდაყოლილი ჩვევა საკმაოდ მძლავრი აღმოჩნდა.

მიხეილი არც შემცდარა, ყურმილი აიღო თუ არა, მაშინვე ზინას ზარივით წკრიალა ხმა ჩაესმა.

— გამარჯობათ, ბატონო მიხეილ, გამარჯობათ.

— ო, ზინა, შენი ჭირიმე, გამარჯობა.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო მიხეილ?

— კარგად, ზინა, ძალიან გამეხარდა, რომ გამიხსენე.

— ასეა, — თქვა ზინამ, — ძველ ნაცნობებს ვერ ვკარგავ.

მიხეილმა უცებ ამ ქალის გარეგნობა წარმოიდგინა და მსუბუქი გაბრუება იგრძნო.

ჯუმბერ ციკარაძე
ბერგამი

— პირდაპირ ყრუანტელი მივლის, შენს ხმას რომ ვისმენ, რა ხმა გაქვს, ზინა, რა ხმა, თავგზისამბნევი...

— ოო, ბატონო მიხეილ, ეშმაკობას კიდევ არ ეშლით? მატყუებთ, თუ მართლა ასეა?

— მართლა ასეა.

— ძალიან მსიამოვნებს, ბატონო მიხეილ, იცით რა? რაღაც ამბავი უნდა გითხრათ, ისეთი ამბავია, მგონი გესიამოვნებათ, ქმარს გავეყარე.

— ხუმრობ, თუ მართლა ამბობ? — შეტოკდა მიხეილი.

— მართლა გეუბნებით, რა, ხომ არ გეწყინათ?

მიხეილი ერთხანს დუმდა.

— ხომ არ გეწყინათ?...

— არა, — თქვა და უცებ მოზღვავებული სიხარული დაეფეფლა.

„ჩემია, მე დამრჩება“... — გაიფიქრა მერე.

— რა მოხდა, რატომ გაეყარე?

— ო, საშინელი ეჭვიანი იყო, საშინელი, პირდაპირ სიცოცხლე მქონდა მოშხამული.

— ადრე რომ არ გითქვამს?

— ვმალავდი, ბატონო მიხეილ, ჯოჯოხეთი იყო იმ კაცთან ცხოვრება, ჯოჯოხეთი.

— ზინა, იცი რა, აუცილებლად უნდა შეგხვდე სადმე, სად განახო, უარს ნუ მეტყვი.

ზინამ ჩაიკისკისა.

— ვითომ და რატომ, ქმარს რომ გავეყარე?

— არა, საქმე მაქვს.

— იცით რა, ბატონო მიხეილ, პირდაპირი თქმა უფრო მიყვარს, ქმარს რომ გავეყარე იმიტომ?

— ჰო, — თქვა მიხეილმა და უცებ მიახალა, — ჩემი უნდა გახდე.

— ოოო... — კვლავ ჩაიკისკისა ზინამ, — დიდი წარმოდგენა გქონიათ თქვენ თავზე, ისე, მიყვარს თამამი მამაკაცები.

— შემხვდები ხომ, ზინა, დღეს განაბავ სადმე.

ზინა წამით დადუმდა.

— დღეს არ მცალია, ხვალ [illegible] ხვალ შვიდ საათზე, უნივერსიტეტის ბაღთან, კარგად იყავით.

— კარგად, ზინა, გენაცვალე, თუმცა რა გაძღებს ხვალამდე, ეჰ, ვერ გავძღები, ვერა.

„სულ გამოსულელდა, უცოლობამ გამოატვინა, ძირი მაგას არ გააწინა და ფესვი, ის მოსაწევი ბარათების კოლექცია რაღა ჯანდაბად უნდა, ოცდაათი წელია ვაგროვებო... ფუჰ, რეგვენი, აუცილებლად უნდა შევირთო ნატა, თორემ მეც ამას დავემსგავსები...“ — გაიფიქრა გონიამ და შურით შეხედა ამ ახოვანი კაცის ფართო მხრებსა და აგიზგიზებულ თვალებს.

3

დათას და სიმონს მყუდრო, განცალკევებული ადგილი მოენახათ, ბაღის ბოლოში, მაღალი, დაბურული ნაძვის ჩრდილქვეშ ძელსკამზე ისხდნენ და ერთმანეთის ხმამაღლა ესაუბრებოდნენ; შორიდან ისე ჩანდა, თითქოს აპილპილებულიც უნდა ყოფილიყვნენ და მიხეილს ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოეჩვენა, რადგან ისინი, ორთავენი, მეტისმეტად მშვიდი ბუნებისანი გახლდნენ... წონასწორობიდან ვერაფერი გამოიყვანდათ, ახლა კი სიმონი ორივე ხელს იქნევდა და ისე ლაპარაკობდა, დროდადრო დათა ხელებში სწვდებოდა, გააჩერებდა და მერე თავად იწყებდა ლაპარაკს. მიხეილი რომ მიუახლოვდა, დადუმდნენ.

— გამარჯობათ თქვენი, — თქვა მიხეილმა.

— გაუმარჯოს!...—გაეპასუხა სიმონი.

დათას არც შეუხედავს მისთვის.

მიხეილი აღფრთოვანებული იყო და ამის დამალვა არც უსინჯავს, სიხარულის მიზეზი კი ზინასთან წეღანდელი საუბარი იყო და ახლა იფიქრა — მოდი, ბარემ ამათაც ვეტყვი, ზინა ქმარს რომ გაყრიაო... სიმონი და დათა ზინას პირადად არ იცნობდნენ, მაგრამ წარმოდგენილი კი ჰყავდათ, როგორი ქალი იქნებოდა. მიხეილი ხშირად ლაპარაკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა ზინაზე. სიმონიც და დათაც უცოლონი გახლდნენ, ასაკითაც მიხეილის ხნიანი იქნებოდნენ. ამ სამეულს დიდი ხნისა და მტკიცე, გაუბზარავი მეგობრობა აკავშირებდა, ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ნახულობდნენ, ჯერ დილით, შესვენებაზე, ხშირად კი საღამოობითაც შეიკრიბებოდნენ და ერთმანეთს საკუთარ თავგადასავალს უყვებოდნენ ხოლმე. რაღა თქმა უნდა, საუბარი უფრო ხშირად ქალებს შეეხებოდა, ყველაფერს დაწვრილებით ყვებოდნენ, ყველაზე უფრო ინტიმურ ამბებსაც კი... გატაცებაც ერთნაირი ჰქონდათ — კოლექციონერობდნენ; მიხეილი თუ მოსაწვევ ბარათებს აგროვებდა, დათას ნახატები აინტერესებდა და კარგი კოლექციაც ჰქონდა, რომელი მხატვრის ნამუშევარს არ ნახავდი აქ — ცნობილისას თუ უცნობისას, მიმდინარეობებს ხომ წუოა იკითხავდი, ბოლო წლებში რამდენიმე ამსტრაქციონისტი მხატვრის მიერ შესრულებული შიშველი ქალის ნახატს შოვნაც მოახერხა და ამით ამაყობდა კიდეც, თუმცა გარჩევა ჭირდა, მართლა შიშველი ქალი ეხატა თუ არა, მაგრამ დათა დაბეჯითებით გიჩვენებდა სად ქალის მკერდი იყო, სად მენჯი და სად ფეხები; სიმონს და მიხეილს ამ ნახატებისა ყველაზე უფრო ის აოცებდათ, რომ შიშველ ქალს მკერდი ზოგჯერ ფეხებზე ჰქონდა გამობმული, ხოლო მენჯი ზედ თავზე ედგა. სიმონს კი სულ სხვა რამ იტაცებდა, სამკერდე ნიშნებს აგროვებდა... მეგობრები საკუთარ კოლექციათა გამოფენასაც აპირებდნენ, თადარიგი კარგა ხნის წინათ დაეჭირათ; აინტერესებდათ, როგორ მიიღებდა საზოგადოება გამოფენას, იმედოვნებდნენ — გაზეთები აუცილებლად გამოეხმაურებიან ამ ამბავსო... თუმცა დათას კოლექცია აეკვებდათ — უხერხული ხომ არ იქნება ამდენი შიშველი ქალის ერთად გამოფენაო, მაგრამ თავს ინუგეშებდნენ, რაც არ უნდა იყოს. მაინც ხელოვნების ნიმუშებია და დამთვალიერებლები აუცილებლად მოიწოლნებენო

სიმონი და დათა დაღვრემილები ისხდნენ.

— ზინა ხომ გახსოვთ თქვენ? — იკითხა მიხეილმა.

ხმა არც ერთ მათგანს არ ამოუღია.

— ზინა, ზინა, კაცო, მე რომ გიყვებოდით ხოლმე.

— კი გვახსოვს, — როგორც იქნა, ამოღერღა სიმონმა.

— ქმარს გაყრია.

— მერე? — იკითხა სიმონმა.

— დღეს დამირეკა და შეხვედრა შემომთავაზა.

ამ ახალ ამბავს არავითარი ზემოქმედება არ მოუხდენია და მიხეილი განცვიფრდა.

„რა მოუვიდათ ამ ოხრებს, რაღაც უცნაურ გუნებაზე არიან“...

ბაღში გრილოდა, სამივენი დუმდნენ და მიხეილი ვერ იტანდა სიჩუმეს.

— რა მოგვიდათ, კაცო, რა ამბავია... — ჰკითხა სიმონს.

— ეეჰ... — ამოიოხრა სიმონმა და ხელი ჩაიქნია.

— რა ამბავია თქვენს თავს, ვეღარ იტყვით?

— ტკუზე შეირყა ეს უბედური.

— ვინ, კაცო...

— ვინ და ეს... — სიმონმა დათასკენ გაიშვირა ხელი.

მიხეილმა დაკვირვებით შეათვალიერა დათა.

— ეაია ჩაფიქრებულიყო.

— ცოლი მოჰყავს, ცოლი...

მიხეილი გაოცებას იყო, ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ მიხვდა — სიმართლე იქნებაო...

— მართალია, დათა?

დათამ თავი დაიქნია.

— მომყავს, — წამოიწყო კარგა ხნის დუმილის შემდეგ დათამ, — მომყავს, გათავდა და მორჩა, ადამიანისთვის აუცილებელია ოჯახი, ოჯახური სითბო, ჰოდა, მეც გადავწყვიტე, შევირთო. კარგა ხნის კაცი ვარ, მაგრამ შეიძლება

ყველაფერს მოვესწრო, ხუთი და-ძმანი ვყავდით ჩემს მშობლებს და ახლა მარტო მე ვარ დარჩენილი, არ მინდა უძიროდ გადავგვარდე, ვიღაც ხომ უნდა დატოვო შენს შემდეგ კაცმა, ამაზე ადრეც უნდა მეფიქრა, ახლა გვიანია, მაგრამ სულ არარაობას მაინც ასე სჯობს. შვილრთავ, გათავდა და მორჩა.

დათა ღელავდა.

მიხეილი ყველაფერს წარმოიდგენდა, ამ ამბავს კი — ვერა.

„დათა და ცოლი? — ფიქრობდა ის, — დათა და ცოლი? წარმოუდგენელია, ღმერთმანი, სიმონი და ცოლი, კაცო, მე და ცოლი? ვერ წარმომიდგენია, ვერა, ვერა“...

მერე უცებ ხარხარი აუტყდა.

— დამცინი? — წამოიყვირა დათამ და მკვდრის ფერი დაედო, — დამცინი, არა?

მიხეილმა ხარხარი შეწყვიტა და დათას გადახედა, ამ კაცს ფერი დაჰკარგვოდა და ცახცახებდა, შესაბრალისი იყო...

— დამცინი, არა?

— არა, არ დაგცინი, დაწყნარდი, თუ ძმა ხარ, არ დაგცინი, დასაცინი რა გაქვს.

— შვილრთავ, — თქვა დათამ, — რა ვიცი, იქნებ ყველაფერს მოვესწრო, უძიროდ მაინც არ გადავგვარდები.

— რა ხნისა არის ის ქალი... — იკითხა მიხეილმა.

— ორმოცდაათისა...

— მერედა, შე კაცო, ორმოცდაათი წლის ქალი შვილს გაგიჩენს? რას ფიქრობ. შენ...

— არ გაუჩნდება და ნუ გაუჩნდება, ვიშვილებ ვინმეს, ვიშვილებ და ჩემს გვარზე დავიწერ, გავზრდი და ჩემი არ იქნება? ვიშვილებ... ორივემ ასე გადავწყვიტეთ, მეც და მართამაც.

— დიდი ხანია იცნობ იმ ქალს? — იკითხა მიხეილმა.

— ვის, მართას? ათი დღე იქნება.

— მერე... — თქვა მიხეილმა, — ასე უცებ ოჯახის შექმნა გაგონილა? არ უნდა გაიცნო ხეირიანად ქალი?

— ვიცნობ, — თქვა დათამ, — ეჭვიანობ, ასეთი საქმე უცებ უნდა გადწყდეს, მით უმეტეს ჩემს ასაკში, უცებ სჯობს...

— შინაბერაა?

— არა, ქვრივია, უშვილო ქვრივი, ქმარი სამი წლის წინათ მოკვდომია.

— ცოლის მოყვანას ვინ ჩივის, — ჩაერია საუბარში სიმონი, — მოიყვანოს ამ ოხერმა, თავში ქვა იხალოს, რაც უნდა ის ქნას, მაგრამ ეს სხვა ამბავია, ქალბატონს უკვე პრეტენზიები წამოუწყვია, ჯერ ხელი არ მოუწერიათ და ახლავე პრეტენზიები გაგონილა, კაცო? მერე რაღას უზამს, შინ რომ დაუჯდება, გასტანჯავს ამ უბედურს.

— რა პრეტენზიები?.. — იკითხა მიხეილმა.

— რა და... — თქვა სიმონმა, — ამ ბედოვლათს შინ მიუყვანია ქალბატონი, თავის სამფლობელო დაათვალიერებია თურმე, ქალბატონს ამის კოლექცია უნახავს და უთქვამს: რა არის ეს, დათა, ფუჭ, სირცხვილია, კაცო, ამდენი შიშველი ქალი, შევრცხვებით, დათა, შევრცხვებთო, ესენი თუ არ გადაყარე, მე ამ ოჯახში შემომსვლელი არა ვარო...

— მერე...

— მერე ის, რომ ამ რეგვენსაც ნახატები შეუკრავს და სხვენზე აუტანია, გაყიდვას აპირებს, ეს ოხერი.

— გაყიდი, აბა, რას ვიზამ, საძაგლობაა, — თქვა დათამ.

— აი, — წამოიყვირა სიმონმა, — კისერს მოვიჭრი, თუ ეს იმ ქალბატონის სიტყვები არ იყოს.

— დაიცა, კაცო, მერე, გამოფენა?

— ერთი მაგის... — მწარედ შეიკურთხა დათამ.

„შეშლილა ეს უბედური“... — დაასკვნა მიხეილმა.

მეგობრები დადუმდნენ. სიმონი და მიხეილი ახლა დათაზე ფიქრობდნენ და ადარდებდათ კიდეც მისი მომავალი, ანალოლიანებდათ და აშინებდათ — დაიღუპება ეს უბედურიო... დათა კი მონუსხულივით იჯდა, იგი მართაზე ფიქრობდა, ქალზე, რომელიც ასე უეცრად

შეიკრა მის ყოველდღიურობაში და ჩვეულ, ძველ-რბილში გამჯდარ ცხოვრებას კალაპოტი შეუცვალა; დათა მომავალი ოჯახის მყუდროებაზეც ფიქრობდა და ბავშვზე, რომელსაც ის და მართა იშვილებდნენ, მომავალი წარმტაცად ეჩვენებოდა. მალე მარტოხელა კაცის ცხოვრება ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო.

— მე წავალ ახლა, ბიჭებო, — თქვა დათამ, მაგრამ კვლავ გაუნძრეველად იჯდა.

ცოტა ხნის მერე ისევ თქვა:

— წავედი ახლა მე, ხვალ ხელს გაწერთ მე და მართა, ორ საათზე შემოგვიარეთ, თორემ ჩაშალა ჩვენი ძმობა, ხომ მოხვალ, სიმონ?

— ჯანდაბას შენი თავი, — თქვა სიმონმა, — მოვალ.

— შენ? — ახლა მიხეილს მიუბრუნდა დათა.

— კი, — მიუგო მიხეილმა.

— აბა, კარგად იყავით, — თქვა დათამ და წამოდგა.

— დაიცა, — უთხრა სიმონმა,—ღვინო გაქვს? თუ არა გაქვს, მე და მიხეილი გიშოვნით, არ მოგერიდოს.

— გვაქვს, — უპასუხა დათამ.

— ქათამი თუ გინდათ, ან ინდაური, არ მოგერიდოს, მე და მიხეილი გიშოვნით.

— ყველაფერი გვაქვს, კაცო, მართლა ქორწილს კი არ ვაპირებთ, მარტო თქვენ გპატიჟობთ, აბა, ხვალ ორ საათზე...

დათა დინჯი ნაბიჯით გავიდა ბაღიდან და მიხეილი და სიმონი თავგზააბნეული დატოვა.

4

შესვენება ახალდამთავრებული იყო და მალე ბიბლიოთეკა ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგებოდა. მიხეილ კვლავ დათაზე ფიქრობდა და ცდილობდა წარმოედგინა, როგორი გარეგნობისა იქნებოდა მართა. დათა საერთოდ მსუქან ქალებზე ჰკარგავდა ჭკუას და მიხეილი დარწმუნებული იყო, მართა აუცილებლად ფაშფაშა დედაკაცი ეგნება, თორემ დათას როგორ მოეწონებოდაო. გოჩა წიგნებს აკომპლექტებდა, ჩვეული გულმოდგინებით საქმიანობდა და ალბათ დაწინაურებაზე ფიქრობდა. კედელს მიღმა ქალები ხმაძაღლა საუბრობდნენ. მიხეილი ქალების საუბარსაც ისმენდა, გოჩასაც აკვირდებოდა, დათაზეც ფიქრობდა, ზინაზეც, ამ ქალთან მომავალი შეხვედრისათვის ახლავე ემზადებოდა და დარწმუნებული იყო, აუცილებლად შინ მივიყვან და მერე კი, რა თქმა უნდა, დილამდე აღარ გავუშვებო. კედელს მიღმა ოთახიდან ქალების საუბარი გარკვევით ისმოდა და აშკარად ჩანდა, გოჩას არ მოსწონდა ეს ამბავი. მიხეილი კი ეკას ხმას როცა გაიგონებდა, ტკბილ ბუონში ეხვეოდა და ზინა ავიწყდებოდა, ეკას ხმის გაგონებისას არ შეეძლო სხვა ქალზე ფიქრი და ის დღე ახსენდებოდა, ეკა შშველი რომ იდგა შუა ოთახში. ვერაფრით ვერ ივიწყებდა ამ ამბავს და დარწმუნებულიც იყო, მსგავსი სილამაზე ჩემს სიცოცხლეში პირველად მხოლოდ მაშინ ვიხილეო... ჯუჯრუტანის ამბავი ისეთი საიდუმლო გახლდათ, კაცშვილმა რომ არ იცოდა, დათამაც და სიმონმაც კი, რომელთაც ეგონათ — მიხეილი ყოველ წვრილმანს გვიმხელსო.

— დღესაც მოვა რუსიკო, — გაისმა ეკას ხმა, — ჩემი ხელფასი უკლებლივ მაგ ქალის ჯიბეში გადადის.

მიხეილმა რუსიკოს სახელის გაგონებისთანავე ჯუჯრუტანას შეხედა.

— სულელი ხარ და იმიტომ, — უპასუხა იზოლდამ, — ანკესზე ჰყავხარ წამოგებული.

— რას ამბობ, გოგო, ისეთ მშვენიერ საკონელს სადმე იშოვი თუ რა გგონია.

— ეჰ, ეკა, ეკა... რა ნახე იმ რუსიკოში.

მიხეილს იზოლდას ხმის გაგონებისას უსიამო გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს შიშველ სხეულზე ჭინჭარს ურტყამდ-

---

ჯუმბერ ტიკარაძე
ბერბილა

ნენ. დაილაპარაკებდა ეკა და კაცი უცებ შეერეოლდებოდა, იზოლდა რომ გამოეპასუხებოდა იმ წამსვე ჭინჭრის სიმწვავეს იგრძნობდა. ეს ქალი გულზე არასოდეს ეხატებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ შესცულდა, პერანგისამარა რომ ამოუდგა გვერდით ეკას. ქალი გრძნობდა, მიხეილი ვერ მიტანსო და ყოველთვის ცდილობდა გუნება მოეშალა ამ კაცისთვის. რაღაი ცდილობდა, ადვილადაც ახერხებდა. როცა დარწმუნდებოდა, მიხეილი მოიშორამო, თვალები აუელვარდებოდა და ნეტარებას განიცდიდა.

— გოგოებო, ლიას კაბა უყიდია? ჭკუას დაკარგავთ ისეთია... — გაისმა ეკას ხმა.

გოჩა უკმაყოფილოდ შეიშმუშნა და კედელს გახედა.

— სადაური კაბაა, თუ იცი... —იკითხა იზოლდამ.

— ამერიკული, გოგო, ღია ლურჯი ფერისა...

გოჩა უცებ წამოხტა აღგილიდან, კედელს ეცა და მუშტების ბრახაბრუხი ატეხა.

— გეყოფათ, გეყოფათ, — ყვიროდა ხრინწიანი ხმით, — თქვენ არ მუშაობთ და სხვასაც უშლით ხელს, გეყოფათ!

კედელს მიმა სიჩუმე ჩამოვარდა. მიხეილი განცვიფრებული შესცქეროდა გოჩას, მოულოდნელი იყო ამ ბიჭის აპოლიტება.

— ქვეყნის საქმე მაქვს და ჭორაობენ, სულ ჭორაობენ...

— რა მოგდის შენ, ბიჭო, — უთხრა მიხეილმა.

— აღარ შემიძლია მეტი, აღარ შემიძლია, რა აქვთ ამდენი საჭორაო.

მიხეილმა ზიზღით შეხედა, ამ დროს კარი გაიღო და ეკა შემოვიდა.

— რა იყო, გოჩა, ლაპარაკს გვიშლი?

გოჩამ წიგნი გვერდით მიაგდო და ქალს ანთებული თვალები შეავლო.

— გიშლით, — თქვა მან, — თქვენ არაფერს აკეთებთ და ჩვენც ხელი გვეშლება თქვენი ლაპარაკით.

— არ გრცხვენია, ბიჭო?

— მე შემრცხვეს? მე?..

— სირცხვილი შენი, გოჩა, [illegible] რა სულიერიცა ხარ...

— ძიცნობდე, ხელს ნუ მიშლით...

— მაინც არ დაგაწინაურებენ...

გოჩას თვალზე ცრემლი მოადგა.

— წავალ და დირექტორს ვეტყვი, სხვა ოთახში გადამიყვანოს.

— ფუ, შენს კაცობას, — თქვა ეკამ, — მართლა ასე გიშლებათ ხელი, ბატონო მიხეილ, ჩვენს ლაპარაკზე?

— არა, პირიქით...

— სირცხვილი, გოჩა, — თქვა ეკამ და ოთახიდან გავიდა.

ერთხანს სიჩუმე იყო გვერდით ოთახში. თუმცა გოჩა უწინდებურად მუშაობდა, მაგრამ ეტყობოდა, ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო, ნიკაპი და ტუჩები უთრთოდა. მერე იზოლდას ხმა გაისმა:

— ვაი, იმ საწყალი გოგოს ბრალი, თუ გაბრაყვდა და მაგას გაჰყვა ცოლად...

— აბა... — უპასუხა ეკამ და ჩაიკისკისა.

გოჩამ მეტის მოთმენა ვეღარ შესძლო, უცებ წამოიჭრა, მიხეილი პირველად ხედავდა ასე აცახცახებულ ადამიანს.

— წავალ და დირექტორთან ვიჩივლებ.

— დაწყნარდი, — უთხრა მიხეილმა.

გოჩა ნერვიული ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

დიდხანს ისმოდა ქალების კისკისი. გადარეულიაო — თქვა ეკამ და მიხეილი გუნებაში დაეთანხმა. ამ ბიჭს კაცური არაფერი სცხიაო — თქვა იზოლდამ, თუმცა მიხეილიც ასეთივე აზრისა იყო გოჩაზე, მაგრამ. შენ რაღა გალაპარაკებს, შე უბედურორო... — გაიფიქრა იზოლდას მისამართით.

ცოტა ხნის შემდეგ ქალების ოთახში დამლაგებელი შევიდა და თქვა:

— გაიგეთ, გოგოებო, მართლა საჩივლელად არ წასულა ის ბიჭი?

— ფუ, დეგენერატი, — თქვა ეკამ, — მერე, მერე...

— დირექტორის ამბავი არ იცით,

როგორ ეჯავრება მაბეზღარები? — თქვა დამლაგებელმა, — კაბინეტში ჰყავს და კარგა გვარიანად ტუქსავს.

— დეგენერატი... — ისევ თქვა ეკამ.

გოჩა ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა, თვალები აწითლებული ჰქონდა და მიხეილი დაეკვდა, ნამტირალევი ხომ არ არისო... ვერ წარმოედგინა ამ ხნის კაცის ტირილი, ბიჭი ნაცემ ძაღლსა ჰგავდა, შემოსვლისთანავე მაგიდას მიუჯდა და კალმისტარი მოიმარჯვა, ერთხელაც არ გაუხედავს მიხეილისაკენ. ქალებმა რამდენჯერმე წამოიწყეს ლაპარაკი, მაგრამ გოჩას ყურადღება აღარ მიუქცევია.

სამსახური საცა იყო დამთავრდებოდა, ქალების ოთახში რუსიკო რომ შევიდა.

— უი, რუსიკო, შენ გენაცვალე, — გაისმა ეკას ხმა, — როგორა ხარ, გოგო, მოდი ერთი გაკოცო.

— ეჰ, როგორ ვიქნები.

— ბავშვის ფეხსაცმელი მომიტანე?

— ვერა, გოგო, ხვალისთვის შემპირდნენ, ფეხსაცმელი ვერა, მაგრამ სხვა რაღაც მოგიტანე, ისეთია, ჭკუას დაჰკარგავ... ღამის პერანგია, უცხოური...

„ისევ პერანგი“... — გაიფიქრა მიხეილმა და გაიზმორა, ამ კაცს უცებ შემოენთო ენება, ტკბილი, მომთენთავი, მხურვალე, ისე მხურვალე, რომ იგრძნო, როგორ მოძრაობდა სისხლი ძარღვებში, ცხელი სისხლი, რომელსაც გული, როგორც შადრევანს, დინჯად და მძლავრად ჰფანტავდა მთელ სხეულში.

— რა ლამაზია, ღმერთო ჩემო, — ამბობდა ეკა.

— გადასარევია, გოგო, გადასარევი, — პასუხობდა იზოლდა, — მარტო ეს ერთი მოიტანე, რუსიკო?

„სამსახური დამთავრდება და პერანგს გაისინჯავს... — ფიქრობდა მიხეილი, — რამდენი წუთი დარჩა, ნეტავი? — საათს დახედა, — ხუთი წუთი, მხოლოდ ხუთი წუთი“...

გოჩა კი კვლავ თავჩაღუნული მუშაობდა.

„იქნებ სამსახურის მერეც აპირებს დარჩენას? — გაიფიქრა მიხეილმა, — ისე ჩაჰკირკიტებს, მგონი დარჩენას აპირებს, მივალ და ვეტყვი წავიდეს, მაგრამ როგორ ვუთხრა“?

მერე მოიფიქრა, რაც უნდა ეთქვა და გოჩას მიუახლოდდა.

— ბიჭო, გოჩა, ასე ანერვიულება გაგონილა? — ქალებს რომ არ გაეგონთ, ხმადაბლა უთხრა.

გოჩას ხმა არ ამოუღია.

— წადი ახლა შინ და დაისვენე.

— უნდა დავრჩე, — თქვა გოჩამ, — წეღან გავცდი.

— წადი, ბიჭო, შენთვის ახლა სიმშვიდეა საჭირო, — უთხრა და უცებ გაახსენდა, ეს ბიჭი დაწინაურებაზე რომ ოცნებობდა, — იცი, რა გადაგწყვეტე, გოჩა? დირექტორთან შევალ და ვეტყვი, დაგაწინაუროს.

გოჩა უცებ შეტოკდა.

მიზანში მოვახვედრეო, — გაიფიქრა მიხეილმა.

— ვითომ რატომ არ უნდა დაგაწინაუროს, რამდენი ხანია რაც აქ მუშაობ.

— სამი წელი, ბატონო მიხეილ, — აორთოლებული ხმით თქვა გოჩამ.

— სამი წელი კარგა გვარიანი დროა, ხვალ აუცილებლად შევალ და ვეტყვი, დაგაწინაუროს.

— მერე? — დაეკვდა გოჩა, — დაგიჯერებთ ვითომ თქვენ დირექტორი? მიხეილმა იუკადრისა.

— როგორ არ დამიჯერებს, კაცო, სულაც ჩემი ნება არ არის? ჩემს სექტორში შემოდიხარ...

გოჩა ამ ამბავმა შესძრა.

„კუდი რომ ჰქონდეს, აუცილებლად გააქიცინებდა“, — გაიფიქრა მიხეილმა და წარმოუდგენლად შესძულდა ეს ბიჭი.

— წადი ახლა, გოჩა, ბევრი ინერვიულე შენ დღეს...

— კარგად იყავით, ბატონო მიხეილ, — თქვა და მოკრძალებით შეხედა თვა-

---

ჯუმბერ ტიკარაძე
ბერგიეა

ლებში, მერე ფეხაკრეფით გაემართა კარისკენ.

მიხეილმა ფრთხილად გადარაზა ოთახის კარი შიგნიდან.

5

— კაცები წავიდნენ, თუ იცი? — იკითხა ეკამ.

— წავალ, ვნახავ, — უპასუხა იზოლდამ.

მიხეილი გატრუნული იჯდა მაგიდასთან, წინასწარვე ტკბებოდა იმ ამბით, რაც რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ვნებააშლილ მამაკაცს აზროვნების უნარი დაჰკარგოდა, თითქოს ღრმა ბუნაწში იყო გახვეული, არაფერი აღარ ახსოვდა, არც საკუთარი თავი, არც წარსული თუ ყოველდღიური საზრუნავი, თითქოს საერთოდ აღარ არსებობდა, მხოლოდ და მხოლოდ ის იცოდა, რომ ცოტა ხნის მერე ეკა პერანგს გაისინჯავდა, ისევ დაინახავდა დედეშობილა ლამაზ ქალს, ისევ აკაკშკაშებდა ქალი ოთახს, აბრდღვიალებდა და ძნელი იქნებოდა ქალისათვის თვალის გასწორება, ძნელი იქნებოდა, მაგრამ მიხეილი მაინც ვერ მოაცილებდა მზერას, ეს სულ რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაგრამ დრო ნელა გადიოდა, ნელა, ძალზე ნელა...

მიხეილმა გაიგონა, გარედან კარს რომ მოაწვნენ და შეკრთა, მაგრამ უმალვე გამოერკვა, მიხვდა იზოლდა იქნებოდა.

— წასულან კაცები? — იკითხა მერე ეკამ.

— კი, წასულან, — გასძახა იზოლდამ და გადაიკისკისა ცივი, ამაზრზენი ხმით, მიხეილმა უცებ იგრძნო შიშველ სხეულზე ჭინჭრის სიმწვავე, მეტისმეტად ბოროტად მოეჩვენა ეს სიცილი და გაქრა წელანდელი ტკბილი, ვნებიანი ბურუსი. დიდხანს კისკისებდა იზოლდა.

— რა მოგვიდა, გოგო? — გაისმა ეკას ხმა.

იზოლდა არ ცხრებოდა, ახლა უფრო ცივი ხმითა და ამაზრზენად კისკისებდა.

— ხომ არ გაგიჟდი, გოგო, შენ...

— წასულან კაცები, წასულან... — თქვა იზოლდამ, მერე ღრმად ჩაისუნთქა და ისევ აკისკისდა.

— რა მოგდის, იზოლდა.

— წასულან, ეკა, წასულან...

მერე სიწყნარე ჩამოვარდა კედელს მიღმა, მძიმე სიჩუმე, იზოლდა აღარ იცინოდა.

— რა გაცინებდა, გოგო?

— არაფერი, — თქვა იზოლდამ, — კაცები წასულან.

— რუსიკო, შენი ჭირიმე, მომაწოდე ერთი პერანგი.

მიხეილი ფრთხილი მოძრაობით უახლოვდებოდა ჭუჭრუტანას, ხუთი ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო და კილომეტრებად ეჩვენებოდა ეს მანძილი, ნელა მიდიოდა, ფეხაკრეფით, ბორძიკ-ბორძიკ, თითქოს სხეულს წონა დაჰკარგვოდა, საშინელი იყო ეს შეგრძნება — უწონობის განცდა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა, ერთი ნაბიჯი... ორი... სამი... კიდევ ერთი ნაბიჯი და აი, კედელი, მაგრამ ჭუჭრუტანა სადღაა...

„ჭუჭრუტანა, ჭუჭრუტანა...“ — გაუელვა გუნებაში და კედელს მიაბჯინა ჩაწითლებული თვალება, სისხლისფერი და დაძაბული, ხაფანგში გაბმული ნადირისა...

კედელს მიღმა ქალების საუბარი ისმოდა, მაგრამ მიხეილი ვერ იგებდა, რას ლაპარაკობდნენ ისინი, თავბრუ ეხვეოდა, მერე ხელები შუბლზე მიიჭირა, ნებისყოფის წარმოუდგენელი დაძაბვა დასჭირდა, რათა გამორკვეულიყო, ზამბარასავით დაიჭიმა და ბოლოს, როგორც იქნა დამშვიდდა, შუბლიდან ხელები მოიშორა და კედელს შეხედა.

ჭუჭრუტანა აღარ იყო, ამოეკოლათ, ამოეკოლათ თეირი ქაღალდით. კვლავ ჩამოწვა ამაზრზენი ბურუსი, კვლავ უმარავმა ჭინჭარმა დაუსუსხა სხეული... რამდენიმე წუთს უგონოდ იყო, ბოლოს გულის აჩქარებულმა დაგადუგმა გამოარკვია, ბურუსი გაიფანტა და გაიფიქრა:

„ამოუქოლავთ, ჭუჭრუტანა ამოუქოლავთ...“

ამის გაფიქრებამ უცნაურად დაამშვიდა, არასდროს განეცადა ასეთი მტკივნეული სიმშვიდე, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი იშლებოდა და ახლა ყველაფერი სულერთი იყო.

— გოგო, დროზე გაიხადე კაბა, — იცნო იზოლდას ხმა და აშკარად ჩაესმა თხელი კაბის შრიალი, უეცრად დაიკრაკა ის წელანდელი მტკივნეული სიმშვიდე და მოხდა უცნაური რამ — გაქრა თხელი კედელი, რომელიც ამ ოთახებს ჰყოფდა... მიხელი თვალწინავე ხედავდა, როგორ იხდიდა ეკა კაბას, აა, გაიხადა კიდეც და მოისროლა, მერე პერანგის გახდაც დაიწყო, ნელა აცურდა პერანგის ბოლო, გამოჩნდა მუხლები, მენჯი, მოკლე ქვედა საცვალი, ოდნავამობურცული მუცელი, აზღუდშემოტმასნილი მაღალი მკერდი და უცებ რძისფერი, ლამაზი ქალი თვალისმომჭრელად აგიზგიზდა...

— რა ტანი გაქვს, გოგო, რა ტანი!... — გაისმა იზოლდას ხმა და მიხელმა კვლავ შენიშნა თხელი კედელი, რომელიც ამ ოთახებს ჰყოფდა ერთმანეთისაგან.

— რა მოგდის, შენ, გოგო, პირველად ხომ არა მხედავ...

— რა ტანი გაქვს, გოგო, რა ტანი... — აღარ ცხრებოდა იზოლდა.

— რა მოგდის, შენ, ხომ არ შეიშალე...

— იცი რა, ეკა, გაგონილი გექნება, რომ ზოგჯერ ქალიც განიცდის ქალის სილამაზეს, აი, ასე ვარ მე ახლა.

ეკამ გაიცინა.

— ვეღარ გცნობ დღეს.

— ზოგჯერ ქალიც განიცდის, — განაგრძო ეზოლდამ, — ახლა უცხო კაცმა რომ დაგინახოს, არ გაგიკვდება?

იზოლდა ისევ წელანდელივით აკისკისდა, ცივი ხმით... ამ სიცილის მოსმენა ტვინს გაუყინავდა ადამიანს.

— გოგო, რა ჭკუაზე ხარ შენ, — თქვა რუსიკომ.

— უცხო კაცმა რომ დაგინახოს ახლა, რა მოხდება, აა... უცხო კაცი რომ გხედავდეს ახლა, რა მოუვა, აა...

იზოლდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა, სიცილი არ აძლევდა ლაპარაკის საშუალებას, მაგრამ ვერცერთს ვერ თმობდა.

— წარმოიდგინე, ახლა უცხო კაცი გიყურებს, წარმოიდგინე, რა მოუვა...

უცებ ხმა ჩაუწყდა და ხველა აუვარდა, დიდხანს ახველებდა, ეს ხმა სიცილზე უფრო ამაზრზენი იყო.

მიხეილი კი კვლავ კედელს მიღმა იდგა, ახლა აღარავითარი ვნება აღარ არსებობდა, იდგა დაჩაჩანაკებული და ციებიანივით ცახცახებდა, ნებისყოფას ძაბავდა — იქნებ როგორმე დავშვიდდეო, მაგრამ ამის უნარი არ შესწევდა, გრძნობდა, საცა იყო ღრიალს ასტეხდა, ამდავლდებოდა, როგორც ხაფანგში გაბმული ნადირი.

— ჰე, გაისინჯე ბარემ, — თქვა რუსიკომ.

— დაიცა, ჯერ არ გაისინჯო, ეკა, ლიფი გაისწორე, გოგო, — მიჯავებული ხმით თქვა იზოლდამ.

მიხეილს რეზინის ტკაცანი ჩაესმა, ამ ხმამ ცახცახი შეაჩერებინა, მაგრამ ქალი ვეღარ დაინახა, გაუვალი კედელი ვეღარ გაუჩინარდა, კაცმა წარმოიდგინა შიშველი ეკა და კვლავ ბურუსში ჩაიძირა.

— რა მკერდი გაქვს, გოგო, — თქვა უცებ იზოლდამ.

--- დედა, ღმერთო ჩემო, გაგიჟდა ეს ქალი.

— რა მკერდი გაქვს, გოგო, რა მკერდი...

— რუსიკო მიშველე, — აკივლდა ეკა, — რუსიკო, დამგლიჯა, დამგლიჯა, ამ დადარეულმა.

გაისმა ფართაფურთის ხმა, მიხეილი დაიძაბა, წარმოუდგენელი ამბავი ხდებოდა კედლის მიღმა.

— დედა, კბილები ჩამასო, რუსიკო,

ჯუმბერ ტიკარაძე
ბერგბეგა

რუსიკო, მიშველე, დროზე, რუსიკო...
— ეკა აქვითინდა.

მერე იზოლდას ქვითინის ხმაც გაისმა.

— სიცხე ექნება, ამ უბედურს, იწვის, — თქვა რუსიკომ, — გავარვარებული, ეს საცოდავი.

— დამგლიჯა, დედა, დამგლიჯა.

იზოლდა ისევ აქვითინდა, მერე წამოხტა.

— არ გაუშვა, გოგო, შიშველი ვარ, არ გაუშვა.

გასაღებმა გაიჩხაკუნა, კარის მიჯახუნების ხმაც გაისმა, იზოლდამ ბაკაბუკით ჩაირბინა დერეფანში, მერე რუსიკომ კარი ჩარაზა შიგნიდან.

— დედა, — კვნესოდა ეკა, — რა მიქნა ეს, ვაიმე დედა, დედა, დედიკო, რა მიქნა, დამგლიჯა, დამგლიჯა...

— სიცხე ექნებოდა, — თქვა რუსიკომ, გავარვარებული იყო..

მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

მიხეილმა რომ აზრი მოიკრიფა, უკვე დაღამებულიყო და კაცს შეეშინდა ამ სიჩუმისა და სიბნელის; ღარ ახსოვდა, როდის დაჯდა მაგიდასთან, ვეღარც ის გაიხსენა, ქალები როდის წასულიყვნენ. უცებ წამოდგა და სკამი ბრახაბრუხით მოისროლა, მერე ჩაიჩოქა, ერთ ხანს ასე იყო მუხლმოდრეკილი, მორწმუნესავით, წარმართივით... ბოლოს იატაკს დაახალა თავი, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ტკივილი ესიამოვნა.

„სიზმარი იყო, ყველაფერი სიზმარი იყო, სიზმარი... თუმცა, ჭუჭრუტანა ვნახო ერთი, მართლა ამოქოლილია თუ მომეჩვენა“...

კედელს ბანცან-ბანცალით მიუახლოვდა და ჭუჭრუტანაში ჩატენილი ქაღალდი ამოაძრო.

„ სიზმარი არ ყოფილა, — დაასკვნა მიხეილმა, — ყველაფერი ცხადი იყო, ყველაფერი“...

თითების ნელი მოძრაობით გახსნა ქაღალდი. იმ ქაღალდში კიდევ იდო სხვა ქაღალდი, რომელზეც რაღაც ეწერა.

მიხეილმა ასანთი გაპარა [illegible] ღალდს დახედა, ვერ მიხვდა რა [illegible] წაკითხვით კი წაიკითხა, მაგრამ შინაარსი ვერ გამოიტანა.

ნებისყოფის წარმოუდგენელი ძაძაბა[illegible] დასჭირდა, რომ გაერჩია რა ეწერა ქაღალდზე.

„ბილწო ბერბიჭავ, — ამოიკითხა მიხეილმა, — საძაგელო, ბილწო, ბილწო ბერბიჭავ“...

6

ჰაერი ისე ჩამოიხუთა, რომ ხალხს სიარული უჭირდა.

ქალაქს ბუღი ასდიოდა.

უკვე კარგა ხნის შებინდებული იყო, მაგრამ მაინც ვერაფერი ეშველა ამ ჯოჯოხეთურ სიცხეს, იფიქრებდი, ცოტაც და ხეებს ხანძარი ააგზგზგზებს, ხეებსაც და შენობებსაცო.

ასფალტი ღუმელივით იყო, თითქოს გზგზგზებდა კიდეც...

მიხეილი კი ვერ გრძნობდა ამ სიცხეს, ნელა მიაბიჯებდა, უფრო სწორად მიბობდავდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ქვეწარმავლად ქცეულიყო და თავადვე ზარავდა საკუთარი ცივი სხეული... გონება უეცრად დაუბნელდებოდა ხოლმე და ვეღარ აზროვნებდა, მერე ცოტა ხანი გავიდოდა და კვლავ უბრუნდებოდა აზროვნების უნარი, მერე კვლავ უბნელდებოდა გონება და ასე გრძელდებოდა განუწყვეტლივ, ეს ზღვის მოქცევასა და მოქცევასავით ხდებოდა. ხელში ქაღალდის ნაგლეჯი ეჭირა და წარამარა ბუტბუტებდა:

— ბილწო, ბერბიჭავ, საძაგელო, ბილწო, ბილწო ბერბიჭავ...

გამვლელები გაოცებით შესცქეროდნენ მიხეილს და მგონი უმეტესობა ფიქრობდა, მზემ თუ დაჯაკა ამ უბედურსო...

პირველად რომ ამოიკითხა ნაწერი იქ, ბიბლიოთეკაში, არაფერი უგრძნია, მაშინ მისთვის სულერთი იყო, რა ეწერა ქაღალდის ნაგლეჯზე და ისიც სულერთი იყო, ვის ეხებოდა ეს ნაწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე კი, უცებ რატომღაც ბავშვობა გაახსენდა — სოფელი, ოდასახლები, წისქვილი და მდინარე, რომელიც სოფელს ჩაპოუდიოდა, მდინარემ ის ამბავი მოაგონა, ერთხელ კინაღამ რომ დაიხრჩო, უცნაურად მოენატრა სოფელიც, ოდასახლებიც, წისქვილიც, მდინარეც, ყველაზე მეტად კი ის წუთები, როცა იხრჩობოდა და გაუელვა — ნეტავ, ვის უნდა დაეწერა ეს სიტყვებიო... ვის და, რა თქმა უნდა, იზოლდასო... მერე და რას მერჩისო... და სოცარი ის იყო, რომ მიხეილს ახლა იზოლდა აღარ ეზიზღებოდა.

ბოლოს ის წუთებიც გაიხსენა, ჭუჭრუტანასთან რომ იდგა ხოლმე და ეკას შესცქეროდა.

მიხეილს ყოველთვის მოსწონდა თავისი თავი და ყველაფერი ის, რასაც კი მოიმოქმედებდა, თუმცა ბევრი ისეთი რამ ჰქონდა ჩადენილი, ვერავის რომ ვერ გაუმხელდა, მაგრამ ეს ყველაფერი ქალების სიყვარულის გამო მოსდიოდა და სინდისიც არ ქეჯნდა, რადგან დარწმუნებული იყო, ქალის გულისათვის ყველაფერი შეიძლება მოიმოქმედო კაცმაო...

გონება კი ხან კვლავ უწინდებურად უბნელდებოდა და ხან ისევ უბრუნდებოდა აზროვნების უნარი, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ სტოვებდა — ეს იყო სინდისის ქეჯნა მთელი თავისი გრძელი სიცოცხლის გამო და უკვალოდ გაქრობის სურვილი, უკვალოდ გაუჩინარებისა წარსულით, დღევანდელობითა და ყველაფრით, რაც კი მის სიცოცხლესთან იყო დაკავშირებული; არასოდეს განუცდია საკუთარი თავის მიმართ ასეთი ზიზღისა და სიბრალულის გრძნობა.

ეზოში რომ შედიოდა, ვერაფრით ვერ გაიხსენა, სად იყო, ან რამდენ ხანს იარა.

ეზო მუხლების ცახცახით ჩაიარა და კიბეს აუყვა. მეზობლები მიხეილის დანახვამ განაკვირფრა.

— ეს მიხეილია?

— არა, კაცო, მიხეილი როგორ იქნება.

— რა დაგემართა, მიხეილს ვედარ ცნობ, შე ქალო...

—მიხეილს კი ვცნობ, კაცო, მარა ასე რამ მოაბერა.

— მართლაც საკვირველია.

— კაცო, მე დღეს დილით დავინახე და როგორც ყოველთვის, ისე მიდიოდა, ახალგაზრდულად...

— საცოდავს რამე შეემთხვეოდა.

მიხეილი კი ქლოშინით ადიოდა კიბეზე და ბაიბურშიც არ იყო, რა მითქმა-მოთქმა გამოიწვია მეზობლებში.

ოთახში შესვლისთანავე სარკელი გამოაღო და მტკვარს გადახედა.

ოთახში ბნელოდა. საწოლთან მივიდა და ტანზე გაუხდელად მიეგდო. უმალვე ჩაეძინა.

საშინელი სიზმარი ეზმანა მიხეილს. თითქოს სადღაც, ტყეში, დაბურული ხეების ძირას წევს. ბნელი ღამე იყო, შემზარავი... და გრძნობდა, რაღაც უბედურება უნდა შემემთხვესო... ეს წინაგრძნობა ტვინს ულრღნიდა, წამოდგომა სურდა, რომ სადმე შორს, ძალიან შორს გადაკარგულიყო, მაგრამ ხელფეხი შებორკილივითა ჰქონდა და არ ემორჩილებოდა. უცებ მკერდზე რაღაც პატარა ტანის არსება დაახტა, ახტა და დახტა ის პატარა არსება, ახტა და დახტა, თან წიოდა, მერე წივილი შესწყვიტა და დაილაპარაკა:

— ჰი, ჰი, ჰი... მე მაჯლაჯუნა ვარ... მაჯლაჯუნა და შენთან მოვედი, უნდა გაგგუდო, გაგგუდავ, გაგგუდავ...

მერე მაჯლაჯუნამ მიხეილის მკერდიდან ფეხებზე ისკუპა და მუხლებზე შემოაჯდა.

— გაგგუდავ, ბატონო მიხეილ, მოთმინება იქონიე და გაგგუდავ, ჩემი ხმა ხომ არ გეცნობა, ბატონო მიხეილ.

— მეცნობა, — წამოიკნავლა მიხეილმა.

— გეცნობა და მით უკეთესი, მით უკეთესი, ბატონო მიხეილ, მაინც გაგგუდავ. ჰი, ჰი, ჰი...

ჯუმბერ ტიკარაძე
ბერბიშა

მაჯლაჯუნამ ბანჯგვლიანი ხელები წინ გამოიშვირა, მიხეილი თვალებგაფართოებული შესცქეროდა, ხელები თანდათან იზრდებოდა და ახლოვდებოდა... სოცარიდ დაგრძელდა, დაგრძელდა და ყელს მისწვდა, ყანყრატოს... და მარწუხებივით შემოეკვლო, ბრეყაულები სულ უფრო და უფრო ღრმად ესობოდა... სუნთქვა გაუძნელდა მიხეილს, ვიხრჩობიო — სურდა ეყვირა, მაგრამ ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებდა, და როცა იფიქრა აღსასრული დღე დამიდგაო, მაჯლაჯუნამ ბრეყაულები შეუშვა, მიხეილმა ღრმად ჩაისუნთქა სუფთა, ცივი ჰაერი...

მერე უცებ ქალის კისკისის ხმა ჩაესმა, ცივი, ამაზრზენი, საშინელი...

— მიხეილ, მიხეილ, უჰ, უკაცრავად, ბატონო მიხეილ, მე იზოლდა ვარ, შემომხედე? აბა, თუ მიცნობ, შემომხედე...

იზოლდა მუცელზე გადასჯდომოდა მიხეილს, პერანგის ამარა იყო და ფერდებზე საშინელი ძალით უჭერდა გამხმარ ბარძაყებს.

— მიცანი ხომ? მითხარი, მიცანი თუ არა.

— ვიცანი, — უთხრა მიხეილმა.

— მე იზოლდა ვარ, იზოლდა, იზოლდა... წეღან მაჯლაჯუნა ვიყავი და მინდოდა გამეგუდე, გაგგუდავდი კიდეც, მაგრამ ქალად ვიქეცი და აღარ გაგგუდავ, წეღან მაჯლაჯუნა ვიყავი, ახლა იზოლდა ვარ.

ქალმა ხელები ცხვირთან მიუტანა.

— უსუნე, ბატონო მიხეილ, ამ ხელებს, უსუნე, ერთხელ კიდევ უსუნე, გრძნობ თუ არა ეკას მკერდის სურნელს, გრძნობ თუ არა, ჰი, ჰი, ჰი...

მიხეილს ღრიალით გამოეღვიძა და ფეხზე წამოიკრა. გვიან მიხედა, რომ სიზმარში ყოფილიყო, ხელში ის ქალალდის ნაგლეჯი შერჩენოდა, დანაკუწა და მოისროლა, უცებ იატაკზე ასოები აბრდღვიალდა:

„ბილწო ბერბიჭავ, სძაგელო, ბილწო, ბილწო ბერბიჭავ“...

ერთხანს გახევებული იდგა, მერე ოთახს მოავლო თვალი და სარკეში რაფაზე ლარნაკი დაინახა.

„ვარდები, ვარდებს რა უნდა აქ“...— გაიფიქრა და ფეხაკრეფით წავიდა ლარნაკისკენ, მოკუნტულიყო, წელში მოგრეხილიყო, ხელები წინ გაეწიროთ და ისე მიდიოდა, თითქოს ლარნაკს კი არა, სარკმლის რაფაზე შემომჯდარ რომელიღაც ფრინველს ეპარებოდა და ეშინოდა არ გაფრენოდა, ეს კაცი ახლა ნადირს ჰგავდა, დამშეულ ნადირს, მსხვერპლს რომ ეპარება...

სარკმლის რაფას რომ მიაღწია, უცებ სტაცა ხელი ლარნაკს, ზემოთ ასწია და ღონივრად ფოსოროლა სარკმელს ძიღმა, ამან უეცრად დაამშვიდა და სარკმლიდან დადიოდა, ლარნაკის ნამსხვრევები და ვარდები ქვაფენილზე ეყარა, ქუჩის მეორე მხარეს კი მტკვარი გატრუნულიყო, დიდხანს გადასცქეროდა მდინარეს, ბოლოს მიბრუნდა, სინათლე აანთო და სარკესთან მივიდა, დაკვირვებით შეათვალიერა თავისი გარეგნობა, არ მოეწონა მხრებში რომ მოხრილიყო, ბეჭები შეათამაშა და გაიმართა.

„ხვალ დათას ცოლი მოჰყავს, — საოცარი სიზუსტით ამუშავდა უცებ გონება, — ღმერთო ჩემო, რა ჰქვია იმ ღედაკაცს? ჰო, მართა, მართა... რაო, რას ამბობდა დათა, რომელ საათზე მოდითო? ორზე, ორ საათზე... მერე მილიციაში ვარ მისასვლელი, პასპორტი ხვალ იქნება მზად, მერე ზეგ, შვიდ საათზე, ზინას უნდა შევხვდე უნივერსიტეტის ბაღთან, კარგია, ქმარს რომ გაეყარა“...

ოთახში მოულოდნელად დაიწკრიალა ზარმა.

„ვინ უნდა იყოს..“ — გაიფიქრა მიხეილმა.

კართან მეზობლის დედაკაცი იდგა.

— იცით რა, ბატონო მიხეილ, — თქვა მან, — წეღან ვიღაც ქალმა წერილი დაგიტოვათ.

— გმადლობთ, — უთხრა მიხეილმა და კონვერტი გამოართვა.

ჯერ წერილის ბოლოს მოავლო თვა-

ლი, „იზოლდა“ — ამოიკითხა და გაოცებისაგან პირი დაღო.

„მიხეილ!

ალბათ გაგიკვირდება ეს წერილი... წერილიც გაგიკვირდება და ბევრი სხვა რამეც, რასაც გიგებ. რამდენი ხანია, თუ გახსოვს, რაც მე ბიბლიოთეკაში ვმუშაობ? რამდენი და ათი წელი, ზუსტად ათი წელია და მოსვლის პირველი დღეებიდანვე შემიყვარდი, დიახ, შემიყვარდი უგონოდ. დიდხანს ვმალავდი და ვიტანჯებოდი. ეს სიყვარული რომ არ გეგრძნო, საზიზღრად გექცეოდი; დიდხანს ვმალავდი, მაგრამ ახლა ვეღარ შევძელი... მე შენი ყველაფერი ვიცი, ყოველი ნაბიჯი, ვიცი, რომ ეკაზე ჰკარგავდი ჭკუას, ისიც ვიცი სხვა ქალებთანაც რომ დადიოდი, ყველგან აჩრდილივით დადგევდი უკან, ჯაშუშურად... ჭუჭრუტანის საიდუმლოებაც ვიცი, მაშინ ეკა ნახევრადშიშველი რომ იდგა ოთახში, ვიცოდი, რომ უთვალთვალებდი და ნერვებმა მიმტყუნა, მეც გავიხადე და გვერდით ამოვუდექი. ღმერთო ჩემო, რა საზიზღრობა იყო... ყველაფერი ჩემდაუნებურად მოხდა, ანგარიშმიუცემლად. იმ წუთებში დამთხვეულივით ვიყავი, მერე კი უცებ მივხვდი, რა ავრძენი შენ, როცა მშვენიერება და სიმახინჯე, ჯოჯოხეთი და სამოთხე ერთად, ერთმანეთის გვერდით დაინახე.

ალადამიანურმა სიყვარულმა და ტანჯვამ, რომელიც ყოველ წუთს მჯიჯგნიდა, უგუნურებამდე მიმიყვანა, ტანჯვა ტანჯვის წილ, გადავწყვიტე მე, უბედურმა, ტანჯვა ტანჯვის წილ... თუმცა ვიცოდი, რომ შენ არავითარი დანაშაული არ მიგიძღოდა... დიდი ხნის გადაწყვეტილი მქონდა და დღეს შევასრულე, ჭუჭრუტანა ამოვქმელე, დარწმუნებული ვიყავი ტანჯვას მოგაყენებდა ის ამბავი, რომ შენი საიდუმლო სხვამაც იცოდა, ვიცოდი ის ნაწერიც გაგტანჯავდა და წინასწარვე ვზეიმობდი. მაშინაც ვზეიმობდი, როცა შენ კედელს მიღმა იდექი, ამოქოლილ ჭუჭრუტანასთან, ვზეიმობდი, მაგრამ ეს პირველი და უკანასკნელი ზეიმიც ჩამშხამდა. ეკა რომ გაშიშვლდა, ვიგრძენი, ამ ქალის ჯოჯოხეთური სილამაზე კედელს მიღმაც ფეხზე ნათლივ გამოჩნდებოდა და შურისძიება გადავწყვიტე, მკერდზე ვებღდვენი, ვიფიქრე, ფრჩხილებით დავაგლეჯ იმ ლამაზ ძუძუებს-მეთქი, მაგრამ აქაც დავმარცხდი, ღმერთო ჩემო, რა დამმართა მაშინ, ეკას რომ ვებღდვენი, ღმერთო ჩემო, უეცრად თითქოს მამაკაცად ვიქეცი, გამაბრუა ქალის მკერდმა, წონასწორობიდან გამომიყვანა და დამარტიანა, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, მაპატიე, მიხეილ, ყველაფერი მომიტევე, გთხოვ, ძალიან გთხოვ“...

7

მიხეილი იმ დილით ყველაზე ადრე გამოცხადდა ბიბლიოთეკაში.

შინიდან რომ გამოვიდა და ეზო ჩაიარა, მეზობლები კვლავ განცვიფრდნენ, ეს კაცი ისევ ჩვეულებრივად მიაბიჯებდა, ახალგაზრდულად და მსუბუქად.

წუხელ, იმ წერილის წაკითხვამ პირველად აიფორიაქა მიხეილი, მერე ღრმად რომ ჩაფიქრდა, მამაკაცური სიამაყის გრძნობა დაეუფლა, დიახ, იგი ქალს უყვარდა, უყვარდა მტანჯველად, წლების მანძილზე და ამ გრძნობას — ზვიად ბატონსა და მბრძანებელს, მთლიანად გაეპარტახებინა ქალი, დაემორჩილებინა, დაღუპვის პირამდე მიეყვანა და მიხეილს, ადრე ყოველთვის აუტანელ არსებად რომ მიაჩნდა ის ქალი და სძულდა კიდეც, მოეჩვენა, არც ისე აუტანელი უნდა იყოსო... ცოტა გამხდარია, თორემ სხვა მხრივ რა უჭირს, მგონი ლამაზი თვალებიც კი უნდა ჰქონდეს.

წერილის წაკითხვის შემდეგ ტანთ გაიხადა და ჩაიძინა, ღრმა ძილით ეძინა და დილით, როგორც ყოველთვის, შვიდ საათზე გამოეღვიძა.

პირს როცა იბანდა, გაიფიქრა — კიღევ კარგი ჭუჭრუტანა იზოლდას რომ ამოუქოლავს, თორემ სხვას რომ გაეგო, ხომ დავიღუპებოდით.

ჯუმბერ ჩიკარაძე
ბერბიჭა

მიხეილი, საერთოდ, ჯანმრთელი და მძლავრი ნებისყოფის ადამიანი გახლდათ და წინა დღის ნერვიულობამ კვალიც ვერ დაატყო.

ბიბლიოთეკაში მხოლოდ დამლაგებელი დახვდა.

„საცაა იზოლდაც მოვა, — გაიფიქრა მიხეილმა, — რა უნდა ეუთხრა ამ ქალს? გაჩუმება არ ივარგებს, თქმით კი... თქმით... არა, გაჩუმება არ ივარგებს“.

უცებ ეკა ბასსენდა და გული ჩაწყდა, ვეღარ წარმოედგინა, რა მოხდებოდა რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა სამსახურში იზოლდა მოვიდოდა.

მიხეილს თავსამტვრევი გაუჩნდა, დიდხანს ფიქრობდა, მაგრამ ვერაფერი იღონა და გადაწყვიტა — რაც იქნება, იქნება, ბედს მივენდობიო...

მალე გოჩაც მოვიდა, ბიუს თვალები უბრწყინვნდა, გახარებული ჩანდა და ეტყობოდა სხვისთვისაც სურდა გაეზიარებინა სიხარულის მიზეზი.

მიხეილს არაფერი უკითხავს, იფიქრა — თუ სათქმელი აქვს რამე, თავადვე მეტყვისო. გოჩამ ერთხანს იცქმუტა, მერე თქვა:

— ბატონო მიხეილ, წუხელ ნატასთან ვიყავი ოჯახში.

— ნატა ვიღაა, — ჰკითხა მიხეილმა.

— ნატა, კაცო, ჩემი საცოლე...

— აა...

— პირველად ვიყავი, არ მივყვებოდი, მაგრამ ძალით წამიყვანა, კინაღამ გავგიჟდი, ისეთი ოჯახი ჰქონია.

— თქვენს შორის რამე ხომ არ მომხდარა... — დაინტერესდა მიხეილი.

— მაინც რა...

— რა და ქალ-ვაჟს შორის რომ ხდება.

გოჩა წამოწითლდა.

— უჰ, არა, მაგას როგორ ვაკადრებ, ძალიან კარგი ოჯახი აქვთ.

— ბედში ჩავარდნილხარ და ის არის...

— მერე მშობლებს აღარ იკითხავ? მიმიყვანა ნატამ და პირდაპირ განაცხადა· იცნობდეთ, ეს გოჩაა. ერთმანეთი გვიყვარს და მალე ხელსაც მოვაწერთ. მამა ახალგაზრდა კაცია, დოქტორ, ოდე თვეში სადოქტორისაც დაიცავს, დედაც მეცნიერ-მუშაკია.

„ნეტავი, ლამაზი თუა ის გოგო“... — ფიქრობდა მიხეილი, გოჩამ რომ უთხრა:

— აი, ბატონო მიხეილ, ნატას სურათი...

ლამაზი გოგონა ჩანდა ნატა, სურათში თვალები ეშმაკურად უელვარებდა.

„ბედი ჰქონია ამ ბედოვლათს“... — დაასკვნა მიხეილმა.

— ბატონო მიხეილ, დირექტორთან ხომ არ ყოფილხართ?

— არა, დირექტორთან რა მინდოდა...

— ვეტყვი დაგაწონაურისო, რომ შემპირდით...

— დაწინაურება რაღად გინდა, ბიჭო, ისეთ ოჯახში შედიხარ...

— უნერხულია, ბატონო მიხეილ... რიგითი ბიბლიოთეკარი... რას იფიქრებენ ნატას მშობლები, მითუმეტეს, რომ უკვე განვაცხადე კიდეც: სექტორის გამგე ვარ-მეთქი.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, სამსახურში ხომ არ მოვლენ და შეგამოწმებენ, მართლა სექტორის გამგეა თუ არაო...

გოჩა განაწყენდა.

სამსახურის დაწყებიდან საათზე მეტი დრო გავიდა, გვერდითა ოთახის ქალები კი ჯერაც არ მოსულიყვნენ. მიხეილს კვლავ იზოლდასთან შეხვედრა აფრთხობდა და საქმეს გულს ვერ უდებდა. მერე ტელეფონმა დაიწკრიალა და ყურმილი გოჩამ აიღო.

— ბატონო მიხეილ, მგონი ეკაა და თქვენ დაელაპარაკეთ, მე ხმას აღარ ვცემ, გუშინდელი ჩხუბის შემდეგ...

ეკას ხმა შეცვლოდა და აღელვებულიც იყო.

— ბატონო მიხეილ, ერთ საათს კიდევ დამაგვიანდება, ერთ საათს...

— რა მოხდა, ეკა, რა ამბავია.

— საშინელი ამბავი მოხდა, ბატონო მიხეილ, საშინელი, დედა, დედა, დედა...

— რა იყო, გოგო, დალაგვბი მოჰყევი.

— დედა, დედა, ბატონო მიხეილ, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინელებაა, საშინელება.. .იზოლდაა ძალიან ცუდად.

— რა მოუვიდა... — შეცბა მიხეილი.

— ძალიან ცუდად არის, ბატონო მიხეილ, ძალიან ცუდად... მოვალ და მერე გეტყვით, ახლა არ შემიძლია.

„სიცხიანის ნაბოდვარი იქნებოდა ის წერილი, გამაკამპულავა თუ რა არის, დალახვროს ეშმაკმა, კაცი ვერ მიხვდება“. — გაიფიქრა მიხეილმა. მერე ჟუკრუტანას გახედა.

„სულაც ამოვქოლავ, ცემენტს მოვიტან და ამოვქოლავ“...

ამ გადაწყვეტილებამ სიმშვიდე მოჰგვარა და საქმეს შეუდგა.

კარი რომ გაიღო და სიმონი შემოვიდა, მიხეილი განცვიფრებული დარჩა, ჯერ ერთი მეგობრის ასე უდროო დროს მოსვლამ გააოცა, მერე კი იმან, რომ სიმონი გამალებით ქშინავდა, იფიქრებდი, ამ კაცს რამდენიმე კილომეტრი შეუსვენებლივ გამოუობენიაო, შესვლისთანავე ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლით დაცვარული შუბლი შეიწმინდა, სალამიც არ უთქვამს, მივიდა და ზედ მაგიდაზე წამოუსკუპდა მიხეილს.

— რა ამბავია? — დაინტერესდა მიხეილი.

— მშვიდობა, — მიუგო სიმონმა, — მოსაწვევი გიშოვე, კაცო, რა მოსაწვევია, რა მოსაწვევი... ჭკუის დაკარგავ...

„გამოთაყვანებულან უცოლო ბერიკაცები, — ზიზღით გაიფიქრა გონამ — საქმე არა აქვთ და ღობე-ყორეს ედებიან, ამა, ჭკუაზე მყოფი კაცი მოსაწვევების კოლექციის შეგროვებას დაიწყებს? ეს მეორე უარესია, სამკერდე ნიშნების კოლექციას აგროვებს, ფუჭ, ოჯახი მაგათ არ აწუხებთ და არაფერი“.

— რა მოსაწვევია? — იკითხა მიხეილმა.

— გაგიჟდები, ბიჭო, — სიმონმა ფრთხილად ამოიღო ჯიბიდან მოსაწვევი.

— მაჩვენე! — წაეტანა მიხეილი.

— დაიცა, ჯერ გითხრა, როდინდელია თუ იცი...

— დროზე მაჩვენე... — მოთმინება დაჰკარგა მიხეილმა.

— მადროვე, კაცო, ფუტურისტებისდროინდელია.

— ფუტურისტებისდროინდელი?

— ჰო, ქართველი ფუტურისტების დაბეჭდილია.

მიხეილი მოსაწვევს დასცქეროდა და ერთ ხანს ხმას ვერ იღებდა, ისე იყო აღფრთოვანებული.

— მართლაც დიდებული რამაა... — თქვა ბოლოს.

— აბა, — დაეთანხმა სიმონი, — წუხელ ერთ კარგ პურ-მარილად დამიჯდა ეს მოსაწვევი.

„ყეყეჩები“... — გაიფიქრა გონამ.

— კომიტეტში ვიყავი გუშინ, — თქვა სიმონმა, — ჩვენი გამოფენის თაობაზე.

— მერე?

— აუცილებლად მოგიწყობთო... ოღონდ ცოტა არ იყოს დათას კოლექცია აეკვები, მარტო შიშველი ქალების გამოფენა უხერხულია, სხვა ნიმუშებიც გაუერიოსო...

— მაგას რა უნდა, სხვა ნახატებიც ვიშოვოთ.

— ეეჰ, — ამოიოხრა სიმონმა, — გამოასულელა იმ დედაკაცმა, გამოფენაზე უარს იტყვის, აი, ნახე, ასე თუ არ მოხდეს, დღეს რომ მივალთ, აუცილებლად გამოვართვათ ის ნახატები. წავედი...

— რა გეჩქარება, — უთხრა მიხეილმა.

— ქვეყნის საქმე მაქვს, ორ საათზე დათასთან ვიკრიბებით, არ დაგავიწყდეს. — თქვა და ფართოფურთით წავიდა კარისკენ.

„რა მოსაწვევია? — ფიქრობდა მიხეილი, — ნეტავი, ჩემს გარდა სხვა ვინმეც თუ აგროვებს მოსაწვევების კოლექციას, არა მგონია, სხვებიც რომ აგროვებდნენ, აუცილებლად გავიგებდი“.

ჯუმბერ ციციშვილის
ბერბიჭა

დერეფანში ქალის ფეხსაცმლის ბაკაბუკი გაისმა.

„ეკაა“... —ფეხის ხმაზე იცნო მიხეილმა ქალი.

ეკამ კარი შემოაღო. ნამტირალევი ჩანდა, ქუთუთოები დასიებოდა და ჩასწითლებოდა, გულიც ამოვარდნაზე ჰქონდა და ღრმად სუნთქავდა.

— დედა, დედა, საცოდაობა მოხდა, ბატონო მიხეილ, საცოდაობა. — თქვა და ხმამაღლა აქვითინდა.

დიდხანს ქვითინებდა, ცრემლმა დაუნამა ღაწვები, სახე, კისერი.

— თქვი, ეკა, რა მოხდა, — წამოიძახა მიხეილმა, — თქვი...

— უბედურება, უბედურება... —ტირილით თქვა ქალმა, — დედა, დედა, უბედური იზოლდა; უბედური, უბედური...

— რა მოუვიდა, — შეცვლილი ხმით იკითხა მიხეილმა.

— საგიჟეთში დააწვინეს, საგიჟეთში... — ქალს ისტერიული ტირილი აუვარდა.

მიხეილმა ირგვლივ მიმოიხედა, დაკვირვებით შეათვალიერა ოთახი, სარკმლიდან მზერა სქელტანიან წიგნებზე გადაიტანა, რატომღაც მხოლოდ ახლადა შეამჩნია, რომ წიგნის თაროები იატაკთან იწყებოდა და ჭერთან თავდებოდა, გაუკვირდა, ამდენი ხანია აქ ვმუშაობ და ეს აქამდე როგორ ვერ შევნიშნეო...

გოჩა მოკუნტული იჯდა, თვალსაც არ ახამხამებდა.

ეკა ალარ ქვითინებდა, მაგრამ სახე კვლავ ცრემლის მსხვილი წვეთებით ჰქონდა დაცვარული.

მიხეილმა ეკას გადახედა და ახლა ამან განაცვიფრა — ამ ქალს მომწვანო თვალები ჰქონია, მე კი შავი მახსოვდაო. მერე იზოლდას თვალების ფერის გახსენება მოინდომა, მაგრამ ვერ შესძლო და ეკას მიუბრუნდა:

— როგორ მომხდარა ეგ ამბავი...

ეკა გვიან გამოერკვა.

— წუხელ გამხდარა ცუდად.

„მგონი მოლურჯო თვალები უნდა ჰქონდეს იზოლდას“... — გაიფიქრა მიხეილმა და ეკას შეხედა.

— წუხელ?

— ჰო, დღეს დილით დამირეკა დედამისმა საავადმყოფოდან, მივედი და იზოლდამ რომ დამინახა, წვივილი ასტეხა: ჩემი მტერია, მოკვლავ, მოკვლავო...

ეკა კვლავ აქვითინდა.

— ღმერთო ჩემო, რიკულებიან ოთახში მოუთავსებიათ... წუხელ, შინ რომ მისულა, მეხუთე სართულზე ცხოვრობს, ყველაფერი ეზომში გადაუყრია: ტელევიზორი, რადიომიმღები, სკამები... დედამისი გვიან დაბრუნებულა სამსახურიდან. ის უბედური თურმე მთელ ღამეს გაიძახოდა: ვიღაც კაცი მყავს მოსაკლავი, მიყვარს და იმიტომ უნდა მოვკლაო... დღეს მეც გავიგონე როგორ წიოდა, მიყვარს და უნდა მოვკლაო, სახელს არ ვიტყვი, თორემ სხვა ვინმე მოკლავსო...

უეცრად მიხეილს ქვითევანი მოენატრა, ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი ქვითევანი კი არა, ახლა რომ იყო ისეთი — მაღალი, ტანწვრილი, თმაჯაღარა ქალი, ახალგაზრდული, საოცრად მშვიდი თვალები რომ ჰქონდა, ქალი, რომელიც ამ ახალგაზრდული, წყნარი თვალების მეოხებით ყველგან საოცარ სიმშვიდესა და სიწყნარეს ამეფებდა, ყველგან, ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდა.

8

მართა სქელი, ფაშფაშა დედაკაცი აღმოჩნდა და ეს ამბავი არც სიმონს გაჰკვირვებია და არც მიხეილს, რადგან მშვენივრად იცოდნენ დათას გემოვნება.

დათა საოცრად აცეტებულიყო. ეს-დროული კაცი თექვსმეტი წლის ბიჭს დამსგავსებოდა, ჩაცმითაც კარგად ეცვა, საუცხოოდ გამოწყობილიყო, ახალი კოსტუმი, ეტყობოდა, საგანგებოდ ამ დღისათვის შეეძინა.

მართაც დიდებულად იყო გამოპრანჭული, თეთრი სადეფოფლო კაბა ეცვა.

ხელი რომ მოაწვრეს, დათამ იქვე იკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჯიბეზე ხელი, ფართო ოქროს ბეჭედი ამოიღო და მართას მარჯვენა ხელის შუა თითზე წამოაცვა, ქალის შუა თითზე ორი ბეჭედი აელვარდა და იქ მყოფები მიხვდნენ, რომ ერთი მათგანი პირველი ქმრის ნაჩუქარი უნდა ყოფილიყო. ეს ამბავი დათამ, რა თქმა უნდა, აღრევე იცოდა და მართას უთხრა:

— ეგ მეორე ბეჭედი უნდა გადავაგდოთ, ჩემო მართა.

მერე ქალი მიიზიდა, ეამბორა და უთხრა:

— ბეჭებზე შემომხვიე ხელი, ჩემო მართა, ბეჭებზე...

მართამ სურვილი აუსრულა და დათამ ისევ აკოცა, უცებ ქალს ღაპაღუპით ჩამოცვივდა ცრემლი და თქვა:

— ბედნიერი ვარ, ჩემო დათა, ბედნიერი...

„ფუჭ, საძაგლობაა". — გაიფიქრა მიხეილმა.

მერე, უფრო მოგვიანებით, სიმონი და მიხეილი ამ ამბავს რომ იხსენებდნენ, გაიცინა — თურმე სიმონსაც ასეთივე რამ გაუფიქრია დათასა და მართას საქციელზე.

მიხეილსა და სიმონს იმ დღეს ბევრი რამ განაცვიფრებდათ და პირველი გაოცება დათასა და მართას საქციელმა გამოიწვია, მეორე კი რამდენიმე წუთის შემდეგ მოხდა. ხელისმოწერის ცერემონიალი რომ დამთავრდა და ქუჩაში გამოვიდნენ, ეტლი დაინახეს, კოფოზე შემოსკუპებული მეეტლე დათას მიესალმა და უთხრა:

— კინაღამ არ დავიგვიანე, კაცო? სხვა ნეფე-დედოფალიც მივიყვანე შინ.

— არა უშავს რა, — თქვა დათამ და სიმონსა და მიხეილს მიუბრუნდა, — აბა, ბიჭებო, ჩავჯდეთ ეტლში.

— უხერხულია, კაცო, ხალხი რას იტყვის, ქვეყნის ნაცნობები დაგვინახავენ, — იუარა სიმონმა.

ეტლში ჩაჯდომაზე მიხეილმაც უარი განაცხადა.

— დამიჯერეთ, ბიჭებო, — თქვა დათამ, — თორემ წაიშლება ჩვენი ძმობა.

„ჩვენი ძმობა ისედაც არ წაიშლება", — გაიფიქრა მიხეილმა და სიმონს გადახედა. მგონი სიმონმაც ასევე გაიფიქრა.

რაღას იზამდნენ, იმ დღეს დათას ბედნიერების დღე იყო და მეგობრის ყოველი ნება-სურვილი უნდა შეესრულებინათ, ნეფე-დედოფალი და მაყრიონი ეტლში მოთავსდა.

ეტლი ზანზალაკების ჟღარუნით დაიძრა მზით განათებულ ქუჩებში.

სიმონი და მიხეილი გულში ნატრობდნენ — ნეტავი, ღამე მაინც იყოსო...

ხიდს „რომ უახლოვდებოდნენ, დათამ უთხრა მართას:

— აბა, ჩემო მართა, მოიძრე ერთი ეგ ბეჭედი...

— რომელი? — ჰკითხა მართამ.

— რომელი და პირველი, მტკვარში უნდა გადავაგდო.

— დათა, — შეევედრა მართა,—შენი ჭირიმე, დათა, თუ ჩემი ხათრი გაქვს, მაგას ნუ იზამ.

ქალი დათასთან ვერაფერს გახდა და ბეჭედი გაუწოდა, ეტლი ხიდზე რომ გადდიოდა, დათამ ბეჭედი მოისროლა და მტკვარში ჩაადგო, ცოტა ხნის შემდეგ კი თქვა:

— ჩემო მართა, ახლა მაკოცე, თორემ ვიფიქრებ, განაწყენებული ხარ-მეთქი...

9

იმ ოთახში, სადაც საპასპორტო მაგიდა იყო მოთავსებული, რიგი ტიხართან იწყებოდა, რომლის მიღმა ლურჯთვალა, ქერათმიანი ქალი იჯდა და ხალხს ახალ, კეწკეწა პასპორტებს ურიგებდა, რიგის ბოლო კი კართან თავდებოდა.

ვიღას არ შეხვდებოდით აქ, იყვნენ შუახნის ასაკს მიღწეული თუ გადაცილებული დედაკაცები და მამაკაცები, რომელთაგან ზოგს სამმიანი იერი მიეღო, ზოგს კი აშკარად ეტყობოდა, რომ თავს აბეზრებდა ეს პროცედურა, ახალ-

ეროვნული

წამოჩიტული, მოკლეკაბიანი ლორთქო გოგონები და უწყვერულვაშო ბიჭებიც იყვნენ, პირველად რომ ღებულობდნენ პასპორტს, პირველად ხდებოდნენ სრულუფლებიანი მოქალაქენი და აღბათ ეს თუ იყო იმის მიზეზი, რომ ყოველნაირად ცდილობდნენ თავი ღირსეულად დაეჭიროთ, დაკვირვებული თვალი კი აუცილებლად შენიშნავდა — ესენი თავს ზედმეტად იდინჯებენო.

მიხეილი, მიუხედავად იმისა, რომ დათას ქორწილში ღვინოს არ მისძალებია და ოთხ ჭიქაზე მეტი არ შეუსვამს, გაბრუებული იყო, უფრო სწორად ნერვებაშეშეული; დიახ, იგი მთელი დღის მანძილზე უცნაურად იყო დაქაბული, ამაში თავს არ უტყდებოდა, თუმცა გრძნობდა, ყველაფერი გუშინდელი ფათერაკის ბრალი იყო და ცდილობდა არ გახსენებოდა ის ამბავი, მაგრამ გუშინდელი დღე წარამარა ახსენებდა თავს, განსაკუთრებით აკვიატებული, სამაგელი სიტყვა „ბერბიჭა“ არ ასვენებდა და სჯეროდა, ადრე იქნებოდა თუ გვიან, ეს სიტყვა, რომლის არსებობა მისთვის გუშინდლამდე სულერთი იყო და ახლა კი ზღარბივით გასჩხეროდა ყელში და შემპარავად ეღრღნიდა გონებას, სულსა და მთელ არსებას, ადრე იქნებოდა, თუ გვიან, რაიმე მიზეზს წაიმატებდა და წაახდენდა, მუხლებზე წამოაჩოქებდა.

რიგი კი თანდათან წინ მიიწევდა.

მიხეილი კვლავ ფიქრებში იყო ჩაძირული, ქალის ხმა რომ ჩაესმა:

— თქვენი გვარი, მოქალაქეო...

— ორმოცაძე, — მიუგო მიხეილმა, — მიხეილ ორმოცაძე...

ქალმა პასპორტი მონახა და თქვა:

— აი, აქ მოაწერეთ ხელი, მერე კი თავისუფალი ბრძანდებით.

მიხეილი რომ გადიოდა, ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, ნახევარი საათის შემდეგ ისევ ამ ოთახში თუ დასჭირდებოდა მობრუნება.

ქუჩებში კვლავ ჩამოხუთული, ცხელი ამინდი იდგა, სულ ასე იყო ბოლო დღეების მანძილზე, ახლა ერთი კოკისპირული დედის რძესავით შეფრქვეულ და დასიცხულ ქალაქს, მაგრამ ცაზე ღრუბლის ნასახიც კი არა ჩანდა.

ეს ამინდი რაღა უბედურებაოო... — ფიქრობდა მიხეილი, როცა ზურგს უკან ჩაესმა:

— მიხეილ, ბატონო მიხეილ!

გოჩა იყო, გოჩა და ვიდაც გოგონა.

— იცნობდეთ, ბატონო მიხეილ, ეს ნატაა, — თქვა გოჩამ.

გოგონამ მიხეილს თეთრი, სიფრიფანა ხელი გაუწოდა.

— ნატა... მე თქვენ გიცნობთ, ბატონო მიხეილ...

მიხეილს მომთენთავმა სითბომ დაუარა მთელ სხეულში, ისეთი ტკბილი, ნაზი ხმით ლაპარაკობდა ეს გოგონა.

— მიცნობ? საიდან უნდა მიცნობდე...

— გოჩისგან, — თქვა ნატამ და უმაკო, ეშმაკური, უცნაურად მეტყველი თვალები შეანათა, — გოჩა მელაპარაკება ხოლმე თქვენზე, იცით რა? ძალიან მინდა თქვენი სამსახურის დათვალიერება.

მიხეილი უსმენდა ამ კნაკა გოგოს და უცნაური გრძნობა ეუფლებოდა, გრძნობა, რომელიც არასდროს განუცდია მთელი თავისი საკმაოდ გრძელი სიცოცხლის მანძილზე, თითქოს ნელნელა ეხილებოდა თვალი, უსმენდა და ხვდებოდა, რა უნდა ყოფილიყო ეს განცდა, დღემდე რომ არ იცოდა, თანდათან ხვდებოდა და ბოლოს შეიცნო, ეს შვილისადმი მამის სიყვარულის გრძნობა იყო, მამაშვილური განცდა. უფრო მოგვიანებით კი, შუაღამისას, წინა დღისა და დღევანდელი ფათერაკებისაგან გატანჯული რომ იწვა და ეს ამბავი მოაგონდა, უცვე მიხვდა, რატომ მოიყვანა დათამ ცოლი, კაცმა, რომელსაც დედაკაცი არასდროს ჰკლებია. დათას შვილის სიყვარულის განცდა სურდა და მიუხედავად იმისა, რომ მართას შვილი ალარ ეყოლებოდა, ცოლ-ქმარს გამოსავალი უკვე ნაპოვნი ჰქონდათ, ბავშვს იშვილებდნენ.

ნატა კვლავ განაგრძობდა:

— ძალიან მინდა და გოჩა მიშვილის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალ რა, ბიძია მიხეილ, თქვენი სამსახურის დასათვალიერებლად?

მიხეილმა თავზე გადაუსვა ხელი.

— მოდი, ნატა, აუცილებლად მოდი...

ნატა და გოჩა რომ დაშორდნენ, მიხეილს კეთილად შეშურდა გოჩასი და ეშურა ყველში ზღარბივით გაჩხერილი სიტყვა: „ბერბიჭა“.

ამ კაცის თვალწინ უცებ მთელმა განელილმა ცხოვრებამ გაირბინა, რომელიც გარეგნულად ბრჭყვიალებდა, თითქოს განუწყვეტელი დღესასწაული იყო, ასე სწამდა და სჯეროდა ყოველთვის, ახლა კი მიხვდა, ფუჭი იყო ის მარადიული დღესასწაული და ისიც იგრძნო, რომ ძალიან გვიან ჩაწვდა ყველაფერს... ბილწი, უხამსი ადამიანი იდგა ხოლმე პუპრუტანასთან, ბილწი იყო ის ადამიანი, რომელსაც ყოველთვის თან ახლდა თვითკმაყოფილების გრძნობა და ახლა მან არ იცოდა, არ შესწევდა იმის გაგებისა და მიხვედრის ძალა ან უნარი, თუ სად იყო ამ სიბილწის დასაწყისი.

ანგარიშმიუცემლად მიაბიჯებდა მიხეილ ორმოცაძე...

ანგარიშმიუცემელი იყო მისი ყოველი მოქმედება...

პასპორტიც ანგარიშმიუცემლად ამოიღო და გაშალა...

ანგარიშმიუცემლად ამოიკითხა თავისი გვარი, სახელი, დაბადების ადგილი თუ პასპორტის ნომერი...

ანგარიშმიუცემლად ამოიკითხა სიტყვა „უვადო“... ამოიკითხა და გონება ჩაეკიდა ამ სიტყვას.

„უვადო, რატომ უვადო, — არეულად დაიწყო ფიქრი, — უვადო, ანუ მუდმივი, რას ნიშნავს ეს მუდმივი პასპორტი“...

მიხეილმა უცებ რატომღაც უფრო აშკარად იგრძნო წლების სიმძიმე, ყველა დანაშაული, იდრე რომ არ აფიქრებდა და დანაშაულადაც არ მიაჩნდა, ახლა კი მყარალი ლეშივით დასწოლოდა მხრებზე და საცა იყო, გასრესდა კიდეც

„მუდმივი პასპორტი, — ფიქრობდა ის, — რატომ მომცეს ეს მუდმივი პასპორტი“?

ამ კაცის აღგზნებულმა გონებამ ეს ამბავი ახალ ფათერაკად მიიჩნია, რომელიც თავისთავად შეეზარდა წინა დღის ფათერაკს.

„ათი წლით მაინც მოეცათ, იმედი დამრჩებოდა, ახლა რწმენაც წამერთვა, აღარაფერი აღარ მრჩება, აღარაფერი“... — გაფიქრა და წარმოიდგინა, ყველა გზა მოეჭრილი მაქვსო.

მერე ახალმა ფიქრმა გაუნათა გონება და განწირულივით ჩაებღაუჭა ამ ახალ აზრს.

„წავალ და ვეტყვი ეს სიტყვა ამოშალონ, მერე ყველაფერი რიგზე იქნება“...

გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა და უკან გაბრუნდა, უკვე სწამდა, მუდმივი პასპორტია ჩემი უბედურების მიზეზი.

— ქალბატონო, — თქვა მიხეილმა, — საქმე მაქვს თქვენთან, ქალბატონო.

— ბრძანეთ... — მიუგო ქალმა.

— იცით რა, ქალბატონო, — მიხეილმა პასპორტი უჩვენა, — აი, აქ უვადო წერია.

— მერე? — განცვიფრდა ქალი. მიხეილმა ენის ბორძიკით დაიწყო:

— არ მინდა მუდმივი პასპორტი, ან გამომიცვალეთ, ანდა ვადა გამიგრძელეთ, ჩვეულებრივ, როგორც ხდება ხოლმე, ათი წლით...

ქალი გაანჩხლდა, ალბათ იფიქრა, ეს კაცი სამსახუროდ იქნება მოსულიო და ცივი ხმით განაცხადა:

— მოქალაქეე, აქ დაწესებულებაა, ხელს ნუ მიშლით...

მიხეილმა მუშტი დაიბრაგუნა მკერდზე, ისე მოულოდნელი იყო ეს მოძრაობა, რომ ქალს უეცრად გაუარა სიბრაზემ, ჯერ ფერი წაერთვა, მერე ფხუკუნი ასტეხა.

— უფროსი, — წამოიძახა მიხეილ-

ჯუმბერ ტიკარაძე
ბერბიჭა

მა, — მე თქვენ გაჩვენებთ სეირს; უფროსი სად არის.

ქალმა დაკვირვებით შეათვალიერა მიხეილი, ეტყობოდა, თანდათან ეუფლებოდა შიში.

— გვერდით ოთახში მიბრძანდით,— თქვა მან, — გვერდითა ოთახში, ბატონო...

საპასპორტო მაგიდის უფროსმა ყურადღებით მოუსმინა მიხეილს, გულდასმით კი მოუსმინა, მაგრამ უარით გაისტუმრა, თვითონ კი გაოცებული დარჩა. მერე სხვებსაც ხშირად უყვებოდა ხალმე ამ იშვიათ ამბავს.

იმ საღამოს კიდევ ერთხელ განაცვიფრა მიხეილმა მეზობლები, ახლა წუხანდელზე უფრო უარესი სანახავი იყო და გადაწყვიტეს, ხვალ დილითაც თუ ასე იქნა, მაშინ რაღად უნდა ლარი და ხაში, ნამდვილად რაღაც უბედურება შეხვედრიაო...

მეორე დილით კი ეზოში მიხეილმა კი არა, სულ სხვა არსებამ ჩაიარა, რომელიც დიდი ხნის ნაავადყოფარივით მიაბიჯებდა და მეზობლებმა გულწრფელად შეიბრალეს ეს კაცი.

ჯოჯოხეთური იყო ის ღამე მიხეილისათვის.

10

ისინი სიცხით გათანგულ ქუჩაში შეხვდნენ ერთმანეთს, ეს შეხვედრა ორივესთვის მოულოდნელი იყო, მოულოდნელი გახლდათ ქეთევანისათვის და მითუმეტეს მიხეილისათვის, რომელმაც წუხანდელი ჯოჯოხეთური ღამის შემდეგ ქეთევანის დანახვა ნამდვილ სასწაულად ჩათვალა, თუმცა მიხეილი მორწმუნე არ გახლდათ და არც არასდროს ყოფილა, მაგრამ მაინც გაიფიქრა — აქ ნამდვილად განგების ხელი ურევიაო, ეტყობა, ღმერთს მთლიანად არ გავუწირივარ და ეს ქალი გამომიგზავნა, რათა საამქვეყნოდ ვიბრუნო პირიო.

— ო, როგორა ხარ, როგორ,—ჰკითხა ქეთევანმა და დაკვირვებით შეათვალიერა კაცი.

მიხეილმა შეამჩნია, ამ ქალის მზვერავ წყნარ თვალებში შიში რომ ჩაფდგა.

— ცუდად გამოიყურები, მიხეილ, არაფერი დამიმალო, რა ამბავია შენს თავს.

მიხეილს გუშინდელი დილა მოაგონდა, ეკა იზოლდას ამბავს რომ ყვებოდა, გაახსენდა, რა ძალიან მოენატრა მაშინ ქეთევანი...

ქალი კი კვლავ შეშინებული შესცქეროდა, ბუნებრივი იყო წუხილი, რომელიც მის თვალებში ჩამდგარიყო.

— ხომ არ ავადმყოფობდი, მიხეილ, ძალიან ცუდი ფერი გაქვს...

— არა, — მიუგო მიხეილმა და მოეჩვენა, თითქოს სოფელში იყო, იმ სოფელში, სადაც ბავშვობა გაატარა, თვალნათლივ წარმოიდგინა ორღობეები და ოდასახლები, წისქვილი და ანკარა მდინარე, მერე სოფლის ზმანება გაქრა და ის საღამო გაახსენდა, ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი საღამო...

მიხეილი ხშირად შეხვედრია ქეთევანს, ყოველთვის სიამოვნებდა ამ ქალის წყნარი თვალების ცქერა და აშკარად გრძნობდა, წარსულს ვერაფრით ვერ მოვიბრუნებ უკანო, ეს ახლა უფრო მტკივნეულად განიცადა.

„ვცდებოდი, — გაიფიქრა მან, — მწარედ ვცდებოდი, წარსულის მობრუნება ადრე შესაძლებელი იყო, განსაკუთრებით კი ხუთი წელი რომ გავიდა იმ ქარიანი ღამის შემდეგ და მაშინ რომ შემხვდა.“

ქეთევანმა დიპლომი რომ მიიღო, ხუთ წელიწადს იმასწავლებლა სოფლად, მერე კი ქალაქს დაუბრუნდა და აქ განაგრძო პედაგოგობა, სწორედ მაშინ შეხვდა ერთმანეთს ქალ-ვაჟი. მიხეილი უკვე წუნიაობის სენით იყო დაავადებული, თუმცა ქალის გარეგნობასა თუ ხასიათში ოდნავი ნაკლიც ვერ აღმოაჩინა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა — წარსულის მობრუნება აღარ შეიძლებაო.

მიხეილმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ქეთევანს ხელში სანოვაგით სავსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანთა ეჭირა, ალბათ ბაზრიდან თუ ბრუნდებოდა და უთხრა:

— ქეთევან, მომეცი, მე წამოვიღებ...

ქალმა იუარა, მაგრამ მიხეილმა მანც გამოართვა ჩანთა და გზას გაუდგნენ.

— შენ რასა იქმ, როგორა ხარ?.. — იკითხა მიხეილმა.

— ეჰ, სიცოცხლე მიდის... — თქვა ქალმა.

— აბა, აბა, — დაეთანხმა მიხეილი, — კიდევ მუშაობ არა?

— პენსიაზე გავედი, — მიუგო ქალმა, — შენ?

— ვმუშაობ...

— საშინელებაა ეს უსაქმობა, — წამოიწყო ქეთევანმა, — უწინ სხვა იყო, სკოლა, ბავშვები, საზრუნავი... ახლა? ახლა აღარაფერი... თავდაპირველად ბავშვები მაკითხავდნენ ხოლმე, მასწავლებლებიც მაკითხავდნენ, დროდადრო მეც შევივლიდი სკოლაში, ახლა იშვიათად ვნახულობთ ერთმანეთს, აღარც ისინი მაკითხავენ და აღარც მე...

მიხეილი ქალს უსმენდა და გრძნობდა, როგორ ეუფლებოდა მსუბუქი სიმშვიდე, ეს ახლა აუცილებელიც იყო და ძალაუნებურად წუხანდელი ბუნდოვანი ღამე ახსენდებოდა, შუაღამისას ქუჩაში რომ გამოვიდა...

„ჰუპრუტანა უნდა ამოვქოლო“, — ფიქრობდა მიხეილი და უკაცრიელ, დაბნიდულ ქუჩებს მიჰყვებოდა.

ამ ფიქრმა მიიყვანა ქალაქის ბოლოში, მშენებლობაზე, იქ ერთ სახლთან შედგა, რომელიც ჯერ მხოლოდ მესამე სართულამდე აეყვანათ.

— ეჰეიი... — დაიყვირა და მიაყურადა, არავინ გამოპასუხებია...

— ეჰეიი... ეჰეჰეე...

ირგვლივ კვლავ სიჩუმე იდგა, მერე კი მიხეილმა ფარდული დაინახა, კარს მიადგა და ბრახაბრუნი აუყენა.

— ვინ არის... — მოესმა ფარდულიდან დარაჯის ხმა.

ფარდულში სინათლე აინთო და კარი ჭრიალით გაიღო.

— რა გინდა?

— მე, იცით რა, მე ცემენტი მჭირდება, — უთხრა მიხეილმა.

— მერე, შე კაი კაცო, რა ღ'ოს ცემენტი ამ შუაღამისას, რამდენი ტომარა გინდა...

— ასიოდე გრამი, — მიუგო მიხეილმა.

დარაჯი განცვიფრდა. ბოლოს მგონი იფიქრა — ეს კაცი ალბათ საგიჟეთიდან გამოქცეულაო... საიდანღაც კონსერვის კოლოფი გამონახა და შიგ ცემენტი ჩაყარა.

— ბარემ გახსენი კიდეც და ეგებ ქაფჩაც მიშოვო.

კაცმა ცემენტი წყალში გახსნა.

— ქაფჩა არა მაქვს, იქნებ ეს ფიცარი გამოგადგეს...

მერე ბიბლიოთეკისკენ წავიდა და ჰუპრუტანა ამოქოლა, იფიქრა, ეს დამამშვიდებსო... ჰუპრუტანა რომ ამოქოლა, მიხვდა, წარსულის ამოქოლვა შეუძლებელიაო. უცებ მუდმივი პასპორტიც გაახსენდა და უარესად აღელდა, აზროვნების უნარი დაჰკარგა, ბოლოს კი, შინ რომ დაბრუნდა, თავი დაირწმუნა — ჰუპრუტანა არ ამომიქოლავს, ნამდვილად სიზმარში ვიყავიო.

ეს ამბავი წუხელ მოხდა, შუაღამისას, ახლა კი ქეთევანი და მიხეილი მხარდამხარ მიაბიჯებდნენ, მიხეილი ქეთევანს, უსმენდა და მსუბუქი სიმშვიდით იყოინთბოდა, რაც ამ კაცს ახლა პაერივით ესაჭიროებოდა.

ქეთევანი ერთოთახიან ვიწრო ბინაში ცხოვრობდა, მიხეილს აქ ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს მორწმუნე იყო და წმიდათაწმიდა ტაძარში ინანებდა ცოდვებს, ერთხანს გარინდული იდგა და ოთახს ათვალიერებდა, მერე თქვა:

— წავალ ახლა მე, ქეთევან...

— ოჰ, მიხეილ, — თქვა ქეთევანმა,— როგორ გეკადრება, ასე უპატივისცე-

---

ჯუმბერ ჩიკარაძე
ბერბიშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდ როგორ გაგიშვებ, აი, აქ დაბრძანდი, სკამზე, მე კი, მე კი ახლავე...

მიხეილი ქალის სურვილს დაპყრა და მაგიდას მიუჯდა, ქეთევანმა უცებ გაწყო სუფრა, ბოლოს მაგიდაზე ღვინანი ბოთლი დადგა.

— ადესა ღვინოო, — გაეღიმა ქეთევანს, — მახსოვს, ახალგაზრდობისას გიყვარდა ხოლმე ღვინო.

მიხეილი უცებ მიხვდა, რაც გაახსენდა ქეთევანს და თვითონაც მოაგონდა ის ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი საღამო, მტკვრის ნაპირი, დუქანი და ერთი ბოთლი ღვინო.

— არა, — თქვა მიხეილმა, — ღვინო არასდროს მყვარებია, მაშინ კი... იმ საღამოს ჩემდაუნებურად მომინდა.

მიხეილი ქალს შესცქეროდა, გული ჩაწყვიტა ქეთევანის ჭიღარამ და დანოპებულმა სახემ, ახლა ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, როგორი იყო ეს ქალი ახალგაზრდობისას.

„თვალები კი... რა საოცარი თვალები აქვს, წყნარი, მშვიდი“... — გაიფიქრა და მიხვდა, ეს თმაჭაღარა ქალი ჩემთვის ძვირფასიაო.

— შენ გაგიმარჯოს, მიხეილ, — თქვა ქეთევანმა, — რატომღაც ძალზე ცუდად გამოიყურები, ნაავადმყოფარსა გავხარ, — მერე ჩაფიქრდა და თვალები შეანათა, — რაიმე ცუდი ამბავი ხომ არ შეგემთხვა, ნუ დამიმალავ, ხომ არ ავადმყოფობდი.

— არა, — თქვა მიხეილმა, — წლები, ქეთევან, ხომ იცი, წლები...

თავდვე გაუკვირდა, ეს რა ვთქვიო... უწინ არასდროს უგრძნია, დრო რომ გადიოდა და ასაკი ემატებოდა.

„ეჰ, დავბერდი, — გაუღლა მიხეილს, — დავბერდი“...

ასეთი რამ თავის სიცოცხლეში პირველად მხოლოდ ახლა გაიფიქრა და კვლავ ისე ჩაწყდა გული, როგორც წეღან, ქეთევანის ჭაღარასა და ნაოჭებს რომ აკვირდებოდა.

„მოდი ყველაფერს ვეტყვი, — გადაწყვიტა უცებ, — ყველაფერს უკლებლივ, იმ ჯუჯრუტანის ამბავს, მუდმივ პასპორტზეც“... — და შეიგრძნო, ეცილებელი იყო, ვინმესთვის გაეზიარებინა ის ფაფრაკები, — იმასაც ვეტყვი, როგორ მომწონდა, თუმცა მშვენიერად იცის, რომ მიყვარდა“...

ყოველივე ეს ანგარიშმიუცემლად გაიფიქრა მიხეილმა და შემდეგ იმ წუთშივე გადაივწყა.

მყუდრო და ნათელ ოთახში, გაწყობილ მაგიდასთან, ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ ქალი და კაცი, შინაპირა და ბერბიჭა და ახლა ორივე მათგანი გრძნობდა, ფუჭი იყო მათ მიერ განვლილი ცხოვრება.

უცებ მიხეილმა უთხრა ქალს:

— მერე რა ქენი, ქეთევან, პირველ გაკვეთილზე... ათქმევინე მოსწავლეს, „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“?

ქეთევანი ჩაფიქრდა... ბოლოს თვალები გაუფართოვდა, გაუნათდა, მიხვდა, რაც გახსენებოდა კაცს და აღელდა.

— ღმერთო ჩემო, რამ გაგახსენა... ბავშვნის ფიქრობდა ქალი, ,ახეზე ნათელი ეფინებოდა, ალბათ სიამოვნებას ჰგვრიდა გახსენება, მერე მზერა მიხეილს შეავლო და დაბალი ხმით წამოიწყო:

— ბართლაც ქარიანი ამინდი იყო. პირველ გაკვეთილზე რომ შევედი, როგორც ვაპირებდი, ისე მოვიქეცი, არც სია ამომიკითხავს, არც ბავშვებს გავცნობიერ, მერხებს გადავავლე თვალი და ერთი ბიჭუნა წამოვაყენე, ამბა თქვი, ბიჭიკო, „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“... ბავშვები განცვიფრებული თვალებით შემომცქეროდნენ, მერე იმ ბიჭუნამ ლექსი თქვა, — ქეთევანი ხელახლა ჩაფიქრდა, — მერე ოთახში დაიღუპა ის ბიჭი.

მიხეილს არასოდეს უგრძნია ისეთი სიმშვიდე, ამ ოთახში რომ დაეუფლა, ყველაფერი გადაავიწყდა, თითქოს ცხოვრება აქ, ამ მყუდრო ოთახში ჰქონდა გატარებული, ქეთევანის გვერდით...

„საოცარია, რა მემართება, — ფიქრობდა კაცი და ქალს თვალებში შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცქეროდა, — მაშინ კი როგორ მიჭირდა თვალის გასწორება“...

ბოლოს გამომშვიდობების დროც დადგა და ქეთევანმა კარამდე მიაცილა მიხეილი.

— კარგად იყავი, ქეთინო, — თქვა მიხეილმა.

პაღარა ტანწვრილი ქალი უცებ შეტოკდა.

— კარგად იყავი...

კაცი კიბეზე დაეშვა და თან წარიტანა იმ მსუბუქი სიმშვიდისა და სიმყუდროვის ნაწილი, რომელიც ქალის ვიწრო, ნათელ ოთახში იყო დასადგურებული.

11

მიხეილს ბაღში, დაბურული ხეების ჩრდილქვეშ ეძინა. ქეთევანის სახლიდან რომ გამოვიდა, მაშინვე ძილი მოუნდა და ბევრიც არ უფიქრია, სიცხიან ტუჩებს გაარიდა თავი და ამ ბაღში შემოვიდა, ახლა კი ძელსკამზე იჯდა და ტკბილად ეძინა.

კარგა ხანს იძინა მიხეილმა, როცა გამოიღვიძა, იგრძნო, სხეული ძალ-ღონით ავსებოდა, ამის შეგრძნებამ, რა თქმა უნდა, სიამოვნება მიანიჭა და ბაღს მოაყარა თვალი, საღამოვდებოდა.

„ზინა, ზინა უნდა მენახა დღეს“... — მოაგონდა უცებ და მიხეილ ორმოცაძის სხეულში კვლავ მისი ძველისძველი ბატონ-პატრონი და მბრძანებელი ჩასახლდა — ქალებზე ჭკუადაკარგული კაცი.

ზინა უნივერსიტეტის ბაღში ელოდა, მსუბუქი, ლურჯი კაბა ეცვა; ქალის სიმსუქნეში შესული სხეული, მკვეთრად მოხაზული ქალური ნაკვთები, თეთრი მკლავები, მხრებზე დაფენილი ქერა თმა, ლურჯი თვალები, ვნებიანი ტუჩები და მაღალი, ჩამოქნილი ფეხები მიხეილს ურეოლოდან შემოენთო და ვიდრე მიუახლოვდებოდა, შორიდანვე დარეტიანდა, ხოლო როცა მიუახლოვდა, ქალის გამაბრუებელი სურნელიც იგრძნო. კაცს ალარაფერი ახსოვდა, სამყარო ამ ქალში იწყებოდა და ამ ქალშივე მთავრდებოდა, ქვეყნად ალარაფერი არსებობდა ამ ქალის გარდა.

— ბატონო მიხეილ, — გაუწოდა ზინამ ხელი და მიხეილს დენივით დაუარა ქალის ლბილი ხელის შეხებამ, — როგორ მომანატრე თავი, როგორ... ვერც წარმოიდგენთ...

ქალი შესცქეროდა და ახლა, როცა ყველაფერი ამ ქალში იყო გაერთიანებული თუ შერწყმული, მიხეილ ორმოცაძე, კაცი, რომლისთვისაც კვლავ გრძელდებოდა მარადიული, თავბრუდამხვევი დღესასწაული, ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს ულამაზესი ქალი გახდებოდა მისი ღესასრულის მიზეზი და იმასაც ვერ იგრძნობდა, რომ ეს დღე მისთვის უკანასკნელი იყო.

ქალის ლბილი თითები კვლავ მიხეილს ეკავა ხელში.

— რამდენი ხანია აღარ მინახიხარ, უჰ. რამდენი ხანია... — ამბობდა ზინა.

მიხეილი მონუსხულივით იდგა.

— ასეთი მომზიბვლელი არასდროს ყოფილხარ, —უთხრა უცებ ქალს და ხელი შეუშვა.

ზინას ქათინაური ესიამოვნა და გაიღიმა.

— მართლა ამბობ თუ მატყუებ, ყოველ შეხვედრაზე ასე მეუბნები ხოლმე, ნუთუ ყოველთვის გულწრფელი ხარ?

— მართლა გეუბნები, — უთხრა მიხეილმა, — ყოველთვის მართალს გეუბნებოდი, დღითი დღე ლამაზდები და ლამაზდები...

„მოდი ერთი ქმარზე ვკითხავ, — გაუელვა მიხეილს, — ამბობენ კარგი ვაჟკაციაო“... და უთხრა:

— სასამართლოს ძალით გაეყარე ქმარს?

— კი,— მიუგო ზინამ, — ნუღარ გამახსენებ იმ კაცს, უმჯობესია სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, ღმერთო ჩემო, რა აუტანელი სიცხეა, სად წავიდეთ ახლა ჩვენ...

მიხეილს ჯერ კიდევ გუშინწინ ჰქონ-

ჯუმბერ ტიკარაძე
ბერბიჭა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადაწყვეტილი, ზნინას აუცილებლად შინ მივიყვანო და ახლაც ამავე აზრისა იყო.

— ჩემთან წავიდეთ, — უთხრა ქალს, — არ გინტერესებს სად ვცხოვრობ?

ზნინა თამამი ქალი გახლდათ, ზედმეტად ქალური და არც არასდროს ამბობდა უარს ამ ქვეყნიურ სიამტკბილობაზე, კარგა ხანია ქალს ეს მამაკაცი იზიდავდა და თვალში მოსდიოდა. ყოველთვის მოსწონდა მისი ყურადღებიანობა, სიამოვნებდა ქათინაურები, რომლითაც მიხეილი ამკობდა ხოლმე, გარეგნობითაც მოსაწონი იყო ეს კაცი, უხდებოდა შევერცხლილი თმა და ახალგაზრდული თვალები. ქალს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქმარი ჰყავდა, ხშირად უფიქრია მიხეილზე და ტკბილ, ვნებიან ბურუსშიც ჩაძირული. ზნინას ქალური ალღო ჰკარნახობდა, მიხეილი ძლიერი ბუნების მამაკაცი უნდა ყოფილიყო და გამოცდილებით იცოდა, არასდროს უმტყუნებდა ალღო, რომლითაც ჰარბად დაეჯილდოვინა იგი ბუნებას, ახლა კი, როცა მიხეილმა შესთავაზა, ჩემი სახლი დაათვალიერეო, ქალი მიხვდა, რა იმალებოდა ამ სიტყვებს მიღმა, რას თხოულობდა კაცი მისგან და თქვა:

— დავათვალიეროთ, რატომაც არა...

თუ ზნინას კარგად განვითარებული ქალური ალღო ჰქონდა, არც მიხეილი იყო დაჯილდოებული ნაკლები მამაკაცური ალღოთი, ისიც ხშირად წარუტაცია ტკბილ, ვნებიან მორევს ზნინას გახსენებისას, ტყუილად ხომ არ იმედოვნებდა, ხელსაყრელი ვითარება თუ შექმნა, ამ ქალთან ყველაფერს მივაღწევო და ახლა, როცა ქალმა უთხრა, დავათვალიეროთ, რატომაც არაო, მიხეილმაც აშკარად იგრძნო, რა იმალებოდა ქალის სიტყვებს მიღმა.

იმ საღამოს კიდევ ერთხელ განცვიფრდნენ მეზობლები, როცა მიხეილმა ქალის თანხლებით თავდაჯერებული, ახალგაზრდული ნაბიჯით გადასჭრა ეზო და კიბეს აუყვა, მაგრამ ეს მეზობლების უკანასკნელი განცვიფრება იყო.

—ღმერთო, რა სიმყუდროვეა, — თქვა ზნინამ, — წარმოდგენაც ძნელია, რომ აქ უცოლო კაცი ცხოვრობს.

ქალი ოთახს ათვალიერებდა, მერე მიხეილისკენ მიბრუნდა და კაცმა იგრძნო, როგორ უხმობდა ამ გამომწვევი ქალის სხეული ყოველი ნაკვთი.

— ქალის ხელი კი მაინც სჭირდება შენს ოთახს, — თქვა ზნინამ, — ცოცხი სადა გაქვს.

ზნინამ ოთახი გამოგვავა, მერე ჩვარი მონახა და ავეჯი გადაწმინდა, ოთახი თანდათან ივსებოდა ქალის სურნელით.

მიხეილი საწოლზე იჯდა, შესცქეროდა ქალს, რომელიც ოთახში ტრიალებდა და ელოდა, ტკბილი იყო დარწმუნებული მამაკაცის ეს მოლოდინი.

ოთახში უკვე კვამლივით იდგა ქალის მთორობელა სურნელი.

— აი, ახლა ამ საწერ მაგიდას შევუცვალოთ ადგილი, — თქვა ქალმა.

— არა, იყოს... — მიუგო მიხეილმა.

— ენდე ქალის გემოვნებას, — თქვა ზნინამ და გაიცინა.

„მართლაც ასე სჯობს“, — გაიფიქრა მიხეილმა, როცა მაგიდას ადგილი შეუცვალეს.

— ამა, მაინც კლებია თუ არა შენს ოთახს ქალის ხელი? — იკითხა ზნინამ და სარკმელთან მივიდა, — ღმერთო ჩემო, რა დიდებული ხედია, მტკვარი, სანაპირო, ზვივთ მთაწმინდა...

—საჭმელი არაფერი მაქვს, — თქვა მიხეილმა, — მხოლოდ კონიაკი და მოკოლადი...

— დიდებულია... — მიუგო ზნინამ.

პირველი ჭიქი ერთმანეთი ადღეგრძელეს მიხეილმა და ზნინამ, მერე ორორი ჭიქა კონიაკიც გამოცალეს და უეცრად ზნინას ცრემლი წაწყდა, მოულოდნელი იყო ქალის აცრემლება, მოულოდნელიცა და, ერთი შეხედვით, თითქოს უმიზეზოც, მაგრამ მიხეილს არ დაუშვიდებია ქალი, ეს საჭიროც არ იყო, კაცი მიხვდა, რომ ქალი ახლა აუცილებელ რიტუალს ასრულებდა ყოველივე იმის წინ, რაც უნდა მომხდარიყო. კარგა ხანს ქვითინებდა ზნინა, მერე წამოდგა, სარკესთან მივიდა, საკუთარი

გარეგნობა შეათვალიერა და სახეზე აშკარა კმაყოფილება დაეტყო. ზინამ სარკიდან შეანათა თვალები, მერე მსუბუქად შემოტრიალდა და მიხეილს ხელები მხრებზე შემოხვია. ქალის ტუჩებს ცრემლის გემო ჰქონდა.

ოთახში უკვე საკმაოდ ჩამობნელებულიყო.

მიხეილი ქალის გვერდით იწვა, მაგრამ მოხდა საოცარი ამბავი, კაცი აქამდე თუ ვნების ალმურში ცურავდა, ახლა, როცა ვნებაშლილი ქალი სულ უფრო და უფრო ეკვროდა, უცებ დაცხრა, დიახ, მიხეილს უცნაური გულგრილობა დაეუფლა და ეს მოხდა მაშინ, როცა ქალისთვის აუცილებელი იყო მამაკაცი.

ქალის ათრთოლებული სხეული მამაკაცისას გადახლართვოდა, მაგრამ მიხეილი გულგრილი იყო ყველაფრის მიმართ. მერე უცებ დაასხა ოფლმა სახეზე, მთელ სხეულზე... და მოეჩვენა, ცოტაც და ჩემსავე ოფლში ჩავიხრჩობიო. ვნებამორეული ქალი ღრმად სუნთქავდა, მისი სხეული კვლავ მამაკაცისას ჩაკვროდა. მერე უცებ მოდუნდა ქალი, ყველაფერს მიხვდა, შემზარავი იყო ამ ამბის შეგრძნება, ჯერ ნელა ჩამოუგორდა ცრემლი, მერე ნერვიულად აუცახცახდა სხეული და აქვითინდა.

მიხეილ ორმოცაძე, ქალების მოყვარული მამაკაცი, სიბნელეში აქვითინებული ქალის გვერდით იწვა და ოფლში ცურავდა. ქალის სხეული აღარ ეხებოდა მამაკაცისას, ცახცახებდა დედა შობილა, ლამაზი ქალი, მიხეილისგან კი ახლა ყველაფერი სულერთი იყო.

ბოლოს ქალსაც დაეუფლა სიმშვიდე, ერთხანს ხმისამოუღებლად იწვა, მერე კი სიცილი აუვარდა, შემზარავი, ნერვიული... მიხეილს არასოდეს მოესმინა ასეთი სიცილი, იცინოდა ქალი, დიდხანს, ნერვიულად, არაადამიანურად და საკუთარ ცრემლსა და მამაკაცის ოფლში ცურავდა, ბოლოს სიცილიც შეწყვიტა, წამოდგა და ტანთ ჩაიცვა. ეს გაწბილებული ქალი, ქვეყანას მხოლოდ ტკბობისთვის რომ მოვლენოდა, ვერა და ვერ აპატიებდა მიხეილს ყველაფერს იმას, რაც მოხდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ხმისამოუღებლად წავალ ამ სახლიდანო, მაგრამ კაცს რომ დახედა, უცებ სიბრალულით აევსო გული, ცხვირსახიცი ამოიღო და მიხეილს ოფლით დანამული შუბლი შეუწმინდა.

— დამშვიდდი, — ჩურჩულით უთხრა კაცს, — დამშვიდდი...

მიხეილი არც შერხეულა. ქალს უცებვე გაუქრა წეღანდელი სიბრალული და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

მიხეილისთვის დრო შეჩერდა.

დიდხანს იწვა განადგურებული კაცი, იწვა და აღარაფერს ფიქრობდა, ბოლოს წამოდგა, სინათლე აანთო და ტანისამოსი ჩაიცვა. მერე სარკესთან მივიდა, თავის ორეულს რომ მოკრა თვალი, სინათლე ჩააქრო და საწერ მაგიდასთან სავარძელში ჩაჯდა.

ეპილოგი

ბოლოს, როგორც იქნა, ეღირსა წვიმა დასიცხულ ქალაქს. კოკისპირულად წვიმდა და ილუმპებოდა ხეები, ილუმპებოდა მაღალი შენობები, ქუჩები, მოედნები და მტკვარიც ილუმპებოდა, წვიმდა და წვიმდა განუწყვეტლივ...

სწორედ იმ დღეს იპოვეს მიხეილ ორმოცაძე. ეს კაცი ხუთ დღეს აღარ გამოჩენილა სამსახურში, ხუთი დღე იყო, რაც მეზობლებს აღარ დაენახათ, ბოლოს მისი ოთახის კარი შეანგრიეს და ჩვენ რომ დავტოვეთ უკანასკნელად, ისეთსავე მდგომარეობაში იხილეს — მიხეილ ორმოცაძე საწერ მაგიდასთან, სავარძელში იჯდა, თავი მხრებს უკან გადავარდნოდა და ღიად დარჩენილი თვალებით შესცქეროდა ჭერს, ოთახში კი მიცვალებულის სუნი იდგა.

ჯუმბერ ფიკარაძე
ბერბიჩა

იმ დღეს წვიმდა, წვიმდა მეორე დღესაც, როცა მიხეილ ორმოცაძე უნდა დაეკრძალათ, მაგრამ კუბო სახლიდან რომ გაიტანეს, წვიმაც შეწყდა.

კუბო გაიტანეს თუ არა, ღმასკომის წარმომადგენელმა მიხეილის ოთახი დალუქა, მიცვალებულს არც ერთი ნათესავი არ აღმოაჩნდა და, რაღა თქმა უნდა, მისი ავლადიდება სახელმწიფოს დარჩებოდა. მიხეილის მეზობლებმა იფიქრეს, რაღა სხვა შემოგვისახლონ ამ ოთახშიო და ღმასკომს განცხადებით მიმართეს, ვიწროდ ვცხოვრობთ და ორმოცაძის ბინაში შეგვასახლეთო... განცხადება ჯერ მხოლოდ იმათ შეიტანეს, ვინც მართლა ვიწროდ ცხოვრობდა, შემდეგ სხვებმაც გადაწყვიტეს, მოდი, ჩვენც ვსინჯოთ, იქნებ ბედმა გაგვიღიმოსო და ატყდა ერთი ორომტრიალი, ნაცნობების შეწუხება, ერთმანეთის დაბეზღება თუ დავა, არა მე მეკუთვნის ორმოცაძის ბინა და არა მეო... მეზობლებმა ჭირის დღესავით შეიძულეს ერთმანეთი. განცხადება მხოლოდ ერთ დედაბერს არ შეუტანია, ისიც იმიტომ, რომ თურმე სიბერისაგან მეხსიერება წართმეოდა და ვეღარავის ცნობდა. ბოლოს იმ ბინაში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შეასახლეს, ქალი ფეხმძიმედ იყო და მალე მიხეილის ოთახი ბავშვის მიერ შეცნობილ პირველ დედ-სიტყვად მყარად იქცეოდა.

ამ ამბების თქმა ახლა ზედმეტი იყო, მაგრამ კაცს ზოგჯერ ენა გაგისწრებს ხოლმე წინ, უმჯობესია, კვლავ ჩვენს ამბავს მივუბრუნდეთ.

დიახ, კუბო სახლიდან გაიტანეს და წვიმაც შეწყდა, ეს ამბავი ხალხმა კეთილად მიიჩნია — ბედი ჰქონია მიხეილსო... ახლა კი მიხეილ ორმოცაძე გათხრილ სამარესთან კუბოში ესვენა. ამ კაცის ნაცნობები ყველანი აქ იყვნენ, მიცვალებულს შეეცქეროდნენ და დუმდნენ.

ბოლოს კუბოს სახურავი დააფარეს და მესაფლავეებმა სამარეში ჩაასვენეს, მერე მიწა მიაყარეს და ყველა თავისი გზით წავიდა, მხოლოდ ქეთევანი არ ჩქარობდა, ნელა მიაბიჯებდა და საფლავის წარწერებს აკვირდებოდა.

„ღმერთო ჩემო, — ფიქრობდა ქეთევანი, — ქალსა და კაცს თურმე სიკვდილის შემდეგაც ესაჭიროებათ ერთმანეთი, ერთურთის გვერდ-გვერდ განისვენებენ ცოლი და ქმარი, ცოლი და ქმარი, ეს უბედური კი... მე... მე... მე... ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო“...

მზე სასაფლაოს მიღმა ჩადიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსები ამერიკაზე

თეთრი მდინარე

იქ,
ამერიკის მობარბაცე ცათამბჯენებთან
ფეხქვეშ ირწევა
დედამიწა, როგორც გემბანი.
ცაში სართულებს
გაუმართავთ ბჭობა ღმერთებთან,
სულიერისთვის გაუგებარი.

იქ,
ამერიკის მობარბაცე მაღალ ტინებთან
გააქვთ ჩხრიალი
დოლარებს და
ლირებს,
დინარებს...
და ღვართქაფებად მოედინება
გზებზე დაყრილი
გაზეთების თეთრი მდინარე.

ჰიპეები

ძველმანი ჯინსები,
შიშველი ჭიპები...
გამხდარი კისრებით
მოდიან ჰიპები.

— ჰელოუ, ჰიპი!
— ჰელოუ, სერ!
მპასუხობს ტიპი
და მართმევს ხელს.

ხელი აქვს მხურვალე,
თვალს ახელს ძლივს...
თან მარიხუანის
სუნი სდის ჰიპს

თითქოსდა ჭაშია,
ძლივს მაწვდენს ხმას...
ბეჭებზე გაშლია
მზისფერი თმა.

შორტები,
ჯინსები,
მაღლები, წრიპები.
ლანდები, სიზმრები,
მოდიან ჰიპები.

ისე მიაბიჯებენ
თითქოს იყენენ ფორდები...
მზეზე გაშოფენილა
ამერიკის ცოდვები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტვისტი ეკლესიაში

მწუხრის ლოცვა მიინავლა დუდუნით,
მერე ბანჯოს და საყვირის გნიასში
გაბმოლეს, აასრჩოლეს თუთუნი
და გაჩაღდა ტვისტი ეკლესიაში.
თვალზე ბისტი,
ტვისტი გულ-ღვიძლს უფლითავთ,
აღარ ჰგვანან მლოცველებს და მგალობლებს...
და ძენძულა ძუძუები უბიდან
ბურთებივით ამოვარდნას ლამობენ.
არვინაა გამკითხავი,
მოკეთე, —
წმინდა ალაგს შეეშველოს,
უფაროს;
უპატრონო ეკლესიას მოხედე,
ეშმაკები შესვია, უფალო.
იგრიხება სტუდენტი და ნოქარი
ზეცისაგან,
ღვთისგან თავისუფალი...
და სარკმელთან ფეხაკრეფით მომდგარი
პირჯვარს იწერს სევდიანი უფალი.

●

კიდევ ერთი დღე
დასრულდა,
დაცხრა,
გულში კი იმ ძველ
დღეთა ღველფია;
როგორც ტალღებზე გემი ბარბაცა,
ნისლში ირწევა ფილადელფია.
არც თუ შორი და არც ისე ახლო
ოკეანიდან, გზებზე თარეშით
ქარს მოაქვს კვნესა,
რომელიც სახლობს
ნაპირზე დაყრილ თეთრ ნიჟარებში.
ჰა, კიდევ ერთი უძილო ღამე
უცხო მხარეში წამომეწია...
გულში ის ძველი შუქი ღაღანებს
და ძველ ღამეთა წმინდა ცეცხლია.
უეცრად სადღაც ავარდა ალი
და შორეული ხანძრის ალმური,
როგორც ნაცნობი ბიბილო მამლის
სასტუმროს ფანჯრებს მოელამუნა.

თენგიზ კაკუშაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ე გ ო ბ ა რ ს

იქნებ გულები შევაბარბაცოთ,
კვირტების ფეთქვის ხმის ქვეშ ვილევი,
ისევ მოვიდა, ჩემო ·ძმაკაცო,
აპრილის დილა მსუბუქ ჩრდილებით.
და ემატება აპრილს აპრილი,
წლები მიდის და ნატვრა ნელდება,
როცა მნათობთა შუქში დახრილი
ალვის ხეები გამახსენდება.
მოგონებები რასაც მიაგნებს,
რას გავუტოლოთ, სინანულს? თუ რას?
ქედების თავზე ნელი ციაგი,
დღეს ეყრება და ღამეში ცურავს.
როდის დაიწყეს ჩრდილებმა მალვა,
თქვი, როდის გაჭქრნენ? გუშინწინ? გუშინ?
ნუთუ დუდგა სიყვარულს გვალვა
და არ ბიბინეს ბალახი გულში?
და იმ დღეების ალერსის მიმნდობს,
დე, დაგრჩეს სხივი გულში რიალად,
შენ რომ შემსვდები, ვიგონებ იმ დროს,
წვიმასავით რომ გაიწკრიალა.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

დაღლილი ხელი მუხლზე დაგაყრდენ
და, შეგცქეროდი გულსელდაკრეფილს,
მუხის ფესვიდან ბებერ საყდრამდე,
ბალახის სუნთქვა მიჭქნდა ზეფირს.
მიდუდუნებდა წყალი გვიმრებთან
და ხმაურობდა წისქვილის ღარი,
ვილაცა გზაზე მიღიღინებდა,
ალბათ შუადღის სიჩუმით მთვრალი.
სივრცის ლაჟვარდი ზედ ეღვრებოდა
ტაძრის გუმბათს და გაბმულ ვენახებს,
სასინანულო რა მექნებოდა,
არ დამეკარგე ან არ მენახე.

ი ს ე ვ მ ე ო ნ ი ა

ფერები ცვდება წლის ყოველ თვეში,
დაჭიმულია წლების სარტყელი,
მოგონებების მომყვება თქვეში
და ყელში შრება ამოსათქმელი.
ისევ მგონია ხეთა რხევაში
მხრებდაშვებული ახლაც გაივლი,
ქვაფენილების ჩრდილებს შეაშრა
ნაბიჯების ხმა ექოსნაირი.
ღამე, სინათლით სავსე სახლები,
მძინარ ფოთლებში შუქის ზონარი,
იმ ღამეებით დამეთალხები,
ჩვენს სულში ცისკრად მოსაგონარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ მოლაშხია

აქ ვიხილე ტყის ფრინველი, მზის ამოსვლა საკვირველი,
ხმა პირველი მერცხლის, —
სიყვარული უნებური, გული აღუღუნებული,
როგორც შუაცეცხლი.
გადაშლილი ცა კეთილი, ურიოშო, მოწმენდილი,
ურისხველი სახით.
შეგროვილი ურმეული, დამაშვრალი გუთნეული,
მხიარული სახლი...
მე ვინც მიყვარს, — მისი მჯერა, გლეხის გული და მარჯვენა —
გაწაფული მზეში...
მინდა ვიყო იმ მზისხელა, გასაგები, ვით სიმღერა,
ვით ხალხური ლექსი.

გამთენიისას

ეს ვინ მაღვიძებს,
ვინ მეძახის, ვინ დამყიჟინებს,
თვალებს ვახელ და
ფანჯარასთან პირველ სხივს ვხედავ.
გავდივარ გარეთ,
გულს ახარებს ჩიტთა ჟივჟივი,
ეზოში ისევ
დაფუსფუსებს მოხუცი დედა.

•

მახსენდება სანახები, —
გზები, მთები და ტყიბული...
ჩემი ფიქრის ბალახები
მისი მზერით გათიბული!

ისევ ჰყვავის მზის ყვავილი,
მოდის ჟამი გასახარი..
ჩემი ძველი სიყვარული
მაგონდება, ვით ზღაპარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

•

მაინც წამართვა, თუმცა იცოდა,
ის მანიჭებდა ლამაზ სიცოცხლეს...
ღმერთკაცი დანტე არ შეიცოდა,
უბრალო მოყმეს რად შემიცოდებს!

ვერ დამაშორებ საყვარელ აჩრდილს,
ამ გამარჯვებას ვერასდროს ნახავ...
ნუთუ გგონია ცოცხალი დავრჩი!
დაუმარხავი მკვდარი ვარ ახლა.

5 დეკემბერი.

შუკო ჯიქია

•

საღამოვდება,
დასალიერზე ცეცხლისფერი კაცუნები იწყებენ ცეკვას.
მოჩანს იქამდე მოსასვლელი მათი ბილიკი,
ხოლო ბილიკი იწყება მათი ქოხის კარიდან,
ქოხს უკან მოჩანს მეჩხერი ტყე და წყლის გუბურები,
იმის იქით კი ვრცელი მინდორი გადაჭიმულა,
სად უცნაური ნადირთა ჯოგი დაბორიალობს.
მინდორის იქით გორაკების მოჩანს მშვენება;
გორაკებს მიღმა
დასალიერზე ცეცხლისფერი კაცუნები ცეკვავენ ისევ.
მე კიდევ ძალმიძს გავარჩიო მათი ბილიკიც,
რომელიც მოდის მათი ქოხიდან,
ქოხს უკან ტყე და ვრცელი მინდორი ნადირთა ჯოგით
და ის გორაკნიც,
რომელთა მიღმა
დასალიერზე კაცუნები ცეკვავენ ისევ —
უკვე შიშისმგვრელად გაფითრებულნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

აჰა, კლდეები ამექანდაკა,
დასალიერმა გადმოაცეცხლა რისხვა ერთხელაც
და მიინავლა.

ეს ერთი ღამე აქ ვესახლები.

შუაღამისას
კლდის ქიმზე დაჯდა შავი ფრინველი
და იმის ფრთაზე აირეკლა ნახევარმთვარე.

კლდისა ნაფხოჭნსა მაყრიდა
დამათუთქველად მყოვარე,
რიჟრაჟის ჟამად წაფრინდა
თან წარიტანა მთოვარე.

●

ჩვენ უცნაური ქოხი შევნიშნეთ,
ტყის შუაგულში მთოვარის შუქზე ჩანისლებული
და ჩამოვფრინდით ხის კენწეროზე,
რომ ჯერ შორიდან გვეთვალთვალა და გვეყურადა.

ქოხის კარებზე დავაკაკუნე გაუბედავად,
აღარ მოისმა სულიერის გაჭაჭანება,
მაშინ მუშტები დავუშინე და ავხმიანდი,
მერმე მივაწექ და შევამტვრიე.

ჩვენ კერიაზე ცეცხლი დავანთეთ
და ცეცხლის შუქზე
ჩემი მხლებელის სახეს შევხედე.
მეუცნაურა აწყალებული მისი თვალები,
მოციმციმენი შესაბრალისად.

ვკითხე მიზეზი
და ჰა, პასუხი, რომელიც გამცა:

ოდეს კარებზე მუშტებს ურტყამდი და ხმიანობდი,
მე მომეზმანა მანდილოსანი ამ ქოხსა შიგან,
შეშლილი სახით ბავშვი ზურგსუკან ამოიფარა
და შავ კედელზე ჯვარივით აკრულს
საცაა კარებს შეულეწავდნენ,
ბავშს დედისათვის წელზე ხელი შემოეხვია
და იღლიიდან სასოწარკვეთილ მზერას მაპყრობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

50

თავისუფალ ერთა ძმური კავშირი ძეური

ზოთა აფრიდონიძე, დავით ჯაბიძე

ბრძოლაში ნაწრთობი მეგობრობა

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილების ერთ-ერთი საფუძველია, ხანგრძლივ პერიოდში იქმნებოდა. თავდაპირველად ეს იყო რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური კავშირი უკრაინის, ბელორუსიის, კავკასიის, შუა აზიისა და სხვა ეროვნებათა მშრომელებთან, რომელიც ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე შეიქმნა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. იმ პერიოდში ყველა ეროვნების მშრომელი მასების რევოლუციური ენერგია მიმართული იყო იქითკენ, რომ დაეხსნათ ხალხთა საპყრობილე — ცარიზმი და ბურჟუაზიის ბატონობა და დამყარებინათ პროლეტარიატის დიქტატურა.

სამოქალაქო ომის წლებში შემდგომი განვითარება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა კავშირმა. შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში შეიქმნა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა საბჭოთა რესპუბლიკის მტრების განადგურებაში.

შემდგომში, საბჭოთა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის, სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაციისა და სოციალიზმის აშენების ამოცანების წარმატებით გადაჭრის საჭიროებამ გამოიწვია საბჭოთა სტრანების სახელმწიფოებრივი გაერთიანების აუცილებლობა. ამრიგად, საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანება მოითხოვა ისტორიული განვითარების ობიექტურმა მდგომარეობამ. კომუნისტურ პარტიას კარგად ესმოდა, რომ ამ ამოცანის გადაჭრისათვის საჭირო იყო საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო რესურსების უადრესად მჭიდრო გაერთიანება. ასეთ ვითარებაში შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც წარმოადგენს სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძალიერებისა და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების გადამწყვეტ ფაქტორს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა ახალი, სოციალისტური ერები. სოციალისტური ერების ჩამოყალიბება იმის დამადასტურებელია, რომ სსრ კავშირში შეიქმნა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ამ ახალ ისტორიულ ერთობაში ძირეულად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობა. მთლიანად გამარჯვდა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ სოციალიზმის დროს მოისპობა ერის შიგნით კლასთა ანტაგონიზმი და ერებს შორის მტრული დამოკიდებულება. სოციალისტური ერის დამახასიათებელი კლასობრივი ინტერესების ჰარმონიულობა, რაც უზრუნველყოფს მისი შემადგენელი სოციალური ფენების შემჭიდროებას, იდეურ და პოლიტიკურ ერთობას. ამიტომ არის რომ შინაგანი თუ საგარეო წინააღმდეგობების დაძლევისას საბჭოთა კავშირის ხალხები მოქმედებენ როგორც მთლიანი, მონოლითური ძალა.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობამ შეადუღაბა სხვადასხვა ეროვნების მშრომელი კლასების — მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი. ამ მეგობრობას აქვს მტკიცე იდეოლოგიური საფუძვლები: იგი ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებს. მისი უშუალო იდეური წყაროა პროლეტარული ინტერნაციონ-

ნალიზმი. გამოხატავს რა მთელი მსოფლიოს ხალხთა სოლიდარობას, ინტერნაციონალიზმი მოიცავს როგორც სხვადასხვა სახელმწიფოთა ეროვნებებს შორის ურთიერთობას, ისე სხვადასხვა ეროვნებათა ურთიერთობას ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. გავრცელდა რა საბჭოთა სახელმწიფოს ფარგლებში ახალი, სოციალისტური ერების ურთიერთობაზე, პროლეტარულმა ინტერნაციონალიზმმა თავისი კონკრეტული გამოხატულება პპოვა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაში.

ხალხთა მეგობრობის იდეა უპირისპირდება ნაციონალიზმის ყველა გამოვლინებას, განსაკუთრებით კი მის ყველაზე რეაქციულ, ფაშისტურ ფორმებს. მისთვის უცხოა შოვინიზმისა და რასიზმზე დაფუძნებული კაცობრძოლობის სულისკვეთება. ის საბჭოთა ხალხში ნერგავს სხვა ხალხთა უფლებების, კულტურისა და დამოუკიდებლობისადმი პატივისცემას. ამ კეთილშობილურ, ბალალ ჰუმანურ იდეებზე აღზრდილი სსრ კავშირის მშრომელები ცდილობენ ყველა ხალხთან იცხოვრონ მშვიდობისა და მეგობრობის ვითარებაში, რაც ფრონვეულოფს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო კავშირურთიერთობის გაფართოებისა და საგარეო-პოლიტიკური რეზერვების განმტკიცებას. მთელი საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური და მორალური ერთობა მოწმობს მის უდიდეს უპირატესობას კოსმოპოლიტიზმთან და ნაციონალური წინააღმდეგობებით დაძაბულებული კაპიტალისტური საზოგადოების წინაშე.

თუ რამდენად სწორი იყო კომუნისტური პარტია, როდესაც მხარი დაუჭირა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების მისწრაფებას ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებისაკენ, ნათლად დაადასტურა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობამ და დიდი სამამულო ომის წლებში ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შვილთა ერთობლივმა ბრძოლამ.

როგორც „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისთვის მზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებაშია ნათქვამი, „**სსრ კავშირის სიმტკიცის მკაცრი შემოწმება იყო დიდი სამამული ომი.** კაცობრობის ყველაზე საშიშ მტერთან — ჰიტლერულ ფაშიზმთან შეჭიდებამ ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხებს მხოლოდ კავშირით, საერთო ძალებით შეუძლიათ დაიცვან თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თავიანთი რევოლუციური მონაპოვარი. ომმა ეროვნული შეღლის გაღვივების, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს დაწლის იმედები გაუცინა მსოფლიო იმპერიალისტს. სსრ კავშირის ხალხები ერთიან მეუობრმი გმირულად იბრძოდნენ და თავდდებით შრომობდნენ სოციალისტური საშობლოს დასაცავად, მტერზე საერთო გამარჯვების მოსაპოვებლად, მთელ მსოფლიოს უჩვენეს სასწაული შეუუთვრობა და ვაეკაცობა. სამამულო ომ ისტორიულმა გამარჯვებამ მკაფიოდ გვიჩვენა, სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უპირატესობანი, სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ... და სასიცოცხლო ძალა და ურღვევობა“ (... 10-11).

საბჭოთა ხალხის ურღვევმა მეგობრობამ, ... მელმაც მშვიდობიანი სოციალისტური მშ... ლობის პერიოდში ხელი შეუწყო საბჭოთა ... ციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახ... ხო მეურნეობის განვითარებას, მეცნიერ... და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნ... ირნახულ წინსვლას, ეკონომიკაში და თავ... ცვიათი ძლიერების განმტკიცებას, ყველაზე ... მე გამოცდა გაიარა დიდი სამამული ... წლებში.

ფაშისტი აგრესორები, რომლებიც ეფ... ლად დაესხნენ თავს ჩვენს მშვიდობისმოყ... ქვეყანას; მიზნად ისახავდნენ მოესპოთ მსო... ლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოც... ლისტური სახელმწიფო, დაეპყრთ საბჭ... მიწა-წყალი, ფიზიკურად გაენადგურებინათ ... ლიონობით საბჭოთა ადამიანი და გეერმანე... თავადებისა და ბარონების მონებად გადაექცი... ცოცხლად დარჩენილნი, დაენგრიათ „...ოფ... უკრაინელთა, ბელორუსთა, ლატვიელთა, ... ვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათრთა, მო... დაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯან... თა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ... ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონ... ლური სახელმწიფოებრიობა...“ (ი. სტალინ... საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შ... ხვ, მეხუთე გამოცემა, გვ. 13.). მაშინ საბ... ეხებოდა საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ... ცოცხლეს, საქმე ეხებოდა იმას — თავისუფ... დარჩებოდნენ საბჭოთა კავშირის ხალხები ... მონობაში ჩავარდებოდნენ.

ჰიტლერული პოლიტიკა და სტრატეგია ... ბული იყო იმ ვარაუდზე, რომ სსრ კავშირ... მოუღლოდნელი, ყაჩაღური თავდასხმა უზრ... ველუოფდა მათ „ელვისებურ“ გამარჯვებ... ჰიტლერული ვეი სტრატეგები იმედოვნებდნ... რომ პირველივე სამხედრო წარუმატებლობ... შედეგად ჩვენს ქვეყანაში თავს იჩენდა კ... ფლიტი მუშათა ალსსა და კოლმეურნე გლ... ხობას შორის, დაიწყებოდა ძმათამკვლელი ... სხვადასხვა ეროვნებებს შორის და საბჭოთა ... ხელმწიფო დაემხობოდა.

მაგრამ ფაშისტი პოლიტიკოსები და სტრატ... გები სასტიკად მოტყუვდნენ. დიდი სამამულ... ომის წლებში კიდევ ეფრო განმტკიცდა მუშა... კლასისა და კოლმეურნე გლეხობის უძლეველ... კავშირი, საბჭოთა საზოგადოების მორალურ... პოლიტიკური ერთობა, სსრ კავშირის ხალ... ურღვევი მეგობრობა.

კომუნისტური პარტიის ლენინურმა ნაციონა-

ლურმა პოლტავიას ომის მრისხანე წლებში კიდევ უფრო მეტი ძალით გვიჩვენა თავისი კეთილშეფიანი შედეგები. პოლიტიკური გერმანიის მესვეურთა მზაკვრული ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ ჩვენ ქვეყნის სხვადასხვა ეროვნებებს შორის არა თუ მტრობაშ იჩინა თავი, არამედ, პირიქით, სოციალიზმის დიად მონაპოვართა დასაცავად აღსდგა ყველა საბჭოთა ხალხი. მთელი მათი შესაძლებლობა მიმართული იქნა ერთი მიზნისაკენ — ფაშიზტ დამპყრობთა გასანადგურებლად. ისტორიამ არ იცის თავისი სამშობლოსათვის ხალხის ასეთი თავდადებული ბრძოლის მეორე მაგალითი.

ბრძოლის სიმძიმეს და ომის პირველი პერიოდის წარუმატებლობამ ვერ მოდრიკა საბჭოთა ხალხი, ვერ გატეხა მისი ნებისყოფა. საბჭოთა ხალხმა ღირსეულად ჩაბარა გამოცდა. თავისი ძალა და შესაძლებლობა გვიჩვენა სოციალისტურმა მრეწველობამ, საკოლმეურნეო წყობილებამ, ხალხთა მეგობრობამ. თავისი ყოვლისმომცველი მნიშვნელობა გამოავლინა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა და წარმმართველმა როლმა. ომის მძიმე გამოცდამ პარტია კიდევ უფრო გამოაწრთო, გაამდიდრა გამოცდილებით, კიდევ უფრო სრულად გამოავლინა თავისი ორგანიზმტორული შესაძლებლობა, ხალხის ნდობისა და განუსაზღვრელი სიყვარულის მოპოვების უნარი.

კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა კავშირის ხალხები შეიმეჭიდროა ერთიან საბრძოლო ბანაკად, ჩაუნერგა მათ თავისი ძალების, მტკიცე საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენა. პარტიის იდეები და ლოზუნგები აღაფრთოვანებდა საბჭოთა ადამიანებს ფრონტსა და ზურგში, აიარაღებდა მათ ბრძოლის მიზნებისა და ამოცანების ნათელი გაგებით. საბჭოთა ხალხმა იცის, რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შესწევს უნარი გამოიყვანოს ქვეყანა ძმიმე განსაცდელიდან და მიიყვანოს გამარჯვებამდე. ხალხთან პარტიის ეს მჭიდრო ერთიანობა წარმოადგენდა მტერზე გამარჯვების უმნიშვნელოვანეს საწინდარს.

სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანების ჭეშმარიტი მეგობრობა გამოვლინდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მთა საბრძოლო მოქმედებაში. ოდესის დაცვის ძმიმე დღეებში გამანადგურებელი ავიაციის 69-ე პოლკმა შეესაბამა მიღიო ყირიმიდან. ეს იყო კაპიტან ფ. დემჩენკოს ესკადრილია, რომლის რიგებშიც იმყოფებოდა ჩვენი თანამემამულე ი. ბეროშვილი. საბჭოთა კავშირის მგრძი ალექსი ჩერეკანტენკო-ინგონეს ქართველი მფრინავი-გამანადგურებლის უკვდავ საბრძოლო ეპიზოდს: 1941 წლის 29 ავგისტოს ოდესასთან, სადგურ ეიგოფკას რაიონში შეხვედა ასეთი ბრძოლა ბრძოლაში მან თავის გაწწირვით იხსნა მეთაური: გაეცხარებულ საჰაერო ბრძოლაში ი. ბეროშვილმა შენიშნა, რომ საფრთხე ემუქრებოდა კაპიტან ფ. დემჩენკოს. დაყოვნების დრო აღარ იყო. ქართველმა ფრაცმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება — [illegible] ტარნი ფაშისტი სპეციონ პირატი და თავისი მეთაური უეცბად სიკვდილს გადაარჩინა. ამით ი. ბეროშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა საბჭოთა მეომრის დაუწერელი კანონი.

ჩვენი სამშობლოს დასავლეთ საზღვარზე ასრულებდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს და ომის პირველი დღეებიდანვე ჩაება ბრძოლაში ოცი წლის რიგითი ჯარისკაცი, ქუთაისელი ალექსანდრე შალამბერიძე. 1941 წლის ივლისის ბოლოს ასეული, რომელშიც ა. შალამბერიძე იერიტბებოდა, ერთ-ერთ უსახელო მაღლობზე გამაგრდა. გერმანელთა სარდლობამ გადაწყვეტა სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი მაღლობის ხელში ჩაგდება და მას ყველა სახის იარაღის ცეცხლი დაუშინა. საკმარო გახდა ასეულის გადმონაცემება შუალედ ზღუდეზე. ასეულის გადმონაცემების დაცვა ორ მეტყვეიამფრქვევივ — ივანე მიშაოკოსა და ალექსანდრე შალამბერიძეს დავალათ. ორი მამაცი მებრძოლი მანამდე აკავებდა გერმანელთა ჯარში ძალების შემოტეგას, ვიდრე ასეული ახალ პოზიციაზე არ გამაგრდა. ამ უთანასწორო ბრძოლაში გმირთა სიკვდილით დაეცნენ მიშაკოვი და შალამბერიძე. პოეტმა ხუტა ბერულავამ ამაღელვებელი ლექსი უძღვნა გმირულად დაღუპულ მეტყვეიამფრქვევეებს, რომელიც ასე მთავრდება:

> თვითონ წვანან ბეკრობზე,
> ბეკრობს დაბლა ვეღი ძეგს,
> მიშაკოვი მდუმარებს,
> და სდემს შალამბერიძეც.
> — უსახელო მაღლობზე
> მოიპოვეთ სახელი,
> საფლავს არ ჩაგყოლიათ
> მტრის ჯავრი და ნაღველი.
> უკვდავება თქვენია,
> არ ჩაქრება თქვენი მზე,
> ამხანაგო მიშაკოვ,
> ძმაო შალამბერიძე!

როდესაც ფაშისტთა ურდოებმა მოსკოვის მისადგომებს მიაღწიეს, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთა შვილები აღსდგენ ძის დასაცავად. სხვებთან ერთად ქართველი ხალხის მრავალი წარგზავნილი იცავდა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქს. მოსკოვისათვის დიადი ბრძოლის მონაწილენი არიან კ. ნ. ლესელიძის არტილერისტები, ბ. ბ. ჩანჩიბაძის მოტომსროლელი დივიზიის მეომრები, კ. დ. ალუხიანშვილის მეზღვაურები, მ. გ. კიკნაძისა და ა. ნაკაშიძის მეზზენტიები და მრავალი სხვა ქართველი მხედართმთავარი თუ ჯარისკაცი.

ქართველმა მშრომელებმა მოსკოვის მგრძ

ᲗᲝᲗᲐ ᲐᲤᲠᲘᲫᲝᲜᲘᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲐᲒᲠᲘᲫᲔ
ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲜᲐᲬᲠᲗᲝᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

დამცველებს საჩუქრად გაუგზავნეს №53 ჯავშნიანი მატარებელი, რომლის ეკიპაჟიც თითქმის მოლიანად ქართველებითა და საქართველოში აღზრდილი სხვა ერთა შვილებით იყო დაკომპლექტებული. მატარებლის მეთაური იყო გორელი ალექსი ჯახიური, პოლტავაში — თბილისელი ვლადიმერ პოლიუსეკი, მეთაურის მოადგილე სპარძოლო ნაწილში და პარტიული ორგანიზაციის მდივანი — თბილისელი ნიკოლაზ სპირნოვი. ეკიპაჟის შემადგენლობაში შედიოდნენ ავრეთვე პოლტაველის მოადგილე მიხეილ კრივეშეევი, დაზვერვის უფროსი ლეიტენანტი იური ბაღდოევი, სამხედრო ფერშალი გრიგოლ დოლიაე, სერჟანტები გიორგი კოკოშვილი, გრიგოლ მიიანკო, ვასილ რუცკი, მეზენინტე კ. გაბუნია, მზვერავი ალექსი ნნათობაშვილი, ქვემეხის მემეხნე ქადეიშვილი, ღარიბაშვილი, კეკპანტორაძე, ზოთა ჭელიძე და სხვები.

ჯავშნიანი მატარებლის ეკიპაჟის მრავალი წევრი მოსკოვის დაცვის დროს გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

გმირ ქალაქ სევასტოპოლს იცავდნენ სპეციალ ქვეყნის ყველა ეროვნების შვილები — რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ქართველები, აზერბაიჯანელები და უზბეკები, სომხები და თურქმენები..., იცავდნენ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლეები..., იცავდნენ სპეციალ არმიის კადრის მეომრები, ომის დაწყების შემდეგ არმიაში გაწვეულნი თუ ფრონტზე მოხალისედ წასულნი...

აი ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი:

მალახოვის ყორანის ახლოს მდებარე სკოლის დანგრეულ შენობაში ათი სპეციალ მებრძოლი ჩასაწარდა. მათ შორის იყო 13 წლის მზვერავი ვალერი ვოლკოვი. მამაცთა ამ პატარა ჯგუფმა მტრის არაერთი გაფთრებული იერიში მოიგერია და მრავალი ფაშისტი გამოასალმა წუთისოფელს. ვალერი ვოლკოვი შემთხვევით ნაპოვნ ქალაღალის ფურცლებზე უშვებდა ხელნაწერ გაზეთ „ოკოპნია პრავდას". სასწაულებრივად გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია მოსწავლის ხელით ნაწერი ამ გაზეთის ერთმა ეგზემპლარმა. მასში ვეკითხულობთ:

„მსოფლიოში არ არის ძალა, რომელსაც შეუძლია ჩვენი, სპეციალ სახელწოდების დამარცხება, რადგან ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონები ვართ, რადგან ჩვენ გვხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია.

აი, ნახეთ, ვინა ვართ ჩვენ...

აქ, 52-ე სკოლის შენობაში:

1. პოლკის მეთაური მაიორი ციდილოვი, რუსი.

2. ცხენისანი ჯარის კაპიტანი გობალაძე, ქართველი.

3. ტანკისტი, რიგითი მებრძოლი ვასილ პაუკშტატი, ლატვიელი.

4. ექიმი, სამედიცინო სამსახურის [illegible] მამედოვი, უზბეკი.

5. მფრინავი, უმცროსი ლეიტენანტი ილიტი დაუროვი, ოსი ქალიშვილი.

6. მეზღვაური იბრაგიმ იბრაგიმოვი, ყაზანელი თათარი.

7. არტილერისტი პეტრუნენკო კიევიდან, უკრაინელი.

8. სერჟანტი ბოგომოლოვი ლენინგრადიდან, რუსი.

9. მზვერავი-მყვინთავი არკადი ჟურაველიოვი ვლადივოსტოკიდან, რუსი.

10. მე, მეწყალის ვაჟი, მე-4 კლასის მოსწავლე ვოლკოვი ვალერი, რუსი.

...ძვირფასო ათეიული! ვინც გადარჩებით უკამბეი ყველას, ამ სკოლის მომავალ მოსწავლეებს, სადაც არ უნდა იყეფთ, ჩამოდით და უკამბეი ყველას, რა ხდებოდა აქ, სევასტოპოლში" (იხ. «Медаль за бой, медаль за труд», М., 1970, стр. 18-19).

ათეულში შედი ეროვნების და სხვადასხვა სამხედრო შენაერთებიდან შემთხვევით ერთად შეკრებილი მებრძოლი და ყველანი ერთი მისწრაფებით გამსჭვალულნი — რადაც არ უნდა დაუჯდეთ, არ შემოუშვან მტერი. აი, რაში მდგომარეობს საბჭოთა არმიის ძალა და ძლიერება.

სევასტოპოლის დაცვისათვის ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა შვილებთან ერთად ღირსეული წვლილი შეიტანეს ქართველმა მეომრებმაც. საქართველოში ფორმირებულ და 1941 წლის დასასრულს სევასტოპოლში გაგზავნილ 386-ე და 388-ე მსროლელ დივიზიებში 13096 ქართველი მეომარი იყო. ეკიდა ამისა, გვიჩი ჭლაქის გარნიზონის სხვა ნაწილებსა და შენაერთებში ათასობით ქართველი მეომარი ირიცხებოდა, რომელთაგა თავი ისახელეს სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებით. ალსანიშნავია, რომ სევასტოპოლის დამცველ 37 საბჭოთა კავშირის გმირ მეომართ შორის სამი ჩვენი თანამემამულეა — ნ. პ. ადამია, მ. ლ. ბახოკიძე და ა. ს. გეგეშიძე.

ყოველი საბჭოთა არმია თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალური იყო. აქ ერთძმეთის მხარდამხარ იბრძოდნენ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხთა შვილები. არმიის ასეთი შემადგენლობის საუკეთესო მაგალითია ზღვის-პირეთის ცალკე არმია, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მოქმედებდა. ამ არმიის საბრძოლო ნაწილებში 1942 წლის 20 მარტისათვის ირიცხებოდა 64971 მეომარი. აქედან რუსი იყო 28134 (43,3 პროცენტი), უკრაინელი — 15893 (24,5 პროცენტი), ქართველი — 5234 (8,0 პროცენტი), აზერბაიჯანელი — 4278 (6,6 პროცენტი), სომეხი — 3639 (5,6 პროცენტი), და სხვა ეროვნების — 7793 კაცი (12,0 პროცენტი).

სტალინგრადის რაიონში იბრძოდა მრავალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენელი. საქვეყნოდ ცნობილია „პავლოვის სახლის“ მეინერიტეტოვანი გარნიზონი, რომელიც ოცდაოთხი მებრძოლისაგან შესდგებოდა. თითქმის ორ თვეს იცავდა ასათა ეს პატარა ჯგუფი შენობას, რომელიც ფრაქციულად დიდმნიშვნელოვან უბანზე მდებარეობდა. ამ პატარა გარნიზონში იყვნენ ფეხები — იაკობ პავლოვი, ივანე აფანასიევი, ალექსეი ალექსანდროვი; უკრაინელები — ვასილ გოლუშენკო და ალექსეი ივანშენკო; ქართველი ნიკოლოზ მოსოიშვილი, უზბეკი მ. ტურდეევი, ყაზახი ტ. მურთაზაევი, ტაჯიკი კ. ტურსუნოვი, თათარი ფეიზერხმ რამაზანოვი და სხვები. ფაშისტებმა არაერთი იერიში მიიტანეს „პავლოვის სახლის“ ამ მრავალეროვანი მამაცი გარნიზონის წინააღმდეგ, მაგრამ მათი განდევნა ვერ შეძლეს.

ტალინგრადთან ერთად 1942 წლის მეორე ნახევრიდან დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობდა კავკასიისათვის. ფუეი აღმოჩნდა მტრის ცარიელი იმის შესახებ, რომ კავკასიის ხალხები ეთიოპელი აღმოჩნდებოდნენ, რომ მათ შორის ოცს ჩინეთა ეროვნული შეღლი, რაც გერმანიის არმიას გაუადილებდა სამხედრო და ეკონომიური თვალსაზრისით ამ უძნიშვნელოვანესი რაიონის ხელში ჩაგდებას. ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ ეთოიმლივე ბრძოლაში კავკასიის ხალხთა მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიჩინა. საბჭოთა მიწა-წყალს, მომავალ ხალხებთან ერთად, იცავდა კავკასიის ყველა ხალხი. 1942 წლის ივლის-აგვისტოსთვის ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებში იბრძოდა 71461 ქართველი, 75108 სომეხი და 66161 აზერბაიჯანელი მეომარი. ათეულ-ათასობით მოხალისეები ხალხიდან ეროვნულ პუნქტებში. ღრმა ზურგში ამიერკავკასიის ხალხებისაგან შეიქმნა და გაიწვრთნა ოდენ საჯარისო შენაერთები. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების აქტიური ფუნქციონერები ეროვნული საჯარისო ნაწილებში ან შენაერთები სრულად იქნა დაკომპლექტებული კავკასიის ხალხთა ენების მეოდენე პოლიტმუშაკებით და მეთაურთა ეროვნული კადრებით. ამიერკავკასიის ფრონტზე მოქმედებდა ცხრა ეროვნული დივიზია — 392-ე, 406-ე და 414-ე ქართველი, 89-ე, 408-ე და 409-ე სომხური, 223-ე, 402-ე და 416-ე აზერბაიჯანული დივიზიები და სხვა ნაწილები. ამიერკავკასიის ფრონტის ოთხად სხვა ნაწილისა და შენაერთში ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა წარმოადგენდა მეოთხედ უმრავლესობას.

ფრონტი ამიერკავკასიისა და საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხთა ერთობლივ ღონისძიებებზე დაიმარა მტრის ყველა ეარაუდი. კავკასიაში წითელარმიის გამარჯვებამ ახალი ძალიი. გამოავენა საბჭოთა კავშირის ხალხთა ულოვეები მეგობრობა. ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და კავკასიის სხვა ხალხთა შვილებმა მხარდამხარ იბრძოდნენ რუსები და უკრაინელები, ყუბანის, თერგისა და დონის კაზაკები, შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენლები, ჩვენი თვალწუდნელი საშობლოს მრავალი სხვა ხალხის შვილები. კავკასიის მთავარი ქედის ტაეეებსა და ხეებში, ყუბანისა და სტავროპოლის ველებში მათ მიერ ერთად დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო განამტკიცა და შეადეა სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანების სამეფამო მეგობრობა.

რუსეთისა და უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდავეთის, ლატვისა და ლატვიის, ესტონეთისა და კარელიის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მამაცმა შვილებმა გამოიჩინეს არნახული მასობრივი გმირობა. მარტო დნეპრისათვის წარმოებულ ბრძოლაში გმირობისა და მამაცობისათვის ჩვენი ქვეყნის 30-ზე მეტ ერისა და ეროვნების მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სამაკონო წოდება.

საბჭოთა ქვეყნის ყველა ეროვნების მეომართა ერთობლივი საბრძოლო მოქმედების შედეგად ფაშისტური ტირანიისაგან განთავისუფლებული იქნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხები.

შემდგეში, როდესაც წითელი არმია საბრძოლო მოქმედებას ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების ტერიტორიაზე აწარმოებდა, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი დარწმუნდა, თუ რამდენად მცდარი იყო ფაშისტების ვარაუდი საბჭოთა კავშირის კოსავსება და ხალხთა შორის შეტაკების გამოწვევის შესახებ. სამამეოლო ომის მძიმე წლებმა არა თუ ვერ შეარყია საბჭოთა საზოგადოების ერთობა, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა მისი სიფიცველი — მეშუთა ლსისა და გლეხობის კავშირი, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა.

საბჭოთა სახელმწიფო 1945 წლის გადამწყვეტი ბრძოლების წინ ისე მტკიცე და ერთიანი იყო, როგორც არასდროს. მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად დაუძლეველი ძალა მისცა სსრ კავშირის ხალხებს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციით შობილმა საბჭოთა წყობილებამ.

დიდ სამამეულო ომში საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და მორალურ-პოლიტიკური ერთობის შემდგომი განმტკიცება. მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი საბჭოთა მეომრების არნახული გმირობის მაგალითები. მრავალმა საბჭოთა მეომარმა საბრძოლო დავალების შესრულებისას მკერდით დაფარა მოწინააღმდგის საცეცხლე წერტილ ამბრაზურა. ამკამად ცნობილია 263 ასე-

ზოთა აფრიდონიძე, დავით ჯაბიძე
ბრძოლაში ნაწრთობი მეგობრობა

თი მეომრის სახელი. პირველად ასეთი გმირობა ჩადენილ იქნა 1941 წლის 24 ივნისს. ეს მოხდა დასავლთ უკრაინის ქ. გოროხოვში, როდესაც 124-ე მსრო�ელი დივიზიის ალუაშემორტყმული ნაწილებსა სცადეს ალყის გარღვევა. მათ გზა გადაუღობა გერმანელთა ტყვიამფრქვევის ცეცხლმა. ამ დივიზიის მეომართმა, თბილისელმა ბეგან ბესიაშვილმა ჯერ ხელყუმბარებით სცადა მოწინააღმდგის საცეცხლე წერტის აფეთქება. როდესაც ეს ვერ შესძლო, მაშინ მთელი ტანით გადაეფარა მას და თავის წინააღმდეგ ალყის გარღვევის საშუალება მისცა.

არც თუ იშვიათად მსგავს გმირობას ერთად სჩადიოდნენ ერთი შენაერთის სხვადასხვა ეროვნების მებრძოლები. 1942 წლის დეკემბერში ქ. ე. ეორშილოვის სახელობის 51-ე წითელდროშოვანმა გვარდიულმა დივიზიამ, რომელსაც გენერალ-მაიორი ნ. ტ. თავართქილაძე მეთაურობდა და რომელიც სტალინგრადის რაიონში იბრძოდა, მიიღო დავალება გადაეღახა მდინარე დონი და მის მეორე ნაპირზე დაეკავებინა სოფელი პესკოვატკა. გერმანელებს მარჯვენა ფლანგზე მოწყობილი ჰქონდათ საცეცხლე წერტები. მზვერავებმა ვერ შესძლეს მათი აფეთქება. მაშინ ექვსმა მებრძოლმა ჭურვით დაფარა და მწყობრიდან გამოიყვანა მტრის ტყვიამფრქვევები. ესენი იყვნენ:

ათეული მეთაური შალვა ივანეს ძე კიკალეიშვილი;

რიგითი მებრძოლი არმაზ ასატურის ძე სარქისოვი;

მზვერავი ოვანეს მარტიროსის ძე ოვანესიანი;

რიგითი მებრძოლი ვიქტორ სიმონის ძე სპბზარაძე;

რიგითი მებრძოლი ახმედ ალის ძე ბაბაევი;

ათეული მეთაური ახმედ ალის ძე გამბიბეღოვი.

შემდეგში მსგავსი გმირობა საბჭოთა ქვეყნის მრავალი ეროვნების შვილებმა ჩაიდინეს. მათ შორის რუსმა ა. მატროსოვმა, უკრაინელმა ა. ე. შეგჩენკომ, ესტონელმა ი. ი. ლაარმა, უზბეკმა ტ. ერკიგიტოვმა, ებრაელმა ტ. ხ. რაიზმა, ყირგიზმა ჩ. ტულეგენდიევმა, მოლდაველმა ი. ს. სოლტისმა, ყაზახმა ს. ბ. ბაიმაგამბეტოვმა, ქართველებმა — ვ. პეტრიაშვილმა, კომკავშირელმა გოგონაძ, პოლიტხელმა ალექსანდრა (შურა) ნაზაძემ, ა. ქავთარაძემ, ვ. ფარულიან, გ. მაისურაძემ, ბოლნისელმა ა. როსტომიანმა და სხვებმა. მსგავსი გმირობა ჩაიდინეს ბელორუსი, მარიელი, აზრბაიჯანელი, ბაშკირი, ბურიატი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა შვილებმა.

ბელორუს ნიკოლოზ გასტელოს მსგავსად თავისი ცეცხლმოდებული თვითმფრინავი მტრისკენ მიმართა 74 ეკიპაჟმა. მათ შორის რუსმა ლ. ი. ივანოვმა, ნ. ი. სკოვოროდინმა, ე. ვ. მიხაილოვმა, უკრაინელმა ი. ტ. ვდოვენკომ, ქართველმა ნ. გ. აბრამიშვილმა, ებრაელმა ი. ა. ირეკამა, ყაზახმა ნ. აბდირომვა და სხვ.

ხალხთა საბრძოლო მეგობრობისა [illegible] ნული შემჭიდროების ნათელ მაჩვენებელს წარ[illegible] მოადგენს შემდეგი მონაცემები: ომის წლებს[illegible] საბჭოთა კავშირის ორდენებით და მედლებ[illegible] დაჯილდოებულ იქნა 100-ზე მეტი ერისა [illegible] ეროვნების წარმომადგენელი. საბჭოთა კავშ[illegible] რის გმირთა შორის არის 8160 რუსი. 2069 უკ[illegible] რაინელი, 309 ბელორუსი, 161 თათარი, 103 [illegible] რაელი, 96 ყაზახი, 91 ქართველი, 90 სომეხ[illegible] 69 უზბეკი, 61 მორდოველი, 44 ჩუვაში, [illegible] აზერბაიჯანელი, 39 ბაშკირი, 32 ოსი, 18 მარ[illegible] ლი, 18 თურქმენი, 15 ლატვიელი, 14 ტაჯიკი, [illegible] ლატვიელი, 12 ყირგიზი, 10 კომელი, 10 [illegible] მუტტი, 9 ესტონელი, 9 კარელიელი, 8 ყალმ[illegible] ხი, 7 ყაბარდოელი, 6 ადიღეელი, 5 აფხაზი, [illegible] იაკუტი და მრავალი სხვა ეროვნების წარმომა[illegible] გენელი.

მიუხედავად წითელი არმიის მებრძოლი წარ[illegible] აღმდეგობისა, ომის პირველ პერიოდში [illegible] შისტმა დამპყრობლებმა მნიშვნელოვან წარ[illegible] ტებებს მიაღწიეს. 1942 წლის შემოდგომა[illegible] თვის გერმანელ-ფაშისტს ოკუპანტთა ფოლკვ[illegible] გმინავდა ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ბელორუ[illegible] სია, უკრაინა, მოლდავეთი, კარელია-ფინეთ[illegible] რესპუბლიკის ნაწილი, რუსეთის ფედერაციის[illegible] მთელი რიგი ოლქები და მხარეები. დაპყრ[illegible] ბილ საბჭოთა მიწა-წყალზე ოკუპანტებმა ე. წ. [illegible] „ახალი წესრიგი" — ტერორისა და ძალადობ[illegible] რეჟიმი დაამყარეს. ისინი თვითნებურად ანაწ[illegible] ლებდნენ ოკუპირებულ რაიონებს, რაც არღვევ[illegible] და საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრ[illegible] დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლ[illegible] ნობას.

ფაშისტ-დამპყრობთა მიერ დაწესებული ს[illegible] ოკუპაციო რეჟიმის მიზანი იყო საბჭოთა ა[illegible] მიანების სრული დამონება და ოკუპირებულ[illegible] ტერიტორიების გაძარცვა. ეს ხორციელდებო[illegible] გერმანელი ადმინისტრაციის, უშიშროების სა[illegible] სახლის (სდ), მეცველი რაზმების (სს), საიდ[illegible] ელი სახელმწიფო პოლიციის (გესტაპოს) ორგ[illegible] ნოებისა და რეგულარული სამხედრო ნაწილებ[illegible] მეშვეობით, რომელთაგან თითოეულს სრულ[illegible] უფლება ჰქონდა თავისი შეხედულებით გ[illegible] წორებოდა ყოველ საბჭოთა ადამიანს და ა[illegible] სათვის არავის წინაშე პასუხს არ აგებდა.

ეშინოდათ რა თავის ზურგის, დამპყრობ[illegible] ბი, ერთის მხრივ, ყველაზე ულმობელი სამ[illegible] ლებებით ცდილობდნენ გაეტეხათ ხალხის მ[illegible] ბის წინააღმდეგობა, მეორეს მხრივ კი — ცრ[illegible] პრობაგანდით მიემხროთ დაპყრობილი რაიონ[illegible] ბის მოსახლეობის ნაწილი მაინც. მოქმედებ[illegible] ნენ რა კოლონიზატორთა საყვარელი პრინ[illegible] პით „დაპყავი და იბატონე", ფაშისტები ცდ[illegible] ლობდნენ გაეჩიჩებინათ ეროვნული შუღლ[illegible] შეერყიათ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრ[illegible]

ბა. მაგრამ მათ ვერ შესძლეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეროვნული შინაომის პროვოცაციულად გამოწვევა. ჰიტლერელთა ამ ჩანდოჭქმა ვერ ჰპოვა დასაყრდენი მოსახლეობაში. ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ თავისი პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივი მარionეტული მთავრობებისა და სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციების შექმნით ეცადათ. 1942 წლის 27 ივნისს ბელორუსიის ჰიტლერელმა გენერალურმა კომისარმა კუბემ გამოსცა განკარგულება კომისარიატთან ე. წ. „ნდობის კომიტეტის“ შექმნის შესახებ. მის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა ყოფილი სლუცკელი მემამულე, შემდეგში პოლონეთში გაქცეული დენიკინის ოფიცერი, ბურჟუაზიულ-მემამულეური პოლონეთის სეიმის დეპუტატი, და, ბოლოს, გერმანიის აგენტი ოსტროვსკი. ეს ტონნეთში ოკუპანტებმა გენერალურ კომისარ ლიმანის განკარგულებით შექმნეს „ესტონელთის თვითმმართველობა“ სამშობლოს გამყოფველ, ნაციონალისტ მიაკი ხელმძღვანელობით. საოკუპაციო ხელისუფლების მითითებით თბილისში დანიშნულებრივი მოქმედება გააკეთეს ოკუპირებულ ნაციონალისტთა ბანდებმა ბანდერას, მელნიკის, ბოროვეცის ხელმძღვანელობით, რომლებიც ჯერ კიდევ ომამდე გესტაპოსა და გერმანიის სამხედრო დაზვერვის აგენტები იყვნენ.

ფაშისტურმა პროპაგანდამ დიდი ხმაური ასტეხა ახლად შექმნილი „მთავრობებისა“ და ორგანიზაციების ირგვლივ. ის ცდილობდა სამეფისე წარმოედგინა, თითქოს ამიერიდან ოკუპირებული ტერიტორიების მართვას განახორციელებდნენ „ხალხის წარმომადგენლები“. მაგრამ მათ ვერ შესძლეს შეცდომაში შეეყვანათ საბჭოთა დამპალები. ხალხმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა მოღალატენი და გამყიდველები, ჯაშუშები და ბინძური ავანტიურისტები.

ვერც ფაშისტ ოკუპანტთა ტერორმა და ძალადობამ გატეხა საბჭოთა ხალხის ნებისყოფა. ომის წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა ხალხების ძმური თანამეგობრობა. სამშობლოს სიყვარულმა, მტრის სიძულვილმა და თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის სურვილმა არნახული ენერგია შობაქრა საბჭოთა ხალხს. ფართოდ გაიშალა საყოველთაო-სახალხო ბრძოლა გერმანელ-ფაშისტთა ჯარების ზურგში. ეს გამოვლინდა სხვადასხვა ფორმით — დაწყებული საბოტაჟიდან და დამთავრებული შეიარაღებული ბრძოლით. თითოეული საბჭოთა დამპალი, რომელიც ფაშისტურ შინობაშში მოხვდა, ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა მტრის განადგურების საქმეში.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის უდიდესი ძალა გამოვლინდა საყოველთაო-სახალხო პარტიზანულ ომში, რაც ფართოდ გავრცელდა ფაშისტ-ოკუპანტთა ზურგში. სახალხო შურისმაგებელთა რიგებში იბრძოდა არა მარტო მტრის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა, არამედ დროებით ჩამოსული საბჭოთა მოქალაქეები და დასავლეთის სამხედრო ოლქების შენაერთებში სამხედრო სამსახურში მყოფი ის მეომრებიც, რომლებიც ომის პირველ ეტაპზე მტრის ზურგში აღმოჩნდნენ ან ტყეში ჩავარდნენ და შემდეგ ტყეების თავი დააღწიეს. ამიტომ იყო, რომ პარტიზანულ შენაერთებსა და რაზმებში ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების დამამიანებს ვხვდებით. მაგ. კარელიო-ფინეთის სსრ დროებით ოკუპირებულ რაიონებში მტრის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდა ჩვენი ქვეყნის 20 ერისა და ეროვნების წარმომადგენელი. სხვადასხვა ეროვნების კიდევ უფრო მეტი საბჭოთა მოქალაქე იბრძოდა უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა პარტიზანულ შენაერთებში. არასრული მონაცემებით უკრაინის 220 ათას პარტიზანს შორის იყო 36592 რუსი, 19174 ბელორუსი და 38 სხვა ეროვნების 3211 წარმომადგენელი; ბელორუს პარტიზანთა შორის 71,1 პროცენტი ბელორუსი იყო, 19,29 პროცენტი რუსი, 3,89 პროცენტი უკრაინელი, 5,72 პროცენტი ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნებათა შვილები.

მტრის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიის მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხთა შვილები პარტიზანული მოძრაობის ცნობილი ორგანიზატორები გახდნენ. მათ შორის ღირსეული ადგილი უჭირავთ ქართველ მეომრებსაც: ს. კოკუბაკის პარტიზანული შენაერთის პირველი უკრაინული პარტიზანული პოლკის მეთაურს, საბჭოთა კავშირის გმირს დავით ბაქრაძეს, ბელორუს პარტიზანთა ბრიგადების მეთაურებს ივანე შუბითიძეს და ვლადიმერ თალაკვაძეს, ყირიმის პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელებს — პეტრე გველიას, სანდრო ჩაჩხიანს, ვანო ტალახაძეს, იოსებ ჩხაიძეს, ვლადიმერ სარალიძეს და მრავალ სხვას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა ახალი ძალით გამოვლინდა უკრაინელი, ბელორუსი და მოლდაველი პარტიზანების ერთობლივ საბრძოლო მოქმედებაში. მათ მიზნად დისახეს პარტიზანული მხარის შექმნა. ბელორუსი პარტიზანების შენაერთები უკრაინელი პარტიზანებისა და ადგილობრივი მოსახლეობის თბილ და გულითად მიღებას ხვდებოდნენ. თავის მხრივ ბელორუსები ძმურად იღებდნენ უკრაინელ და მოლდაველ პარტიზანებს. ანალოგიურ ძმურ ურთიერთდახმარებას ხვდებოდნენ იმ პარტიზანული მხარის პარტიზანები, რომელიც მოიცავდა რსსკრ ორიოლის ოლქისა და უკრაინის სსრ ჩერნიგოვისა და სუმის ოლქების

ზოთა აფრიდონიძე, დავით ჯაბიძე
ბრძოლაში ნაწრთობი მეგობრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. პარტიზანული მხარეების მთელი ცხოვრება ყველა ერეკნების საბჭოთა ხალხის ერთიანობისა და ძმობის დამადასტურებელია.

თუ უცხოთის საშინდრო ინტერვენციისა და საშოქალური ომის წლებში საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ქვეყნის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობას, ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლამ წარმოშვა საბჭოთა კავშირის ხალხებისა და ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა. როგორც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა ბელგრადის ელექტრონული მრეწველობის ქარხანაში 1971 წლის 23 სექტემბერს გამართულ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში, „ბელგრადის განთავისუფლებისათვის ერთობლივ ბრძოლებში, იუგოსლავიის მაწა-წყალზე განხორციელებულ სხვა საბრძოლო ოპერაციებში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და იუგოსლავიის სახალხო არმიის საბრძოლო თანამეგობრობას“ (ვაზ. „კომუნისტი“, 1971 წ., 25 სექტემბერი). ასევე შეიძლება ითქვას საბჭოთა არმიისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების არმიების საბრძოლო თანამეგობრობაზე.

ჯერ კიდევ საბჭოთა მიწა-წყლის სრულ განთავისუფლებამდე შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში ცალკეული საჯარისო შენაერთები, რომლებიც დაკომპლექტებული იყვნენ აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა მეომრებისაგან და იბრძოდნენ წითელი არმიის მხარდასახმ. მაგ. ჯერ კიდევ კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ისახელა თავი ჩეხოსლოვაკიის ბრიგადამ, რომელსაც პოლკოვნიკი ლუდვიგ სკობოდა მეთაურობდა. ამ ბრიგადიან 138 ჯარისკაცი და ოფიცერი იქნა დაჯილდოებული სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით, ხოლო პორუჩიკ ანტონინ სოხორას და პოდპორუჩიკ რიხარდ ტესარჟიკს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. ასევე, წითელი არმიის მხარდამხარ მრავალ ბრძოლაში ისახელეს თავი პოლონელი მეომრებისაგან დაკომპლექტებულმა სამხედრო შენაერთებმა.

ომის დამამთავრებელ ეტაპზე წითელი არმია ბრძოლებს აწარმოებდა ფაშისტური მონობისაგან ევროპის ხალხთა გათავისუფლებისათვის. ევროპის ქვეყნების განმათავისუფლებელ ბრძოლებში მონაწილეობდა საბჭოთა არმიის 377 მსრო�ელი დივიზია და 34 სატანკო და მექანიზებული კორპუსი. სხვადასხვა ეროვნების ასოთამობინ საბჭოთა მეომრამ შესწირა სიცოცხლე ფაშისტური მონობისაგან ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა განთავისუფლებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ რუმინთის ტერიტორიაზე ბრძოლებში დაიღუპა 69 ათასი საბჭოთა მეომარი, უნგრეთში — 140 ათასი, ავსტრიაში — 26 ათასი, პოლონეთში — 600 ათასი, ჩეხოსლოვაკიაში — 140 ათასზე მეტი, ბერლინის ოპერაციის დროს კი — 304 ათასი კაცი. სულ ამ ბრძოლებში საბჭოთა არმიამ მოკლულთა, დაჭრილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახით დაკარგა 3 მილიონზე მეტი კაცი.

ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში წითელი არმიის სომარი მოქმედების უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ამ ქვეყნებში პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლისა და მთა მიერ ეკრანნისათვის ომის გამოცხადების შემდეგ დაიწყო სიერთიმტრის წინააღმდეგ ამ ქვეყნებისა და საბჭოთა არმიის ერთობლივი ბრძოლა. საბჭოთა არმიასთან ერთად ომის დამამთავრებელ ეტაპზე საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ბულგარეთის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი არმიების 320 ათასზე მეტი მეომარი, აგრეთვე, იუგოსლავიის სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის ათეულ-ათასობით მეომარი. ანტიფაშისტურ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა სლოვაკიის ნაციონალურმა აჯანყებამ. აჯანყებამ პრაღასა და ვარშავაში, აჯანყებამ ბულგარეთსა და რუმინეთში.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამყარებული ძმობის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობა დაფუძნებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. საბჭოთა კავშირი ცდილობს ამ ქვეყნებთან ურთიერთობაში გამორიცხოს ყოველივე, რასაც შეეძლება გამოიწვიოს კონფლიქტები, უკმაყოფილება, უნდობლობა. ამასთანავე ერთად ჩვენი პარტია ეყრდნობა თავის მდიდარ პოლიტიკურ გამოცდილებას, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველსმქო მოძღვრებას. ჯერ კიდევ 1922 წლის ოქტომბერში ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენმა გამოცდილებამ შექმნა ჩვენში ურაყეი რწმენა, რომ მხოლოდ უდიდესი ყურადღების გამორნენ სხვადასხვა ერის ინტერესებისადმი საბის ნიადაგს კონფლიქტებისათვის, საბის ურთიერთფრდობლობას, საბის ყოველგვარი ინტრიგების შიშს, ქმნის იმ ნდობას, განსაკუთრებით სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მუშებისა და გლეხების მხრივ, ურომლისოდ. ამსოლუტურად შეუძლებელია როგორც მშვიდობიანი ურთიერთობა ხალხებს შორის, ისე რამდენადმე წარმატებითი განვითარება ყოველივე იმისა, რაც კი საგულისხმო რამ არის თანამედროვე ცივილიზაციაში“ (ხხზ. ტ. 33, გვ. 456).

დიდი ლენინის ამ ანდერძის შესრულება გაადვილებელია იმით, რომ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე აზიის სოციალისტურ სახელმწიფოებში ხელმძღვანელ როლს ასრულებენ კომუნისტური და მუშათა-პარტიები, რომლებთანაც სკკ პარტიას აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიაზე დაფუძნებული მიზნებისა და მისწრაფებების ერთობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ბიჟი ვარლოსანიძე

ბეჭვის ხიდი

„ნუ გეშინია, დედა!“ ყანრული და სტილური ნიშანთვისებებით, იდეურ-ეთიკური და მხატვრულ-ესთეტიკური მიზანდასახულობით, მასში გამოხატული მწერლის პოზიციით მის წინამორბედ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება. ნოდარ დუმბაძე რომანიდან რომანში ერთგული რჩება თავისი შემოქმედებითი ამოცანებისა, თავისი თვითყოფილი ხელწერისა. პოეტური განცდა, ლირიკული ჭვრეტა, სინამდვილის იუმორისტულ-დრამატული აღქმა, ოპტიმიზმი და ადამიანურობა — ეს ის თვისებებია, რაც ნ. დუმბაძის რომანების და, მათ შორის, „ნუ გეშინია, დედა!“, ერსს შეადგენს.

როგორც ნ. დუმბაძის ყველა სხვა რომანში, აქაც ყურადღების ცენტრში დგას მოზარდი, ყმაწვილი კაცი, რომელსაც ცხოვრების ფართო გზაზე გამოსვლამდე ბევრი ძნელად საკალი ბილიკისა და ნარ-ეკლიანი მაძიერის გადალახვა მოელის. აკეთო ჯაყელი ღვიძილ ძმა არის ზურიკელსი, სოსოანი და თემერ ბარამიძის. მათ თანაზიარი ბედი გააჩნიათ. ისინი ომლობაში დაიზჩარდნენ. ზურიკელას ბებია პატრონობდა, სოსოას — მამიდა, თემერი ღვთის ანაბარა იყო მიტოვებული, ხოლო აკეთო ჯაყელს ნუგეში ბაბუმისია. მოზარდის ადამიანად ფორმირების პროცესი ურთულესია, მით უფრო რთულია ეს ობლისათვის. აეტორი სწორედ, ამ რთული გზის გადმოცემას ესწრაფვის. ამასთანავე, ობლის მიმართ საზოგადოების პასუხისმგებლობა ორმაგად და სამმაგად იზრდება. ჯაყელისაგმი დამოკიდებულებაში კარგად მოჩანს ადამიანების მორალური სახე.

ზურიკელა და თემური უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ. სოსოიას მხოლოდ სოფლის საშუალო სკოლის დამთავრება მოასწრო; ავთანდილ ჯაყელი სამედიცინოზე ამარბდა, მაგრამ ჩაიჭრა და ჯარში გაიწყვიტა. ჯარიდან იგი ბრუნდება დავაყცებული, „კაცად ქცეული“. მატარებელში მძინარე ავთოს გარდაცვლილი დედის აჩრდილი გამოეცხადება. დედას ედარდება შვილი, რადგან იცის, რომ ავთოს ჯერ კიდევ შორი გზა აქვს გასავლელი. კიდევ დიდხანს გაგიჭირდება, შვილო, ჯერ პატარა ხარო, — ეუბნება დედა. მაგრამ ავთო აღარე ისე პატარაა, ცუდსა და კარგს ვერ არჩევდეს. მან ცხოვრების კარგი წრეთაბა გაიარა, ამიტომ სწორია დედის ეს შეგონებაც: შენ უნდა იცოდე უკვე. სათ მიდიხარ, რა გინდა, რას ამირებ, რა უნდა გამოზვიდე, კაცი თუ პირუტყეიო. დედისათვის უკვე ნათელია შვილის გზა, მისი ბედი. უკვე იცის დ გუმანით გრძნობს, რაც უნდა მის პირმშოს, რომ იგი ბრუდე გზით არ წავა და გულს იმშვიდებს. დაწყნარდი, შვილო, მე უკვე ვხვდები, რა გინდა. მე წავალ ახლო.

„— არ წახვიდე, დედა, ნუ დამტოვებ. მაშინ ვიღას ეუთხრა, რაც მინდა?

— შენ ოღონდ თქვი და მომსმენი უამრავია, შვილო.“

და უამრავი ბომსმენი რომ არის, ამიტომ სძლიეს ზურიკელას, სოსოიას, თემურმა და ავთომ ობლობის სიდუხჭირეს, ამიტომ არ დაეშვნენ მოლიპულზე.

„— ბობ, ბობ, ბობ... გვირაბიდან გავედით, ავთანდილ ჯაყელო, გვირაბიდან გავედით! ბაღალ სამრეკლოზე დარხეული ვეებერთელა ზარივით გუგუნებდა ჩემი გული“, — ეკითხულობთ რომანის დასასრულს და მატარებლის გვირაბიდან გასვლა სიმბოლურად აღნიშნავს ავთო ჯაყელის ცხოვრების ვიწროებიდან ცხოვრების ბეწვის ხიდზე გასვლას. ამირერიდან მის კაცობას საფრთხე აღარ მოელის. დედის შეშფოთებულ კითხვას, რა უნდა გამოზვიდე, კაცი თუ პირუტყეიო, შვილი თავდაჯერებით უპასუხებს: ნუ გეშინია, დედაო!

ეს ბოლო რომანი გამოირჩევა მრავალპლანიანობით, მრავალწახნაგოვანი სიუეტით. თუ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“, „მე ვხედავ მზეს“ და „მზიანი ღამის“ მოქმედების ადგილი

შემოიფარგლებოდა გურიის სოფლით და თბილისით, თუ ამ რომანების გმირების სასახლეზე დრო რამდენიმე წლით განისაზღვრებოდა, „ნუ გეშინია, დედაშ!“ ადგილისა და დროის ჩარჩოები გაცილებით ფართოა. აქ ჩვენ ვეცნობით არა მხოლოდ სოფლისა და ქალაქის სურათებს, ორნაწილანი ვხდებით მესაზღვრეთა ცხოვრებისა, ავტორის გადაეყაენაო სქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში, რომანში მოთხრობილია იმ მწველე სოციალური კოლიზიის შესახებ, რაც ჩვენში 1924 წლის კონტრრევოლუციურ გამოსვლებში და მის დასათრგუნვად საბჭოთა ხელისუფლების ერთგული ადამიანების ბრძოლაში გამოიხატება.

ეს მრავალპლანიანობა, მოქმედების ადგილის და დროის სიფართოვე წარმოადგენს ერთ-ერთ კარგ საწინდარს რომანის ნასტატურობისათვის. მაგრამ სამოლოოდ მხატვრული ნაწარმოების მასტატურობას განსაზღვრავს — მხატვრული სახეების იდეურ-ესთეტიკური ხარისხი, სიახლე და შთამაგონებლობა იდეებისა, რომლებსაც ეს სახეები ატარებენ. მინაგო ჯაბუა და ისიდორე ჯაყელი ტრადიციულად გამოიყურებიან, მაგრამ ისინი მაინც ავთრთოებენ ჩვენს წარმოდგენას ძველი ცხოვრებისა და ძველი ცრურწმენის დამამსხვრეველი გლეხის, გლეხი-რევოლუციონერის და გლეხი-კონტრრევოლუციონერის, ძველ, ლრმოშეშფოლა და დახავსებულს ჩაჭიდებული ლესობრივი მტის შესახებ. ეს სიუეტური ხაზი ორგანულია რომანის მხატვრული ქსოვილისათვის. ავთო ჯაყელს თითქოს ავსებს ისიდორე ბაბუას წარსული. ეს წარსული ვარკვეულ როლს ასრულებს ნაწარმოების მხატვრულ ორგანიზაციაში, ერთვვარი შესავალია სიუეტის განვითარებისათვის. ეს წარსული დასაბამს აძლევს და ხელს უწყობს მხატვრული სახეების, პირველ რიგში, მთავარი გმირის — ავთო ჯაყელის მხატვრული სახის განვითარებას.

ავტორი ახერხებს კარგად მიგნებულ ორიგინალურ სიტუაციებში შეამბეჭდავად დახატოს კლასობრივად დაპირისპირებული ტრადიციული სახეები. ისიდორე ჯაყელი უშიშრად შეხვედება ფირალოდ გავარდნილი მინაგო ჯაბუას გამოწვევას და მის შესახვედრად სურების ტყეს მიაშურებს. ისიდორე შეიპყრობს მინაგოს, მაგრამ არ მოკლავს. ისიდორეს განზრახული აქვს მინაგო დანაშუსოს, სირცხვილზე შეაგდოს, მასზე მორალურად იმოქმედოს. იარაღაყრილს და შარავლიახდილს ჩამოიყვანს შინ, შეარცხვენს და გაუშვებს. გავიდა ხანი და ახლა მინაგოს დაუდგა ჯერი. 24 წელს, მეწმენეიკების გამოსვლების დროს, მინაგო ჯაბუამ თავის ბინაზე მიუსწრო უიარაღო ისიდორეს. მინაგოს გეგმებში არ შედის ჭკუა ასწავლოს ისიდორეს, იგი კლასობრივი მტრობით და შურისძიების გრძნობით არის დაბრმავებული და ისიდორეს ფანატიზმი განადგურება აქვს განზრახული. ეაგრამ ნაკვეთი ალიც არის და საკვდილიც. მინაგოს არ ემეტება კაცური სიკვდილი ისიდორესთვის, საზღვარს გადასული კლასობრივი სიძულვილი შთაგონებს, რომ ისიდორეს ბოლო მოუოს დამამცირებელ, პიროვნების მიწასთან გამასწორებელ გარემოებაში. და აი ეს ბარემოება, ორიგინალური სიტუაცია, ტრაგიკული ეპიზოდი, რომელიც მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს:

„— არა, ჩემო ისიდორე, ასე, პარიზის კომუნარიეთი ლამაზად ვერ დაგზვრეტ. ამ ლამაზ ბუნებას ვერ ჩაგაყოლებ საფლავში. ნეხვსა და ნაგავში ამოგზდი სულს. ეაადეთ ბოსლის კარი! — უბრძანა მინაგომ ამ ორს, ერთი მივიდა და ბოსლის ურდული თოფის კონდახით ჩამოგლიჯა.

— შედი შიგ! — უბრძანა ახლა ისიდორეს. ისიდორე შეეიდა ბოსლში ფეხშეშველი და დასისხლიანებული ნიფხავ-პერანგის ამარა.

— ძროხა გაიყვანეთ! — თქვა მინაგომ. ძროხა გაიყვანეს.

— დაწექი ბაგაზე პირჩაღმა! — უთხრა მინაგომ. — ნუ მაყურებენებ შენს მახინჯ ცხვირ-პირს! — ისევ იტირა ისიდორე ჯაყელმა, მაგრამ რატომ, აღარ ახსოვს, ახსოვს რომ იტირა!

— რას დაგვიბარებ, ისიდორე ბატონო? — ჰკითხა მინაგო ჯაბუამ.

— შენი ბოზი დედა ვატირე, შე ნაბიჭვარო, შენ! — უთხრა ისიდორე ჯაყელმა მინაგო ჯაბუას და მაშინ გამოუშალა ფეხი მინაგომ მაუზერის, ხელი უკანკალებდა მინაგოს, ათი ტყვიიდან შვიდმა ისიდორეს ძვალსა და რბილში გაიარა, სანი კი ბოსლის ძელს მოხვდა და ერთი ხელის დადებაზე გაცივდა შიგ. ჯერ ერთ მუხლზე ჩაიხოჭა ისიდორე ჯაყელმა, მერე მეორეზე. ორთავე ხელით ჩამოხოცა ნატყვიარი ძელები და პირჩაღმა დაემხო თბილი ნეხვით სავსე ბაგაზე“.

აქვე აღიძვრის ერთი საკითხი: ამ სიტუაციაში მართლაც შეიძლებოდა ისიდორეს გაელანძღა მინაგო ჯაბუა, ეწოდებინა მისთვის ნაბიჭვარი, დედა შეეგინებინა, ისე, რომ ამ სალანძღავი სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით ხარების რეალური საფუძველი არც კი ჰქონოდა. მაგრამ თითქმის იქვე ისევ უბრუნდება ავტორი ესაარიას; გაბო ჯაყელი იგონებს მამამისის — ისიდორე ჯაყელის ნათქვამს:

„— ლამაზი ქალი იყო, ბაბაია, კესარია, ეარსკვლავს ეთამაშებოდა, მაგრამ რად გინდა, ბინძური იყო, აქოთებული საცვალი ეცვა.

— რომ ვეტყოდი, საიდან იცი, ბაბა კესარიას საცვალი-მეთქი, მამაჩემიდან გამიგონიაო, მეტყოდა“.

ყველაფერი ეს ხომ არ მიგვანიშნებს, რომ ისიდორე და მინაგო მამით ძმები იყვნენ? მაშინ

ლსობრივი ბრძოლის სიმწვავე, რაც რომაში მიეცემული ისიდორე ჯაყელისა და მინაგო ჯაყელის სახეების დაპირისპირებით, ახალ პრინციპულ ხარისხში ავიდოდა. ეგებ ასეთი ჩანაფიქრი ჰქონდა კიდევაც ავტორს, მაგრამ მისი განხორციელება აღარ სცადა და ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება მკითხველს დაუტოვა სავალდებულოდ.

რა წინააღმდეგობებს აწყდება ავთო ჯაყელი, თუ ოლიზებია მის სულში, რასთან უხდება მას ბრძანება? ავთო ჯაყელი, როგორც ყველა მთავარი გმირი ნ. დუმბაძის რომანებისა, როგორც ბერეთელ ალენშენი, ობოლია და უკვე მზოლოდ ფლობაც კი დიდი ფაქტორია პერსონაჟისათვის, დიდი გამოცდაა მოზარდისათვის. რას ეპირისპირება მწერალი ობლობის ძალას, მოსურდის სულზე მის ზეგავლენას? უპირისპირებს ბატონესი ნათესავების (ბებია, მამიდა, ბაბუა) ბოლეობის მაღალ გრძნობებს და კეთილი ბატონიანების ჰუმანიზმით შთაგონებულ დიდ ბერას, უპირისპირებს ჯანსაღ სინამდვილეს, ბრალეცაში მართალ და სუფთა გარემოცვას. თუ ბიდორე ბაბუა შვილიშვილის მიმართ შეობს ალალ იმდენს, ეანიჩკა ბიძია და შურა დეიდა უდიდმამიდ დარჩენილ მორეულ ნათესავს ელისმბრებსა და ყურადღებას არ აკლებენ. ბუთარ ეპრქვეშ შეიფარავენ და შემლებისდაგვარად მზრუნველობენ. ავტორი სიყვარულით ბაგს მათ სახეებს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ეანიჩკა ბიძია, სომეხი კაცი, რომელსაც ქართული სინამდვილე, ქართული ბერძო�კა, ქართული ხასიათი სისხლხორცეულად გამხდარა. მწერალი დიდი სიმპათიითაა გამსჭვალული პერსონაჟებისადმი, რომლებიც ეგზისტენციამ მოზარდს შემწედ და მფარველად ევლინებიან.

ავთო ჯაყელისათვის დიდი სკოლა იყო ჯარში სამსახური, მესაზღვრედ ყოფნა, საბჭოთა ხელისუფლების მტკიცედ შეკავშირებული კოლეგები. ასალგაზრდა კაცს არმია დაეგდო, როგორც ბავშვ ხვდება თავის შვილს, მან იქ შეიძინა ბევრი ძმები და უფროსნი მეგობარ-ამხანაგები, რომლებიც მშობლის სითბოს და ზრუნვას ეფერნობინებენ. მესაზღვრის ცხოვრება ავთო ჯაყელისათვის — არის არა მხოლოდ ბუერი და სულიერი წრთობა, არა მხოლოდ ბერაკეტები, შემართებითა და თავგანწირვით ბეტე სინამდვილე, არა მხოლოდ ხალისიანი, ბერეული არსებობა, არამედ მესაზღვრეთა ბის ავთო ჯაყელმა იპოვნა გზა ადამიანთა ლბისაკენ, აქ იგრძნო მან თავი ცხოვრების ბოლო ჯარისკაცად.

ენ არ მიგვანია, რომ წინააღმდეგობას, ბელიც ავთო ჯაყელს შეხვდა სამეფიცირო ტტუში გაშიცდების ჩაბარების დროს და ბეტ, რომ იგი ინსტიტუტში ვერ მოხვდა ბ მნიშვნელობა ჰქონდეს პერსონაჟის სულიერ ცხოვრებაში. ეს ამბავი ავთო ჯაყელისა მხატვრულ დახასიათებაში არ ასრულებს კოლიზიის როლს და მას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ეს ფაქტი რომ არა, ჯაყელს არმიაში არ გიფშვენდნენ.

ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობად, რასთან ბრძოლაც უნდა ინსახოს მთავარი გმირის ფსიქოლოგიურ პორტრეტში, რომაში დასახულია დადუნას ამხანაგები. ავტორი სწორედ მათ უპირისპირებს ჯაყელს. ერთ მხარეს არის ავთოსნაირ ჯაყელი, სოფლიდან ჩამოსული ალალმართალი ბიჭი, და მეორე მხარეს არიან დადუნა ხომრეკიის ამხანაგები, თბილისელი გოგო-ბიჭები. ისინი მაინცდამაინც აუკვ არაფერს აკეთებენ, ავთოსთვის ცუდი არაფერი უკადრებიათ, მაგრამ მათი საზოგადოება ავთოსთვის უცხოა, იგი მათ შორის თავს უხერხულად გრძნობს და უზომოდ სეამს კონიაკს, დათვრება. ბიჭებს ჩხუბი მოუვათ. ავთანდილ ჯაყელს გალახავენ, მაგრამ იგი თვითონვე აღიარებს: შურა დეიდას თუ რაიმე აკავებდა, რომ ხომრეკიეს მილიციაში არ უჩივალა, ისევ ის, რომ იცოდა ყველაფერი ჩემი ბრალი იყოო.

ავთო ჯაყელსა და დადუნას ამხანაგებს შორის „კონფლიქტის" მეორე ეპიზოდში შედარებით უფრო თვალსაჩინოა იმის ცდა, რომ დასაბუთდეს შეჯახების მიზეზი, რომელიც ლოგიკური იქნება მხატვრული სახე-ხასიათებისათვის. ამ მიზეზებზე თავად ავთო ჯაყელი ლაპარაკობს. იგი დადუნას ამხანაგებს ბრალს სდებს უსაქმურობაში, უმოქმედობასა და ფუჭსეანტობაში. ჯაყელის გულისთქმით, დადუნას ამხანაგები არ ეგრძვიან ცხოვრების ჩრდილოეან მხარეებს, არხეინ ცხოვრებას არჩევენ, არ ინერნენ სამშობლოსადმი ეშმაკრიტ სიყვარულს. მაგრამ ეს ბრალდებები, მართლაც, ჯაყელის გულისთქმის ფარგლებს არ შორდება, აშენებული მთავარი პერსონაჟის სუბიექტურ განწყობილებაზე.

„— ის გელა და მისი ნკლავდაბერილი მუტრუკი ამხანაგი კარგი ხალხი არ უნდა იყენენ! — დავარდვიე დუმილი მე.

— შენ რა იცი კარგი და ცუდი რა არის? — მკითხა ვანიჩკა ბიძიამ...

— გელა ცუდ ლექსებს წერს!

— ცუდი ლექსების წერა ცოდვა არ არის!

— თავი გენიოსი ჰგონია!

— არც ეგ არის ცოდვა.

— ის მეორე, კრეტინია!

— კრეტინობა, მით უმეტეს, არ არის ცოდვა.

— დამცინოდნენ, სულ ამხანაგი გენერალოს შეძახდნენ. — ვანიჩკა ბიძიამ ფორბაზე შემავლო მზერა და ვიეღიმა...

ბეჟან ფარდოსანიძე

ბეწვის ხიდი

— არ გიფიქრია, რომ ხანდახან შენც შეიძლება იყო სასაცილო? — მკითხა ვანინკა ბიძიამ...

— კი! — ვუპასუხე მე.

— მაშ, რატომ გგონია, რომ შენ კარგი კაცი ხარ და ისინი ცუდები. შენ იცი კარგი კაცი რა არის? ან ვინ არის? — მკითხა ვანინკა ბიძიამ!..."

„კონფლიქტის" მოტივები უსაფუძვლოდ მიჩნია არა მხოლოდ ვანინკა ბიძიას, თვით ავთო ჯაყელიც არ არის დარწმუნებული, რომ დადგენას ამხანაგებთან მეორედ შეტაკების დროსაც სიმამრთე მის მხარეზეა.

„— არა, ახლა ღვინო არ შემისხია, მთელი ოჯახი გავლანძღე, თავისი სტუმრებიანად, მიმიფურთხებია თქვენთვის-მეთქი, ვუთხარი და ჭიქა თავზე დავაფშვენი.

— რატომ?

— არ ვიცი!

— მართალი იყავი?

— მე მგონია, ჰო!

— მერე?

— მერე არაფერი, ბოდიში მოვუხადე და წამოვედი.

— ბოდიშს რაღაზე იხდიდი?

— მე მგონი, სულ მართალი არ ვიყავი!..."

დიახ, ავთო ჯაყელი სულ მართალი არ იყო. მან ჯერ კიდევ არ იცის, რა არის კარგი და რა არის ცუდი, ვინ არის მართალი და ვინ არის დამნაშავე. იგი ჯერ მხოლოდ „მოსაზღვი ცომია". ჩამოუყალიბებელია და არ იცის, რატომ რისთვის ჩხუბობს, რატომ ასხამს თავის თანატოლებს ღვინოს სახეში და რატომ ამტკრევს თავზე ჭიქას. ავთო ჯაყელის კონფლიქტი დადგენას ამხანაგებთან — ეს უფრო არის კონფლიქტი საკუთარ თავთან, ეს არის ზრდის წინააღღდეგობა, წინააღმდეგობა კაცად ჩამოყალიბების გზაზე.

კიდევ ერთი გარემოება, რაც გარკვეულ კოლიზიას უნდა ქმნიდეს ავთო ჯაყელის სულში, ეს არის სიყვარულის გრძნობა. ავთოს ერთბაშად, გაცნობისთანავე მოეწონა ლამაზი, მოხდენილი ქალიშვილი დადუნა და მიუხედავად იმისა, რომ დაეზოგავად გაალაბა დადუნას სახლში, ვიეს ამ შვენიერი გოგოს ტრფიალი გაუჩნია გულში. მაგრამ ავთოს გრძნობა, თუმცა იგი დარწმუნებულია დადუნა მოყვარსო, ზორს არის ჭეშმარიტი სიყვარულისგან. დადუნასაკენ მას იზიდავს თავისი ჯაბუკური გული, მომწიფებული ვაეის ლტოლვა მოპირდაპირე სქესისადმი და არა გონებით გაანალიზებული, სულიერ მისწრაფებას და სიახლოვეს დაფუძნებული სიერიზული გრძნობა. ამიტომ ავთო ჯაყელის სიყვარული ჯაბუკური გატაცების ფარგლებს ვერ შორდება და ამ სიყვარულს გრძნობებში გარკვეული გამოცდილების შეძენის მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე პერსონაჟის ფსიქოლოგიური დახასიათებისა. ვიდრე რომანის მთავარი პერსონაჟის სულიერ სამყაროში ჩაღრმავებისა და ამ სულის თვისებების მკითხველისთვის მორჩენისა.

ჯაბუკური გულის ძახილს ეყრდნობა ავთოს დეთი გატაცებაც. ავთო ჯაყელი ამ შემთხვევაშიც დარწმუნებულია თავის სიყვარულში, ეშვი არ ეპარება, რომ უფერფოდად სიცოცხლეს შემიძლიანო. მაგრამ ფერიდეგმ, ისევე როგორ დადუნამ, ვერ შთააგონეს ავთო ჯაყელს მეტი. რატი გრძნობა, ნამდვილი სიყვარულის ... ლი. მან ჯერ კიდევ არ იცის, რა უნდა ... დეს, რატომ უნდა უყვარდეს, რისთვის ... უყვარდეს.

ყოველივე ეს მოყლებული არ არის ცხოვ... ბისეულ სიმართლეს. ყოველ ჯაბუკს, ... როგორც ყოველ ქალიშვილს, შეიძლება ... დეს არა ერთი გატაცება; ხშირად ის, რაც ... წყალ კაცს სიყვარული ჰგონია, ტრფიალ... წყურებული გულის ძახილია მხოლოდ. ... ეს ცხოვრებისეული სიმართლე დიდ აზრს ... იძენს მხატვრულ ნაწარმოებში, თუ მას არ ... ანნია დიდი იდეურ-ესთეტიკური ფუნქცია ... მოთხრობის პრიზმაში ეკ ავთანელი ჯაყ... გრძნობა-გატაცება ძალიან ფრთაშეკვეთ... მოჩანს. როგორც ვთქვით, მ ვ გატაცების ... შნელება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, ... მიგვანიშნოს პერსონაჟის ეგზეფიარი სახე, ... სულიერი სწრაფვის, მისი ინტიმური გრძნ... ზერეული. ავთო ჯაყელი თითქოს განიცდ... ეის გრძნობას, მას ედარება და აღელვებს ... დადუნას, შემდეგ კი ფერიდეს სიყვარული... გრამ ეს განცდა ინტიმის ჩარჩოს არ შორდ... არ ჭმნის მის სულში სერიოზულ კოლიზ...

სიკეთე, ადამიანის სიყვარული, კაცური-ა... ბა, სწრაფვა ადამიანისაკენ, უანგარო ... ზობილება ნ. დუმბაძის რომანების პერ... ყვნის თითქმის დედის მეცალიდან ... ადამიანისადმი პატივისცემა, კდემამსილ... მოყიდებულება, მისთვის გულისტკივილ... მისი სიხარულით სიხარული მათი შინაგან... თხოვნილია. ისინი საკუთარ თავზე ძალ... ტანებლად, უბრალოდ, „უსასყიდოდ" ... ვალს ადამიანობის წინაშე, კაცური-კაცობ... ნაშე და მათი ეს ალტრუიზმი უმეტესად ... ადამიანურია, არ არის გაპირობებული ... კონკრეტული იდეალისათვის საერთო ... ლით, იდეურ-სულიერი თანამეგობრობით, ... მე მიზნისაკენ საერთო ნისწრაფვით. ... ილარიონი, ოლია („ბე, ბებია, ... ილიარ... ილიარ... ილია („ბე, ... ილიარ... ილია („ბ... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეიდა მართა („ბებია, ილიკო და ილარიონი“) მხოლოდ დიასახლისია ზურიკელასი, ეს სოფლიდან ჩამოსული ბიჭი მისი ნდგმერია და მეტი არაფერი. მაგრამ მართა შეშფოთებით პატრონობს ზურიკელას, იგი თავის სისხლხორცად მიიჩნია. მამიდა ქეთო („მე ეხედავ ბზესო“) ზრდის უდიდესმამა სოსოიას და სოსოიასადმი ქეთოს დამოკიდებულება ნაკარნახევი არა მხოლოდ ნათესაური მოვალეობის გრძნობით, არამედ ავრცელეს ადამიანობის წინაშე მოვალეობის შინაგანი შეგრძნებით. იმავე ადამიანობამ უკარნახა ქეთოს შინ მიეღო ძმიმე ავადმყოფი რუსი ოფიცერი და მის სასთუმალთან ღამეები ეთენებინა. გლეხი-კაცი ბაბილო უსასყიდლოდ აძლევს სიმინდს სოსოიას და ხატიას, მაშინ როცა შიმშილი ბევრი ქოხის კარს უკაკუნებს და სიმინდი მამასისლაფ ფასობს. რა განუზომელი სათნოება, მოყვასის გული და ქვეცნობიერი, შინაგანი კეთილშობილება ჩანს ბაბილოსა და კაკანოს დამოკიდებულებაში სოსოიასა და ხატიას მიმართ. არაფერი არ აკავშირებს თვრესა და ართავიანს („მზიანი ღამე“) გარდა იმისა, რომ ადამიანი ადამიანისაკენ ისწრაფვის, ადამიანი ადამიანს ელტვის, გარდა იმისა, რომ ადამიანი უნდა ეცადოს ადამიანს გუუგოს, უთანაგრძნოს, მხარში ამოუდგეს. კეთილშობილური აქციელის ჩასადენად, კაცური კაკობის გამოსაჩენად. არ არის აუცილებელი იდეებისა და შეხედულებების თანაზიარობა, მიზნის თუ ცხოვრებისეული ამოცანების ერთიანება, სულიერი ნათესაობა; უბრალოდ ადამიანს უნდა ესმოდეს ადამიანის, უნდა შეეძლოს მიუხვდეს ადამიანს და ხელი გაუწოდოს, თუ ეს საჭიროა და თუ ეს შესაძლებელია.

ეს მორალურ-ზნეობრივი კონცეფცია წმიელ ზოლად გასდევს ნ. დუმბაძის ყველა ნაწარმოებს, საფუძვლად უდევს პერსონაჟების ქცევა-მოქმედებას, არსებითად განაპირობებს მათს მხატვრულ ფუნქციას. გამონაკლისს არც ბოლო რომანი „ნუ გეშინია, დედა!“ და მისი პერსონაჟები წარმოადგენს. შუა დეიდა ჯაყელების ოორეული ნათესავია, მაგრამ მან დიდი ზარ-ზეიმი მიიღო ისიდორე ჯაყელი და მისი შვილიშვილი ავთანდილი. „— ნენა, ნენა, ნენა, გამოხმაურებული ბამბისა! — თქვა შუა დეიდამ, გული ჩამიკრა და ისე ატირა, მე და ბაბუაც ავეტირა...

— ისიდორე ჯაყელო, მამა ხარ ჩემი და შენი შვილიშვილი ჩემი შვილია, ამის მაგა ძმა იყო ჩემი, აგი ოჯახი მისია, მე მამიდა ვარ მაგისი და მაგი სისხლი და ხორცია ჩემი,“ და ეს არ არის სამამული, პიროფრულად წამოსცრილი სიტყვები. შუა დეიდას ისიდორე ჯაყელი და მისი შვილიშვილი თავის სისხლხორცად მიაჩნია და ზზად არის ავთოსათვის ყველაფერი გაკეთოს, იგი თავის ეკერქვეშ შეიფაროს და მას დედური ზრუნვის ფრთები გადაეფაროს. აქვე უნდა თქვას, რომ შუა დეიდა და მართა დეიდა ნსგავსი სიტუაციებში. ისინი ჩაყენებული არიან მსგავს სიტუაციებში, მათ თითქმის ერთნაირი მხატვრული ფუნქცია გააჩნიათ.

ეპიზოდური პერსონაჟია რუბენა მესაათე, მას მცირე როლი აქვს რომანში მიჩენილი, მაგრამ მწერალი საკმაოდ თვლის მიგვანებშნოს მისი ხასიათის დამახასიათებელ თვისებაზე, რომ იგი ყურადღებისა ადამიანებისადმი, უფრთხილდება მათ და ამას ატორი ორი ანალოგიური მოკლე ფრაზით აღწერეს. ავთო ჯაყელი ჭიოურალი ბრუნდება შინ გვიან ღამით. ხმაურობს, ხმამაღლა ლაპარაკობს.

„— ნელა, ბიჭო, ნამუსი არა გაქვს, ხალხს სძინავს! — გამაფრთხილოს რუბენამ...“ ავთო სამოქრეს ხასიათზეა. „—შენი არ ვიცი, ძია რუბენ, მე კი გიდი ვარ. აბა, ერთი მეორე მითხარი! ოხ, მთვარეე, მთვარეე, დამწვართი იქოდა...—დაეიწყე მე. — მორჩი, ბიჭო, ხალხმა ძლიეს ფიძინა,...“

6. დუმბაძისათვის დამახასიათებელი ლაკონური სტილით, მკეთრი შტრიხებითა და შთამბეჭდავი ფერადოვნებით არის შესრულებული სახეზეადრეზე ხანძრის გაჩენის სურათი. სულ ორასამამა სტრიქონში დამაჯერებლად არის გადმოცემული საბჭოთა ბესაზღვრეველის ეაკაცობა, ორგანიზებულობა. სიტუაციების ბენეზრითობა და სიმართლე, კარგად შერჩეული მხატვრული დეტალები, შეკმნილ ვითარებაში პერსონაჟების ძალდაუტანებელი მოქმედება, ამაღლებული ლირიზმი და რომანტიკულობა. ყველფერი ეს ამ სურათს ტიპიურს ხდის ნ. დუმბაძის მხატვრულ გალერეაში. მაგრამ ყველაზე მთავარი და ძვირფასია ამ სურათის იდეა, მისი მორალი, რომ როცა კაცს კაცის დახმარება სჭირდება, როცა ადამიანი ადამიანს მშველელად უხმობს, სახელმწიფო საზღვრის ბარიერიც კი დაბრკოლებას ალარ წარმოადგენს. ადამიანისაკენ მისწრაფების ძალა უსაზღვროა და მას წინ ვერაფერი ვერ გადაეღობება!

საზღვრისპირა სოფლში დიდი გაკვეთილი, ავტორიტეტით სარგებლობს მეთვეზეთა ბრიგადირი აღი ზორავა. მან თანასოფლელებისა და მესაზღვრეების ნდობა და პატივისცემა მოიპოვა მეფაითი შრომით, დამჯდარი ქკუა-გონებით, ადამიანებისადმი ყურადღებითა და მზრუნველობით. აღი ზორავას დაკვირვებულ თვალსა და მახვილ სმენას სოფელში არაფერი გამოეპარება. მან იცის, რომ ავთანდილ ჯაყელსა და ახალგაზრდა ქეჩიე ფერიდეს შორის ფარული ტრფიალია გაჩაღებული. მაგრამ დაკვირვებული, გამოცდილი აღი ეტკობს, რომ ამ ტრფიალს სასიკეთო ბოლო ექნება. ამიტომ იგი შეშფოთებული, მას არ შეეძლია გულცივად უცქიროს

ბეჟი ბაადოლანიძე
ბეჟვის ხიდი

ორი ახალგაზრდა ადამიანის ცეცხლთან თამაშს, არ შეუძლია გულგრილი იყოს მათი ბედისადმი. ალი ხორავა სპეციალურად გაიყვანს ავთანდილ ჯაყელს ნავით ზღვაში, რომ მოელაპარაკოს, გონიერი რჩევა მისცეს.

ალი ხორავა ფერიდესთანაც იყო. ნას ებრალება ახალგაზრდა ქმრები, უნდა, რომ თუ ფერიდე გაბედავს და ახალ ნაბიჯს გადადგამს სიყვარულისაკენ, ეს ნაბიჯი ბედნიერი იყოს მისთვის. ალის ეჭვი არ ეპარება ავთო ჯაყელის კარგ-ბიჭობაში, ალალ-მართლობაში, მაგრამ ავთო ძალიან ახალგაზრდაა და ეს აშინებს ალის, ვაი თუ ავთო ვერ მოერიოს ფერიდეს სიყვარულს, მოტყუებული დარჩეს თვითონ და ქალიც დაალატოს და გაუბედუროს. ხოლო თუ შენ ჯაყელს შენდამი გრძნობაში ეჭვი არ გეპარებაა და შენ თავშიც დრწმენებული ხარ, რომ ჯაყელი გიყვარსო, წაყვეი, ნუ გაგშლილა, ის თუ არა, შენ ყოფილ მისი პატრონი.

ბოსაწონს ბონიერებს, წინდახედულობას და თავშეკავებას იჩენს ფერიდე. იგი გულგრილი არ არის ავთანდილ ჯაყელის მიმართ, მაგრამ ფერიდეს არ ძალუძს უდაღალოს დაღუბული მეუღლის ხსოვნას, გაიცოს კერია, მიატოვოს სოფელი. ვიდრე ამას მოიმოქმედებდეს, მას უჯობს ცეცხლს ისაკენ სახლკარი და მერე ზღვაში გადავარდეს. იგი ავთანდილ ჯაყელს ემუდარება: წადი, შენს ცხოვრებას მიხედე. ნუ ჩაბადინებ ეშმას, რისაც სიკვდილზე უფრო მეშინია, წადი თუ ღმერთი გწამსო... რატომ გინდა, რომ ცეცხლს მიეცე ეს სახლი და მერე ზღვაში გადავარდეო, თუ ჩემი სიყვარული გაგძს, წადიო... ავთო ადგა და უხმოდ წავიდა ეშმურისაკენ. ფერიდეს თავი მუხლებში ჩაერგო და მხრები უკაცხცახებდა. ფერიდე გლოვობდა დაღუპულ მეუღლეს, გლოვობდა ახალ სიყვარულს, რომელიც მან გეულში ჩაიკარა, იგი დასტიროდა თავის უბედობას, მაგრამ ფერიდე დამარცხებული არ იყო, პირიქით, მან გაიმარჯვა ერთგულებისათვის, ადამიანის წინაშე საკუთარ თავთან ბრძოლაში, სძლია თავისთავს და ამაღლდა როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება. ფერიდე ეარით რომ ისტუმრებს ავთო ჯაყელს, ამით მის მომავალსაც უფრთხილდება, არ სურს ცხოვრების გზა გაუშვიოს ახალგაზრდა კაცს. ეს სოფელი, თავის ჭირ-ვარამში ჩაკეტილი ქალი ღიდი შინაგანი კეთილშობილებით, ქედმამაცილებით, თავშეკავებულებით, სულიერი სიფაქიზით და ინტელექტუალური თვისებ შორეულად უპირისპირდება დაღუპულ და ამის ამხანაგებს, მათზე მაღლა დგას და კეთხეული სიმპათიას იმსახურებს.

ხაზი რომ გაუსვას სახე-ხასიათის არსებით ფეხისებს, ზოგჯერ მწერალი მიმართავს ნეიტრალურ სიტუაციას, როცა არ ხდება რიმე მნიშვნელოვანი და საყურადღებო, როცა მდგომარეობას საფუძველად არ უდეკს რიმე კონფლიქტი, კოლიზია. ამასთანავე, ეს სიტუაცია სახე-ხასიათებში ვგებულდეს მოულოდნელი კუთხით, მარტივ მაგრამ ამ უნარის მქონე ეროვრიტი, რომელიც შენიშნავს სხვებისათვის შეუნიშნავს. მას შემდეგ რაც ფერიდეს ქმარი ვარდაეცალა, იგი გაცინებული არავის უნახავს. ასე ამბობენ სოფელში. მაგრამ ავთანდილ ჯაყელი ხედავს გაცინებულ ფერიდეს, როდესაც ბავშვებს ეთამაშება. მეზობლის ორი ბავშვი ჰყავს შემორჩეული, ტყუპები, გოგო და ბიჭი. ბავშვები პატარა ბელადებივით დაპყვებიან კუდში. ბიწაზე რომ დაჯდები სადმე დასასვენებლად, ყელზე ეხვევიან, კალთაში უგორავებიან, თმებს უჩეჩავენ და მკერდზე ეპოტინებიან. „ფერიდე ჩუმად, ძალიან ჩუმად იცინის, თმილად, სუფთად, შავ თმებში ჩაფლული თეთრი ხაზ ნაწვიმარზე გამობრძანებულ მზესავით უცინის, მრგვალი მხრები და ნაღალი მკერდი უთამთამებს, მერე გულლმა წვება, ორივე ბავშვს მკერდზე ისვამს და რაღაცას ეპუტპუტება თავის ლამაზ და სიმღერასავით ტკბილ ენაზე". და ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება ამ ბავშვებივით უმანკო, სათუთი და მშვენიერი ფერიდე, რომლის გულიც სავსეა სიყვარით, სათნოებითა და ადამიანის სიყვარულით, ფერიდე, რომელიც წმინდაა ამ ბავშვების სიცილვივი, რომელიც თავის დიდ მწუხარებას ივიწყებს, როცა მეზობლის ბავშვებთან თამაშობს.

6. ღუმბაძე თავის შემოქმედებაში ყურადღებას იჩენს სხვა ერის შვილებისადმი, მის რომანებში მოქმედებენ რუსი, უკრაინელი, სომეხი, ებრაი, იგრძნობა მათ მიმართ ავტორის სიმპათია, კეთილგანწყობა. თავის ყველაზე მძლავრ იარაღს — იუმორს მწერალი სხვა ერის შვილების მხატვრული დახასიათებისათვის ზომიერად იყენებს; ეს იუმორი არ არის გამაფრებული, სარკასტული, იგი აღსავსეა სითბოთი და ალერსით. მწერლის ეს პოზიცია ნათლად გამოსჭვივის ირთავაზას, ვანინკა ბიძიას, შერბინას და სხვა მხატვრულ სახეებში.

„ნუ ეგშინია, დედაშენ!" მალე ესმით წერტილი დედის სახეებს. მაგრამ მოქმედების მცირე ღრმნი და მცირე მანძილზეს ისინი ახერხებენ თავი დაავამახსოვრონ. შობობიერობას გადაპყავგაბო ჯაყელის დედა მინა. ბავშვობაშიეე დაკარგეს დედები ავთო ჯაყელმა და ქეთრთის ბიჭმა ალმან. და მოუხედავად ამისა, რომ დედებს არ დასცალდათ აღეზარდათ და დაეკვეკცვინათ შვილები, მათ დიდი გავლენა იქონიეს შვილების ყოფარირებაზე, მათს კაცად გახდომაზე. სამივე დედა ლამაზი, სათნო, დიდსულოვანი და კაცთმოყვარე იყო. ყანაოდან ვიკანდნილი მინაგო ჯაბეკი ისიდორე ჯაყელს დაფიქრა: „ამოდი თუ ეაქკაი ხარ, სურეანის ტყეზეკარ, შენს სისხლს ვადავირეკ ენაზე. თუ არ ამოხვალ, მე ოვითონ გეახლები, ინ ლამაზ ცოლს. გაგიბახებინ..." —„შენი ფეხის ნაბანი წყალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არ შეეძალი, მინა, მაგას, კაცი არ ვიყო! — თქვა ისიდორემ და წავიდა“.

ისიდორე ჯაყელმა შეიპყრო მინაგო ჯაბეა და განაიარაღა, თავხედური მუქარისთვის სამაგეროს მისაზღვადად და შესარტყვნენად შინ წამოიყვანა. სათნო, ქმრის მოყვარული და მორჩილი მინა უსიტყვოდ ისრულებს ისიდორეს ყოველ ბრძანებას.

„— სუფრა გაშალე, ქალო! — უთხრა ისიდორემ შეშინებულ ცოლს.

ცოლმა დაბალი სუფრა გაშალა, ერთი დოქი ღვინო, ნახევარი ნშადი, ერთი წყალა ყველი და ორი ღვინის ჭიქა დადგა ზედ.

— დდეი და ჭამე! — უთხრა მინაგოს ისიდორემ. მინაგო არ განძრეულა.

— სახვანარე ბაზარი გამოუტანე, ქალო! — უთხრა ახლა ცოლს.

ბებია გავიდა და ორი მზარი ზვრილი ბაზარი შემოიტანა. ბაბუამ ბაზარი მინაგოს მიუდგა.

— დდეი, ხვანარი შეიკარი, შენ გადი, ქალო!

ბებია გავიდა. მინაგო ადგა, ბაზარი ზელზე შემოირტყა და მაგიდას მიუჯდა.

— შემოდი, ქალო, და დაჯექი ჩვენთან!— გასძახა ცოლს ისიდორემ.

ბებია შემოვიდა და უხმოდ მიუჯდა სუფრას.

— გეყოფს, ისიდორე, ულმერთო კი ხარ, მაგრამ გეყოფა, ნუ მეჩრი ქალთან თავს. თუ ეაეკაცობა არ გეყოფნის რომ მოსკალ, გამიშვი, და თუ გეყოფნის, გაათავე, ნელარ მაწვალებ! — თქვა მინაგომ და აკანკალებული ხელებით სახე დაიფარა...

— დაფიცებული მაქვს, ჩემი ლამაზი ცოლის ფეხის ნაბანი წყალი უნდა დაგალევინონ! — თქვა ბაბუამ.

— მაკა ვადამიხსენი, სისხლი დალიე ჩემი, და ბაგას ნუ მიზამ, თორემ თავს არ ვიეოცხლებ, ისიდორე!

— დაფიცებული ვარ.

— თავს არ ვიეოცხლებ“.

და ამ სცენის მაკერალ მინას უკვე აღარ შეუძლია ადამიანური ღირსებების შეურაცხყოფა და დაცინვა, თუნდაც ეს მოსისხლე მტერს შეეხებოდეს.

„— ისიდორე, ხვადგი ხარ შენ, არც ღმერთი იეი, არც ხატი, არც რჯული, ამ კაცს რომ რაე დაეშავო, ჩემი ფეხი არ იქნება ამ ოჯახში.

— ნუ გამატეხავ ფიცს, მინა! — თქვა ბაბუ-ჩემმა“.

დედა მფარველი, შემწე და დამხმარეა შვილისა მაშინაც კი, როდესაც გარდაცვლილია. დედის ჩრდილი მუდამ თან სდევს. შვილს, ჭირს უმსუბუქებს, ძნელებობის ჟამს მხარში უდგას. გაბო ჯაყელი სანგარში ჩასოვლემს და სიზმარში გარდაცვლილი დედა გამოეცხადება. დასვენებულსა და შეცივნულს ცეცხლს დაუნთებს, გააშრობს და გათბობს, გაამხნევებს! დედა მტერზე [illegible] ერიშიდ გაუძღვება შვილს.

აღრე დაფიცება დედა ავთო ჯაყელს, მაგრამ დედის სახე, დედის ზმანება, როგორც მფარველი ანგელოზი, სწორი გზის მაჩვენებელი მას მუდამ თან დაჰყვება. დედის ხატება ავთოს მოაგონებს სიკეთეს, მოუვასის სიყვარულს, სინაზითა და შეუდრეკლობით მოსავს მის გულს, მოუწოდებს გონიერებისაკენ, უჩვენებს სწორ მიმართულებას ცხოვრების რთულ და ანაბიერად ბნელით მოცულ გზაზე. ძალიან თბილი, თეთრი და რბილი ხელი ჰქონია დედაჩემსაო, ხშირად იგონებს ავთო ჯაყელი და დედის ხელიდან ავთოს სუფრაზე ჩაღებული სითბოა რომ ალამაზებს და აკეთილშობილებს მის სულს. ეს დედისაგან ბოძებული გული სითბოა ასე უხვად რომ უნაწილებს ავთო ჯაყელი მის ირგვლივ ყველს და ყველფერს.

დედამ შთაადგინა ავთოს ქურთის ბიჭის — ამის სიყვარული, დედის ნაზმა, თბილმა და კეთილშობილურმა დამოკიდებულებამ ქურთის ოჯახისადმი ანალოგიური გრძნობები წარმოშვა და დამკვიდრა ავთოს გულში. ავთოს რომ უძეირფასეს მოგონებად შემორჩა ქურთი ბიჭი ამბო, ეს დედის დასსახურებაა. ავთოს დედა ქურთების ოჯახს ზვიდან კი არ დასცქეროდა ქედმაღლურად კი არ იმსახურებდა, არამედ ეს ოჯახი ახლოსლად მიაჩნდა, მის აკვარს გულწრფელად იზიარებდა.

დედი დედაშეკერილი სინაზით, სითბოთი და სიყვარულით არის გაჟღენთილი ჯარისკაცის შვრნინის წერილი დედისადმი. იგი თავის შთაბეჭდილებებს, ფიქრსა და გრძნობებს უზიარებს თავის დედას, რომელსაც ყველაზე უკეთ ესმის მისი, რომელიც შვილის ამოსასუნთქშიც კი შეეგრძნობს საკუთარ სისხლსა და ხორცს, საკუთარი გულის თრთოლვას. შერბინას აღარ შეუსრულდა ყველაზე დიდი ნატვრა, ყველაზე დიდი ოცნება, რომ კვლავ შეხვედროდა დედას, დაბრუნებოდა დედის კერას, იგი საზღვარზე დაიღუპა, ნაგრამ დედის სახემ, დედაშვილურმა სიყვარულის ძალამ, რომელიც მას ზრდიდა ადამიანად და რომელმაც მას ვმორჩა ჩაადენინა, აუგო მას ძეგელი კალთა გულში, უზრუნველყო მისი სახელის უკვდავება.

ბიჭებმა: ავთომ და ამბო ერთმანეთი რომ შეიყვარეს, ბავშობაში გაღვივებული ძმური გრძნობები მათში იმოდენად ფეხგადგმული რომ იყო, განშორებამაც ვერ ვაიანეა, ისინი ერთმანეთს რომ მოისაკლისებენ და დაეძებენ, ამაში ბოლოოდ ავთოს დედის წერილი როდინა ჩადგებული, ეს ამბის დედის — ქურთი ქალის — სარას დამსახურებაც არის. მანანას და სარას სულიერი პორტრეტი ერთმანეთს ჩამოგავს. სარა

ბათნო, გულნაზი და კეთილშობილი ქალია. იგი ალერეკ გარდაიცვალა და თან ოჯახის დიდი დარდი, ქმარშვილის დიდი სევდა გაიყოლა. ამიმ არ უდალტა დედის ხსოვნას, იგი მართალი, დიდი გულის მქონე, კაცური კაცი დადგა და უფრო დიდი ძეგელი არც უნდა დედის ხსოვნას.

ავთო ჯაყელი მთელ თბილისს შეძრავს, გადაბრუნებს: ამოს ეძებს. და ეს არ არის თანატოლის, ბავშვობის მეგობრის უბრალოდ გახსენება, უბრალოდ მონატრება. ავთოს გულით წადია ამო იპოვნოს და უმთავრესად იმიტომ, რომ ამოს სახე დაკავშირებულია დედის სახესთან, ამოსთან შეხვედრა მას გაუცოცხლებს ყველაზე ძვირფასს, ყველაზე დიდ მოგონებას — დედის მოგონებას. ეს კი ყველაზე მთავარია ავთოსათვის, რადგან დედის ხატება მისი ცხოვრების შუქურაა, მისი ფუძეა და მისი ფრთებია. „ქეკეანა რომ დაინგრეს, უნდა ვიბოვო ამო... ახლა ამო, როგორც სიცოცხელ, ისე მჭირდება, იმიტომ რომ ამოდან მახსოვს ყველაფერი: დედაც, მისი თმელი ხელიც, მისი ტირილიც და მისი დიდრონი ცისფერი თვალებიც. ამოთი მახსოვს ჩემი დედა. ყველაზე უფრო ამოთი დამამახსოვრდა, ბეტი არაფერით. მამაც მახსოვს, ბაგრამ დედა უფრო, და ის ღამე. გუშინდელი დღესავით მახსოვს დედა და ამო!“

რომანებში გვხვდება ცხოველებთან პერსონაჟების იმპრეგნიზირებული დიალოგები; პერსონაჟები ესაუბრებიან ცხოველებს. უზიარებენ თავიანთ ფიქრებს, ბაანდებენ განწყობილებებს. ცხოველები ავსებენ ყოფით სუფთათებს, გარკვეული შინაარსი შეაქვთ მასში, ხელს უწყობენ განწყობილების შექმნას; მონაწილეობენ ფუძორისტულ სიტუაციებში, ხშირად ან სიტუაციების ცენტრში იმყოფებიან.

ილარიონს ავადმყოფი თვალი ამოუღეს, იგი ხეებზარი გაზდა, ცალთვალა. დადარდიანებენი და შეშფოთებული ილარიონი კატას ჩაისვამს კალთაში, ეფერება და ეჩურჩულება:

„— შენ გეუბნები, შენ, რა ვქნა ახლა მე, ცალთვალა კაცი და ცალხელა ერთია ორივე. შენ იცი? კაცს რომ თვალისჩინი დაეკარგება, ღამეი იმისთვის ქვეყანა, ბნელია, სკვარშია, უკუნეთია. თუ ცალი თვალისჩინი დაკარგა, ნახეკარია ზზეკ და მთვარეც მისთვის, დღეც და ალარნიც, არ უნდა ამინეღო? მეორე თვალიც გაგიფუჭდებო, ასე მითხრეს. ჰოდა, სულ არარაობას, ერთი თვალი ვარჩე. შენ გეყურება ჩემი? აფუჭეს, მურაადი რა გენიოსი იყო. შენ ამდალი ხარ, ამდალი,..“

ილიკო კოლმეურნეობის მეველედ დააყენეს. მაგრამ იგი თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას. თავმჯდომარე მისი უკმაყოფილია და მოხსნით დაემუქრება. ილიკო იძულებული თინს მიმართოს. იქმნება ფუძორისტული სიტუაცია, რომლის ცენტრშია თხა.

„— ვისია ეს თხა?

— ვისია და ჩემია, პირველად ხედავ-ფუძორ

— კი მაგრამ, ჭვერი რა უყო?

— რა უყო და შეკერეს.

— რატომ?

— რატომ და რომ არ იცნონ! სად გაგონილა ამა მეველეს საკუთარი თხა მიიყვანოს კანტორაზე დაქვერილი.

— მერე?

— მერე მაგი თხად მაინც არ ვარგა, ერთი ბოთლი რძე რომ დაალეციო, ერთ ჭიქას არ მოაწვეღეს, არე ხორცად ვარგა, ძვალი და ტყავი ცარიელი. ნაინე ზარალია ჩემთვის, მიეიყვან და მეუშაობაში ჩამეთვლება.

— რომ იცნონ?

— რას იცნობენ, ისეა გამოცვლილი, მეც ალარ მჯერა, ჩემი რომაა. კარგად იყავი, ჩემო ბიძია, შენ გაგაბარა ღმერთმა, ყურძენი რომ ნაჭამე, გამშრალი მჭინდა პირი.

— კარგად იყავი, ილიკო!

— ილარიონთან არ გამამხილო, ზურიკოს ეუნაცვალე, თორემ დამღუპავს. — მთხოვა ილიკომ.

— ნუ გეშინია, ილიკო, სამარე ვარ.

ერთი თვის შემდეგ წვერგაკრეკილი და საკმაოდ მოსუქებული თხა, როგორც უპატრონო, პრემიის სახით საჯაროდ გადაეცა ილიკოს კარგი მუშაობისათვის“.

ისევ „მეკბენი, ილიკო და ილარიონში“ მთელი თავი ეძღვნება ძროხა ფაკეზოს, რომელს ირგვლივ შექმნილი იუმორისტული სიტუაცია გამოიჩრევა სიმძაფრით და ემოციურობით, ბუნებრიობით და შთამბეჭდაობით. ამ სიტუაციაში ახალ, ხალას იუმორისტულ ფერებს იძენენ რომანის მთავარი პერსონაჟები და ეს ფერები და შტრიხები ხელს უწყობენ სახე-ხასიათების მკვეთრად გამოხატვას.

კაცს უნდა ესმოდეს მზეცის, უნდა ახარებდეს ბინა ხალისანობა და აღონებდეს უბედურება. „ნუ გეშინია, დედაშინ!“ მწვრალი ხატავს დედადთვის და მისი ბელის მოკვლის შემაზარზენ სურათს და კიცხავს ადამიანებს, რომლებიც გულგრილად უცქერიან ცხოველის უბედურებას, ხოლო ადამიანის კაცურ ღირსებად თვლის მზეცის ტრაგედიის გამო ტირილს.

რომაწში ცხოველის ბედში ზოგჯერ ალეგორიულად გადმოცემულია ადამიანის ბედი, მინიშნებულია რაიმე მნიშვნელოვანი იდეა. ცხოველთან დაკავშირებული სიტუაციები ასოციაციით მიგვანიშნებენ ადამიანთა ურთიერთობებს, მოგვაგონებენ სახეებს, რომლებიც დატვირთულია დიდი შინაარსით.

„— დედა არ გახსოვს? დედა, ალიონზე რომ მოგიკალით, მაშინ შერბინა ტიროდა. არ გახსოვს? — ვეუბნები...

— თუმცა რა, უკეთესია თუ არ გახსოვს, შენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოსაც უკეთესია და ჩემთვისაც უკეთესია. შენთვის იმიტომ, რომ არ იცი დედა თუ მოგიკლეს. ჩემთვის იმიტომ, რომ არ იცი, მე რომ მოვკალი, მაგრამ ეე არ მომიკლავს, მერაბია, გეფიცები, არ მომიკლავს, უბრალოდ, იქ ვიყავი და ვეფუთრებდი... ჰოდა, შენთვისაც კარგია და ჩემთვისაც, რომ არაფერი არ იცი, არაფერი არ გახსოვს, მაგრამ მე რომ მახსოვს? დედაშენიც რომ მახსოვს? დედაჩენიც რომ მახსოვს? მამაჩემიც რომ მახსოვს? შერბინიც რომ მახსოვს? რა ექნა, მითხარი, მერაბია, ყველაფერი რომ მახსოვს?"

დამაჯერებლად, დიდი ზომიერებით აღწერს ნუნარალი ავთო ჯაყელის გამომშვიდობებას დათვთან — მერაბიასთან. კაცი და მხეცი ერთმანეთს ეფხოვებიან, როგორც ადამიანი გამოეთხოვება ადამიანს. ავთო ჯაყელს გადაწყვეტილი ჰქონდა მერაბია ბათუმის ზოოპარკისათვის ჩაებარებინა. მაგრამ მერაბიას ტყისაკენ მიეწევის გული. მას ავთოსგან განშორებაც უჭირს, მაგრამ ტყის ცხოვრებაც ყველაფერზე ძლიერია; ზოოპარკის გალიაში მოსეხებულ ცხოვრებას ტყეში ონავრად ყოფნა ჯობს. მაგრამ დათვს ტყეში მესაზღვრე გადაეყარა და მხეცი მოჰკლა, რაც გულსატკივნი და ტრაგიზმის გრძნობას აღძრავს, ფიქრს აგიშლის.

6. დუმბაძისათვის დამახასიათებელია ლაკონური, სხარტი, ემოციური თხრობა, რაც ნიშნავდა ლეონიდ პოეტურ-ლირიკული პროზისათვის. მის რომანებში ეპიზოდს სწრაფად ენაცვლება ეპიზოდი, სურათს—სურათი. განუწყვეტლივ იმადგენან სულ ახალ-ახალი სიტუაციები და შესაბამისი გაწყობილებები. ამასთანავე, სიტუაციებსა და გაწყობილებების შეცვლა, როგორც წესი, ხდება ერთბაშად, მოულოდნელად, მაგრამ ბუნებრივად, ძალდაუტანებლად. ზშირად გაწყობილებები და სურათები სპირონსპირო ხასიათს ატარებს. სასაცილოს, იუმორისტულ ენაცვლება სამწუხარო, სევდიანი და რომანტიკული, ან პირიქით. მწერალი ახერხებს მცირე ფართობზე ბევრი მოგვითხროს. პერსონაჟები ერთბაშად შემოდიან რომანებში და პიბველი გამოჩენისთანავე ქმნიან სიტუაციას, განწყობილებას, ახალი ფერით აღიბეჭდებიან მხატვრულ ტილოზე. პერსონაჟები მოკლე დროში ბევრს განიცდიან. ყოველივე ეს ნაწარმოებს ცხოველ დრამატულობას ანიჭებს, საინტერესოს და ბიმზიდველს ხდის მკითხველისათვის, ზრდის მისი ზემოქმედების ძალას.

ავთანდილ ჯაყელმა დადუნას ამხანაგებს ჩხუბი აუტეხა. მას სცემეს. სალამო ჩაუმწარდათ. რა ბობდება შემდეგ? როგორ განვითარდება ავთოს და დადუნას ურთიერთობა? მესამე დღეს ავთომ დადუნას წერილი მიიღო, შეეხვედეთო. გოგო-ბიჭი ერთმანეთს შეხვდნენ, ტაქსი დაიჭირეს და მცხეთისაკენ გაისეირნეს. ყმაწვილური გზნება მათ ერთმანეთისაკენ იზიდავს; მოფერება. ალერსი. ტაქსის ძძღოლი საჩეკნი დაენებებინეთ ექერის ავთოს... საბუჟავი დაუშვებს. მანქანიდან ჩამოდიან. ავთო მძღოლს მიეშველება, საბუჟავის დაბერვას შეუდგება. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... ბერავს საბუჟავს. ოთხი, ხუთი, ექვსი, მოესმის უცვე. თავს მალა ასწევს და მის წინ 14-15 წლის ბიჭი დგას. მას მერაბია ჰქვია, პატარობაში ტეინის ანთება გადაუტანია და გიჟად დარჩენილა. მერაბიას ჰყოლია მეგობარი ნათელა, რომელიც გარდაცვლილა. მერაბიამ იცის, რომ ნათელა აღარ არის, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ ნათელა მხოლოდ „წავიდა" და დაელინი იმეორებს: მე ვიცი სად წავიდა, არავინ არ იცის, მე ვიცი...

ამ დროს დადუნა მინდვრის ყვავილებს ჰკრეფდა და დიდი თაიგული შეკრა. ავთომ თაიგული მერაბიას ჩაუქა. ავტომობილში ჩასხდნენ და გზა განაგრძეს. ისევ ტრფობის ალმური. „ჩემს ხელს დადუნას ხელი შეეხო. გავხედე, იგი არ მიმზერდა, სადღაც ფანჯარაში იყურებოდა და რამდენჯერაც ხელს მომიშვერდა, ეხვედებოდი, იმდენ რაღაც ლამაზს, დიდებულსა და მშვენიერს ხედავდა. მკლავი გადაეწვე და დადუნას მხარზე მოვხვიე, ნერე ჩემსკენ მოვზიდე და სახე მის გაშლილ თმაში ჩავფალი".

ავთოს და დადუნას ბედნიერება უფრო მძაფრად განგვაცდევინებს მერაბისა და ნათელას უბედურებას. კონტრასტი ამძაფრებს ნახატს, ძაბავს სიტუაციას, თვალწინელოს და გულით შესაკრძნობს ხდის ცხოვრების დიდ სიმართლეს, რომ ცხოვრებაში არის ბედნიერება და არის უბედურება და რომ ისინი ზშირად ერთმანეთის გვერდით არიან.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. ავტონაქნანის მართვის მძღოლი, რომელიც კვლავ დაენებინა აეკერდება სარკეში ავთოს...

ტაქსის მძღოლი ამოა. ავთანდილმა და ამომ ერთმანეთი ეპოვნეს. დაკარგულმა ბავშვობის მეგობრებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს ერთმანეთი.

„— გამარჯობა, ჯაყო! — თქვა ამომ და მანქანა ჯერის ძირში გაიჩერა, მერე მანქანიდან გადმოვიდა და გვერდზე გადგა. მეც გადმოვედი მანქანიდან და ამოს პირდაპირ დავდექი.

დიდხანს ვიდექით ერთმანეთის პირდაპირ. ამო ძალიან უზრუნველად იღიმებოდა, მე არ ვიცი რას ეკეთებდი, ეცდილობდი კი გამეღიმა. მერე ამომ ხელი გამომიწოდა, მეც გავწოწოდე და ისე ხელგაწვდილები წავედით ერთმანეთისაკენ. რომ მიეუახლოვდით, ხელი არ ჩამოგვრთქვეია. ამომ ხელები ჩხრეხნა მომბეგა, გულში ჩამიკრა და მე დიდხანს ვგრძნობდი ბეჭებზე მისი

ბეთი ვარდოსანიძე
ბეთვინ ხიდი

ვეებერთელა ტორების ბრახუნს და ჩუჩჩულს.

— სად ხარ, ჯაყო, ჯაყო, ჯაყო, ჯაყო, როგორ ხარ, ჯაყო, ჩემო ჯაყო...“

რამდენი განცდა, მძიფარი ფსიქოლოგიური სიტუაცია, მხატვრული ფერი და ფაქიზი ნიუანსია მოცემული ამ ეპიზოდში. ძნელია დამტკიცებით თქვა, რა უფრო შთამბეჭდავია, რა უფრო აღელვებს სულსა და გულს, ყნოსვილური, თავაწყარა ტრფიალი დადუნასი და ავთოსი, მერაბასა და ნათელას უბედურება, თუ უცაბედი შეხვედრა ბავშვობის მეგობრებისა, მეგობრობის, რომლებიც მთელი შეგნებული ცხოვრება ეძებდნენ ერთმანეთს და ეს ყველაფერი ერთად, ერთბაშად დახვავებული!

და ისევ ახალი სიტუაცია, ტილოზე ჩნდება ახალი ლოკალური სიუეტი: ჯვარის ეზოში საუბარი და ფეხის ხმა მოისმა, ათიოდე კაცისგან შემდგარი ჯგუფი ჯვარის დასთვალიერებლად მოვიდა, მათ შორის ერთი სამხედრო იყო, გენერალი. ეტყობოდა, ყველა დანარჩენი მას ახლდა და ეს ექსკურსიაც მის პატივსაცემად იყო მოწყობილი. თანმხლებთაგან ერთი განსაკუთრებით აქტიური და, ალბათ, ექსკურსიამძღოლი იყო. „— ჯვარი, — დაიწყო მან და თავიდან ბოლომდე გაიმეორა ის, რაც მონასტრის კედელზე გაკრულ მეზობლიურ დაფაზე სწერია. იმას რომ მორჩა, ისევ ჩაახელა და თქმის ვალრმავებას შეუდგა“. მას სულგანაბული უსმენდა გენერალი, რომელიც საღიაც შორს, სივრცეში იცქირებოდა თვალოქუტელი. გენერალმა კიდევ ერთხელ გახედა სივრცეს. «Мдаа.. Хороший наблюдательный пункт!» — თქვა ნან. ექსკურსიამძღოლი გაფითრდა, მე სლოყინი ამივარდა. დადუნამ პირზე ხელი ამაფარა და თვითონაც აიფარა, რომ არ ეკიცვა. «Все ущелье контролирует! — დაადგირგვინა გენერალმა და ამაყად გადმოვგხედა“. ყველაფერს და ყოველივეს ცივი წყალი გადაესხა. წინამორბედი სატრფიალო-ლირიკული სურათი ერთბაშად შეიცვალა იუმორისტულით.

შემდეგ კვლავ სატრფიალო-ლირიკული სურათი, რომელიც შესრულებულია შთაგონებით, მწყაზარი გემოვნებით. ერთმანეთით გატაცებული ქალ-ვაჟი თავდავიწყებას ეძლევიან... და ეს ტრფობა წინდა და მაღალია, როგორც ... მელიც მათ თავს დაჰყურებს, ცელქია ნიავივით, რომელიც მათ თმას ფუფაკავს, ლაღი და მართალია იმ მწყურვრტებენივით, მათ შორიახლოს რომ დაგოგმანობენ... თითქოს წინ არაფერი არ იყო; არც ნერანბია ყოფილა, არც ამო, არც გენერალი... სამყარო დაცარიელდა, ქალ-ვაჟის გულიდან და გონებიდან ყოველივე გაქრა. ისინი მხოლოდ ერთმანეთის უმზერენ, ერთმანეთის გულისმგერას გრძნობენ, მათ მხოლოდ ერთმანეთის სუნთქვა ესმით...

სატრფიალო-ლირიკულ განწყობილებას პერსონაჟებისას შესანიშნავად უპასუხებს ბუნების სურათები. ჰარმონიას ადამიანური გრძნობებისა, ადამიანური ურთიერთობისა ავსებს, „ამდიდრებს და სრულყოფს ბუნების ჰარმონია. მშვენიერი გრძნობით არის შთაგონებული ქალ-ვაჟი და მშვენიერია გარემომცველი ბუნება. ჰეიზაეს აქ არა აქვს დამოუკიდებელი, ცერძო ფუნქცია, იგი ემსახურება ფსიქოლოგიური სურათის სრულყოფას და შთამბეჭდავად გადმოცემას.

რომაშნი, საერთოდ ნ. დუმბაძის მთელ შემოქმედებაში, მთავარია ადამიანობის, კაცობის ქადაგება. ამ იდეურ-მხატვრული ამოცანისადმი არის დამორჩილებული თითქმის ყველა სახე, დადებითიც და უარყოფითიც; ამ ამოცანას უპასუხებს ყოველი მხატვრულად ღირებული ნაწერი თუ დეტალი. სიცილი თუ ტირილი, იუმორისტული თუ დრამატული, კომიკური თუ ტრაგიკული, ყველაფერი ჩაყენებულია ადამიანობის, კაცობის აღზრდის სამსახურში. პერსონაჟების წინაშე ბუდან არის დასმული ყველაზე მთავარი კითხვა: ვინ არის იგი, კაცი თუ პირუტყვი, ადამიანი თუ მხეცი, გულიანი თუ უგულო, კაცური კაცი თუ გარეწარი? შეუძლია თუ არა იყოს ამხანაგი, იყოს მეგობარი, იყოს მოქალაქე, იყოს მეზობელი და მოკეთე. ეშინოდეს და მაინც ტყეიას უშვერდეს მკერდს. ეფაკიას მხეცის დატირებისაც კი არ უნდა რცხვენოდეს, სხვისი სიკეთე და სიხარული თავისად მიაჩნდეს!..

თამარ ოქროშიძე

ფერთა სიმბოლიკა ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში

თეთრი, წითელი და შავი რაშები განუყოფელი პერსონაჟებია ჩვენი ჯადოსნური ზღაპრებისა. ფერთა ეს ძირითადი გამა საერთოა თითქმის ყველა ერის ეპოსისათვის, მაგრამ ქართულ ზღაპარში და, განსაკუთრებით ისეთ ეპოსში, როგორიც „ამირანიანია", ის მაინც საოცარი სიღრმითა და სიმბოლურობით არის აღბეჭდილი, იმ განსხვავებით, რომ ამ უძველეს ძეგლში რაშების მაგიერ გველეშაპები წარმოდგენილი. ბადრს, უსუპსა და ამირანს, როგორც ეიცით, თეთრი, წითელი და შავი გველეშაპი შემოეყრება. სულხან-საბა ორბელიანიც ხომ საგანგებოდ გამოჰყოფს ამ სამ ფერს თავის ლექსიკონში: „ფერი-თეთრი, წითელი, შავი და მისთანა", — ამბობს იგი. არც „ვეფხისტყაოსანს" გმირთა იერი სცილდება ფერთა ამ რკალს, რაც ჩვენ ყურადღებას კიდევ უფრო ამახვილებს. ფერთა ეს საკთხი უდიდესი შინაარსის საკითხია. ცნობილია, რომ თეთრი — ზესკნელის ფერია და იგი მზის ან დღის ნათელს განასახიერებს. ამასთანავე ის ხომ სიხარულის, ბედნიერებისა და ბარაქის მომნიჭებელი ზემო სკნელის ფერიცაა.

შუასკნელს წითელი ფერი განასახიერებს. ის სიცოცხლის, ძლიერებისა და ბუნების აღორძინების ანუ ვეგეტაციის გამომხატველი ფერია. რაც შეეხება შავ ფერს, იგი ქვესკნელის ანუ მარადიული ღამის ფერია, ფერია იმ ქვესკნელისა, სადაც თესლი ღვდება და მიცვალებულნი განისვენებენ.

ამ სამ ფერთან გასათვალისწინებელია „ზღაპრიც ტიტველი მგლისა": კლდის კაშში შესულმა მწყემსებმა ყელგამოკრილი კაცის მახლობლად ჭერში სამი წყვდა დაინახეს. შიგმა წყვდამ თქვა „ამ ვაკაცს ვინმე რომ დამკრავდეს, მკედარს თავი მოებმებაო. თეთრმა თქვა: ამ მკედარს ვინმე რომ დამკრავდეს, პირში სული ჩაედგმებაო. ხოლო წითელმა წყვდამ დასძინა: მე რომ ვინმე დამკრავდეს ეს ვაკაცი მაშინვე ფეხზე დადგებაო". ეს სამი ფერი ხომ ჩვენი სამი სკნელის გამომხატველი სამი ფერია: შავი — მოკრილი თავის კისერზე მობმისა ანუ გამთლიანებისა, თეთრი — სულის ჩაედგმისა და წითელი — გაცოცხლებისა.

ჩვენ ყოფაში დღეკანდელობამდე შემორჩენილ უძველეს ზღაპარ-თქმულებათა და წესჩვეულებათა ზოგი ფრაგმენტი ზუსტად ესადგება ფოლკლორულ ქანრებს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ინფექციურ დაავადებათა მფარველი ღვთაება ბარბოლ-ბარბარის ანუ ბაბარისადმი მიძღვნილ საგალობლებში. თეთრი, წითელი და შავი ფერების ხშირი ხსენება (ელ. ვირსალაძე. ბარბოლ-ბარბარი ქართულ ფოლკლორში. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 2, 1955, გვ. 165). ბატონების მიერ გამოწვეული დაავადებაც ხომ სამგვარია და სამი ფერისაა. ორ მთვანს კი ჩვენი ხალხი პირდაპირ ფერით აღნაშნავს: წითელ და შავი ჭირი ანუ შავი ყამეი, — ამბობს იგი.

ყოველივე ამას თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი თქმულებაც ნათლად ადასტურებს: ერთ განმარტოებულ კუნძულზე თურმე სამი სასლი იდგა. ერთიდან თეთრი ბოლი ამდიოდა, მეორედან — წითელი და მესამედან — შავი. ამ სახლებში სამი სხვადასხვა ავადმყოფობის გამომწვევი „ბატონები" ბინადრობდნენ.

„ხოგაის მინდის" თქმულების მიხედვით ხევსურეთს სამნი „ყამნი" სამი სახედრით ეწვეოდნენ ხოლმე: თეთრით, წითლითა და შავით. თეთრი სახედრიდან გასროლილი ისრით

ადამიანი მსუბუქად იჭრებოდა, წითლიდან — მძიმედ, ხოლო შავი სახეფიფიან ნატყორცნი ისარი სასიკვდილო იყო.

ბარბოლ-ბარბაროის თვალ, წითელ და შავ-ჩოხოსან მხეცრებს ჩვენი შელოცვების მტკიცედ ჩამოყალიბებულ ფორმულებშიც ხშირად ვხვდებით: „გასცდა თეთრი კლდე, გამოვიდა თეთრი კაცი; თეთრსა ცხენსა იჯდა, თეთრი ჩოხა ეცვა, ხელში თეთრი მთარახი ეჭირა...“ ან: „გასცდა წითელი კლდე, გამოვიდა წითელი კაცი. წითელსა ცხენსა იჯდა, წითელი ჩოხა ეცვა, ხელში წითელი მთარახი ეჭირა...“ ანდა: „გასცდა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი; შავსა ცხენსა იჯდა, შავი ჩოხა ეცვა, ხელში შავი მთარახი ეჭირა...“

ბარბოლ-ბარბაროსა დღეს ჩვენს ეკლესიებში სხვადასხვა შესაწირავებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც „ბარბალეს მონად შემდგართა“ წმელის ულლები იყო, რომლებზედაც ხის ქვრქესაგან გამოთლილი ჯვარი ბამბის ძაფით ეკიდა. ულელს გარდა, ამავე რიგის შესაწირავს ეგრეთწოდებული „ქამრებიც“ მიეკუთვნებოდა. წითელსა და თეთრ ჩითის ქამრებს ხატოონნი წელზე ირტყამდნენ და ლოცვის შემდეგ იქვე ტოვებდნენ. მესამე რიგის შესაწირავი ბაავშის ავადმყოფობის დროს აღთქმული აკვანი, ბაღლის პერანგები და დედოფალები იყო. ამ დედოფალთაგან ერთი უსათუოდ წითელი უნდა ყოფილიყო შემოსილი (ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. 1941, გვ.51-52).

ამავე ფუნქციისაა ეგრეთწოდებული „ბატონების ხეზე“ დაკიდებული წითელი. ნაჭრები, წითელივე კვერები და ბურთულებიც.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები თავის მიცვალებულებს ახლაც სამი ფერის სკლატით სუდრავენ: თეთრით, შავითა და ჭრელით, რადგან მან, მიცვალებულმა, ქვეყნელნი ჩაგდებული თესლეივთ სამი სკნელი უნდა განელოს (დ. ზენგელაია. მუდმივი თანამგზავრები, გვ. 191). „წითელ ფერს, — მწერლის აზრით, — ზოგჯერ ჭრელი ეცლის. ვინ იცის, იქნებ იმიტომაც ამბობდა ჩვენი ხალხი: „ეს ცხოვრება ჭრელიაო“. — საგულისხმოდ დასძენს იგი. ამ მოსაზრებას მართლაც, ადასტურებს ბერიატთა თქმულება, სადაც „ზოგი გარდაცვლილი შამანი თეთრი, ჭრელი (ამლაკი) და შავი ცხენის პატრონად თვლებოდა, სიცოცხლეში რომ აბარებდა მას და ახლაც იმავე ფერის ცხენებით ეწვევა ხოლმე თავისი ულუსის სანახებს (В. Я. Пропп. Исторические корни волшебной сказки, გვ. 62).

როგორც ვხედავთ, ამ კოსმოგონიურ ფერებს გაცილებით უფრო ღრმად ჰქონიათ ფესვები გადგმული ქართველი ხალხის შეგნებაში, რასაც ჩვენი ჯადოსნური ზღაპრებიც ასე მეტყველად გამოთქვამენ. ხარობნი ანუ ქვეყნელნი ჩარჩენილი გმირი ზემოთ, ე. ი. შუასანელში, წითელმა ან თეთრმა ცხოველმა ფეხ-ზე იყვანონ. ბნელეთში მოზეიდრილ ვაჟს თეთრი, წითელი ან შავი ცხერები, თხები ანდა რაშები ჩაუქროლებენ. როგორც უკვე ვთქვით, თეთრები ზესანელის ბინადარნი არიან, წითელები — შუასანელისა და შავები —ქვეყანელისა. ასე რომ ზღაპრის გმირის გამარჯვება თუ დამარცხება ამა თუ იმ ფერით იმთავითვე არის განსაზღვრული. მოელენთა ასეთი ფერითი აღქმა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ზზოოვნების განეთიარების ისტორიაში ყოველივე ამას თავისი ფორმირების დიდი მანძილი აქვს განვლილი. „ხელმწიფეს შვილის და მეწყისქვითის შვილს“ ზღაპარში ვაჟს ამატომაც ფერთხლიებენ: „შავსა და წითელ თხას ერიდე, თორემ იმისთანა ალაგას გიგინთებენ, რომ შენს ასაკო-დასაკოს ვერავინ გიგიგინებსო“. გმირიც ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს, რის შედეგადაც ის სამზეოში თეთრ თხას ამოპყავს.

„იადონისა და ბულბულის ზღაპარში“ სამიარში მინღორში ბალახობდა. ეს რაშები ისეთები იყვნენ — შავზე რომ შემჯდარიყო კაცი, გაჭან-გამოქანდებოდა, ხან იქით ჰკიდდა კლდეს, ხან აქეთ და ისე მოპკლავდა. ეს რაში სიკვდილს მოციქული იყო, — აცხადებს თქმული. წითელზე რომ შემჯდარიყო კაცი, ცად ამაღლდებოდა, იმიტომ რომ ის ნათლის მოციქული იყოო.

სულნეთა ფერის ჯადოსნური ცხოველები დამახასიათებელი ნიშნთა და მოქმედებათ მკაფიოდ მიგვითითებენ თავის სადაურობაზე: თეთრი ცხვარი ალმა რბის, წითელი აქეთ-იქით ენარცხება, შავი — დაბლა მიექანება.

საყურადღებოა აგრეთვე ფერების სიმბოლური მნიშვნელობაც, რაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება: ადამიანმა თავისი დარღვიან დამძიმებული გულება ღამის ფერს მიუსადაგა. მოყვანილი ზღაპარში შავი ცხენი „სიკვდილის მოციქული“, ხოლო თეთრი ცხენი შავის საპირისპირო განწყობილებას გამოხატავდა და „ნათლის მოციქულიც“ მას ითქმის ეწოდება.

ქართულ გამოცანებშიც თეთრი მოზვერი — დღეა, შავი მოზვერი —ღამე: „მოვიდა თეთრი მოზვერი, გაგაღო შავი მოზვერი“.

მეორე გამოცანაში კი „შავი, მტირალა ღედაბერი ღამის სიმბოლოა: „შავმა ღედაბერმა ცრემლები დაღვარა, მთვარემ დახედა და ზზემ მოიპარაო“.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს სიმბოლოები ხალხის ენიალური მიგნებაა. ადამიანი თავისი სულიერი განწყობის მიმსგავსებით მუდამ ეძიებდა შესაბამის ფერს და ამ ფერის მიხედვით გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას სამყაროსადმი.

„ვაშლას ზღაპარში“ ხელმწიფემ შვილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის წინ ანდერძი დაუგდო: „რო მოვკვდები და დამმარხავთ, სამ დღე-ღამეს მიდა-რაჯეთ რიგ-რიგათაო". ამ გავრცელებული ანდერძითაა გააზრებული ბევრი ქართული ზღაპარი.

სვანეთში მიღებული წესის თანახმად, მონადირის საფლავს სამი ღამის განმავლობაში სდარაჯობენ (ულ. ვირსალაქე, ქართული სამონადირეო ეპოსი, გვ. 60, 108), რასაც თავისი საფუძველი აქვს ქართულ სამონადირეო რიტუალში: ვარდაცვლილ მონადირეს იცავენ დალისაგან, რომელსაც ბრალი ედება მის სიკვდილში. მიცვალებულს დარაჯობენ, რომ მკვდარი არ მოთხაროს, ტანთ არ გახადოს და თავისებურად არ დაიტიროს.

თ. რაზიკაშვილის მიერ ფშაში ჩაწერილ ამ სიუჟეტის ერთ-ერთ ვარიანტში ეს საინტერესო მატიკი ეოცსლად არის წარმოდგენილი: „მამის საფლავის ყარაულობა წინა ღამეს უფროს ძმას ერგო. უფროსი ძმა წავიდა სადარაჯოდ. დაჯდა საფლაზე და დაიწყო ლოდინი. ცოტა ხანიც და მაღალი საფლავზე გრიალი შაერაშიანმა მხედარმა. მხედარი ყორანივით შავად იყო შემოსილი, რაშიც შავი ჰყავდა, იარაღიც შავი ჰქონდა, შავი ნისლი ეფარა...

შუადამის ჟამს წითელი მხედარი მოვიდა. წითელი რაში ჰყავდა, წითელი ტანისამოსი ეცვა, წითელი აბჯარი ჰქონდა ასხმული, წითელი ნისლი ეფარა...

გათენების ხანს თეთრი მხედარი მოვიდა, თეთრს ცხენზედ იჯდა, თეთრად შეკაზმულზედ. თეთრი საცმელით, თეთრის აბჯრით, თეთრით, როგორც წიმარო თოვლი, თეთრი ნისლი ეფარა პირზე..."

როგორც ვხედავთ, ამ სამი მხედრის საფლავზე მოსვლის დრო ფერითაც დღე-ღამის შესაფერ ჟამთანაა დაკავშირებული: შაერაშიანი, ყორანივით შავად მოსილი მხედარი—ეხსშობისას მოდის, წითელი მხედარი — შუადამისას—პირველი მამლის ყივილის დროს, თეთრი მხედარი კი — გათენებისას.

ანალოგიური მოტივი სხვა ზღაპრებშიც გვხვდება.

„ივანე ცისკრის" ზღაპარში მეკიდლის ცოლს სამი ვაშლის შეჭმის შედეგად სამი ვაჟი გაუჩნდება. ერთი ბინდზე დაიბადა. მონათლეს და დაარქვეს „ივანე საღამისი". მოწოვა ვაჟმა ძუძუ და გაფრინდა ქარიგით ცაში. შუადამისას მეორე დაიბადა, დაარქვეს „ივანე შუადამისა". მოწოვა ინანაც ძუძუ და გაფრინდა ცისაკენ. ცისკარზე დაიბადა მესამე ვაჟი. მონათლეს და დაარქვეს „ივანე ცისკარი". მოწოვა ივანე ცისკარმა ძუძუ და გასწია ცისკენ. ეს ხომ ზემოთ მოტანილ მოტივის თითქმის სიტყვასიტყვით გამეორებაა.

შელოცვების კომპოზიციის მსგავსად არის აგებული აგრეთვე „მეცხვარის, ბრმა დევისა და ფეიერის შვილების" ზღაპარის ის ეპიზოდი, სადაც მელიე ზუსტად ემთხვევა ზემოშმოყვანილ შელოცვების გაქვავებულ ფორმულას: ბიჭმა გარეკა შავი მთისაკენ ცხვარი. ერთი შავი მეცხვარე გამოვიდა, ხელში შავი ჩომახი ეჭირა, შავი ნაბადი ესხა, შავი ცხვარი და შავი ძაღლები ახლდა.

მერე წითელ მთაზე გარეკა ბიჭმა ფარა. გამოვიდა წითელი მეცხვარე, გამოირეკა სულ წითელი ცხვარი და წითელი ძაღლები, თვითონაც წითელი ნაბადი ესხა და ხელში წითელი კომბალი ეჭირა.

ასევე ნახა ბიჭმა თეთრ მთაზე, თეთრჩომბახიანი თეთრი მეცხვარე თეთრი ცხვრით.

შელოცვების მსგავსი ფორმულების ასეთი გამეორებანი ჯადოსნურ ზღაპრებში მთი იდუმალი ბუნებისა და მაგიასთან ღრმა კავშირის მაუწყებელია.

3. უმეოკშვილის მესამე ტომში გამოქვეყნებულ ზღაპარში გამახვილებულია ყურადღება თეთრი, წითელი და შავი ცხენის სიმარდეზე. ცოლის სძეებრად გამზადებულ ვმრის სამ ცხენს შესთავაზებენ: "წითელს — ერთი კვირა სჭირდება დანაშნულ ადგილზე მისასვლელად, თეთრს — — სამი დღე, ხოლო "შავი ცხენისათვის ერთი წამია საკმარისი. როგორც ვხედავთ, შავი რაშის გზა უმოკლესია.

ცნობილია ისიც, რომ ჩვენს ზღაპრებში დევები ადამიანებივითაა საქმიანობენ, აქვთ ისეთივე მეურნეობა, როგორიც ადამიანებს, აქვთ გამართული ოჯახი, ჰყავთ ცოლ-შვილი, ხშირად ადამიანთა მოდგმის ქალსაც ირთავენ ცოლად. ჰყავთ ძროხება და თეთრი, წითელი და შავი რაშებით დადიან სანადირიოდ.

მიუხედავად ამისა, დევთა და ადამიანთა შორის მკვეთრი განსხვავებაც არსებობს. დევები ადამიანთა მოდგმასთან მტრულად არიან განწყობილნი და ეს დაპირისპირება ზღაპრის ერთ-ერთი ძირითადი კონფლიქტთაგანია.

ხელმწიფის ვაჟი დევთისაგან გატაცებული თავისი სამი ძმის საძებრად მიდის. გზად თეთრ ცხენზე ამხედრებული ცხრათავიანი დევი შემოეყრება. ბიჭი მოკლას დევს, ისსახმ მის იარაღს, შეჯდება ცხენზე და წავა. ასევე ამარცხებს ეს შვილი წლის ბიჭი წითელ და შავ ცხენზე ამხედრებულ თხუთმეტთავიან და ოცთავიან დევებს.

ხდება ისიც, რომ თეთრი დევი ნადირობიდან ბრუნდება. ხარ-ირემი მოუკლავს, ცხენზე გადაუკიდნია და მხარზე ერთი ჭინდარიც გაუდვია.

მოდის წითელი დევი, მხარზე ერთი წიფე-

თამარ ოძაოზიძე

ფერთა სიმბოლიკა ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში

ლა გაუდგია, ცხენზე ხარ-ირემი გადაუკიდნიაო, — გადმოგვცემს მეორე ზღაპარიც.

„შავი მთა, შავი ტყე დგა, შავი ფრინველი დფრინავს“. აქ კი შავი დევი ბინადრობს, იმისი მომრევი ჯერ არავინ არის. ისიც ცხენზე გადაკიდებული ნანადირევით ბრუნდება შინ.

აღნიშნულ საკითხს ეხება აგრეთვე „ვეფხისტყაოსანის“ ფერთამტყეველებაც“, სადაც ვ. ნოზაძე დაწერილებით განიხილავს ყველა იმ ფერს, რომელიც კი მოხსენებულია რუსთველის პოემაში. მართალია, „ვეფხისტყაოსანის“ ფერები არაკოსმოგონიური ფერებია, მაგრამ ერთგვარ ინტერესს ისინი მაინც არ არიან მოკლებულნი. მაგალითად, ვ. ნოზაძეს მიაჩნია, რომ ავთანდილის თეთრი ცხენის ფერი შემთხვევითი არ არის ისე, ვით ნიბელუნგთა ეპოსში არ არის შემთხვევითი ზიგფრიდის თეთრი ცხენი. ქართულ პოემაში ავთანდილის ცხენი იმიტომ არის თეთრი, რომ მისმა მხედარმა არ იცის არე ჭმუნვა და არც დარღი. პოემაში მეორედ გამოჩენისას ავთანდილი შავად დაწიწკნელულ ცხენზე რომ ზის, ვ. ნოზაძე ამაშიც განსაკუთრებულ აზრს ხედავს.

პირველ შემთხვევაში ავთანდილი ბედნიერია, რასაც მისი თეთრი ცხენი თავისი ფერით გამოხატავს, ხოლო მეორედ იგი „ყმაა ჯარბგოსანი“. ჯარმაგ ან ჩარმაგ კი ირანული სიტყვაა, რაც თეთრს ან ჭაღარას ნიშნავს. „ჩარმაგი არის ოთხფეხა თეთრი ფერისა, შავად დაწიწკნელული“ (იხ. საბა).

ცხენთა ფერების სიმბოლური მნიშვნელობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველესი საუკუნეებიდან.

ალამანი ღია ანუ ბაც ფერებში აღელვს თავის სიხარულს, გულდაღონაში კი, პირიქით თალხი (შავი) ფერით გამოხატავს თავის სულიერ მდგომარეობას. რახან ასეა, მაშ განვიხილოთ სკნელთა ეს ზოომორფული წარმოდგენები ფერების მიხედვით: როგორც დავინახეთ, თეთრი ფერი ცის ანუ ზენაელის ფერი ყოფილა. მაშასადამე, თეთრი რაშიც ცის ბინადარია. ეს ფერი კი მზის სამყოფელზე ბოლოს მიგანიშნებს.

თეთრი რაშის ამ სამყოფელს გვისურათებს კახეთში ჩაწერილი ზღაპარიც: მეფის ბაღს ვიღაცა ანადგურებდა. მეფემ ბრძანა, შეიპყარით ის თავხელი და აქ მომგვარეთო. ვინ არის ჩემ ბაღში შემოსვლას რომ ბედავსო. კოჭლმა ძმამ ერი ითხოვა მეფისაგან. შეჯდა უკუღმა და გაემართა მეფის ბაღისაკენ. შვიდი დღე და შვიდი ღამე უდარაჯა. მეშვიდე ღამეს, განთიადისას, უცნაურად იელვა. ცამ პირი გახსნა და დედამიწაზე თეთრი რაში დაეშვა. დადგა თუ არა რაშმა ფეხი დედამიწაზე, ბაღისაკენ გაქანდა. შეეარდა შიგა და დაუწყო გატიალება. კოჭლმა ბიჭმა ისკუცა ვირიდან და კისერზე მოეხვია რაშს, თავისიკე ფაფარით გათოკა და, ის იყო, სახლისაკენ პირიქადა წაყვანას, რომ რაში ეშვილ ეველდრა: ოღონდ გამიშვი და პირობას გაძლევ ამის შემდეგ ბაღს აღარ გავეკარებინო.

მეორე ზღაპრის ხელმწიფის მამულში ასევე ანადგურებს ღამღამობით ოქროს ყანას ფაფარაყრილი რაში. ზესკნელიდან შეუსკენლში ჩამოფრენილ რაშთა მოქმედება, ეფექრობთ, აიხსნება შეუსკენლთან დაპირისპირებით, რამაც შექმნა ეს კონფლიქტი.

თეთრმა ცხენმა ამირანის ეპოსში „თეთრონის“ სახელწოდება მიიღო; მაშასადამე, რაშს ზეცასთან ურთიერთობის ნიშანი სახელში შემორჩენა, და მსმენელს ყოველ წამს აგონებს ამ დიდ მემკვიდრეობას, რომელიც მას, როგორც თეთრ რაშს, ზესკენელთან აკავშირებს.

თეთრონი ბელოოსის რაშივით ლაღად ცურავს ზღვაში. ბაღრის თეთრონისათვისაც ზღვა და ხმელი ერთი იყო (მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი. 1947, გვ. 391).

მზიური ყამარის მოსაყვანად ამირანს მზიურივე რაში სჭირდებოდა და ამიტომ სთხოვა ძმას:

ბაღრო, მთხოვე თ ე თ რ ო ნ ი,
ზღვაში გავიდე ნგრეკითა,
გავიდე, გამოვიყვანო,
ქალია თეთრი მზე ვითა.

ქართულ ვარიანტში ბაღრის „თ ე თ რ ო ნ ი“ თავთვითონ“ სახელით იხსენება:

ბაღრო, მთხოვე თ ა ვ თ ე თ რ ი,
ზღვაში გავიდე ღელვითა,
ყამარ-ქალ გამოვიყვანო,
ტკბილია დედის რძე ვითა.

ხეესხურულ სატრფიალო პოეზიაში თეთრი ცხენი ასე იელვებს:

ჭალაზედ რომენ შამასჩნდი თეთრი ქორაის ცხენითა?
შამაამხდინე ქაკის კარს! ქალი გაგიძღებ ქერითა,
ქერითა, არა ქერითა, მარგალიტითა ჭრელითა;
აგისხამ ძუა-ფაფარსა სამკაულითა ჩემითა...

ლეკსში შემთხვევითი არ არის ბოლო ტაეპის მითითება. ცხენის მორთვა-მოკაზმვა და ძუა-ფაფრის დამშვენება ცნობილი იყო არა მარტო ძველ საქართველოში.

სოფ. არადეში 1935 წელს ჩაწერილია საყურადღებო ცნობა ნამგზავრი ცხენის მოვლის შესახებ: „ცხენის ყაჯარის ცხენს კეხს ზემოთ გადაადგარებდნენ, რომ ცხენი არ დაირთაქოსო, არ დაიბუთოსო. ეს ყაჯარა ცხენს პირანგვეთ ეცვა, — გადმოგვცემს 84 წლის სოლო დავითის ძე ტიტინინძე, — მაგრამ ძალიან

მორთული კი იყო ფერადი ძაფითა, სულ აყვავებული იყო. ბალიშს მორთავდნენ: უნაგირის შემდეგ გადაფარებდნენ. ყაჯარის მშვენური ფუნჯები ჰქონდა, ჩუქურთმას რომ გიუკეთებენ, ისეთს...“ (სპ. სსრ მეცნ. აკადემია. ისტორიის ინსტიტუტი, ეთნოგრაფიის განყოფილება, შინამრეწველობის მასალები, გვ.293).

ქართლშივე ჩაწერილ ერთ ზღაპარში მოქმედ პერსონაჟთა შორის განსაკუთრებულად გამოირჩევა თეთრი ცხენი, რომელიც მუდამ თან ახლავს გრძნებით მომღერალ მონადირეს, რისთვისაც მას ხალხმა „თეთრცხენა მონადირე“ შერარქვა. ამას გარდა, საყურადღებოა ამ მონადირის რომანტიკული სახეც. თეთრცხენა მონადირე მისთვის შეუმჩნეველად მიადგება თორმეტთავიანი დევის სასახლეს. მონადირის სიმღერა მხნეა და იმედიანი, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდება. მზეთუნახავზე გული შეუვარდება თუ არა, ჰანგი მაშინვე იცვლება. ნაღვლიანი სიმღერით გულაბმიჯდარ მსმენელებს თვალთაგან ცრემლები სცვივათ, ფრინველთა მეფე ცაში გაირინდება და, ეაეის მწუხარების მიზეზს რომ გიგიკეს, დახმარებას შესთავაზებს.

ამ საინტერესო ზღაპრის პარალელს პროფ. ალ. ღლონტი ალტაურ ეპოსში პოულობს, სადაც ბოროტი აკკანი ჩვენებური მონადირესავით მუდამ თეთრ ცხენზე ზის, ხოლო ამაეე ეპოსის მთავარი გმირი ლეპმანაში თავდავიწყებით მღერის (ალ. ღლონტი. ქართული ზღაპრები. 1948, გვ. 54).

როგორც ვხედავთ, ქართული თეთრცხენა მონადირის დამახასიათებელი ნიშანი: სიმღერის ნიჭი და მისი მუდმივი თანამგზავრი თეთრი ცხენი აქ ორ პერსონაჟს შორის არის გაწაწილებული. მკვლევარი ეგრეთწოდებულ „მოძღვრად რაინდთა“ სიტყვეტის ასეთ ფართო გავრცელებას გენეტიკურად ორფეოსის ლეგენდარულ სიმღერას უკავშირებს. ჩვენი აზრით კი, ეს შორეული პარალელი შეიიღებოდა უფრო ახლოს მოგვეწია, რადგან თეთრცხენა მონადირე „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილს მოგვაგონებს: ისიც ხომ შეუყვარებელია! ისიც ხომ თეთრ ცხენზე ზის და ისეთი თავდავიწყებით მღერის, რომ

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან.

ვფიქრობთ, რომ მოქმედების კავშირი გმირის სულიერ კვაწყობასთან აქ უფრო უშუალოა. დაბოლოს, ალ. ღლონტი სრულიად მართებულად ადასტურებს თეთრი ცხენის მოტივის ურთიერთობას წმინდა გიორგის კულტთან. ჩვენი წარმართული თეთრი გიორგი მუდამ თეთრ ცხენზე ზის, ხოლო ქრისტიანული გიორგი ასეთივე თეთრი ცხენოსანია ეკლესიურ სიკეთესიო იკონოგრაფიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულ ეკლესიებში წარმოსახულ ვეშაპთ-მბრძოლ წმ. გიორგის ცხენი ხომ თითქმის მუდამ თეთრი ან ალისფერ-წითელია. პროფ. ვ. პროში ამ წითელ ფერში ცეცხლის ფერს ხედავს, რაც მას რაშის ცეცხლოვანი ბუნების გამოვლინებად მიაჩნია. ამისთვის. იმოწმებს ის და ეთანხმება ნეგელაინს, რომ თეთრი ფერი იმ ქვეყნიერ უსხეულო არსებათა ფერია, რისთვისაც რუსული ზღაპრების თეთრ ცხენს невидимка ანუ უჩინარი ეწოდება.

იოანეს „გამოცხადების“ სიკეთლიაც ხომ ფერმიხდილი ანუ მწუხარე ცხენის (конь-блед-ов) მხედარია. „აჰა ცხენი მწუხ
, და მჯდომარეს მას ზედა სახელი მისი სიკუდილი...“ (ქეელი ქართული ენის კათედრის შრომები. 1961, გვ. 10). გერმანული ხალხური წარმოდგენით, ეს სიკეთლი ასევე ზის თეთრ ჯალეგ ცხენზე.

ვ. პრიპი მართებულად აღნიშნავს, რომ ცხენი თეთრია, როცა საკუთრ დანიშნულებით გამოდის. ამრიგად, რუსულ ზღაპრებსა და სალქოთის ხალხურ ამოკალიფსურ რწმენაშიც ვ. პროპს თეთრი უსხეულო ცხენის ასეთი პოპულარობა არკვიულად მიაჩნია, ხოლო სხვა დანარჩენი ფერის ცხენები კი რეალისტურად.

სიკეთლის ცხენასთან თეთრი რაშის დაკავშირების საფუძველს კი იძლევა არც ჩვენი ზეპირსიტყვიერება და არც აქამდე შემორჩენილი წარმართული გადმოცემები.

ქართულ ზღაპრებში სიკეთლისა და ქვესკნელის სიმბოლური ფერი მკაცრად არის გამიჯნული რუსული ცხენის ჩვეულებრივი თეთრი ფერისაგან. სიკეთლის ფერი ქვესკნელის ანუ შავი რაშის ფერია და მას არაფერი აქვს საერთო თეთრ რაშთან.

ამგვარად, თავისი სპეციფიკა გააჩნია როგორც ქართულს, ისე რუსულ ზღაპრებს, თუნდაც ფერთა მნიშვნელობის თავისებურ განსაზღვრასა და სიმბოლოებთან დაკავშირებაში. როგორც ვხედავთ, კავშირი წითელი ფერისა თეთრთან უფრო ღრმა და ორგანული ყოფილა, ვიდრე ჩვენ ეს აქამდე წარმოგვედგინა.

წითელი რაში, როგორც ვიცით, შუასკნელის წარმომადგენელია და ის, როგორც ორ სკნელს შორის მოქცეული ფერი, ერთი მხრივ, თეთრ და, მეორე მხრივ, შავ რაშთან იმყოფება მჭიდრო ურთიერთობაში.

თამარ ოქროფაძე

ფერთა სიმბოლიკა ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში

პირველყოფილი ადამიანის რწმენით, მიცვალებული გამოცცლილი სიცოცხლით განაგრძობდა მიწიერ ცხოვრებას შავეთში. ამიტომ მოსავდა ქვესკნელში ჩასული იშთარი თამუზს წოფელი სამოსლით, ამიტომ მოსავენ ჩვენნი მთიელები სამფური სკლატით თავის მიცვალებულს და, როგორც დ. შენგელაია აღნიშნავს თავის ერთ-ერთ წერილში, ამიტომ ადარებდნენ ჩვენნი ყოველ ადდგომის დღეს წოფელ კვერცხებს გარდაცვლილთა საფლავებზე (ბუდმეი თანამეზაერები, გვ. 193), ანგვარად გამოდის, რომ წოფელი ანუ სიცოცხლის ფერი სიკვდილის ანუ შავი ფერის თანამგზავრიცაა, მაგრამ ჩვეულებრივი ნადირობის დროს ის უკვე აღარ ატარებდა მითოლოგიურ თვისებას, რადგან ნადირთა ხოცვა თავისთავად ბადებს სიცოცხლისა და სისხლის ერთიანობის იდეას, ასე რომ მკვდრის წოფლად შეღებვით ან შემოსვით ჯირისუფალი ცდილობდა დებრუნებინა გარდაცვლილისთვის დაკარგული სისხლი, ე.ი. სიცოცხლე. ამიტომ არის, რომ არც ერთ ზემოთ დასახელებულ ფერს არა აქვს ისეთი სხვადასხვაგვარი და ურთიერთსაწინააღმდეგო გაგება, როგორიც წოფელს.

წოფელი ფერის კოსმოგონიური ცხოველი, როგორც ვიცით, შუასკნელთანაა დაკავშირებული; თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ზოგჯერ ის ხარაში მომწყვდეულ გმირს ხან ქვესკნელამდე დაამდაბლებს და ხან ცამდე აღამაღლებს. როგორც ვხედავთ, წოფელი ფერის ეს ცხოველი ხან თეთრისა და ხან შავის ფუნქციას ითავსებს. ეს ამიტომ ხდება, რომ ის შუასკნელის გამომხატველი ფერია, შუასკნელი კი, ვიმეორებთ, თეთრსაც და შავ სკნელებს შორის არის მოქცეული, რასაც მისი სახელწოდებაც ადასტურებს. იგი მჭიდრო კონტაქტშია თეთრ და შავ ფერებთან და ამიტომ არის ეს ფერი ასე მრავეანი. ის ხან სიცოცხლეს განასახიერებს და ხან სიკვდილს. ალბათ ამიტომ ეძახიან ჩვენში დღესაც წოფლად ჩამავალ მზეს მიცვალებულის ანუ მკვდრის მზეს. ამასთან დაკავშირებით აქ შეგვიძლია აქვე ერ გავიხსენთ ქართული ზღაპრის მთავარი გმირის ჩვეულებრივი ანდერძი: სანამ წყალი ამ კამში ფერს არ იცვლის, ცოცხალი მიგიღეთო, გაწოლილება და მკვდარი ვარო.

ჩვენი მსჯელობა არ იქნებოდა სრული, თუ აქ ქართული ზღაპრების წოფელ სკნელთან დაკავშირებულ წოფლებიმილოვან მამალსაც არ გავიხსენებთ. როგორც ვიცით, მისი ობობანი ყეელი გარკვეული ჟამის მაუწყებელია.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ მამლის ყიეილზე საფლავთან წოფელრაშინის მხედარი გამოჩნდება. საყურადღებოა, რომ ეს ფრინველი ისეთ მჭიდრო ურთიერთობაშია მკვდრის კულტთან. ქართულ ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიაში ერთ დროს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ამ ფრთოსანს. ძველად ეგონა, თვით მითრას ფრინველადაც ითვლებოდა. ეს ფრინველი, განთიადის მაუწყებელი მამალი ოდითგანვე ასოციაციული ყოფილა არა მხოლოდ მზესთან, არამედ მიცვალებულთანაც.

სვანეთში ოჯახის მამალი შობლიურ სოფლიდან შორს დაღუპული სულის სამკბენელად და შინ დასაბრუნებლად მეკიანურესთან ერთად მიჰყავდათ ხოლმე. თუ მამალი ყიავლებდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ სული მოინახა. მაშინ ჯირისუფალები ჯიანურის დაკერას განაგრძობდნენ და ისე გამოსწევნენ შინისაკენ. თუ ვინიციობა, მამალი დიდხანს არ ყიავლებდა, ჩერდებოდნენ და ჯიანურის დაკერა-გალობით ისევ უხმობდნენ მიცვალებულის დაკარგულ სულს.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში მამალი, როგორც ჩანს, ოჯახური ყოფიდან არის შესული მითოლოგიაში და ამდენად ჩვენი უძველესი ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი მოტივის რეალური საფუძველი და ცხოვრებისეულობა უეჭველი ხდება.

როგორც დავინახეთ მითრას ეს ფრინველი მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული, ერთი მხრივ, შავ სკნელთან ანუ სულეთთან და, მეორე მხრივ, წოფელ სკნელთან ანუ სიცოცხლესთან.

წოფელი სკნელი კი თავისი რაშით თეთრისა და შავ სკნელთა შორის იყო მოქცეული. ზღვიცვებშიც ისევე, როგორც ზღაპრებში წოფელ სკნელს თავისი მხედრით შუა ადგილი ეჭირა. წოფელ რაშს ზემოდან ქვემოთ თითქმის მუდამ შავი რაში მოსდევს. ამგვარად, თეთრს წოფელი სკნელი მოჰყვება და წოფელს კი ყველაზე შემზარავი სკნელი — შავეთა, თავისი შესაბამისი ფერით.

ზღაპრული კოსმოსის ასეთ პლასტერ ალნგომას ნათლად გადმოგვეცემს „ბოეის ყვავილის ზღაპარიც“, სადაც ნათქვამია, რომ „ერთ კლდეს თავი თეთრი ჰქონდა, შუაგული წოფელი და ძირი შავი“. ეს კლდე ისეთი მაღალი ყოფილა, რომ ჭანერის წვერიც ვერ ასწვდებოდო.

ამირანის უძველეს ეპოსში შავი რაში ცხენის საკუთარ სახელადაც გვხვდება „შავ-რაშის“ ფორმით, როგორც დაპირისპირება ბაღრას „თეთრონისა“. ყამარის მოსატაცებლად ამხედრებულმა ამირანმა, როცა ის ბაღრმა გაწმილი და თეთრონი არ ათხოვა, უსუს მიმართა:

უსუს, მათხოვე შავ-რაში
ზღვაში გაეიღე ღელვითა...

ეს შავ-რაში ხალხურ პოეზიაში ცნობილია, როგორც „შავ-რეში“.

შავკაზმე შავი შავრეში,
გალაციყარეს თმანაი...

ავდექ შავკაზმე შაერეშნი,
შაუდექ შავთა გზათაონ...

ცხენის სახელის შაერეშნის შენიშვნების პროცესი ასეთი იქნებოდა: რეშნ, რაში ანუ რახს ირანულად რაშია და მას თავში ფერის მსაზღვრელი „შავი“ ემატება. აქედანაა სახელი-კომპოზიტი „შაერეშნი“ ანუ ჩვენი ქართული შაგრაშნ, იგივე შაგრა.

არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ, რომ შავი რაში ნაყოფიერების მომნიჭებელი გენიაცაა. ის ქვესკნელის ბინადარია და, როგორც აღვნიშნეთ, მიწაში ჩაგდებული ფეს�eკი ხომ აქ, ამ სკნელში ღვდება. ამას გარდა, ეს რაში ადამიანის „მშობელიც“, მისი მფარველი ტოტემიაცაა. აქ უნებლიეთ გვახსენდება ჩვენებური თქმაც: ყველა სიკეთილის შეილები ვართო.

„შავ-თეიმურაზის, მზე-თეიმურაზის და მთვარე-თეიმურაზის“ ზღაპარში შავი ქაკი ყოველ დღე მაკდება და კვიცსაც ყოველ საღამოს იგებს. პატრონი ბოლოს ჰკაის დაკვლის მოინდომებს. ამ მზაკვრულ განზრახვას მას ფინია გაუმხელს და ცხენიც ტყეს შეაფარებს თავს. ის აქაც ღილით ისევ მაკდება და საღამოობით ისევ იგებს კვიცს. ამგვარად, როცა დდი ჯოგი შეიქმნა, დედა-ცხენმა თქვა: „ასეთი ყოფა აბა რა ყოფაა. ღმერთო, როგორც გამაჩინე, ისე დამარჩინე; და ერთი ადამიანის შეილიც ჩამისახე მუეცერ, რომ ამ ცხენებს მოუაროსო“. ასე აუსურეცდა ცხენს ნატერა და ასე დაებადა მას ვაკი. სხვა რომ წელობით იზრდებოდა, ეს ვაკი ყოველ დღე იზრდებოდა. ბოლოს დავაქაცდა და ქვეყნის დათვალიერება მოინდოსა: დედამაც ვაკი დაარიგა: წადი, შვილო, და თუ ვინმემ ვინაობა კკითხოს, მეუგე, რომ შენ ტყეში შობილი შავი ცხენის შვილი, შავ-თეიმურაზი ხარო.

ვაკმა საგზაოდ ერთი კვიცი აირჩია. ზედ შეჯდა, კვიცმა გმინვა დიაწყო: ეს რა სამარცხვინოა, უმცროსი ძმა უფროს ძმას ზურგზე ჯდებაო.

ხომ არ არის ეს მოტივი უძველესი რწმენა ალეგორიობის მეხსიერებაში შემორჩენილი ადამიანის ცხოველი-მშობლისა ანუ ტოტემისა?

ქართულ ზღაპრებშიც ხშირად გვხვდება ასეთი ცხოველური წარმოშობის ადამიანი-პერსონაჟები: „დათვკაცა“, „დათვიშვილი“, „ცხერის შვილი“ და სხვ.

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე «Солнце, Месяц и Ворон Вороновичъ»-ის რუსული ზღაპარი. მიწაზე დაბნეულ ფეტვის აკრეფისას მოხუცი კაცი მზეს თხოვს, — გამათბეო, მთავრეს — შუქი მომანათეო, ყორანს კი ჭიაფეტვის აკრეფაში მიშველეო (Народные сказки А. Н. Афанасьева, т. I, М., 1957, гз. 134-135). ამ დახმარების სამაგიეროდ მზეს, მთვარესა და შავ ყორანს მოხუცი თავის ქალებს ატანს ცოლებად.

აქაც უძველეს ანალოგიურ რწმენასთან გვაქვს საქმე, როცა ეს მნათობები და ფრინველები ადამიანთა სახით წარმოიდგინათ და, ამგვარად, მათ ანთროპომორფიზაციას ჰქონდა ადგილი.

ამერიკის უძველეს ტკვიდრთა მითის მიხედვით დათვი-პატრონი (ტოტემი) მოტაცებულ ბიჭს ქვესკნელში გააქანებს და შესთავაზებს ქიმაგი აირჩიეო. ბიჭიც ქიმაგად შავ დათვს აირჩევს. დათვი-პატრონი აბუდღეულდება, უცცად დაიფრუტუნებს და შავ დათვს ზურგზე მოახტება. მერე ქვემოთ მოქცეული, ზურგით ზემოთ რომ შეაგდებს მომხდურს, მის ადგილას დათვი კი არა, შავი ქურანი აღმოჩნდება.

ამ მითის საფუძველზე ვ. პროპი საინტერესო განმარტებას იძლევა ძველი რელიგიური ფუნქციების ახლით შეცვლის შესახებ. ქიმაგ დათვს ცვლის ქიმაგი ცხენი, მაგრამ ამ ცხენს ჯერ კიდევ შერჩენია დათვური წარმოშობის ნიშანი: ფაფრის ნაცვლად დათვის ტყავი ქეჩოზე.

ეს ამერიკული უძველესი მითი, მითი იმ კონტინენტისა, რომელიც ევროპელთათვის ჯერ აღმოჩენილიც არ იყო, იმითი იქცევს ყურადღებას, რომ ის ძალიან ეხმაურება ჩვენებური მზე-თეიმურაზის, მთვარე-თეიმურაზისა და შავ-თეიმურაზის ზღაპარს, თუ მოვიგონებთ იმ ანალოგიურ შემთხვევასაც, როდესაც უფროს ძმა-ცხენს უმცროსი ძმა შავ-თეიმურაზი მოახტება ზურგზე, მაშინ მსგავსება ამ ეპიზოდებისა უფრო მეტია. ეს თავისებურება კი მდგომარეობს იმაში, რომ აქ სიუჟეტის სხვებას კი არა (რაც შეუძლებელი იყო), უძველეს ადამიანთა ყოფისა და საერთო სამეურნეო მდგომარეობით გამოწვეულ მსგავსებას აქვს ადგილი, რაც შეზედულებათა და მსოფლმხედველობათა ასეთსავე მსგავსებას იწვევს.

ჩვენ ყურადღებას აქ განსაკუთრებით ის გარემოება იქცევს, რომ ევროპელების მიერ ამერიკაში ჩრდილად შეყვანილ ცხენს ქვესკნელის სიმბოლური შავი ფერის დათვი დახვდა.

როგორც დავინახეთ, ქართული ზღაპარი ნათლად ასახავს უძველესი მითოლოგიური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპს. ამიტომაც მეორდებიან ჩვენი რაშები თავიანი ფერებით სხვადასხვა ეროვნულ ეპოსებში, რაც კაცობრიობის აღრეფდელი აზროვნების ერთობლიობასა და უნივერსალიზმზე მეტყველებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ინჯია

ზოგიერთი არქაიზმის შესახებ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“

I

მწერლის ენის შესწავლა საერთო-სახალხო ენასთან მიმართებით ენათმეცნიერების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა. ამ პრობლემის მართებულ გაგაუწყებას „პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ენათმეცნიერებისათვის[1].

ეს განსაკუთრებით ითქმება იმ მწერალთა ენის შესახებ, რომლებიც მოწინავე, პროგრესული ძალების წარმომადგენლები არიან სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში.

რომელიმე დიდი მწერლის ენა განუყოფელი, აუცილებელი და ამავე დროს თავისთავადი ნაწილია საერთო-სახალხო ენისა. მწერლის ენა დამდგებელია ნაციონალური ენის წიაღში და არის გამერძელებელი და განმავითარებელი ამ ენისა. ამგვარ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება დიდი ქართველი პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდია.

კონსტანტინე გამსახურდიაზე, როგორც დიდოსტატ მწერალზე, სპეციალურ ლიტერატურაში ეკითხულობთ:

„გარნა კონსტანტინე გამსახურდია იმ ყაიდის შემოქმედი არ გახლავთ, სხვათა მონაპოვრისა და მინაკვლევის გამოყენებით რომ შეიჯრებენ ხოლმე გულს. მას წილად ხვდა მისია ნამდვილი რეფორმა მოეხდინა ქართული ფრაზის ალნაგობაში. ხოლო რამდენადაც ეს საქმე ემყარებოდა ეროვნულად ტატანურ შრომას („ძველთა ნიჭიერ მწერალთა“ თხზულებების, ფოლკლორისა და ხალხის ცოცხალი მეტყველების გულღასმით შესწავლას ათეული წლების მანძილზე), რამდენადაც მწერალმა ჯერ ამსოლუტურად შეისისხლხორცა ქართული კაცის ზეპირი თუ წერითი მეტყველების უთვალავ ფერად განფენილი სამყარო, ამდენად, მის მიერ მოხდენილი რეფორმა ქართული ფრაზისა ინდივიდუალური კაპრიზის შემდეგი კი არ ყოფილა, არამედ ქართული ენის უშინაგანესი წიაღიდან ამოიზარდა, ამ ენის ბუნების ორგანულ ნაწილად მოგვეგლინა“[2].

კონსტანტინე გამსახურდიას ენის შესწავლა მეტად სასაუხისმეგბლო და ამავე დროს საპატიო საქმეა. ათეული წლია საჭირო, რათა „ეკლესიარმა მის ენასა“ და სტილზე შეძლოს საუბარი და წერა.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი საგანძურია. მხოლოდ ამ რომანის ენის პრობლემის მართებული და დროული გადაწყვეტაც კი ეროვნულად მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება კონსტანტინე გამსახურდიას ენის შესწავლის რთულ საქმეში. ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ როლს თამაშობს ისტორიული რომანის ჟანრის განვითარებაში.

ცნობილია, მწერლის თანამედროვე ეპოქის ამსახველი რომანის ენა ყოველთვის განსხვავდება ისტორიული ეპოქის ამსახველი რომანის ენისაგან. ისტორიული რომანის უცილობელი პირობაა ეპოქის კოლორიტის შექმნა, რის ერთ-ერთ საშუალებასაც ენა წარმოადგენს. ისტორიული სტილიზაცია კი ვერ ასცდება არქაიზმთა გამოყენებას.

საკითხის ისტორიას თუ გადავხედავთ, ჩანს,

[1] А. Ф. Ефремов, Вопросы языкознания, 1954, № 3.

[2] რ. თვარაძე, წიგნი და მკითხველი, თბილისი, 1971, გვ. 18-19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არქაიზმი და კონსტანტინე გამსახურდია დიდი ხნის კამათის საგანია ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. „დიდოსტატის მარჯვენას“ გამოქვეყნებასთანავე ამტყდარა განგაში, არიქა, არქაიზმებით გაავსო გამსახურდიამ სალიტერატურო ქართული. იგივე განმორიგებულია „დავით აღმაშენებლის“ დასტამბის შემდეგაც[3].

ნუთუოდ გაგვიგებს ისე, თითქოს ვკადნიერებოდეთ და თავს კონსტანტინე გამსახურდიას დაკმიადების უფლებას ვაძლევდეთ. წერილის მზანინი აღნიშნესი იმისა, რის საშუალებასაც დიდი მწერლის შემოქმედება და საკვლევი თემა გვაძლევს.

ჩვენთვის დღეს გაუგებარია, ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში არქაიზმების მეტ-ნაკლები რაოდენობით გამოყენება რატომ უნდა ყოფილიყო უარყოფითი კრიტიკის საგანი. ნუთუ უფრო მაღალსახეტაროვ დონეზე შესრულებულ ნაწარმოებებად მოიჩენენებოდათ ისტორიულ თემაზე დაწერილი რომანები არქაული აქსესუარების გარეშე?

ნუთუ ნაცელად წინადადებისა: „შემდგომ ამისა გადმოიღო კეისარმან ძელიცხოველი, დაადო მიწაზე და შეჰხლადა: უკეთუ მიმეცა ხელთა მტრისთა, აღარ თაყვანი გეცე უკუნსამდე“ უკეთესი იქნებოდა ავტორს დაეწერა: ამის შემდეგ გამოიღო კეისარმა ძელიცხოველი, დაარჭო მიწაზე და შეჰყვირა: მტრის ხელში თუ ჩამავდეს, თაყვანს აღარ გცემ სამუდამოდ.

მასალის საღი და გამოწულილვითი ანალიზის შედეგად უდავო ფაქტია, გამსახურდია არავის აძლევს უფლებას ასე ადვილად და მოურიდებლად წამოდგარ რომანის ენაზე, განსაკუთრებით სინტაქსსა და ლექსიკის სფეროში, რადგან მას აქვს საკუთარი თეორია ქართული სალიტერატურო ენის შესახებ, რომელსაც ჩვენს თანამედროვეთაგან ბევრი ნიჭიერი მიმდევარიც გაუჩნდა, რადგან შუამდინარეი ენა კონსტანტინე გამსახურდიისათვის ის წმიდათაწმიდა კერპია, რომლისადმი თაყვანისცემისა და სამსახურისთვისაც იღვწის იგი დღეენიადაგ.

„მე მოდამ სკრუპულოზურად ვექცეოდი ენობრივ ფაქტორს, რადგან ხელოვნურ ქმნილებაში მოდამ საგულისმეთა არა მარტო „რა“, არამედ „როგორ“, ეს რომ არა, მოთხრობებსა და რომანებს ყოველი მასწავლებელი, ან ბუხალტერიც დაწერდა, ენის ინსტრუმენტია მთავარზე მთავარი“[4].

კონსტანტინე გამსახურდიას თეორიის დედაარს წარმოადგენს: „არაფერი არ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ჩვენ არ უნდა შეეიტანოთ ახალ ქართულში ძველი ქართული ენა, რომ წარსულის დიდი შესანიშნავი ოსტატებისაგან არ ვისწავლიდეთ და არ გავაკოსტლოთ ჩვენს ლიტერატურაში სიტყვები“[5], რომ „ქართულ ლიტერატურას აქვს ერთი მაგისტრალური ხაზი, ეს ხაზი არის რუსთაველის, მერჩულის, გურამიშვილს, ორბელიანების საერთოდ და ამ ხაზით მიდიოვართ ჩვენ იმიტომ, რომ კეთილი ქართული და პროვინციული ქართული ლიტერატურის ამბავი უკვე გათავდა“... ჩვენ უნდა ვებრძოლოთ როგორც ჩვენს, ისე ჩვენი კოლეგების ნაწერებში როგორც გადაჭარბებულ არქაიზმს, ასევე გადაჭარბებულ პროვინციალიზმს... უნდა ვიბრძოლოთ ქართული ენის ეგზენტალური ხაზის გატარებისათვის“. დ. დასასრულ, რადგან გამსახურდია აცხადებს და ახორციელებს კიდეც: „მე წინასწარ ვიძიებ ყოველ სიტყვას, რომელსაც რეკომენდირების გაკეთებას ეუბნრება“[8].

ის, ვინც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ენობრივ მასალაში ამჩნევდა ან ამჩნევს არქაიზმებს და ამის გამო იწუნებდა თუ იწუნებს მის ენას, ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, დაამტკიცოს უსაფუძვლობა გამსახურდიას თეორიისა. და თუ კი ვინმე მოახერხებს ამას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს პრაქტიკულად განხორციელებულის, „დიდოსტატის მარჯვენას“ და სხვა ნაწარმოებთა ენაში არქაიზმების გამოყენების უარყოფის შესაძლებლობას. მით უმეტეს, რომ კარგა ხანია აღიარებულია: „...კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივ ძიებათა და მოგზებთა პოზიტიური შედეგები არა მარტო მიიღეს და გაიზიარეს მკოფხველთა ფართო ფენებმა, არამედ მთა გარკვეული ზეგავლენაც იქონიეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე“[9].

უცნაურად ვგეჩვენება ავრეთვე, რა თქმა უნდა, სუსტი, მაგრამ ჩვენში მაინც შენიშნული ტენდენცია საერთოდ არქაიზმების გამოყენების უარყოფისა[10]. თითქოს არქაიზმების გამოყენება იყოს დანაშაული. თითქოს არქაიზმი თაეინთავად რაღაც ცუდს ნიშნავდეს.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა განმარტებული: „არქაიზმი — მოძველებუ-

---

[3] მხედველობაში გვაქვს 30-იანი და 50-იანი წლების მწვავე დისკუსია კ. გამსახურდიას შემოქმედებითი პრობლემების გარშემო.

[4] კ. გამსახურდია, თხზ., სრ. კრ., ტ. 7, გვ. 314.

[5] კ. გამსახურდია, თხზ., სრ. კრ. ტ. 7. გვ. 397

[6] კ. გამსახურდია, თხზ. სრ. კრ. ტ. 7, გვ. 399

[7] კ. გამსახურდია, თხზ. სრ. კრ. ტ. 7, გვ. 454.

[8] კ. გამსახურდია, თხზ. სრ კრ. ტ. 7, გვ. 477.

[9] ბესარიონ ჯიქია, კონსტანტინე გამსახურდია, თბილისი, 1967, გვ. 57.

[10] იგულისხმება ჟურნალ „ცისკრის“ 1968 წლის მე-4 და მე-8 ნომრებში აღნიშნული საკითხზე გამოქვეყნებული წერილები.

თამარ ინჯია

ზოგიერთი არქაიზმის შესახებ

კონსტანტინე გამსახურდიას

„დიდოსტატის მარჯვენაში“

ლი, ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვა ან გამოთქმა“.

რა არის ცუდი მოძველებული, ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვის აღდგენაში, თუკი კონტექსტში იგი საჭირო ადგილას ზის და, პირიქით, აუცილებელია წინადადების ემოციურ-ექსპრესიული ძალის გადიდებისათვის.

ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს ეროვნულ ტერმინოლოგიურ აღრეკასთან არქაიზმსა და არქაიზაციის შორის. არქაიზმის შესახებ უკვე აღნიშნეთ, ხოლო არქაიზაცია ნიშნავს „ძველი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებას (ჩვეულებრივ საჭიროების გარეშე)“. ხშირად ხდება, რომ არქაიზმის მნიშვნელობაში არქაიზაციას გულისხმობენ. სწორედ ასეთი გაუგებრობის შედეგი უნდა ყოფილიყო ერთ დროს თავდასხმები კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანების ენაზე.

II

კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში“ უფაქიზესი სიფრთხილითა და საოცარი ოსტატობით იყენებს არქაიზმებს, რომელთა საშუალებითაც ქმნის ისტორიულ კოლორიტს, ფონს.

სავანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არქაიზმები უმეტეს წილად რომანის მოქმედ პირთა ენისთვის არის დამახასიათებელი. რაც შეეხება ავტორისეულ თხრობას, იგი ძირითადად სწორად არის განსაზღვრული თვით ავტორის მიერ.

„ჩემს რომანებში ავტორის თხრობა შუდამ იმ ენაზე მიმდინარეობს, რომელიც მე მახასიათებს ყველგან და ყოველთვის“...

რომაში გამოყენებული მოძველებული სიტყვები იყოფა ორ ჯგუფად: ისტორიზმებად (სამარკელნი, ქიმერანი, სპასალარი; ტაძრეული, აჩუხრი, ამირჭარი, დრუნგარი, მარეკი, მაჯაგანი, ვარშამანგი, სოსტიგენი) და არქაიზმებად[1] (დიდრაია, უტეკვანი, ნიმბი, საწმერთელი, მუცლითმეზღაპრე, სვირინგი, სარი).

ლექსიკურ მასალაზე დაკვირვებისას ნათლად ჩანს, რომ ისტორიზმები სპარობს არქაიზმებს.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ გამოქვეყნებული ისტორიზმები მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება დაეყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. სახელმწიფო და ადმინისტრაციული წყობილების ამსახველი ლექსიკა და ტერმინოლოგია: ამირა, ამირახორი, ამირჩარი, აზნგრილი, აჩუხრი, კეისარი, კოლხიდა, კუროპალატი, კუსტისი, მტბევარი, სეფე დროშა, ტაძრეული, ხალიფა და სხვა.

2. სამხედრო ლექსიკა და ტერმინოლოგია: გულიამი, დრუნგარი, კატეპანი, სამეფოსარკაბანი, სპასალარი, სტრატეგი, სტრატიოტი, ქეიბერი, ქიბერჯი, ჯავარდენი და სხვ.

3. საყოფაცხოვრებო ლექსიკა: ალქიმია, ალაკა, აშრიალი, ბავლი, ბერიკეობა, ბომონნი, გოდილი, დასტური, დერვეში, ვარშამანგი, მარეკი, მაჯაგანი, მეეთარი, ნარგილე, პატივითი ხილეა, სოსტიგენი, სახუნდარი, ტალაფ დგომა, ფარანგი, ქოსი, შულტი, ძმანი თავდდაგანნნ და სხვა.

ხოლო არქაულ ფორმებს მწერალი შედარებით ხშირად მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში მიმართავს:

1. ბრუნვითა ძველი ფორმების ხმარება:

ა) ფუძეთანხმოვნიანი საკუთარი სახელი წარმოდგენილია წერფელთმოთის ფორმით:

„ბორდოხან ფერხთით დაუვარდა მელქისედეკს“. 46, 20[2].

„გაფითრებული **მელქისედეკ** მიცვალებულივით იჯდა ჯორზე და ყოველ წუთში ელოდა ძირს ჩამოვარდნას“. 45,9

„შეჰხედა, შეკრთა, რა დაინახა ღმერთთან მებრძოლი კოკეი **იაკობ**“. 287,32

ბ) ფუძეხმოვნიანი სახელები სახელობით ბრუნვაში გაფორმებული ბრუნვის ნიშნით:

„დახედეს: ალარე ვაზი იყო სადმე, ალარე **ჩანი**“. 64,25.

„რა **შეგირვებაი** დაგდგომია ქრისტეს მიერ ძმარ ბეღშაო“... 32,30

„ხვეისბერის ვაჟი **თორლვაჲ** გამოვნთო სპასალარს“... 81,23

„ეირითხერია ბოდოკია ახმობინა არსაკიძე, ბულმართალი კაცი იყო ბოდოკია ლაზი“. 210,27

„სასთუმალთან უსხდნენ კათალიკოსს მამაო მონასტრის **მამაი** სტეფანოზ...“ 152,14

„სუფმატ ჩორჩანელმა არა ჰქნა **მორჩილებაჲ** მეფისა“... 123,15

„...რამეთუ არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის **ალებაი**“. 50,14

გ). მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად გამოყენებულია — **მან** ფორმანტი:

„შემდგომ ამისა გაღმოიღო **კეისარმან** ძელიცხოველი...“ 71,16

„მან გაუკვირა სისასტიკეთ გაოთქვა სახელი, ქრისტიანების უწყალოდ **მმუსვრელმან**“. 91,16.

„...ამატომაც მოჰხედაო **უფალმან** და დაბაპყრობინა კვეკასია ჯიქეთიდან ვიდრე გურგანის ზღვამდე“. 37,6

დ). ბოლოხმოვნიანი სახელები ნათესაობით ბრუნვაში გაფორმებულია — **ის** ბრუნვის ნიშნით.

---

[1] ისტორიზმისა და არქაიზმის ცნებებში გგულისხმობთ საყოველთაოდ აღიარებულ მნიშვნელობებს იხ. ლ. კეკენაძე, ქართული ენა, თბილისი, 1969, გვ. 41.

[2] წერილში მოყვანილი ყველა ციტატა დადასტურებულია გამოქეყნებლობა „ნაკადულის“ მიერ 1966 წელს გამოცემულ „დიდოსტატის მარჯვენადან“

„ემკესი დღის შემდეგ მეფე წარუძღვებოდა **სამეფოის** სპათა“. 344,24

...სასტუმროს, საწოლის, მხეკელთა **სამყოფელოის** ხვრეულები და **ჭუჭრუტანები**, ვეღარ-სად ნახეს სხვა“. 206,1

„სარკეფილად მთავართა **სანათლოის** ნანგრევები მოსჩანს ცარცისფერ მთების ფოთ-ზე“. 113,26

„...ოლშჟარი მხარდმხარ ივლიდა **თორღვაის** ციხემდის...“ 76,17

ე). ადგილის გამოსახატავად გამოყენებულია უთანდებული მიცემითი:

„ეკიდან **ბაღდადს** ჩაეიდა“... 129,25

„ბოლოს კელავ მიბრუნდნენ **ფხოვს**“. 331,11

„დასთქვეს: მეორე ღღესეე წასულიყვნენ **პანკისს** მეფე და ერისთავი...“ 87,4

„ეკლესიები კამოეკეტნონ, რადგან ბერები ღა ხუეკები დაეხოცნონ, ან თავათ ისინი გაქ-ცეულიყვნენ **მცხეთას**“. 99,13

2. უხეი ძველი ქართულისათვის **დამახასი-ათებელი** რიგი მსაზღვრელ-საზღვრულისა:

„ეფიდესი სიამაყე შეეფგება გულს, როცა **შემოქმედების შენის** ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება“. 136,1

„მოხუცმა ჯიქურ შეხედა უცნობის მშვენიერ სახეს და **ანაგობას კეთილშობილს**“. 33,2

„...ბაუხარეა, **თობმირნი ჩემნი** შეუწყნარე-ბიაო ვეორგის“. 42,26

„ათი შიმუნეარი გამოატანა შორესს დედამ და ეარდისახარ **პირისფარეში მისი**“. 94,2

3. სრული შეთანხმება მიცემით ბრუნვაში მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის:

„ქედნები შემომსხდარან შორესს მხრეზზე, სულზე **უტკბესს სძლისპირებს** გალობენ...“ 202,12

„...სიკარეველოს მტერს როდი ჰხედავდნენ ეკისაშრი, არამედ ქრისტიანეული სამყაროს **უზენაესს არსებას**“... 146,2

„ფარსმან სპარსმა უსახსოვრა **განსვენებულს რაბის** ოღესღაე“. 193,17

„ბრსაკიე აიმღერა, მაგრამ არა აკადრა **რა მოხუცებულს სტუმარს**“. 226,20

4. გვხვდება ძველ ქართულში გავრცელებუ-ლი ნათესაობითის ფორმით **წარმოდგენილი** ოდენობის ზმნაზედა — გ ზ ი ს:

„ამ წელს **ორგზის** უფრო ძლიერი ლაშქა-რი ჰყავსო კეიტარის ერისთავს, ამბობდა სე-რაპიონი“. 74,31

„გიორგი სარკინოზებთან ნაბრძოლი იყო **მრავალგზის**“.

„...**სამგზის** დაიწუნა ჩუქურთმიანი ჯვარი“... 217,17

და მხოლოდ ძველ ქართულში ხმარებული ადგილის ზმნიზედა **ზეცა**:

„გზის პირად სამლოცველო ნიში შენიშნა და შესდგა **მუნ**“. 32,12

„სწორედ ამ დროს დაამბინავეს ტუეეფყოფილი ლაზი **მუნ**. 132,23

„...დაბარბაცდა მთვრალი, **მუნვე** გაეშალა ავეახის ზედ გადაეწყდა“. 187,14

5. მეტად შეზღუდული სახით იხმარება წინ-დებულები ძველ ქართულშივე, რომაშნი არის შემოხვეული წინდებულის ხმარებისა:

„ამ უწესოსგო, უსწორო ხაზების ქაოტიურ **ზესწრაფვაში** მხოლოდ ოსტატის თვალი თუ ამოიკითხავდა მომავალი ნაგებობის ანაგო-ბას დიდებულს“. 134,30

„ შორენამ შეეხდებულივით იკივლა, მიეკრა უკვე **ზეამდგარ** მეფეს“. 92,3

„...თითქოს ჯამბაზის მიერ **ზეასროლილი** შე-სკერილი მთვრალი“... 117,15

6. ნარ-თანიანი მრავლობითი ხშირადაა გამო-ყენებული როგორც მოქმედ პირთა ენაში, ასევე ავტორისეულ თხრობაში.

7. ერის მაკალითები სახელობითში დასმული დამატების შემამსენელთან რიცხვში შეთანხ-მებისა, როცა დამატება მრავლობით რიცხვს — ნ ნიშნით აწარმოებს:

„შემდგომ ამისა გაბავლინა მეფემ ზვიადი, დალაშქრა ზვიადმა კიდე ბასიანისა და **ოოტნა** ბერძენთა **სპანი**“. 71,10

„ეიაბერმა ბიზანტიონიდან დაბრუნებისთანავე ღალატით მოაკლეეინა ოესთა მეფე და ძალი-ანი **ითაეკვნნა ოესნი**“. 20,19

8. აღსანიშნავია **ქმნა** ზმნის ხმარება სრულ ფორმით.

„ქალი მზედ **იქმნა**, ყმაწვილი მთვარედ“. 286,5

„იხილე, უფალო, წერილი ესე და საქმენ-ნი, რომელსა **იქმან**“. 71,15

„შესმენილ **იქმნა** მელქისედეკ კათალიკო-სის წინაშე ხუსანი ამეულელი“. 207,22

ზემოთ მოყვანილი გაანალიზებული მასალა, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია „დიდოსტატის მარკვენასა“ ენის თუნდაც ერთი საკითხის, არქა-იზმების გამოყენების, განხილვისათვის. მაგრამ რამდენადაც ეს წერილი წარმოადგენს ვრცელი გამოკვლევის „კონსტანტინე გამსახურდიას ენის“ მცირე ნაწილს და უკვე ჩატარებული მუშაობის შედეგად შეშუშავებული გვაქვს ზოგადი, მაგრამ მყარი წარმოდგენა საკვლევ საკითხ-ზე, უფლებას ვიტოვებთ ზოგიერთი დასკვნების გამოტანისათვის:

1. დახასიათებული ენობრივი მოვლენები ცალ-ცალკე, რა თქმა უნდა, ვერ შექმნიან ის-ტორიული ეპოქის დამახასიათებელ კოლო-რიტს, მაგრამ ყოველივე ერთად გამოყენებული ქმნის განუმეორებელ ისტორიულ ფონს რომაშნი.

2. კონსტანტინე გამსახურდიას მიერ არქა-იზმების გამოყენებაში ჩანს ინვიობი ალღო და სიზუსტე. სიტყვათშემოქმედისა, საოცარი და ნაზი მგრძნობელობა სტილისტისა, მისი მიზნრაფება ენის მეტი სახეიერებისაკენ, სიტ-ყვის სემანტიკურ-ექსპრესიული შესაძლებლო-ბების გამორჩენისა და ლექსიკურ-ფრაზეოლოგი-ური დიაპაზონის გადიდებისაკენ.

ვახტანგ სიდამონიძე

ფშაური კაფიების პირველი შემკრები

ფშაური კაფიების, როგორც ხალხური სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშის ერთი პირველი შემკრები იყო ვაჟა ფშაველას უახლოესი მეგობარი და ნათესავი მიხეილ შამანაური. მას, პროფესიით იურისტს, ფართო ლიტერატურული განათლებაც ჰქონდა. ბოლო დროს თელავში მოღვაწეობდა და ჟურნალისტურ მუშაობასაც ეწეოდა. იგი ტრაგიკულად დაიღუპა 1937 წელს.

მიხეილ შამანაური ფშაველი იყო, მას არა ერთი მოკაფიავე მეგობარი და ნაცნობი ჰყავდა. ხშირად თვითონაც მოუსმენია და ჩაუწერია კიდეც ფშაური კაფიები. მისი წყალობით ზოგი მოკაფიავე გადარჩა დავიწყებას შამანაურმა ჩაიწერა და გამოაქვეყნა საინტერესო კაფიები და მათი ავტორები: ჯაბანი თურმალაული, თევდორე ბეწუკელი, ხოხა ხადილაშვილი, გორგი ბეკლიაშვილი, ნადირა ქუმსიაშვილი და სხვები.

მოკაფიეთა დევიზი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ასეთი იყო: „ლექსის თქმას დიდხან რას უნდა“.

მიხ. შამანაურმა ზოგიერთი კაფია ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში გამოაქვეყნა ერთ რაიონულ გაზეთში, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი.

ამიტომ ინტერესმოკლებული არ არის მკითხველთა ფართო წრეებს გავაცნოთ განთქმული მოკაფიფიავენი და მათი კაფია-შემოქმედება.

ქვემოთ მოგვყავს მიხ. შამანაურის „ფშაური კაფიები“.

ანაზდათ ლექსით ნათქვამ სიტყვა-პასუხს, ლექსით შეკიბრს „კაფია“ ეწოდება. კაფიაში დაცული უნდა იყოს როგორც რითმა, ისე აზრი და შინაარსიც. კაფიები ფშავლებში უფრო ქეიფის დროს იცინან, იციან აგრეთვე მეზავრობაშიც. კაფიები უფრო პიროვნებებს ეხება, მათ დახასიათებას და ყოფა-ცხოვრებას გადმოგცემს. ამგვარად ნათქომი უამრავი ლექსი უკვე დავიწყებას არის ჯამთა ვითარებას გამოცემული და მათი აღდგენაც შეუძლებელია. ასე რომ ვთქვათ, თანამედროვეა ახალი კაფიები მრავლადაა ფშაეში გაბნეული. გავა 30-40 წელი და ეს კაფიებიც დავიწყებას მიეცემა და მათ ალაგს ახალი კაფიები დაიკავენ. ჩვენს მკითხველებს სამაგალითოთ გავაცნობ რამდენ-მე კაფიას, რაიც დღეს მე ხელთა მაქვს.

თევდორე ბეწუკელი და ხოხა

თევდორე ბეწუკელი სოფელ ლიშოდან იყო, მან სოფელ ახმეტაში მამულები და ზვრები იყიდა და შეძლებულად ცხოვრობდა. ხოხა ხადილაშვილი სოფელ ხევსიჯალიდან იყო; ღარიბად ცხოვრობდა, ჯეილბაში ხოხას ცხენის ქურდობა დაუბრალეს და მეფის მთავრობამ მას სასჯელი ციმბირში მოახდევინა. ხოხა განთქმული მოლექსე იყო.

ერთხელ თევდორე და ხოხა თიანეთის მახლობლად სოფელში ქეიფობენ, ღამდება, თევდორეს შინ წასვლა უნდა, მდინარე იორში უნდა გავიდეს, მდინარე ადიდებულია. ხოხამ შეუმღერა:

შინ წასვლა ხომ არ გწადიან,
თევდორე რასა სწუხდები.

თევდორე: მწადიან, წავალ კიდეცა,
თუ იორს გადავურჩები.

ხოხა: ეგებ დაგახრჩოს იორმა,
მე დამრჩეს შენი „ალუჩები“.

თევდორე: ვერ მოუვლიან „ალუჩებსა“
შენფერი კაცებ-ქურდები.

ხოხა: ქამარ-ხანჯალსაც მოგპარავ,
თუ ჩემს ღმერთს გადაუდგები.

თევდორე: გიჩივლებ, დაგაჭერინებ
ციმბირს ვერ გადაურჩები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოხა: ჩქარა გამოვალ იქითა,
ძმობილები მყავს რუსები.

ამის შემდეგ ატყდა მაყურებლთა და მსმენელთა სიცილ-ხარხარი და კეფეებიც შეწყდა.

ერთხელ ხოხა და თვედორე ერთ კამპანიაში მოხვდნენ, მხოლოდ სხვადასხვა ჯგუფში. თვედორეს გვერდით უჯდა მისივე ბიძაშვილი, ცნობილი მდიდარი და ზარმაცი ვაჟკაცი, სახელად გეჯა. თვედორემ შეუმღერა ხოხას:

თვედორე: ჩემთან გადმოხე ხოხაო,
ერთხან ვატყროთ დროება.

ხოხა: ღარიბს მდიდართან რა უნდა
რათ იცით გადაყრუება.
ბეწუკელ გეჯა, რო ვნახე
დამაწუვინა ცხრუება. (ე. ი. კანკალი)

ერთხელ ხოხა ახმეტაში სტუმრად ეწვია იქაურ სოფლის მწერალ ძოძია პაპუაშვილს, რომელიც მეტად ტყეელი და მკვეხარა იყო, არავითარი ქონება კი არ გააჩნდა. ხოხამ მიიხედ-მოიხედა და თვით ძოძიას სუფრაზე ასე შეუმღერა:

ხევისჭალიდან გადმოველ,
ვიხილე შენი სახლ-კარი,
პური კი არა გკონია,
რათ მინდა ჩაი-შაქარი,
ერთი ცოლაი გყოლია
ჩარჩის ცხენივით გამხმარი.

თვედორე ბეწუკელი გარდაიცვალა მენშევიკების დროს, ხოლო ხოხა კი ამ ხუთი წლის წინათ.

გიორგი მგელიაშვილი და ნადირა ჟუმსიაშვილი

სოფელ ლახატოში იყო განთქმული მელექსე ყრუ გიორგი მგელიაშვილი, რომელსაც ჰყავდა ბიძა, სახელად კონია, კაცი უქნარა და გაუსჯელი;

ბუჭყინტიდან ნადირა ქუმსიაშვილმა ასე შეუმღერა გიორგის:

ნადირა: მოგიკვდეს, რისთვის გინდაის,
შენ რომ ბიძა გყავს კონია;

გიორგი: რადაო, შენი ჭირიმე,
მე ჩემიც არა მგონია,
რომ წავა, აღარ მოგვივა
ჩემ ჯალაბ ასე ჰკონია.

ნადირა: წაივიდეს, მოკვდეს რათ გინდა,
ვითომ სულ არა გყოლია.

1900-1902 წლებში მაღაროსკარში იყო ლოთი, ფრიად გათახსირებული ჯაშუში მღვდელი თეოფილე ტაბატაძე. ერთხელ თვალიერდან მაღაროსკარამდე ერთად მგზავრობდნენ ეს მღვდელი და ყრუ გიორგი მგელიაშვილი. ტაბატაძე, ჩვეულებრივად, მაგრა მთვრალიყო. ბუსნოს ჭალაში ცხენიდან გადმოვარდა და ჩაეძინა. იმ ღამეს მღვდელი იქ დარჩა. გიორგიმაც თავი არ გაანება და აქვე ვაათენა. დილას ეს ამბავი ასე შეუმღერა მღვდელს:

დამესხენ, მამაო ღვდელო,
რა ჯავრი გაქვს ჩემზედა,
ქალის მაყარსა ჰგეგიხარ,
როცა შეჯდები ცხენზედა;
ბუსნოს ჭალაში დამეთვერ.
მათენებინე ვალზედა,
მალიმალ წამოგზიფნოდი,
გადაგწმინდოდი წვერზედა.
მალიმალ ქალი მამკითხე,
თან აზრი გქონდა ჩემზედა,
ხათრი მაქვს ფიქრი მაგისა
ჯავრი რომ გკიდავ ყელზედა,
თორო ძაღლივითა დაგახრჩობ
და ჩამოგკიდეს ხეზედა.

ლახატოელი და მაღაროსკარელი

სოფელ მაღაროსკარში კონია მგელიაშვილისთანა კაცი იყო, სახელად ჩოთეშა. ლეშარში ერთად მოხვდნენ ერთი ლახატოელი და ერთი მაღაროსკარელი. ამ უკანასკნელმა ასე შეუმღერა ლახატოელს:

შენ რომ ბიძა გაკავს კონია,
სიკვდილი ეგეთ ბიძასა,

ლახატოელი: შენ რომ ბიძა გაკავს ჩოთეშა
მეც გავლილი ხის და ქვისასა.

მაღაროსკარელი: ჩემ ბიძას თავად დავმარხავ,
თავად დავაყრი მიწასა.

ლახატოელი: წვერ-პირ არ გაუჯეღეროს
გვერდით დაუსვამ ციცასა.

ამ დროს ბუსნოზე წამოწოლილ ჩოთეშას გამოღვიძებია, ლექსობისათვის ყური დაუგდია და უკანასკნელი ტაპეის შემდეგ პასუხად ასე შეუმღერია:

ეგ ციცა კნუტებს რომ დაჰყრის
თქვენ დედ-მამისად იქნასა.

ჯუთუა თანდილაშვილი და ფშაველები

ჯუთუა თანდილაშვილს შვილის ნათლობა ჰქონდა. ჯუთუას ცოლი სანღუნა დიდ ფუსფუსში იყო. ფშაველები მღვდლის მოლოდინში ჰქონიათ ჯგუფ-ჯგუფად სხეულნ და არაყს სვამენ. მღვდელიც მოვიდა და პირდაპირ არყის სმას შეუდგა, ძალზე დათვრა. მასპინძელი ეხვეწებოდა, მღვდელო, ჯერ მონათლე და მერე დალიეო. არა, მე რომ დავთვრები, უფრო კარგად მოვნათლაეო. უპასუხებდა მღვდელი. ბო-

ლის მღვდელი ადგა, წაბარბაცდა, იქვე მდგომ საარეკე კედს მიეყუდა. მეტი სმისაგან კინაღამ დაიხრჩო. ერთმა ფშაველმა მეორეს ხელი გადახვია და შეუმღერა:

პირველი ფშაველი: ცოტა არაყ ჩამოგვისხი,
ჩემო რძალო სანდუკო.

მეორე ფშაველი: მღვდელმა ისრიე ჩაململნა
ხვალ დილაზე გამოვაო.

მესამე ფშაველი: ის გრიჩეევე, დიაკონო,
შინ წახ	დე მარტოოო,
მღვდელს აქ არაყ ეგულება
დილამდე არ წამოვაო.

ჯუთუა: მე შვილს აღარ ვიყოლიებ
სანამ სხვა ღვდელ არ მოვაო.

ორი ფშაველი

თელაველი მოეკრე ყაზარა სულ 3-4 წლის მოსული იყო ფშაეში, რომ ფშაველების მოტყუების და გაყალეფვის წყალობით საკმარისად გამდიდრდა. საკუთარი დუქანი, საკუთარი ალაბ-მიცემობა ჰქონდა. ერთხელ ორწყალში ყაზარა ერთი დუქნიდან მეორეში მიდის, უნდა არაგვის ხიდზე გავიდეს, წვიმს, ხიდი სველია; ყაზარას დაუსხლტა ფეხი, გადავარდა ფშავის არაგვში, რომელიც იქვე ხვესურეთის არაგვს უერთდება. შეერთებული არაგვი ყაზარას დაახრჩობს. ყაზარას ამხანაგები ყაზარას გუდარახს ლოვსლი ითოვნიან და წყლიდან გამოიტანენ. ამ დროს ორი ცხენოსანი ფშაველი აივლის, ფაითხავენ, რა მოხდაო; თელაველები საქმის გარემოებას აუწსნიან, რის შემდეგ შეზარხოშებული მგზავრები სიმღერით განაგრძობენ გზას.

პირველი ფშაველი: წყალში დამბრჩეალა
ყაზარა,
ეშმაკ გააბა კაშარა.

მეორე ფშაველი: ფეხი რო შედგა ხიდზედ
ეშმაკმა შეუზანზარა.

პირველი ფშაველი: ორწყალში გადავარდნილი
ეუდარახს ჩამოატარა.

მეორე ფშაველი: ახი კი იყო მაგაზედ
ფშავში ბევრ ცოდა ჩაჰყარა.

თათარა და ციდა

1890-იან წლებში მაღაროსკარში საყდარი გაქქურდეს, ქურდი თათარა თანდილაშვილი ციმბირში გაგზავნეს. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი ისევ თავის სოფელში დაბრუნდა. ამ თათარამ ლექსობა იცოდა. ერთხელ ლექსობაში შეიყარნენ თათარა და კანტელი ციდა. გამარჯვება თათარას მხარეზეა და ამიტომ ყოველ-ფრინდად განაგრძობს ლექსაობას.

თათარა: აკი გითხარი, ციდავ,
მალუდავ გაგტეხს თათარი.

ციდა: კაცი ვარ ნიადაგ გამტეხ,
ქვიტკირ გატეხე საყდარი.
ოროშაბათს დილა გათენდა,
სოფელში დადგა დანდგარი,
ღვდელი შვიდი საყდარში,
ოქრო-ვერცხლ აღარსდ არი.
ხელშეკრულ ჩამოგაელიეს,
უკან მოგდეედა ჩაფარი,
ბუნსოს ჭალამდე არ გეყო,
დედის ჩადებულ საგზალი.

ამის შემდეგ საბოლოო გამარჯვება ციდას დარჩა.

ბარა და ციფერა

სოფელ ბაბჰისხევიდან ბარა ბარაშვილს ხშირად მოჰქონდა ცხენით ყარაოფიელი სოფელ შახვეტილაში და პურზე ცვლიდა.

შახვეტილელმა ციფერა უძილაურმა ასე შეუმღერა ბარას:

ციფერა: სუ აქ რათ დახვალ პურობა,
ჩემმ ნალაო, ბარაო,
იქა ბნან ბაბსის ხეეშია
იქაც ხომ მოდის ყანაო.

ბარა: ბეერსა ვხნავ, ბანა არა ვხნავ,
მისტყვეებს ხანდიხანაო,
რაც იქ მოვიდა ბრმა-ყრუო,
ჩემ ცხენმ აქ მოგიტანაო.

სამი ფშაველი

ერთხელ ერთი ფშაველი სახელად კაცია, სამუშაოდ კავკავში წავიდა, სადაც რამოდენიმე წელი დაპყო, ფულები იშოვა, შეიკერა მანქანის ლასტიკით ახალუხი, რაც მაშინ იშვიათი იყო. დაბრუნდა თავის სოფელში, სადაც თავი ამაყად ეჭირა, იბერებოდა. მაშინ როდესაც მამა დაპყავდა დამონილი, ჩაუცმელი, ხორცები უჩანდა, რაც ფშაველებს არ მოეწონთ. ერთხელ ასე შეუმღერეს კაციას:

პირველი ფშაველი: მოგვვიდდა კაციაი
ვაჭარიეთი გაბერილი.

მეორე ფშაველი: ლასტიკეის ახალუხი ცვია
მაშინაათ დაკერილი,

მესამე ფშაველი: მამა კი ტიტველ დაუვა
თელასაეთ გაღვერილი.

IX — ქალი და მიხა

ქორწილში პატარძალმა და პატარძლის დობილებმა ვაეიხა და ქალის მაყრებისათვის ჭრელი წინდების ჩუქება იციან. ერთ ქორწილში ტყის მცველი გრძელწვერა მიხა ჯანგირაშვილი ერთ ქალს წინდებს ენუკვება. ამ ქალმა ასე შეუმღერა მიხას:

ქალი: მიხაო აბეშიკაო,
წვერი გაცუნას გიგაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ რომ მენუკვი წინდებსა,
მეც ხომ ჩუსტები მინდაო.
დარცხვენილი მიხა იქიდან გაიპარა.

მთისა და ბარის ფშაველი

ერთი ფშაველი მთიდან ბარში გადმოსახლდა; რამდენიმე წლის შემდეგ საქმის გამო მთაში ავიდა. ყოფილ მეზობლებს აკვირვებს, უყვება ბარის ცხოვრებას და იქაურ უპირატესობებს, როცა ტრაბახით თავი მოაქუცა, კეიფობის დროს ერთმა ფშაველმა შეუმღერა:

მთის ფშაველი: რას მიქებ ბარის ყანებსა,
მთაში ჩვენც გვიდგა სვილები.
ბარის ფშაველი: მომკით და ვეღარ წაიღებთ,
უნდა დაკახმით ეირები.
მთის ფშაველი: ვირებს ენაცვალოთ პატრონი,
დააქვნის თეთრებ ცხვირები,
აკიდებ დარიხრიხდება,
ქვემოთ მე დავეხირები.
ურემს მოუკვდეს გამკეთე,
მის გამწვეტებულ ჩხირები,
რომ გადაბრუნეს ლაფშა,
ვერ ააყენებს გმირები.
ბარის ფშაველი: თავდათავ ააყენებენ
შავი კამეჩის შვილები.
მთის ფშაველი: კამეჩს მოუკვდეს გამზრდელი,
ამას არ ვეღუპინები,
ერთ ჭამად არ ეყოფოდა
მთელ ფშავის ხევის თივები.

ამგვარად გამარჯვება მთის ფშაველს დარჩა.

ჯაბანი თურმანაული

ჯაბანი თურმანაული ცხოვრობდა სოფელ ხომში (არაგვის ხეობაში) და განთქმული მელექსეც იყო. დღესაც ხალხში შემონახულია იმისი ნათქვამი ლექსები. ჯაბანი აღექსებს, როგორც თავის თავს, თავის ღარიბულ მდგომარეობას, ისე მეზობლებს, ნაცნობებს, ლექსობაში თავის მეტოქეებს, რომლებთანაც რაიმე დამოკიდებულება აქვს. მოვიყვან მის მიერ ნათქვამ რამდენიმე ლექსს.

ჯაბანი ღარიბი კაცი იყო. ახალწლის დილითაც კი არაფერი ჰქონდა, გარდა კეცში გამომცხვარი ხმიადისა და ხაშოს კვერისა და აი, ეს თავისი სიღარიბე ასე გალექსა.

ჯაბანო, წელთ-წელ დილასა
ვინ გიცხობს ბედის კვერასა?
რათ მინდა ბედის კვერია,
ხმიადას ჩავეცობ თხელასა.
დავსხდებით მე და ლელი,
შევატანთ ხაშოს კვერასა.

ფიჩხოვანში, სადაც ახლა ოსების სოფელია გაშენებული, წინად მოსახლეობა არ იყო და აქ ფშაველებს ზამთარში გამოსაკვებად საქონელი ჩამოუდიოდათ. ჯაბანი აქ ერთხელ ამ ლას დასდევნებია. მელა გაპარვია [illegible] და ამ მელაზე „ვალაშქრობას“ ლექსად ასე გადმოგვცემს ჯაბანი:

ფიჩხოვანში ჯაბანი
კვალზე გაუდგა მელასა,
ასეთ სოროში შეუძვრა,
სთხრის და ვეღარა ხედავსა.
თავ დანაბე, ჯაბანო.
მაგ ეშმაკების დეგნასა,
ტყეულად მხარ-ხელს იღალავ,
მანდ ვერ მოხელეგ ვერასა.
მაშ რა ვქნა, თქვენი ჭირიმე,
უნდა წავიდე თელავსა.
ჩოხას თავისად ვიყიდე,
კაბას უყიდი ლელასა.
განა არ იცით, ტყეშია
რა მადლი აქვსა ძველასა
ჩვენ ტანზე ვერასა ნახავთ
გაუხეველსა, მთელასა.

ფშაველები რამდენიმე თვემისაგან შესდგებიან, არიან გოგოლაური, გაბიდოური, ჭითოელი და სხვ. უწონ ერთ გაბიდოურს, ოშში წასულს, ხარის ფაშეით დო წაელია, რის შემდეგ გაბიდოურებს ამით აღექსებენ, ჯაბანსაც ჰყავდა ერთი მეტოქე ლექსობაში გაბიდოური ვინმე ყრუაშვილი, რომელსაც ჯაბანმა შემდეგი ლექსი გაუგზავნა:

გიბარებ გაბიდოური,
გოგოლაური ტომითა;
გამოგსცდეს ყრუაშვილო
სავსე მუცელი დოვითა.
შენ ლექსით როგორ მოჯობებ
ზურგზე მკიდარე ტომრითა.
ქორწილში ტკირითით წავიდეს,
ლაშარ რო წაეკალ ჯორითა.

სოფელ უკანა ფშაეში ცხოვრობდა სესელი ჩეკურიშვილი, რომელსაც უნდოდა ჯაბანს ლექსში შეჯიბრებოდა, ერთხელ ორივენი ქორწილში მოხვდნენ, სესელი ჯაბანს გვერდზე მოუჯდა. ჯაბანი ლექსს ელოდა და როცა სესელმა ლექსი დაუგვიანა, ჯაბანმა შეუმღერა:

ჩემთან გადმოხდა სესელი,
ესემც იქნება დღეგრძელი.
საით რას შემომეყრება
მშიერ-ტიტველი ჩემფური.
არცა რა ზედ საბურავი აქვს,
არც რა ქვეშ დასაგებელი.
ვერ გავეგებარ ჯაბანსა
ისა აქვს გასაგებელი.

ამ ლექსის შემდეგ სესელი გაიპარა.

ვასანანგ სიდამონიძე
ფშაური კაფიბანის პირველი შეჯიბრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთხელ სტუმრად მისულ ჯაბანს ხინკლის ბარშვის დროს ჩაეძინა, ამხანაგებმა მასხრად იიგდეს. ჯაბანმა ეს ძილი ხინკალს გადაუბრალა და შეუშლერა:

ჩაგძინებია, ხინკალო,
გამოგაღვიძებს ჯაბანი,
წამომიფერინდა ხინკალი
კინალამ ჩამცა ხანჯალი.

გზაფხულზე ჯაბანსა და იმის მეზობელს ბარები გუთანში უბიათ და ხნავენ, ჯაბანის ხარა „ხთისია“, როგორც გამხდარი ხვნის დროს ჩაწვა.

ჯაბანმა მას მაშინვე მიუმღერა:

ადგ, ჩემო „ხთისიაო“
რა დროს ჩაწოლისიაო,
შენ პატრონ ღუქანში არის
ოღაა თიბა-მკისიაო.

XX საუკუნის დასაწყისში სოფელ კუდოში გაოდაიცვალა მოხუცებული ფშაველი ჩოთეშა, რომელიც ცნობილი იყო როგორც გაურკელი, უფრო ზარმაცი, უყვარდა თევზაობა და გრილოებში წოლა-ძილი. ამ ჩოთეშას დასწამეს მეზობლის თივის მოპარვა და ჯაბანმაც ასეთი ლექსი გაუგზავნა:

ჩოთეშა თივას ნუ მართმევ,
მეც ლუბადა მყავს ღვინაო,
ეგ მაშინ არის ნათიბი,
შენ რომ გრილოში გძინაო.
ღეეღირება ავდარი
გამიქცევი შინაო.
მანამ მეორედ ამოხვალ,
მოგისწრებს შაბათ-კვირაო.

ერთხელ ჯაბანი და მისი ნათლიმამა კაცობა მოიდან ბარში ჩამოვიდნენ. ერთს სამეკიტნოში შევიდნენ, სადაც კაცობამ ლობიოს ბაკალა დაინახა და ჯაბანს უთხრა: მოდი ეს ბაკალა ვიყიდოთ და ვჭამოთო. ამაზედ ჯაბანმა ხელდახელ ლექსით ასე უპასუხა:

კაცობამ უთხრა ჯაბანსო
მოდი ვიყიდოთ საკლაო.
— ჰო, შენმა გამარჯვებამ,
ამის მეტ არა გვაკლაო.
ფეხზე ქალმანი არ გვაცვა,
თავზე ქუდ აღარ გვაკრაო,
ვერ იცი თავის დრო-ქამი,
ჩემ გული მაგან დაკლაო.

შესანიშნავი მოკაფიავე და მოლექსე ჯაბანი თურმანაული გარდაიცვალა დაახლოებით ამ 40 წლის წინათ.

არის ცნობები, რომ მიხეილ შამანაურს კიდევ მრავალი კაფიები ჰქონდა ჩაწერილი და მრავალი მოკაფიავეს ბიოგრაფიული ცნობები ჰქონდა დაცული, მაგრამ არ არის გამოქვეყნებული.

საფიქრებელია, რომ ეს ძვირფასი საგანძური ხალხური სიტყვიერებისა დაცული იყოს მის პირად არქივში, რაც დღემდე მიკვლეული არ ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კულტურიდან

კლარა ფულეში

ერთი ანონიმური წერილის გამო

(ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკის დაბადების 175 წლისთავი)

ა. ბესტუჟევ-მარლინსკის სახით საქართველოს საზოგადოებამ დაინახა დეკაბრისტული რუსეთის წარმომადგენელი, რომელიც სხვა გადმოსახლებულ დეკაბრისტ-ლიტერატორებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ტიფლისეიკე ვედომოსტში". ეს გაზეთი გამოირჩეოდა პროგრესულობითა და სითამამით. გამგეულად ეკამათებოდა პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებსაც კი. გაზეთის ასეთი მიანართულება იმას უნდა მივაწეროთ, რომ „ტიფლისეიკე ვედომოსტის" რედაქტორმა სანკოვსკიმ მოადგილეებად დანიშნა იმ დროის მოწინავე ადამიანები — ს. დოდაშვილი და ვ. სუხორუკოვი. გაზეთის მაღალი დონე იმითაც აიხსნება, რომ „ტიფლისეიკე ვედომოსტს" ფაქტიურად ხელმძღვანელობდნენ საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტები, რომლებიც შემოიკრიბნენ ამ გაზეთის გარშემო. ძალიან ძნელია ზუსტად იმის დადგენა თუ რომელი დეკაბრისტი თანამშრომლობდა „ტიფლისეიკე ვედომოსტში", ვინაიდან მათ მიერ გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებები და პუბლიცისტური წერილები ხშირად ინიციალებთა და ფსევდონიმებით იბეჭდებოდა, ზოგჯერ კი ხელმოუწერლადაც.

ასე, მაგალითად, გრიბოედოვი ალბათ თანამშრომლობდა „ტიფლისეიკე ვედომოსტში", ვინაიდან 1828 წლის 3 დეკემბერს იგი წერდა პასკევიჩს: «Прилагаю здесь несколько строк для тифлисских газет, коли вы одобрите». მაგრამ გაზეთში ვერც ერთ წერილს ვერ ნახავთ გრიბოედოვის ხელმოწერით, მაშინ როდესაც. მან „ტფილისეიკე ვედომოსტის" გამოცემის საქმეში დიდი როლი ითამაშა.

ვ. დ. სუხორუკოვის მრავალრიცხოვანი კორესპონდენციიდან მხოლოდ ორი-სამი მოწერილი ინიციალებით — „В. С." ერთი მათგანი კი — მისი სრული სახელით. ბ. ს. სანკოვსკი აქვეყნებდა თავის სტატიებს და ლექსებს, როგორც წესი ან ანონიმურად, ან ინიციალებით — „П. С." 1829 წლის თებერვლის ნომრებში მოთავსებულია ხელმოუწერელი წერილები ყარსიდან. როგორც ირკვევა, ისინი განეკუთვნებიან დეკაბრისტ ე. ე. ლარინოვს.

აღსანიშნავია, რომ „ტიფლისეიკე ვედომოსტის" ფურცლებზე ჩვენ ვერც ერთ წერილს ვერ ვხედავთ ა. ბესტუჟევ-მარლინსკის ხელმოწერით, თუმცა ის იყო ამ გაზეთის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი. გაზეთ „ტიფლისეიკე ვედომოსტში" მისი თანამშრომლობის შესახებ იცოდნენ თანამედროვეებმა, მისმა მეგობრებმაც და მტრებმაც. «Знаете ли, что все знают каждую вашу строчку? Западает ли она в болото Тифлисских ведомостей, садят ее в помещичий огород Греча или является она в Телеграфе, все равно она узнана и оценена»,— სწერდა ნ. პოლევოი 1831 წლის 25 სექტემბერს ა. ბესტუჟევს.

საგულისხმოა, რომ მისი ნაწარმოებები პირველად გამოქვეყნდა სწორედ „ტიფლისეიკე ვედომოსტში", ხოლო შემდეგ კი — დედაქალაქის პრესაში. მაგალითად: 1831 წლის დასაწყისში გაზეთის განყოფილებაში — «Изящная словесность» — მოთავსებული იყო ა. ბესტუჟევ-მარლინსკის «Красное покрывало», რომელსაც ხელს აწერს «А. Б.» «Дагестан, 1831».

ყურადსაღებია, რომ სწორედ ამ ნომერში

გამოქვეყნებულია ა. ბესტუჟევ-მარლინსკის მოთხრობა «Рассказ офицера, бывшего в плену у горцев», რომელიც გრძელდება გაზეთის ცხრა ნომერში. არც ერთ ნომერში მოთხრობა ხელმოწერილი არ არის. ისიც აღსანიშნავია, რომ ა. ბესტუჟევ-მარლინსკიმ სწორედ ამ მოთხრობაში მიუთითა გაზეთ „ტფილისკე ვედომოსტის“ დიდ მნიშვნელობაზე!. სწორედ ამავე ნომერშია გამოქვეყნებული ჩვენთვის საინტერესო ანონიმური წერილი სათაურით «Могила Грибоедова» (Письмо из Тифлиса в С.-Петербург, 16 мая 1830 г.» რომელიც შესაძლოა ბესტუჟევ-მარლინსკის განეკუთვნებოდეს.

მოუხდავად იმისა, რომ დეკაბრისტების აჯანყებამდე კომედია „ვაი ჭკუისაგან“ მსჯელობის საგნად იქცა, აჯანყების შემდეგ პრესა დადუმდა. ეს, რასაკვირველია, გამოწვეული იმით, რომ კომედია გამსჭვალული იყო დეკაბრისტული იდეებით, რის გამოც მასზე თავისუფლად ლაპარაკი ამ პერიოდში ყველას ეშინოდა. ამიტომ ავტორი წერილს ეპისტოლარული ფორმით წერს. ნართალია, ავტორი უცნობია, მაგრამ მის მსჯელობაში აშკარად გამოსჭვივის დეკაბრისტული ხასიათი.

გრიბოედოვის მეგობარმა და თაყვანისმცემელმა ინახეს პოეტის საფლავი და აღელვებული წერს წერილს პეტერბურგში. ავტორი ლამპარაკობს მშფოთვარე, უძილო ღამეზე, მოუსვენარ, მძიმე მტანჯველ აზრებზე, ნათელ ვარსკვლავზე, რომელიც აჭარწყლებდა მის დარდებს. ამ სიმბოლური სურათით ავტორს სურს მკითხველს დანანახოს, რომ ვარსკვლავი მუქ ცაზე იგივეა, რაც გრიბოედოვი იმდროინდელ საზოგადოების ფონზე. სიმბოლურობა გამოსჭვივის ავტორის თხრობაში და მკითხველი ადვილად ხვდება წერილის ჩანაფიქრს. მოვიყვანოთ ნაწყვეტი: ...на полугоре, на том самом месте, где показывалась ночью звезда, явился моему взору уединенный храм. Он стоял отдельно, выше всех прочих зданий, как предмет необыкновенный... **К нему снизу до верху извивалась змеею белая, живая лента.** «Это что?» — спросил я.— «Храм Святого Давида. Сегодня четверг. Грузинки идут туда на богомолие». «Там могила Грибоедова, — воскликнул я, — и туда красы востока текут на поклонение!» ... не доходя до церкви Св. Давида, уступом ниже, так сказать, у подножия храма, сделано в стене полукруглое углубление и тут хранятся бренные останки незабвенного поэта. **Над могилою не построено еще никакого памятника, нет надписи и ни малейшего признака, что в сем месте лежит Грибоедов. Долго взор мой был прикован к голому камню и мысли, в коих невозможно отдать отчета, сменяли одна другую.** «Тут лежит Грибоедов, — думал я,— и камень этот безгласен»... С трудом я решился оторгнуться от своего волшебного места и, опускаясь обратно, был в таком же восхищении от последней завещательной мысли Грибоедова: быть похоронен у Св. Давида — **как от гениальных прелестей беспрестанно встречаемых в бессмертном его творении: «Горе от ума».**

Вечером, подошел к окну, я увидел вновь заветную звезду. Небосклон был чист. Миллионы звезд блистали на нем. Они будто ожидали новую гостью, которая стояла неподвижно между небом и землею. Казалось душа Грибоедова, отлетая к новому миру, невольно разлучалась с землею, которую хотела еще одарить многим прелестным, — для которой не все еще совершила, что ей предназначено было!»[2]

გრიბოედოვის ახლო ნეგობარს ა. ბესტუჟევ-მარლინსკის დეკაბრისტულ მოძრაობაში მონაწილეობის გამო მეფის მთავრობამ პირველად ჩამოხრჩობა მიუსაჯა, ხოლო შემდეგ ეს სასჯელი გადასახლებით შეუცვალა. საქართველოში ა. ბესტუჟევი ციმბირიდან გადმოიყვანეს 1829 წელს. ა. ბესტუჟევთან ერთად დეკაბრისტების საქმის გამო დასაჯეს მისი თხზივე ძმა (ისინიც ლეტერატორობდნენ); ორი მათგანი — ნიკოლაზი და მიხეილი — ციმბირში გადასახლეს, ორი კი — პეტრე და პაველ — კავკასიაში. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, 1829-1830 წლის ზამთარში, სამივე ძმამ და მრავალმა სხვა დეკაბრისტმა თავი მოიყარეს თბილისში.

დეკაბრისტებსა და მათ თანამოაზრეებს საქართველოში შემთხვევნდათ რევოლუციური იდეები, ისინი ხელს უწყობდნენ რუს და ქართველ ხალხთა დაახლოებებას, მათ შორის მეგობრული, კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას. თბილისში დეკაბრისტული განწყობილებებით შეპყრობილ ახალგაზრდათა ჯგუფს ცენტრში იდგა ალექსანდრე გრიბოედოვი, რომელიც მუდამ ზრუნავდა დეკაბრისტების ბედზე და ცდილობდა მათ მდგომარეობა შეენესუბუქებინა. პეტრე ბესტუჟევი იგონებს: როცა მან (გრიბოედოვმა — კ. ტ.) გიგიო, რომ მე თბილისში ჩა-

[1] საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტების მონაწილეობა „ტფილისკე ვედომოსტში“ დაწერილებით იხილეთ პროფ. ვანო შადრის წიგნში «Декабристская литература и грузинская общественность». 1958, გვ. 248-266.

[2] Тифлисские ведомости, 1831, № 9, 10, 11, стр. 80—83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვედი, შეეცადა ჩემთან ძმური თანაგრძნობით დაახლოებულიყო. კეთილშობილი კაცის თვალები ბრაწისა და ფუხილის ცრემლით იყო სავსე. მის გულს ცეცცხი ედებოდა, როცა იხსენებდა მისთვის ახლოველ ადამიანთა დამარცხებასა და ტანჯვას და, როგორც პატრიოტსა და ბმას, გული შესტკიოდა ჩვენს მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ დეკ
რისტთან ნაცნობობა სპეში იყო, იგი აჯარად და ფარულად ცდილობდა ჩვენთვის დახმარების გაწევას".[3]

რიცა ა. გრიბოედოვმა პეტერბურგში „ოურქმანნის ხელშეკრულება" ჩაიტანა და მეფის წინაშე წარდგა, საოცარი გაბედულება გამოიჩინა. ბესტუჟევის გადმოცემით, ა. გრიბოედოვმა მოითხოვა იმ დეკენი ადამიანთა (დეკაბრისტების) მდგომარეობის შემსუბუქება, რომელთა ხსენებაც კი ნიკოლოს პირველს შეურაცხყოფდა და აფთრებდა. სწორად ენდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომ ამის შედეგად მეფემ განგებ განაწესა ა. გრიბოედოვი შორეულ სპარსეთში, სადაც მეტად რთული მდგომარეობა იყო, და დაკავისა იქაური აწეწილი საქმის მოგვარება. (კონტრიბუციის გადახდევინება, ტყვეების გამოხსნა და სხვ.), რათა თავიდან მოეშორებინა ეს „ეიტი რევოლუციონერი" და დეკაბრისტების მოსარჩლე.

ა. ბესტუჟევ-მარლინსკის ერთ-ერთი წერილიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ეზრუნველობას იჩენდა გრიბოედოვი მისადმი. «Грибоедов взял слово с Паскевича мне благодетельствовать, даже выпросить меня из Сибири у Государя. Я видел на сей счет сделанную покойником записку... я стоил его дружбы и горжусь этим»[4].

ა. ბესტუჟევ-მარლინსკი გრიბოედოვის ასეთ დამოკიდებულებას. დიდად ეფასებდა. განიცდიდა მის ტრაგიკულ სიკვდილს და ჩამოსულისთანავე მიდიოდა მთაწმინდაზე და ყოველთვის აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ გრიბოედოვის სფლავი უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

ჯერ კიდევ 1829 წლის ივლისტში, თბილისში ჩამოსვლისთანავე, ალექსანდრე ბესტუჟევმა ინახულა გრიბოედოვის სფლავი. ამის შესახებ იგი 1830 წელს სეედინად სწერდა ფ. ბულგარინს: «В 1829 году я был на могиле нашего незабвенного Грибоедова и плакал как дитя — я был один... что этот человек хотел сделать для меня!.. Он умер и все прошло прахом»[5].

უფრო გვიან, პუშკინის სიკვდილის გამო აღელვებული ბესტუჟევ-მარლინსკი ისევ მთაწმინდისაკენ მიემართება. 1837 წლის 23 თებერვალს ამის შესახებ სწერდა თავის ძმას: «Я не сомкнул глаз в течение ночи, а на рассвете я был уже на крутой дороге, которая ведет к монастырю Святого Давида, известному Вам. Прибыв туда, я позвал священника и приказал отслужить панихиду на могиле Грибоедова, ...могила поэта, попираема невежественными ногами, без надгробного камня, без надписи! Я плакал тогда, я плачу теперь, горячими слезами, плакал о друге и товарище по оружию»[6].

ის ამბავი, რომ ბესტუჟევ-მარლინსკის მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს და დილაადრიან, მარტოდმარტო წმინდა დავითის ნონასტრისაკენ მიმავალი ცოცაბი ბილიკით გრიბოედოვის სფლავთან მივიდა, რომ სფლავს არც ქვა ედო და არც წარწერა ჰქონდა, რომ ამის გამო მან ნწარედ იტირა, უდავოდ ემოხვევა „ტიფლისელ ეედომსტის" ფურცლებზე მოთავსებული წერილს სტრიქონებს, რომლებიც ლაპარაკობენ უცნობი ავტორის მშფოთვარე, უძილო ღამეზე, მოუსვენარ, მძიმე, მტანჯველ ხსრებზე და იმაზე, თუ მეორე დილით ველილეთი დაკლაკნილ გზით, მარტოდმარტო როგორ გიეშორა მთაწმინდისაკენ და რა საგონებელში ჩავარდა პოეტის სფლავის ხილვით.

თუ გადავხედავთ ბესტუჟევ-მარლინსკის სხვა წერილებს და შევადარებთ „ტიფლისელ ეედომსტის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ უცხოავტორის წერილს, ნათლად დავინახავთ მსგავსებას არა მარტო წერის მანერაში, არამედ მის ხასიათშიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1829 წლის ივლისტოს დასაწყისში ბესტუჟევ-მარლინსკი თბილისში ჩამოვიდა და აქ დაპყო რამოდენიმე დღე, ხოლო 16 ივლისტოს ვიეგზავრა სალაშქროდ არზრუმს, სადაც თავის ძმეს შეხვდა. ლაშქრობაში დაავადებული, 1829 წლის ბოლოს თბილისში ჩამოვიდა და აქ დასახლდა. ამ დროს იგი უკვე ცნობილი მწერალი იყო. მეკიბეველთა შორის პოპულარობით სარგებლობდა ჯერ კიდევ დეკემბრის აჯანყებამდე დაწერილი მოთხრობები: „რომანი და ოლღა", „მოღალატე", „ნეიპატუნის ციხე" და სხვ. აჯანყების შემდეგ, უკვე ნსჯავრდადებულმა ციხეში პაპიროსის ქაღალდზე დაწერა ისტორიული მოთხრობა ლექსად — „თავადი ანდრეი პერეიასლავსკი".

საკვირველია, საიდან ჰქონდა მწერალს ამდენი სულელური და ფიზიკური ენერგია ასეთ ძლი-

---

[3] А. Грибоедов в воспоминаниях современников, М., 1928 г.

[4] Русский вестник, 18 61, № 3, стр. 321.

[5] А. Грибоедов в воспоминаниях современников, М., 1929, стр. 200.

[6] А. А. Бестужев-Марлинский, Сочинения, том II, Москва, 1958, стр. 673.

ურ ნაწარმოებთა შესაქმნელად, როცა ის, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, საზოგადოების ასპარეზიდან გაძევებული, მეფის ხელისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი და ყოველმხრივ შევიწროებული, ავადმყოფობითაც იტანჯებოდა.

თბილისში მისი ცხოვრება უფრო კარგად წარიართა. პოპულარული მწერალი-დეკაბრისტი, ენამახვილი მოსაუბრე, სიცოცხლით სავსე ბესტუჟევ-მარლინსკი ახლოს გაეკონა პოეტ ალექსანდრე ჭაკეშავაძეს და მის ოჯახს, ქართველი ინტელიგენციის მრავალ წარმომადგენელს. იგი მიიღეს თბილისის კომენდანტ ბუხარინის ოჯახშიც.[7]

განგებლოვი თავის მოგონებებში წერს, რომ ბესტუჟევი თბილისში 1830 წელს განიკურნა მალარიიდან. ერთი შეხედვით, ბესტუჟევ-მარლინსკი თითქოს კმაყოფილი იყო ცხოვრებით: ხედებოდა თავის ძმებს, ძველ მეგობარ-დეკაბრისტებს, ატარებდა დროს თანამოაზრეებთან და ა. შ., მაგრამ, მეორე მხრივ, მას აწუხებდა, რომ იყო დევნილი, უფლებაყრილი, მეფის ხელისუფლების ხელქვეითი. მას ეს ტანჯავდა და შვებას წერილების წერაში პოულობდა, სადაც რომანტიულად გადმოსცემდა თავის განცდებს, თავის განწყობილებას. ბესტუჟევ-მარლინსკის წერილებს მოგვაგონებს სწორედ უცნობი ავტორის წერილი, სადაც ვკითხულობთ: «Долго боролся я во сне с одним из тех ночных видений, которыя, кажется, заключают в себе нечто таинственное, нечто проницательное — и наконец проснулся с воображением, утомленным тяжкими грезами. Я вспомнил прошедшее, думал о настоящем, мечтал о будущем. Этот хаос удовольствий и забот, приятностей и огорчений, не представлял мне ничего прочного, не предвещал мне ничего утешительного»[8].

მართალია, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი საქართველოსთან ისე მჭიდროდ არ იყო დაკავშირებული, როგორც კაკაესის სხვა რაინდნთან, მაგრამ ჩვენმა სამშობლომ მაინც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე, პირველი, რამაც მოახდინა მასზე უდიდესი შთაბეჭდილება, ეს იყო დარიალის ხეობა. იგი ალტაკეებით სწერდა თავის ძმებს 1830 წლის 20 აგვისტოს:

«Не могу выразить, что я почувствовал, увидя во Владикавказе впервые после пасмурной погоды гряды льдов, озаренных лучом утра! Я не мог налюбоваться ими, не мог наглядеться на них.. Казбек и Дарьял и еще кое-какие места стоят кисти Сальватора»[9].

ა. ბესტუჟევ-მარლინსკი კაკაესის, საქართველოს თაყვანისმცემელი იყო. ჭაკურ დიდებულ ბუნებასა და თავისუფლებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი ხალხის ცხოვრებაში მან პოეტ თავისი შეამბოხე-რომანტიული მუზის დაუშრეტელი წყარო. «სამხრეთ ციმბირში» ჩამოსვლისთანავე ის ხობნად დაეწფა ამ წყაროს. ა. ბესტუჟევი ყოველთვის აღტაკებით ლაპარაკობდა საქართველოს ბუნებაზე და კულტურაზე, ჩვენს ხალხზე, მთელ რიგ ნაწარმოებებში, მაგალითად, «ზეა ქალაქ ლუბამდე», «ვადიმოვი», «ამალათ-ბეგი» (IV თავი) და მთელ რიგ წერილებში.

თუ დავაკვირდებით ა. ბესტუჟევ-მარლინსკის ნაწარმოებებს, ძალიან ადვილად დაეწერწმუნებით, რომ მათში ასახული საქართველოს პეიზაჟი ძალიან ჰგავს გაზეთ «ტიფლისკაე ვედომოსტში» მოთავსებულ უსახელო წერილისას — «გრიბოედოვის საფლავი».

ყველა რომანტიკოსისსათვის ჩეტ-ნაალებად დამახასიათებელია ბუნებით გატაცება, ბუნების კულტი, ისინი მისი სილამაზით ტკბებიან, ნასში მეგობარსა და თანაგრძნობას ეძებენ. მაგრამ ა. ბესტუჟევ-მარლინსკის მიერ დახატული ბუნება წარუშლელ შთაბეჭდილებას იმითაც ტოვებს, რომ იგი ბუნებას აკვიწერს არა განყენებულად, არამედ ადამიანებთან ურთიერთობაში. ა. ბესტუჟევი ახერხებს ნათელ სახეებში ნოვაცეს ბუნების რეალური პოეტური სურათები, რათა ჩვენშიც გამოიწვიოს ბუნებასთან შეერთების ის სიხარული თუ მწუხარება, რომლითაც თვით მწერალია გამსჭვალული.

წყნარი ბუნების სურათები მას ამშვიდებს, მაგრამ ა. ბესტუჟევის ბობოქარ ტემპერამენტს და ნეიმბოხე რომანტიკულ სულს განსაკუთრებით იზიდავს მშფოთვარე სურათები სტიქიისა, განსაკუთრებით ღამისა, მას ხიბლავდა «ჰეუხარე თერგი დარიალის ხეობაში», რომლის შესანიშნავი რომანტიკული სურათი დაგვიხატა თავის «ამალათ-ბეგიდან» და «ნონიმური წერილიდან «გრიბოედოვის საფლავი» და ნათლად დაეწერწმუნებით მათს შესგავსებაში.

«Дико прекрасен гремучий Терек в Дарьяльском ущелье. Там, как гений, черная силы из небес, борется он с природой. Инде, светел и прям, как меч, рассекший гранитную стену, сверкает он между утесами. Инде, черная от гнева, ревет и роется как лютый зверь, под вековые громады: отрывает, рушит, катит вдаль их обломки.

[7] ელიზბარ უბილავა, «ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკის კაკასიური თხზულებანი» (იხ. წიგნში «ამალათ-ბეგი», და «მილნარი», თარგმნეს ელიზბარ უბილავამ და ნანა მიქავამ», გვ. 5-12).

[8] Тифлисские ведомости, 1831, № 9, 10, 11, стр. 80.

[9] Русский вестник, 1870, стр. 498—499.

бурную ночь, когда запоздалый всадник, вернувшись в косматую бурку, озираясь, идет по забережью, висящему над пучиною реки, все ужасы, какие только породить может досужее воображение, ничего в сравнении с истинными (ощущениями), подавляющими... Вдруг, как лава, проливается молния, и вы с ужасом видите только черную расторгнутую тучу над собою, а под собой — зияющую бездну, утесы по сторонам, и навстречу вам с крутизны ревущий, прыщущий Терек, осыпанный огненной пеною. На один миг видите вы, как мутные, буйные волны его, словно адские духи, скачут, прядают, мечутся в бездну со стоном, пораженные мечом архангелов. Вслед им с грохотом катятся огромные камни. И вдруг, после ослепительного озарения молнией, вы опять погружены **в черное море ночи;** и вдруг за тем раздается выстрел грома, зыблющий основание скал, будто тысячи гор рушатся друг на друга; так вторят отголоски удару небес. Потом долгий, протяжный гул...».

ქმნის რა დარიალის ხეობის ამაღლებულ სურათს, ბესტუჟევ-მარლინსკი მარტო ინას კი არ ეფილოსს, გადმოგვცეს ბობოქარი მდინარის ბრძოლა უძარავ კლდეებთან, არამედ უნდა მკითხველს შეუქმნას განსაკუთრებული ხასიათი, აშფოთვარე სული, რათა გაუღვიძოს ბრძოლის ფიქრები.

მაგრამ ვთქვეთ თუ არა, ბუნების მრისხანე სურათი სრულიად იცვლება, მზე ნთელს მოჰფენს მთებს, კლდეებს, ყველფერი კაშაშა ხდება.

«Но зато, как приветливо заглядывает **утро в ущелье,** на дне которого бьет и кипит и плещется Терек! Облака, будто раздернутый полог, клубятся от ветра, и сквозь них являются и опять исчезают ледяные вершины. Точно резные из золота, лучи солнца рисуют зубчатые силуэты вершин восточных на противоположной стене гор. Скалы блестят, еще высеребрянные дождевою влагою, а мрачный Терек прядает по каменьям и кружится будто ищет места успокоиться».

როგორც ვხედავთ, „ამალთ-მეგრადან“ მოტანილ ნაწყვეტებში ბუნების აღწერა კონტრასტებზეა აგებული. დარიალის ხეობის მშფოთვარე ღამის მრავალფეროვან მოვლენებს — ქუქას, ქუხილს, წვიმას, ქარს ბესტუჟევ-მარლინსკი უპირისპირებს ხეობის ალერსიან დილას.

არრიგად, ბუნება ბესტუჟევთან ხან მრისხანეა, ხან წყნარი, მაგრამ ეუდამ ბუდამ ნიმზიდველი, მშვენერი და საიდუმლოებით მოსილი.

ახლა მოვიტანთ ნაწყვეტი ანონიმური წერილიდან „გრიბოედოვის საფლავი“ და შევადარებ ოთ „ამალთ-ბეგის“ ნაწყვეტს.

«Я подошел к окну — природа соответствовала мрачному состоянию души моей. Стихии также бушевали, как и мои чувства. Ветер свистел, усиливаясь ворваться в излучины Тифлисских переулков... Дождь, просасываясь сквозь земляную крышу моей сакли, мерными каплями ударял в кирпичный пол. Наружное волнение природы и внутреннее безпокойство души моей приводили в изнурение чувства мои, и душевныя и телесныя. В сем расположении духа взоры мои, обращенные на запад, встречают на небосклоне, среди всеобщего мрака, звезду сияющую необыкновенным блеском. Откуда могло произойти сие удивительное явление? — **Небо было покрыто непроницательными облаками и густо нисходила на землю черная мгла... Я долго смотрел на нее — она мне казалась непостижимою, неразгаданною...** чем более на нее глядел, тем более во мне рождалось догадок, тем разнообразнее были мои мысли; Они следовали одна за другою, как облака перед солнцем».

ღამის ბუნების აღწერის შემდეგ, როგორც ეს ბესტუჟევ-მარლინსკისათვის არის ჩვეული, უცნობი ავტორიც გადადიოს დილის შშვიდი ბუნების აღწერაზე.

«Я проснулся рано. Взобравшись на саклю, я наслаждался рождением прелестного дня. Солнце торжественно восходило из-за Кахетинских гор и как вождь-победитель далеко гнало враждебныя тучи. Благодетельные лучи его с особенным блеском отражались на ту самую сторону, где ночью блистала таинственная звезда. Там гора Тацминда» (Мтацминда — К. Т.).

როგორც ვხედავთ, უცნობი ავტორის წერილიდან მოყვანილი ნაწყვეტშიც ბუნების აღწერა კონტრასტებზეა აგებული. მთაწმინდის ღამისა და დღის ბუნების სურათები უპირისპირდებიან ერთმანეთს. აქაც ღამის პეიზაჟში უფრო მკვეთრად მოჩანს ავტორის შინაგანი ძალა, მისი გულისყური, ხედვა და მიმართულება. მწერალს უყვარს ბუნების ამაღლებული სურათები: ქარი, წვიმა, ღრუბლები, სიბნელე. მოვიყანოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი ბესტუჟევ-მარლინსკის ნაწარმოებიდან, სადაც ხაზგასმულია, თუ როგორ უყვარს მას ბუნების ამაღლებული სურათები. «Люблю встретить бурю лицом к лицу; любуюсь ее гневом... привольно, весело мне, свежо на сердце. С наслаждением глотаю капли дождя — эти ягоды полей

კლარა ტულუში
ერთი ანონიმური წერილის გამო

воздушных. Полной грудью вздыхаю вихрь... О, в буре есть что-то родственное человеку... с самого младенчества я люблю грозы. Гром для меня всегда был милее песни, молния — краше радуги»[10] — წერს ბესტუჟევ-მარლინსკი.

უცნობი ავტორი, ისევე როგორც ბესტუჟევ-მარლინსკი, უკვირდება ბუნების საკვირველებით სავსე საიდუმლოებას («блистала таинственная звезда»). იგი ბუნების განცდას აძლევს ღიდ ინტიმურობას, განსაკუთრებულ სიმძაფრეს. მწვრალი ღრმად წვდება ბუნების საიდუმლოებას და თავისი მტანჯველი ფიქრის თანამოზიარედ წარმოგვიდგება. ისევე, როგორც ეს ბესტუჟევისათვის არის დამახასიათებელი.

თხრობის მანერა, ის, რომ წერილის ავტორი თავს უფლებას აძლევს შეაფასოს და შეამკოს გრიბოიედოვის შემოქმედება ეპითეტებით — „გენიალური“, „უკვდავი“ და ზემოთმოყვანილი ნაწყვეტების შედარება იმას ადასტურებს, რომ ავტორი წერილისა — „გრიბოიედოვის საფლავი“ არის ა. ბესტუჟევ-მარლინსკი.

დასასრულ, არის კიდევ ერთი არსებითი ფაქტი, რომელიც ჩვენი აზრის სისწორეს ამტკიცებს:

უცნობი ავტორი წერილში მოგვითხრობს, რომ იგი **„თავისი კვერთხით“** ავიდა თოაშინდაზე «Увлеченный восторгом, я взял **свой посох,** и несмотря на трудность чрезвычайно крутого подъема, скоро добрался до могилы Грибоедова»[11].

ნიშანდობლივია, რომ ბესტუჟევ-მარლინსკიც კვერთხთან დადიოდა და მისი ოცნება იყო, ერთი კეთხე მიეჭნაა სადმე, სადაც შეიძლებდა „თავისი კვერთხის მიყუდებას“. ამის შესახებ იგი თავის ძმას პავლეს წერდა: «Об одном молю, чтоб мне дали уголок, где я мог поставить **свой посох**»[12].

ჩვენი აზრით, ეს არ არის უბრალო დამთხვევა, მით უმეტეს, ზემოთ ნათქვამი საბუთება უცნობი ავტორის წერილში, საიდანაც ვვებულობთ, რომ მან ბინა მიიღო. «Я приехал в Тифлис и живу в грузинской сакле. Одна комната составляет мою спальню, мою приемную и мой кабинет... Новость моего жилища, в которое я перенесен как бы волшебством, и все произшедшее со мною в течение трех месяцев, производят такой сумбур в моей голове, что от смешения мыслей и воспоминаний нет мне покоя ни днем, ни ночью»[13].

[10] «Мулла-Нур» (заключение).

[11] Тифлисские ведомости, 1831, № 9, 10, 11, стр. 82.

[12] Отечественные записки, июнь, стр. 66—67.

[13] Тифлисские ведомости, 1831, № 9, 10, 11, стр. 80.

[14] ჯუანშერ ვალიხანოვი, „გრიბოიედოვი და პირველი რუსული გაზეთი კავკასიაში“. (ტანნილი „ცისკარი“, 1969, № 9).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ნობი ავტორისა და ბესტუჟევ-მარლინსკის ლიტერატურობა.

ბუნებრივია, ბესტუჟევ-მარლინსკი, რომელიც დიდად დავალებული იყო გრიბოიედოვისგან, მწვავედ განიცდიდა პოეტის უდრო, ტრაგიკულ სიკვდილს და იგი არა ერთხელ მისეულ მის საფლავზე. ყოველი მისეული დაკავშირებული იყო ზმამე განცდებთან, რომლის შესახებ იგი წერდა ბულგარინს (1830), თავის ძმას პაველს (1837). ბესტუჟევ-მარლინსკის ეს და სხვა წერილი გვაფიქრებინებს, რომ უცნობი ავტორი და ბესტუჟევ-მარლინსკი ერთი და იგივე პიროვნებაა და „ტიფლისკიე ვედომოსტის“ 1831 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ანონიმური წერილი სათაურით — «Могила Грибоедова» (Письмо из Тифлиса в С.-Петербург от 16 мая 1930 г.)» განეკუთვნება ბესტუჟევ-მარლინსკის.

ა. ბესტუჟევი ყოველთვის აღტაცებით ლაპარაკობდა საქართველოზე, მის ბუნებაზე. განსაკუთრებით უყვარდა „თბილისის საღამოები და ღამეები. მათ არაფერი შეედრება“... — სწერდა იგი ნ. პოლეჟაიოს.

ერთ-ერთ ნაწერმოებად, სადაც აისახა თბილისის, კერძოდ, თთაშინდის ღამისა და დღის შესანიშნავი სურათები და ა. ბესტუჟევ-მარლინსკის განცდები მისი მეგობრის, ალექსანდრ გრიბოიედოვის საფლავის ხილვისას ბუნების ძალით გამოწვეული, ჩვენი აზრით, უნდა ჩაითვალოს ანონიმური მოთხრობა „გრიბოიედოვის საფლავი“.

ზემოთქმული კიდევ ერთი დადასტურებაა გრიბოიედოვის მჭიდრო კავშირისა დეკაბრისტებთან, განსაკუთრებით კი „ჩრდილოეთის ორგანიზაციასთან“, რომლის წევრები ძმები ბესტუჟევები იყვნენ.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა მკვლევარი ჯუანშერ ვალიხანოვი, რომელიც, ნაოთალია, თავის მეტად საინტერესო სტატიაში — „გრიბოიედოვი და პირველი რუსული გაზეთი კავკასიაში“[14], იმ საკითხს სულ რამდენიმე სტრიქონს უთმობს, მაგრამ იგი შეიძლება ჩვენი მოსაზრების კიდევ ერთ დადასტურებად ჩაითვალოს.

თუ ჩვენი მოსაზრება დამაჯერებელია და მას კომპეტენტური მკვლევარები გაიზიარებენ, უცნობი ავტორის წერილი «Могила Грибоедова», რომელიც გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტში“ 1831 წელს გამოქვეყნდა, შესაფერის ადგილს დაიკავებს ა. ბესტუჟევ-მარლინსკის თხზულებათა მომავალ გამოცემაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელოვნება

სიმონ ჭანგურიშვილ

ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ისტორიიდან

ხალხური მუსიკალური შემოქმედება ისევე ...ველია, როგორც კაცობრიობის ისტორია. ადა...ნის სულიერი ცხოვრების განვითარებაში ...ესიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს; ...ისში ასახავს პოეტს ამა თუ იმ ხალხის ყო...ფა-ცხოვრება, მისი კულტურულ-ისტორიული ...ერსული თუ აწმყო. სანამ ადამიანი მიაღწევდა ...ესიკალური აზროვნების გარკვეულ საფე...ურს, მან თავისი განვითარების ეტაპები ის...ორიული გზა განვლო. ყველა ხალხის მუსიკა...ური აზროვნება, მისი ხმიერი თუ საკრავიერი ...ესიკა თავისი განვითარების მანძილზე პირ...ველად ფორმასთან შედარებით თანდათან იხ...ეწებოდა, მდიდრდებოდა, როგორც ჰარმონი...ა, ისე ფორმისა და სტილის მიხედვით. ამას...ან, თანდათან იხვეწებოდა სიმღერის შესრუ...ების ხერხები და შესაძლებლობანი.

მე-19 საუკუნის მუსიკის ისტორიოგრაფიაში ...ძიოჭრა საკითხი, თუ საიდან შეიძლება დაა...ენის მუსიკის ისტორიის შესწავლა. გამოჩენი...ი ბუნებისმეტყველი გ. ჰელმჰოლცი ამბობ...ს: «Каноны Музыкального искусства, должны искать не в произвольно избранных системах, а в изучении образцов народного музыкального творчества с самых первобытных ступеней его развития»[1].

მუსიკის ისტორიის მკვლევარი რ. ი. გრუ...ერი ეხება რა მუსიკის წარმოშობის საკით...ხს, წერს: «Словом вопросы происхож...дения музыки и музыка первобытно-общинного строя — первое звено музыкально-исторического процесса»[2].

რა თქმა უნდა, უძველესი ხანის მუსიკა თავისი პირვანდელი სახით ჩვენს დრომდე ვერ მოაღწევდა, ვინაიდან სანოტო სისტემის არარსებობა, ამის საშუალებას არ იძლეოდა, მაგრამ მეცნიერება ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს ისტორიის დამხმარე დისციპლინებით — ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მონაპოვრებით (აღმოჩენილი საკრავების თუ მუსიკალური პრაქტიკის არქაული გადმონაშთების საშუალებით) და ამის საფუძველზე ცდილობს აღადგინოს მუსიკის დაახლოებითი სურათი და მისი ძირითადი მოტივები. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მუსიკის წარმოშობისა და მისი ხალხური საწყისების შესახებ.

მუსიკის წარმოშობის შესახებ სპეციალისტების მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჰიპოთეზა იყო წამოყენებული. „ამ ჰიპოთეზების ავტორთა ძირითადი შეცდომა ისაა, — ამბობს გრუბერი, — რომ მუსიკას განიხილავენ არა როგორც საზოგადოებრივ სინამდვილეს, არამედ ადამიანთა საზოგადოების განვითარების პროცესისაგან, ენის, აზროვნების, სოციალური წყობის განვითარების პროცესისაგან იზოლირებულად.[3]

მუსიკის წარმოშობისა და მისი განვითარების გზების დასადგენად მე-19 საუკუნეში ფართოდ გაიშალა მუშაობა. მუსიკის ისტორიოგრა-

[1] Г. Гельмгольц — Учение о слуховых ощущениях как физиологическая основа для теории музыки. С.-Петербург. 1875, გვ. 519.

[2] Р. И. Грубер — История музыкальной культуры, т. I, ч. I, 1941, М.-Л., გვ. 3—4.

[3] იქვე. გვ. 4.

ფიაში წამოყენებულ იქნა საკითხი, მეცნიერულ დონეზე, მეცნიერული მეთოდებით შეესწავლათ მუსიკალური აზორენების განვითარების გზები და მისი კანონები.

მე-19 საუკუნეში ამ მეცნიერთა შორის შეიძლება დავასახელოთ პროფ: ა. ეტინგენი[4], ვ. ჰაგენი[5], კ. შტუმპფი[6], ე. ჰორნბოსტელი[7], კ. ზაქსი[8] და სხვები. მათი შრომების საფუძველზე მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, მართალია, ძალიან ღარიბი, მაგრამ მეტად საჭირო ლიტერატურა მოგვეპოვება ამ მიმართებით.

რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ დასმული საკითხი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ მუსიკის ისტორიის გზების დადგენა შეუძლებელია ისე, თუ არ იქნა შესწავლილი ამა თუ იმ ხალხის სულიერი კულტურის ისეთი სფერო, როგორიცაა ხალხური მუსიკალური ფოლკლორი. მაგრამ ხალხური მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას ართულებდა ის საქმე, რომ ამ საკითხით დაინტერესებული მეცნიერები ერყდნობოდნენ და კმაყოფილდებოდნენ მოგზაურების, ან მისიონერების ზერელე აღწერილობათა თუ გადმოცემებით. არ არსებობდა სისტემატური საველე მუშაობის წარმოება, არსებობდა ე. წ. „რარიტეტული“ მეთოდი, რაც, რა თქმა უნდა, აფერხებდა ფაქტებისა თუ სიმღერების სწორად და დროულად ფიქსირებას. ამ რარიტეტული მეთოდის მეშვეობით იყო სწორედ, რომ მე-19 ს. და მე-20 ს. დასაწყისში — ხალხური მუსიკალური ნიმუშების ჩანაწერები მოგვეპოვება, მაგრამ ისინი არასპეციალისტების (ზოგჯერ საერთოდ მუსიკის არამცოდნის) მიერ იყო ჩაწერილი და ამდენად მეცნიერულ ღირებულებას მოკლებული იყო.

ამ შემთხვევაში შეიძლება სხვაგვარადაც დაისვას საკითხი. შეიძლო თუ არა [illegible] დელ მეცნიერებას, მუსიკის კვლევაზე, „ეროვნულ ეთქვათ ამ მასალებზე? რა თქმა უნდა, არა, იმიტომ რომ ამ პერიოდში მეცნიერებს არ გაჩნდა უფრო სრულყოფილი მეთოდი კვლევა, ხალხური სიმღერების შეგროვებისა თუ ჩაწერისა. მათ ზღუდადაც აგრეთვე საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგად მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების უქონლობა.

როგორც ცნობილია, ეთნოგრაფია დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის II ნახევარში, როცა მას უკვე საკუთარი კვლევის მეთოდი გაუჩნდა. დასაწყისში მისი ამოცანა იყო ზუსტად, ყოველმხრივ აღწერა ამა თუ იმ ხალხის ყოფა-ცხოვრებისა. მისი, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურისა.. სწორედ სულიერი კულტურის შესწავლის საშუალებით, შესაძლებლობა გვექმენა ვიკვლიოთ ამა თუ იმ ხალხის მუსიკალური შემოქმედება, მისი ფოლკლორი, ყოველივე ამის შედეგად მე-19 საუკუნეში მეცნიერულ-მუსიკალური მხარე განდიდრდა საკმაოდ საჭირო ნაშრომებით.

თუ გადავხედავთ მე-19 საუკუნის დასავლეთ ევროპას მუსიკალური შემოქმედების განვითარების თვალით, დავინახავთ, რომ მე-19 ს. უკუნეში დასავლეთ ევროპის მეცნიერებს საკმაოდ შრომატევადი საშუშაო შეუსრულებიათ. მაგრამ ამ ავტორთა ნაშრომებში იგრძნობა ამრის შებოჭილობა, რაც, საერთოდ, დაბახასიათებელია მთელი მე-19 საუკუნის მუსიკალურ-სამეცნიერო სფეროსათვის.[9]

რაც შეეხება რუსეთს, აქაც მუსიკალური ეთნოგრაფია არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე. მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე, ლიტერა-

---

[4] A. V. Oettingen – Das Harmoniesystem in dualer Entwickelung. Dorpat und Leipzig. 1866.

[5] Hagen, B. – Die Orang-Kubu ayf Sumatra. Frankfurt a/m 1908.

[6] K. Stumpf-Lieder der Ballakula-Indianer («Sammelbände der nergleichenden Musikwissenschaft»), т. I; K. Штумф — Происхождение музыки. Л., 1927.

[7] E. M. Hornbostel – Musikalische Tons ystemen. в серии: Handbuck der Physik hsg. von. H.Leiger U. K. Schcol. Bd. VII, I, 1927.

[8] C. Sachs – Realexicon der Musikinstrumente, 1913.

[9] გერმანიაში ჰ ა გ ე ნ ი ს მიერ 1807 წ. გამოცემულ კრებულთან ერთად, 1961 წ. გამოიცა რეესპანის საკმაოდ დიდტანიანი ნაშრომი. ორბული მუსიკის შესახებ გამოჩნდა კიზვეტერის ნაშრომი, მე-19 ს. 40-50-იან წლებში გამოქვეყნდა ჩიხური სიმღერების კრებული, რომელიც გამოსცა ერბენმა, ამის შემდეგ გამოიცა კაპტალური ნაშრომი პოლონური სიმღერების შესახებ, გამოსცა ო. კოლბერგმა. ამავე პერიოდში მუსიკალური ეთნოგრაფია მდიდრდება ნაშრომებით ფრანგული სიმღერების შესახებ. ინდიელების მუსიკის შესახებ გამოიცა ჩარლ დეის ნაშრომი, ინგლისური მუსიკალური ფოლკლორის ჩამოყალიბებისა და მის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვიან ინგლისელ მეცნიერებს: გრეგმს, პერის, ჩაპელს და სხვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურა მუსიკალურ-ეთნოგრაფიაში ძალზე ღარიბია. არ მოიპოვება ნაშრომები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიმღერის შემგროვებლების დანიღოვისა და პრაჩის მიერ გამოცემულ სასიმღერო კრებულს, მე-19 საუკუნის II ნახევრიდან კი გამოჩნდნენ მუსიკოსები, სეროვი, სოკოლსკი, მელგუნოვი, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით რუსული ხალხური მუსიკის დამუშავება-შესწავლის საქმეში. მათ დასაბამი მისცეს, როგორც სიმღერის შეგროვების, ისე მისი კვლევის საქმეს რუსეთში.

მუსიკალური ეთნოგრაფიის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის 1901 წ. რუსეთში (ქალ. მოსკოვში) მუნეგისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების ეთნოგრაფიულ განყოფილებასთან ჩამოყალიბებულ მუსიკალურ-ეთნოგრაფიულ ჯგუფს, რომელიც შემდეგ სპეციალურ მუსიკალურ-ეთნოგრაფიულ კომისიად გარდაიქმნა. ამ კომისიამ ხელი შეუწყო არა მარტო რუსული ხალხური შემოქმედების განვითარებას, არამედ მაშინდელი რუსეთის სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მუსიკალური შემოქმედების შესწავლასაც. ამ დროიდან მოყოლებული იწყება შედარებით ვეგმაზომიერი სამეცნიერო-მუსიკალური მოღვაწეობა როგორც მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, ასევე შესწავლის საქმეში.

მუსიკალური ეთნოგრაფიის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფოლოგრაფის გამოჩენას. ეს იყო ინსტრუმენტი, რომელმაც უაღრესად დიდი როლი ითამაშა ხალხური მუსიკის შესწავლის საქმეში. ფონოგრაფის ხმარების შედეგად მეცნიერებს შესაძლებლობა მიეცათ უფრო ზუსტად ჩაეწერათ ესა თუ ის სიმღერა.

ამრიგად, მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში მნიშვნელოვანი წინსვლა შეიმჩნევა მუსიკალური ეთნოგრაფიის განვითარების საქმეში, მაგრამ სრული გასაქანი მუსიკალურ ეთნოგრაფიას მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიეცა.

ჩვენთვის ფრიად საინტერესოა, როგორი იყო ქართული მუსიკალური ეთნოგრაფიის განვითარების გზები ამ პერიოდისათვის. ჩვენი აზრით, ქართული მუსიკალური ეთნოგრაფიის განვითარების საქმეს უნდა ეუმადლოდეთ, ერთის მხრივ, მოსკოვის ზემოთაღნიშნული მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ფოლკლორმოძიების საზოგადოების გულმოდგინე მუშაობას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო საგუნდო სიმღერების შესრულების დიდი ტრადიციის ქვეყანაა. უძველესი დროიდან ვითარდება ხმიერი მუსიკა. ქართული ხალხური სიმღერა განთქმულია თავისი პოლიფონიური მრავალხმიანობით, რაც მასთან გეოგრაფიულად, პოლიტიკურად, ეკონომიურად თუ კულტურულად დაკავშირებულ მეზობელ ხალხებს არ გააჩნიათ. ყოველივე ეს ქართული სიმღერის თვითმყოფადობაზე მიუთითებს. ძველ წერილობითი წყაროების ზოგიერთი საგულისხმო ცნობის მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული ხალხური მუსიკის ტრადიციები ჯერ. წელთაღრიცხვამდე მე-8 საუკუნიდან მომდინარეობს. ყველაზე ადრინდელი ცნობა ასურეთის მეფე სარგონს (მე-8 ს. ჩვ. წ. ალმდე) ეკუთვნის. საყურადღებოა ქსენოფონტეს (მე-4 ს. ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ცნობებიც. მათში ლაპარაკია ქართული ხალხური სიმღერების სხვადასხვა ჟანრებზე, როგორიცაა შრომის, საყოფაცხოვრებო თუ საბრძოლო სიმღერები.

სხვა სურათი გვეხატება ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ. ამ პერიოდიდან ქართული ხმიერი მუსიკის განვითარება ორი ხაზით მიმდინარეობს. ერთი სასულესიო, ანუ სასულიერო და მეორე — საერო. მართალია, ამ პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა საეკლესიო მუსიკის განვითარებას, მაგრამ ეს ხელს არ უშლის საერო ხმიერი მუსიკის განვითარებასაც. უფრო მეტიც, სასულიერო მუსიკა ყოველთვის განიცდიდა საერო მუსიკის გავლენას. საერო თუ საეკლესიო მუსიკის აყვავების ხანად საქართველოში მიიჩნევა X-XII საუკუნეები. ამ დროისთვის ცნობილია საგალობლების მთელი რიგი საეკლესიო კრებულები ქართული ნეტმატიური ნიშნებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიქელ მოდრეკელის მიერ მე-10 საუკუნეში შედგენილი ქართულ საგალობელთა კრებული.

როცა ლაპარაკია საერო მუსიკაზე, საჭიროა ითქვას, რომ ეროვნი ხალხური სიმღერები, მართალია, ერთი საერთო ძირიდან მომდინარეობენ, მაგრამ ამასთან ერთად მათ ახასიათებთ საკმაოდ მრავალმხრივი დიალექტური და სტილისტური თავისებურებანი. ეს თავისებურებანი, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას შემდეგი გარემოებით: საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა როგორც ჩანს, თავიდანვე ჭრელია. ამის კვალობაზე ცალკეული ეთნიკური ჯგუფები ისწრაფვიან დამოუკიდებელ სამეფოებად ჩამოყალიბებას, საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებით, რასაც ხელს უწყობდა საქართველოს გეოგრაფიული პირობებიც.

საქართველოს ვაერთიანების ხანამ (ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, გიორგი III,

სიმონ ჯანტურიშვილი
ქართული ხალხური მუსიკალური
კულტურის ისტორიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მეფე) ძირეულად ვერ მოსპო ამგვარი მიდრეკილება და გაკვეული შემთხვევაში ამ სამთავროების ცხოვრება თითქმის იზოლირებულად მიმდინარეობდა. სწორედ ასეთი იზოლაციის შედეგი უნდა იყოს ქართული ხალხური სიმღერების კუთხური, თუ სტილისტური თავისებურებანი. საერთოდ, შეუძლებლად მიგვაჩნია, ასეთ ვითარებას თავისი გავლენა არ მოეხდინა ჩვენი ხალხის მუსიკალურ კულტურაზე.

ყველა კუთხის ხალხი იმუშავებს თავის საკუთარ მუსიკალურ ტრადიციებს, ხალხთა სასიმღერო და ინსტრუმენტულ ჟანრებს. საქართველოში ყველაგან განვითარებული როგორც ერთხმიანი, ისე ორი ან სამხმიანი სიმღერები. ძნელია იმის თქმა, როდის გადადიან ქართველები ორხმიანობიდან სამხმიანობაზე, მაგრამ ისტორიული წყაროების მიხედვით, მე-10 საუკუნეში უკვე განვითარებული იყო სამხმიანობა.

საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ქართული ხალხური სიმღერისა და მისი შესრულების ტრადიციებზე მე-17, მე-18 საუკუნეების სახლეკარეთელი მისიონერები: ლამბერტი, შარდენი, გამბა და სხვანი. მათი ცნობები, მართალია, სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ მაინც საყურადღებოა ქართული ხალხური მუსიკის მკვლევარებისათვის.

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების შესწავლის პირველი ცდები საქართველოში მე-19 ს. 60-70-იანი წლებიდან იწყება: ეს ის პერიოდია, როცა ასპარეზზე გამოდის პროგრესული იდეებით შეიარაღებული ქართველი ხალხის მოწინავე თაობა. ამ დროს იწყება სიმღერების შემკრებლობითი საქმიანობები და ქართული ხალხური სასიმღერო გუნდების ჩამოყალიბება. 60-იან წლებამდე ესოდენ მდიდარი ქართული საკრავები თუ ხმიერი მუსიკა ჩვენი მოწინავე საზოგადოების ყურადღების გარეშე იყო. საკრავ იყო ამ მდიდარი მუსიკალური ტრადიციების აღდგენა, ფიქსაცია და შესწავლა. საქმეს ირთულებდა, ერთი მხრივ, იმდროინდელი ობიექტური პირობები, ხოლო მეორე მხრივ, — სპეციალისტების სიმცირე, რომლებიც შეძლებდნენ სიმღერების ნოტებზე გადატანას.[10]

მე-19 ს. 60-70 წლების მოღვაწეებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი და დ. მაჩაბელი. მათი წერილები ამცნობდა საზოგადოებას, დროა, უფრო მეტიც, აუცილებელია შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერების უნიკალური ნიშნები. ეს წერილები დაწერილია ეროვნულ სულისკვეთებით, მრავალი მაგალითებია მოტანილი ქართველთა ყოფიდან თუ ზნე-ჩვეულებიდან[11]. ალექსანდრე ორბელიანს წერია: „რად დავივიწყეთ ის ჩვენი მამა-პაპების კარგი გალობა, ღირსსახსოვრად დარჩება იმის სახელი მარადის, ვინც ამდენსა ხმებსა ერთად შემოკრეფს და ნოტებზე გაუწყობს სულ ერთიანად, ის შეიქმნება ისტორიის ერი სანენი."[12]

1871 წ. პეტერბურგში დაეთ ერისთავმა გამოსცა კრებული — „პოპურის" სახელწოდებით. 1878 წელს გამოქვეყნდა ოცი სიმღერა კრებულის სახით, იგი გამოაქვეყნა მიხ. მაჭავარიანმა. 1885 წ. ანტონი ბენაშვილმა, შეადგინა „ქართული ხმები" (აღსანიშნავია, რომ ბენაშვილის კრებულს დ. ორაყიშვილი კარგ შეფასებას აძლევდა და მას მიხ. მაჭავარიანის მიერ შედგენილ კრებულზე მაღლა აყენებდა). 1896 წ. გამოიცა ზაქარია ჩხიკვაძის მიერ შედგენილი კრებული „სალმურის" სახელწოდებით, ხოლო 1899 წ. ია კარგარეთელის მიერ შედგენილი „ქართული ხალხური სიმღერები".

ამგვარად, როგორც უკვე ითქვა, მე-19 საუკუნის II ნახევრიდან ქართული საზოგადოებრივი აზრის ცალკეულმა წარმომადგენლებმა ალღო აუღეს შექმნილ ვითარებას, კარგად გაითვალისწინეს ხალხური მუსიკის მნიშვნელობა მომავალი თაობისათვის და აქტიური მუშაობა გაანაწილეს ეროვნული მუსიკალური კულტურის ნიმუშების შესაგროვებლად და შესასწავლად. ამ საშალიშვილო საქმის მეთაურობა იკისრა მე-19 საუკუნის 80-ან წლებში ლადო ანანიაშვილმა. მან შედგინა პირველი ეროვნული გუნდი „ქართული ხორო" და გამართა პირველი კონცერტი, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ-ხალხური მუსიკალური შემოქმედების აღორძინებასა და წინსვლა-განვითარებას.

ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული მუსიკალური კულტურის აღორძინებასთან ზაქ. ჩხიკვაძის მოღვაწეობა. მისი ინიციატივით აგრეთვე იმ პერიოდში მოღვაწე ქართველი მუსიკოსების ან. ყარაშვილის, ზ. ფალიაშვილის, ია კარგარეთლისა და ცნობილი პედაგოგის პეტრე მირიანაშვილის მონაწილეობით საფუძველი ჩაეყარა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას (1905 წ.). მისივე ინიციატივით 1919 წ. ჩამოყალიბდა ფილარმონიული საზოგადოება ქ. სოხუმში.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მუსიკის, კერძოდ, მუსიკალური ეთნოგრაფიის შესწავ-

---

[10] იხ. გრ. ჩხიკვაძე, ქართული მუსიკალური ფოლკლორის ისტორიოგრაფია, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, 1963, გვ. 216.

[11] დ. მაჩაბელი — ქართველთა ზნეობა, ცისკარი, 1864, № 5.

[12] ალ. ჯამბაკურ ორბელიანი — ირანიელთა გალობა, სიმღერა და ღიღინი. ცისკარი, 1861 წ. № 1, გვ. 159.

ლის, შეკრების და პროპაგანდის საქმეში დიდი წვლილი მოუძღვით რუს მუსიკოსებს: არსენ კორეშენკოს, ქრისტოფორე გროზდოვს, ნიკოლოზ კლენოვსკის, მ. ბ. იპოლიტოვ-ივანოვს, ს. ტანეევს და სხვებს.

ასე, მაგალითად, 1894-95 წ.წ. გამოვიდა ქართული ხალხური სიმღერების ორი კრებული: ქრისტოფორე გროზდოვის მიერ შეგროვებული „მეგრული ხალხური სიმღერები“ — სადაც შეტანილია 19 მეგრული სიმღერა და მ. ბ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ კახეთში ჩაწერილი 12 სიმღერა, რასაც ერთვის მისივე სტატია. «Грузинская народная песня и ее современное содержание»[13].

დიდი ინტერესით სწავლობდა ქართულ ხალხურ შემოქმედებას რუსი კომპოზიტორი, პიანისტი არსენ ნიკოლოზის ძე კორეშჩენკო (1870-1921) ქართული მუსიკის შესწავლის შედეგი იყო მისი სტატია „ქართული ხალხური მუსიკის შესახებ“.[14]

პროფ. ნიკოლოზ კლენოვსკიმ (მუსიკოსი, კომპოზიტორი) ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას ქართველი სტუდენტების დახმარებით ჩაწერა და შემდეგ კრებულად გამოაქვეყნა ქართული ხალხური სიმღერები სათაურით «Первый Этнографический концерт». საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კი უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებს ხალხური სიმღერის შეგროვების თუ ჩაწერის საქმეში. იგი 1893 წ. სათავეში უდგება თბილისის სმფსიკო სასწავლებელს, მ. იპოლიტოვ-ივანოვის შემდეგ.

ასევე დიდი გულისყურით ეკიდებოდა ქართული ხალხური სიმღერების შესწავლის საქმეს რუსი მუსიკოსი-მეცნიერი სერგეი ივანეს ძე ტანეევი (1856-1915). იგი დიდ დახმარებას უწევდა მუსიკალურ ეთნოგრაფიულ კომისიის წევრებს, მათ შორის ფ. არაყიშვილსაც პროფესიულ დოსტატებში, ხალხური სიმღერების მეცნიერულად შესწავლასა და მხატვრულად დამუშავებაში. 1885 წ. 14 ივნისს ტანეევი ამყოფებოდა საქართველოში, ეკრძოდ, სვანეთში, სადაც ჩაწერა 20 სიმღერა.[15]

მე-19 ს. II ნახევრიდან გამოცემული ყველა შრომა, რა თქმა უნდა, წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორის შესწავლის საქმეში, მაგრამ ქართული მუსიკალური ეთნოგრაფიის მეცნიერულ კვლევას საქართველოში საფუძვლად დაედო დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილის გამოსვლა სამეცნიერო ასპარეზზე.

1901 წ. დ. არაყიშვილი სპეციალური მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის [illegible]ბით (რომლის ერთ-ერთი წევრი თვითონ იყო) პირველად გიემგზავრა საქართველოში ხალხური სიმღერების ჩასაწერად. ჩვენი აზრით, ქართული მუსიკალური ეთნოგრაფიის განვითარების ისტორიისთვის ამ თარიღს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც თუ კი ამ ხანობამდე იყო ცდები ხალხური მუსიკის შესწავლისა, არაყიშვილის შემდეგ იწყება ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების თანმიმდევრული მეცნიერული კვლევა-ძიება.

დ. არაყიშვილმა საქართველოს ყველა კუთხე შემოიარა და ჩაწერა ქართული სიმღერების მრავალი ნიმუში. არ დარჩენილა ფოლკლორისტიკაში საკითხი, რომ იგი არ შეხებოდეს. მისი შრომების შედეგად ფართო საზოგადოებამ გაიცნო ქართული სიმღერის მაღალხარისხოვანი ღირსებები. დ. არაყიშვილი მეშაობდა ხალხური სიმღერების მრავალხმიანობისა და ქართული ჰარმონიის პრობლემებზე, პრობლემებზე, რომელიც მანამდე მეცნიერთათვის ყამირს წარმოადგენდა. ვ. დონაძე სტატიაში „ფიმტერი არაყიშვილი“ — ეხება რა არაყიშვილის მეცნიერულ პრობლემებს, მისივე შრომებიდან გამომდინარე ამბობს: ქართული ვოკალური პოლიფონია, როგორც ჩვენი ერის შემოქმედებითი პოტენციის უდიდესი გამოხატულება, სავსებით აბათილებს ძველ მეცნიერებაში გაბატონებულ შეხედულებას, თითქოს პოლიფონიის სათავეს წარმოადგენს დასავლეთ ევროპის IX-X ს. ს. საუკუნო მუსიკა“.[16] არაყიშვილი თავის შრომებში არ ქმაყოფილდება სიმღერის წმინდა მუსიკალური ანალიზით და მას განიხილავს ყოფისაგან მოუწყვეტლად. მართლაც, რა აზრი აქვს სიმღერის მხოლოდ მუსიკალური თვალსაზრისით განხილვას, თუ არ ვიცით მისი ცხოვრებისეული ხასიათი და ნამდვილი არსი. არაყიშვილი თავის ნაშრომებში, სანამ სიმღერის მუსიკალურ განხილვას დაიწყებდეს, საკმაოდ ფართოდ განიხილავს ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს ე. ი. სიმღერას განიხილავს საყოფაცხოვრებო ყოფასთან ერთად. ფ. არაყიშვილმა სხვა მუსიკოსებთან შედარებით უფრო მეტად გამოაკვეთა ქართული მუსიკალური ეთნოგრაფიის მნიშვნელობა. მისი ნაშრომები შეეხო როგორც ჩვენი, ისე საკავეიერ მუსიკას. სპეციალური ნარკვევები მოეძღვნა მუსიკალურ საკრავებს, გულდასმით იკვლევდა მათ წყობასა და გამომ-

[13] ჟურნ. «Артист», 1895, № 45.

[14] ჟურნ. «Этнографическое обозрение», 1898, № 1.

[15] თავისი დაკვირვებები ამ სიმღერების შესახებ ს. ტანეევმა გამოაქვეყნა ჟურნ. «Вестник Европы», 1886, № 1..

[16] გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1948, № 12.

სიმონ ჯანდუხარიშვილი

ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ისტორიიდან

სახელო საშუალებებს. რა თქმა უნდა, ჩვენ აქ არ შეეხებოდ ამ ნაშრომის ჩამთვლელ და მხოლოდ რამდენიმეზე შეეჩერდებით.

1916 წელს გამოქვეყნდა დ. არაყიშვილის ნაშრომი: „ქართული ხალხური შემოქმედება". აქ პირველად იქნა აღძრული საკითხი ქართველ მთიელთა — ხევსურების, ფშაველების, მოხეველების, მთიულების ხალხური მუსიკის შესახებ, რაც მანამდე არ იყო მეცნიერულად გამოკვლეული და ამდენად უცნობი იყო მუსიკალური საზოგადოების ფართო წრეებისათვის.

1925 წ. დ. არაყიშვილმა გამოქვეყნა ნაშრომი „ქართული მუსიკა — მოკლე ისტორიული მიმოხილვა". ამ ნაშრომს მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა „პირველი მერცხალი" უწოდა ქართულ მუსიკათმცოდნეობაში.

დ. არაყიშვილის ნაშრომებში შეიმჩნევა მეცნიერული კვლევა-ძიების პირველი ნაბიჯებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანი მხარეები, კერძოდ, იგი იფარგლება სიმღერის არქიტექტონიკითა და ტექსტების აღწერილობით, ზოგ შემთხვევაში საკუთარ დაკვირვებებს არ უყურებს დასკვნებს და არ ანზოგადოებს მათ, მაგრამ მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ხალხური მუსიკის, მუსიკალური ეთნოგრაფიის მეცნიერულად შესწავლის დიდსა და საპატიო საქმეს.

მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 ს. დასაწყისში, არაყიშვილთან ერთად, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ი. კარგარეთელი (1867-1939). პუბლიცისტი, კომპოზიტორი, მუსიკალური ფოლკლორისტი. ჯერ კიდევ 1895 წ. მან დაწერა სტატია სათაურით: „ქართული მუსიკა",[18] რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეს" იმავე წლის თებერვალ-მარტის ნომერში. გაზეთ: Новое обозрение»-ში დაიბეჭდა წერილი «Грузинские народные песни»[19]. ავტორი ლაპარაკობს რა ქართული ხალხური სიმღერის თვითმყოფადობაზე, მის მრავალმხიანობაზე, არ იზიარებს მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის რიგ შეხედულებებს ქართული მუსიკის დარგში. გარდა ამისა, მისი სტატიებიდან აღსანიშნავია: „საერო პოეზია და სიმღერები"[20]. „ქართული სიმღერა და მისი კულტურული და ეროვნულ-ზოგადოებრივი მნიშვნელობა"[21], და „ქართული კარგარეთელს, ზ. ჩხიკვაძესა და ანტონ ყარაულთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ფილარმონიული საზოგადოების დაარსებაშიაც.

როდესაც ვლაპარაკობთ ქართული მუსიკალური ეთნოგრაფიის განვითარებაზე, არ უნდა დავიგიწყოთ ზაქარია პატრეს ძე ფალიაშვილის დიდი ღვაწლი. 1901-1902 წ. წ. ზ. ფალიაშვილმა მოაწყო ექსპედიცია ქართლში, კახეთში, გუნიაში, სვანეთში და ჩაწერა 250-ზე მეტი ნიმუში ქართული სიმღერისა. 1909 წელს მან გამოაქვეყნა შეგროვილი მასალების ნაწილი კრებულში: „ქართული ხალხური სიმღერების კრებული" (იმერული, გურული, სვანური, ქართულ-კახური).

თავისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე ზ. ფალიაშვილი მუშაედ აყენებდა საკითხს მაშინდელი საზოგადოების წინაშე წმინდად, შეურყეველად დაეცვათ ქართული ხალხური სიმღერები. ამ საკითხს მან მიუძღვნა არა ერთი წერილი: კერძოდ, აღსანიშნავია „ჩემი მოგზაურობა სვანეთში და სვანური სახალხო სიმღერები"[22], „მოგზაურობა კახეთში და ქართული ხალხური სიმღერების დღევანდელი მდგომარეობა[23], „მეცრე მიმოხილვა ქართული სიმღერა-გალობისა"[24] და „ქართული ხალხური სიმღერები",[25] რომლის წინასიტყვაობაშიც მოცემული ქართული სიმღერების მოკლე მიმოხილვა.

ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ფილიმონ ქორიძემ, მელიტონ ბალანჩივაძემ, ანდრია ბენაშვილმა და სხვებმა. მ. ბალანჩივაძემ ფ. ქორიძესთან ერთად ჩამოაყალიბა ეთნოგრაფიული გუნდი.

განსაკუთრებით დიდია ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული ხალხური მუსიკის მეცნიერული კვლევა-ძიების ხაზით. მისი შესანიშნავი ნაშრომი: „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები"[26] — წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელოს ქართული მუსიკის მკვლევართა და ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

---

17 დ. არაყიშვილი ქართული მუსიკალური შემოქმედებისადმი მიძღვნილი აქვს დაახლოებით 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

18 ჟურნ. „მოამბე", 1895 წ. № 11.

19 გაზ. «Новое обозрение», 1895, № 3855.

20 გაზ. „ივერია" 1902. № 145.

21 გაზ. Закавказская речь, 1912, № 11.

22 გაზ. „ივერია", 1903, 17 აგვისტო.

23 გაზ. ამირანი, 1908, 5, 6 , 7, სექტემბერი.

24 „ფასკუნჯი", 1909, № 1, გვ. 12-13.

25 ქართული ფილარმონიული საზოგადოების გამოცემა, თბ., 1910.

26 ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1934.

ქართული მუსიკალური ეთნოგრაფიის განვითარება სრული სახით შესაძლებელი შეიქმნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

დღესდღეობით ქართული მუსიკალური კულტურის კვლევის საქმეში დიდ როლს თამაშობს რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება: **სახელმწიფო კონსერვატორია, ისტორიის**, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრა, და სხვ. ამჟამად წარმატებით მუშაობენ პროფ. შ. ასლანიშვილი, პროფ. გრ. ჩხიკვაძე, გრ. კოტეტიშვილი, ვ. ახობაძე, ო. ჩიჯავაძე, თ. მამალაძე, ნ. მაისურაძე, მ. შილაკაძე, მ. ყორდანია, კ. როსებაშვილი და სხვები.

გასაბჭოების შემდეგ სისტემატური ხასიათი მიიღო ექსპედიციების მოწყობამ. მიმდინარეობს ველზე ხანგრძლივი, სისტემატური მუშაობა, გვაქვს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი აპარატურა — მაგნიტოფონი, ფოტო და კინოაპარატები, შემუშავებულია სპეციალური კითხვარები ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად, ყოველივე ეს დიდად ეხმარება და უწყობს ხელს ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორის შემდგომ კვლევას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პუბლიცისტიკა

ჯენრი კობიძე

მოდიან მონადირენი

დიდი აღტაცება გამოიწვია გივი ჯულაყმაძის ფოტოგამოფენამ — სამი წელი მოანდომა მის სრულყოფას. ღღენიადაგ მონადირეებს დასდევდა. ათასი გაჭირვება გადაიტანა. ხან ჯანდარის მინდვრებში ეძინა თივაში წვიმით გალუმპულს და ხან საბადურის ტყეებში დაზეტიანლობდა შშიერ-მწყურვალი. მოიარა ბელაქანი, საგარეჯოს ზეგენები თუ დარიალის ჭიუხები — ოღუბდა და იღებდა სურათებს.

თქვენც დამერწმუნებით: ნამდვილად ღირდა წვალებად.

იმ ხანებში ჟურნალ-გაზეთები მისი ფოტოებით იყო აჭრელებული, იწერებოდა და იწერებოდა რეცენზიები. ცალკეც კი გამოიცა მისი ფოტოგამოფენების ექსპოზიტები. ნაირ-ნაირი ჯილდოები და პრიზები შენს გივის. მოკლედ, ბაკეთდა კაცი! ხომ გახსოვთ მისი ექსპოზიცია „მოდიან მონადირენი“. ორი თვის განმავლობაში აწყდებოდნენ თბილისელები ამ ეგზოტიკურ სანახაობას. მერე ფოტოებმა მოგზაურობა დაიწყო მოსკოვში, ლენინგრადში, სევასტოპოლში, ურალში, კიევში და ბოლოს პრაღაშიც ამოჩყო თავი. აი, სწორედ იქ მიანიჭეს საუღაანქმული „ვერცხლის ფაფნის“ პრიზი. მაშ! მსოფლიო მერადიანებიც აალაპარაკა ჩვენმა გივიმ.

ერთ-ერთ ფოტოსურათს, რომელსაც „ე, ბიჭო, კურდღელი!“ ერქვა, თერთმეტგზის ეერგო ილდო. ამა, გიხსენეთ — თაქვე დაქანებულ, ფალმეგადმეაჩოულ და პირდაფჩენილ კაცს გადაახსნილი თოფი მოეშარჯვებია და გამეტებით ეუერებს კონდახს რაღაცას თუ ეიღაცას. იქვე მეორე მონადირე დგას, ისიც არანაკლებ საბეშეშლილი. თოფი ჯოხივით დაუბჯენია, მარჯვენა ხელში ქუდი უჭირავს და რაღაცას უნდა ესროლოს. წინ კი საკმაოდ ღრმა ხევია... რა მოხდა? მარილა კურდღელმა გამოიწვია ასეთი აფორიაქება, თუ რომელიმე ისტორიამდელ ცხოველს გადაეყარნენ მონადირენი?!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს სურათი სწორედ ჩვენთან ლაშქრობისას გადაიღო გივიმ. აქ აღბეჭდილი პირველი პიროვნება მთელს რესპუბლიკაში სწორუპოვარი მონადირე კოლია, მეორე კი... მეორე მე გახლავართ.

თქვენ წარმოიდგინეთ, მე არა მარტო ამ ექსპოზიციის მთავარი პერსონაჟი ვარ, არამედ ფოტოგამოფენის შექმნის იდეაც ჩემგან მოდის. ასე, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არ ღირს. ადგება ვინმე და იტყვის — ძმაკაცს დიდებაში ეცილებაო. ღმერთმა დამფაროს! ისე მეც ხომ შემძლია ორიოდე სიტყვა ვთქვა? ის დღე, როდესაც ფოტოსტუდიათ „ე, ბიჭო, კურდღელი!“ შეიქმნა, ჩემი აზრით, ღირს მოსაგონებლად.

* * *

ის-ის იყო სანადიროდ გამგზავრების თადარიგს მოვრჩი, რომ აივანზე ვიღაც შემობრახუნდა.

— ეჰე, მოვიდა! — ვთქვი და კარის გასაღებად ვავწევე.

გუმანმა გამიმართლა — გივი მეახლა.

— გამგზავრობა შენი, ცოტა შემაგვიანდა, არა?

— ასე ეთქვათ.

— ბოლო ავტობუსს ვეღარ მივუსწარ. ექსპრესს გამოვეყე ლილოს გადასახვევამდე. მერე კარგა ხანს ველოდე ვამიმელელ მანქანას. გვარიანადაც გავითოშე.

— მთავარია, მაინც ამოაღწიე. აგე, შენთვის თოფი ვიშოვე. გშია?

— არა, რაღაც-რაღაცეები მეც წამოვიღე.

ქუჩეტი შეიხსნა. ჯიბიდან ქაღალდში შეხვეული კარგა მოზრდილი ძეხვი ამოიღო და მაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზე გაიცურა, მერე ორი ბოთლი რომისებუ-რი ამოაძვრინა, შემდეგ — ორი ქილა ლოქოს კონსერვი.

— სულ ეს არის.

— აგაშენოს ღმერთმა, კარგი ძღვენია! ბოთლი აიღო, შეაჯანჯღარა და სინათლეზე გახედა:

— ხომ არ გაგვესინჯა?

— არა, ხვალისთვის გამოგვადგება.

— შენი ნებაა.

ქერქი გაიხადა, ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე ღუმელს მიუჯდა და მინავლებულ ცეცხლს დაუწყო ჩუჩხერი.

— ახალი?

— ახალი? ბედიან მამამისმა პალტოსათვის ფული მისცა. ის კი ადგა და მოტოროლერი იყიდა. მეზობელმა დაუთმო ნახევარ ფასად. თვითნაკეთი უნდა იყოს. უყურე და დატკბი— მანქანა ერთი ბეწო. გადაკიდება ამხელა ოქ-ლაქი და დაიქირავებს ამ შუა ზამთარში.

— კარგი სანახავი კი იქნება.

— ქორწილში მოუსხენით?

— თქვენ რატომ არ ბრძანდებოდით? — კითხეა შემობრუნა გიგიმ.

— ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ ყისმათზე იმ დღეს მანქანა გამიფუჭდა.

— ვიცი, რა მანქანაც გაგიფუჭდა.

— რატომ ვითომ?

— უბრალოდ არ გინდოდა წამოსვლა. ქორწილ არა უშავდა, თორმე.

— როგორ თურმე, არც შენ ყოფილხარ?

— ასე გამოდის.

— ოჰო, მოხდა რაიმე?

— არაფერი, უბრალოდ არ წავედი.

— მაინც რაშია საქმე? როგორც მახსოვს შენ და იულონი დადაკვარახშინებული ძმაკაცები იყავით.

— ეს მართალია, გაიარ-გამოიარა. მერე ჩუ-ს წინ შეჩერდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და ფეხებგაჩაჩხული.

— რატომ გგონია, რომ უპირველესი ძმაკაცები ვიყავით? მაინც რატომ გგონიათ შენც და სხვებსაც?! რაკი თანაკურსელები ვიყავით, იმიტომ?

— არა, რატომ? თითქმის სულ შენთან ვნახულობდი ბინაზე, ღამეებსაც შენთან ათევდა. მეც შენგან არ გავიცანი?

— მაშინ ასე იყო საჭირო, უფრო სწორად მას ასე აწყობდა.

გიგიმ სიგარეტს მოუკიდა.

— ოჰო, ეს იგი თქვენს შორის რაღაც სერიოზული მომხდარა.

გიგიმ აგდებულად გადმოსხედა. სავარძლეზე გადაწვა და კვამლი ჭერისაკენ გაუშვა წვრილად.

— ბედიან თქვა, მაყრიონი რომ აიშალა, სიდადრი დანა-ჩანგლების თელას შუუდგა, ხელს ხომ არავინ გააყოლაო.

— მიჰკარავს, ეგ რომელიღაც კინოფილმ დანაა.

— იეი რა? ისეთი კაცისა არაფერი მწყალს, რომელიც ცოლს მხოლოდ შემნახველი სალაროს წიგნაკისათვის ირთავს.

— მიჰკარავ! თუმცა რატომაც არა? დასაშვებია. კაცს ბინა არა ჰქონდა, ეკონომიურად უჭირდა, სავსე ოჯახში შევიდა...

— ასეა? მაშ შენ რატომ არ შეირთე ბროლაძეების ქალაშვილი, რატომ თქვი უარი? მსუყე ოჯახი, ვიდლენიანი სიმამრი, კომფორტი, ფული, მანქანა...

— საკუთარი მონაგარით ნაყიდ „მოსკვიჩში“ უფრო ლაღად ვგრძნობ თავს. და, საერთოდ, შეგიძლია შეეცალო საუბრის თემა.

ახლა მე გავწყრებატდი. ჩვენში რომ დარჩეს, ვიეი არა სტყუოდა. იულონს ძმაკაცობაშიც თავის ინგარიში ჰქონდა და სხვა საქმეშიც.

გიგიმ მაგიდაზე დაბჯავებული ჟურნალებიდან ერთ-ერთი შეარჩია, გადაფურცლა... შიშველი ლამაზმანი მექსიკური პანამით იფარავდა სასირცხო ადგილს და გამომწვევად იღიმებოდა.

ჟურნალი გადაფურცლა:

— გუშინ უცხოური ფილმი ვნახე — „ამაღამ ქალაქი დაიღუპება“. ომიეწონა, მართალი გითხრა.

— მეც მაინტერესებს ეგ ფილმი. დრეზდენის განადგურებას ეხება არა? რეცენზია წავიკითხე, აქებენ.

— ჰო, განწირულნი ნგრევის ფონზე. ერთი ჯიმმაზია. იღუპებიან ადამიანები, ბავშვები. ეს კი, ტაკიმასხარის ნიღბიანი დარბის შეშლილ ხალხში და შვილების გადარჩენას ლამობს... ნგრევა, ჯოჯოხეთური დაბომბვა...

— დრეზდენი. ახლა თითქმის წარხოცილია ამ საშინელი ღამის ტარაღედიის კვალი. მდორედ მიზოზინებს ელბა და მოაფიფინებს ნეკერჩხლის მეწამულ ფოთლებს. სურათების გალერეაში კვლავ აჯადოებს მნახველს რაფაელი, რემბრანდტი, ველასკესი. სანაპიროზე მდგომდიან შეუვარებული წყვილები... დრეზდენი — გერმანიის ერთ-ერთი ულამაზესი და ფუფერო ქალაქი. საოცარია, აქ არ ყოფილა სტარტეგიული პუნქტები და სამხედრო ბაზები. მაგრამ ყველაზე საშინელი ნგრევა ამ ქალაქმა განიცადა.

1945 წლის 13 თებერვალი. ომის დამთავრებას რაღაც თვეები აკლდა, ინგლის-ამერიკის ავიაციი თავს დაესხა დრეზდენს. ქალაქი ორმოც წუთში აღიგავა პირისაგან მიწისა, ჭაბ ქვაზე ალარ დარჩა...

მერე ისევ აღადგინეს და გაალამაზეს დრეზდენი. ახლა კვლავ მშვიდად მოედინება ელბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრამ ყოველწლიურად 13 თებერვალს, ღამის 10 საათზე, ქალაქში სინთელ ქრება. ავბედნიერად გაისმის ზარების საგანგაშო ყეფა. ღმუინან სირენები. 40 წუთს გრძელდება ეს ჯოჯოხეთური გნიასი. ეს არც ალოვაა და არც შურისძიებისაკენ მოწოდება. იგი სასიკეთილო გმირები 35 ათასი განწირული ბავშვის, ქალის, მოხუცის, მამაკაცისა, რომლებიც იმ საბედისწერო ღამეს დაიღუპნენ.

83 დღის შემდეგ კი ომიც დამთავრდა. და, საერთოდ, დრეზდენში არავითარი მნიშვნელოვანი სტრატეგიული საომარი პუნქტი არა ყოფილა და არც სამხედრო ბაზები.

ბრისხანე და ულმობელია ომის ღმერთი ბარსი.

გიგი თავჩაღუნული დასცქეროდა იატაკს. მერე რომისებურს მისწვდა, საცობი მოხადა, დოსსა და გადაჭკრა.

— მეც დამისხი.

გიგიმ დასხა და ისევ გადაჭკრა.

— შენ დალიე-მეთქი, არ მითქვამს, მეც დამისხი და ძეხვიც მომიფარი.

— ჰაჰ! შენც გინდა? გაწყვენს, ხვალ დალიე.

ბოთლს საცობი დაახურა.

— ვაი შენს პატრონს!

— ახლა არ გინდა, ხვალ დალიე.

— ჯანდაბას შენი თავი.

— არ გინდა, მე რას მიყურებ, ხანდახან ნერვები მომტყუენებს ხოლმე...

მე სტვენა დავიწყე.

— სანადირო რამდენი მიდიხართ?

— ისე, ხეთი-ექვსი.

— ჩემი საკბილო. გამოინახება ალბათ?

— იცოცხლე, ოღონდ ფრთხილად იყავე, არ შეგატყონ, რომ შენ მარტო ბთი გადაღება კინტერესებს.

— არხეინად იყავი.

მერე თავის ქუჩაში მიუბრუნდა და ჯიბეების ქექვას შეუდგა: ამოიღო ფოტოაპარატი, ობიექტივები, ფირები. კარგა ხანს ჩხრეკდელაობდა, ანჯაკუნებდა, ახეკედა.

— ყველაფერი წესრიგშია, დავიძინოთ ახლა. შენ აგე, ვალიკოს საწოლში მოისვენე, დილით უთენია უნდა ავდგეს.

— ავაშენოს ღმერთმა, ძალი ახლა მისწრებია ჩემთვის...

სინათლე ჩაეკრა. გიგიმ რამდენჯერმე მოიაცალა გვერდი ლოგინში და მალე ზომიერი ფშვინეა ამოაფშვა...

უთენია მზად ვიყავით. სახელდახელოდ წაეხემსეთ და გარეთ გამოვედით.

დეკემბრის უდიმღამო დილა თენდებოდა. საკმაოდ ცოდა და რაღაც უწყდილოდ ეხმიანებოდნენ ერთმანეთის მამლები.

ოდნავ შეფერილ აღმოსავლეთს კავხედე:

— დღის ქარი არ იქნება.

— კარგია, ქარში სროსთები არ გამოდის ხეირიანად.

— შენ შენი მუცლის გერეგმა გაქვსს.

— არა ბიჭო, თქვენი ძალღუკეკა ეკურდღლები მედარდება, აი! ეს თოფი სულაც ხელს შემიშლის.

ოდანაანთ ბიჭის ფურნესთან უკვე გველოდებოდნენ დანარჩენები. კოლიას, ბბა, ვინ მოასწრებდა მოსვლას. აქვე იყვნენ პატარა ვანო, ხეთისა ბბა, ირინა, ერტელიანთა კაკო.

— კაი, გამარჯობა თქვენი. ეს ჩემი ძმაკაცია, გიგი ჯულაყმაძე, ეკურნალისტი.

— კაი მოგიცეს ღმერთმა, — თქვა კაკომ და გიგისაკენ გამოსწია, — მე პირადად ვიცნობ ამ კაცს. როგორა ხარ, ძველო?

ერთმანეთის მიესალმეს ამბავს.

სხვებმა გულგრილად შეეთვალიერეს ახალი წევრი.

— გვაკლია ვინმე? — იკითხა კოლიამ და მერე თვითონვე დაასწრო სხვებს, — არავინ! ბბა ბავშვეეგი გზას.

ჩვენი დასტა დაუწერელ კანონს ემორჩილებოდა: სხვადასხვა ასაკის ადამიანები ვიყავით ეიერთიანებულნი. ყველაზე ხნიერი და გამოცდილი მონადირე ხვთოსი ბბა იყო, მაგრამ ბელადობას. მაინც კოლია იჩემებდა. ნადირობისას მის ნათქვამს სიტყვისშეუბრუნებლად ეასრულებდით. ღმერთს მისთვის ამ სამშეში თავკაცობის უნარი მიენიშებინა. ჩემი აზრით, კოლიას იმიტომ ჰქონდა სხეებზე გავლენა, რომ გულვაღუტეული მონადირე იყო და მისი ოპტიმიზმი, რაც არ უნდა ხელმოცარული ვყოფილიყავით, მაინც რწმენას გვმატებდა.

— მაშ ასე, — ერთხელ კიდევ გადგაცნო მოქმედების გეგმა კოლიამ, — ვიწყებთ ტაბლიაანთ ბალებიდან — იქ კურდღლებს შევუტევთ. მერე ალარანს ავიელით, ვნოლებზე. მერე ალიხეგში გადავალთ, ოსიაანთ უბნის თავზე — კვლავ კურდღლებით და ტეველით დავბრუნდებით უკან.

— ღიდებული მარშრუტია, — კვერი დაუკრა პატარა ვანომ და ჩაახვალა, — იმედია, გავემბარლებს და საღამოს შენს რქაფშოილს მოვეულხენთ.

— ჯერ საქმე.

— არა, ყოველ შემთხვევისათვის, კატოს ქათმის შეკვეთა მაინც მივეცი.

კოლია შეჩერდა და მწყრალად გადახედა ვანოს.

— არა, — ჩაიქირქილა ვანომ, — ეს ყოველ შემთხვევისათვის, თორემ ერთ დედალს აგრაფინაც კი გიამტებს, თუ ვერაფერი მოეინაღერეთ.

— კაცო, რას ითარსები შენ, — თვალები გადმოქაჩა კოლიამ, — აუჩქარე ფეხი.

დათარსეთ კი მართლაც დავითარსეთ და მერე რა უღმერთოდ!

ტაბლიაანთ ბალებთან ღელეს გადავდიოდით. ეხეიროდ გადეეტყ ბოგირზე ირინას ფეხი აუცურდა და გაყინულ გუბეში მოადინა ტყაპანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი ვნებია, მაგრამ გვარიანად კი გაეკვიდა.

— რა ვქნა ახლა მე, — თქვა დაზარალებულმა და გალუმპული ზეცივებრ ხელი შემოიკრა, — ასე ხომ ვერ წამოვალ! დავბრუნდები ისევ სახლში.

— არა, კაცო, — შეუტია კოლიამ, — სახლში დაბრუნება რას მიქვია! ახლავე ცეცხლს დავანთებთ და გაგაშრობთ. სახლში დაბრუნება ცუდად მაქვს დაკდილი, ხელი მოგვეცარება.

მეგბალის ქოხს მივაგენით. კაკომ ფიჩი მოარბენინა და ცეცხლის დანთებას შეუდგეთ. სველი შეშა ამოლდა — კვამლში გავეხვეთ. მერე თანდათან იმძლავრა ალმა. იონამ შარავალი და წინდები გაიხადა და ცეცხლს მიეფიცხა. სასიამოვნო სიობმის ჩვენც ნეტარებით დავგიარა სხეულში, მოგვთენთა.

ჩანთიდან რომისებური ამოვაძვრინე და შეგაჯანყოლარ:

— ხომ არ გადაგვეკრა თითო, ა? ენერგიას შეგვმატებს.

კოლიამ ირიბად გახედა ბოთლს. თაფლისფერი სითხე მაცდუნად ციმციმებდა ცეცხლის ალზე.

— ადრეა ჯერ, ხეირიანად არც კი გათენებულა, — თქვა კოლიამ. შევატყე, რომ მონადადამინაც წინააღმდეგი არ იყო ჩემი წინადადებისა.

— ჰოდა, ღილის მადლი შეგვეწიოს. ღილით არის კარგი გადაკერა. რას იტყვი, იონა, შენ?

იონამ თვალი ჩამიკრა.

ბოთლს საცობი მოვაძრე.

— ჭიქა?

ჭიქა არ აღმოგვაჩნდა, მაგრამ უომისოდაც ოლოდ გვეყოფით: პორის ფინჩხალი დავსორსლე და ბოთლი მოვნაშნე.

— აი, აქამდე შენ მოსცი იონა, შეცივნული ხარ, პირველად შენ გერგება.

იონამ თავმაღლიერის გარეშე ბოთლი ჩამომართვა, გაგვიმარჯოს, ომერთმა ხელი მოგვიმართოსო, თქვა და რომისებური მონაშნულს ქვემოთ ჩაიყვანა. პოროს სორსოლა უფრო ქვეკით ჩაწერე და სასმელი ეანოს გადავეცი. მერე ძეხვეც ამოვიღე.

— ა, კოლია, შენ რომ გიყვარს, პოლტავურია, ნახე!

კოლიას სახე გაებადრა.

— სად იშოვე კაცო, იფ, რა სუნი აქვს, მიხაკ-დარჩინინთაა შენილებული.

საკმაოდ მოზრდილი ნაწილი ჩამოჭრა და მადიანად ნაკბინა.

— ასე მიყვარს მე, — თქვა პირგამოტენილმა, — თხლად დაჭრილ კალბასს გემო არა აქვს.

— კაცო, შენ ნუ მომიკვდები!

კაკომ ცეცხლს ფიჩი მიუმატა და კვლავ კვამლი დატრიალდა ქოხში.

— ენ მიტყვის. რატომ ავგბს მეოცე საუკუნე დამალეზერიან სახლებს? — წამოვიძახე.

— მაინც?

— მაინც, ჩემო ბატონო, და აღარ ბაზარ მხრჩოლავი საწვავ-სათბობი: ფიჩხი, წიკა, ზეთი, ნავთის ლამპა, ჯრაქი, კვარი, სანთელი და ასე შემდეგ, წინათ მაღალეტერიან სახლებს იმიტომ აგებდნენ, რომ კვამლსა და მეკარტლს მეტი არე ჰქონოდა. ამჟამად კი ელექტრონმა და გაზმა დაამარცხა მხრჩოლავი ნივთიერებანი. სწორედ ელექტრონსა და გაზს უნდა ეუმადლოდეთ დაბალეტერიან ბინებს.

— ეუფრე შენ?! შენია ეგ აღმოჩენა? — მკითხა კოლიამ.

— ჩემია, სწორედ ახლა, ამ კვამლის გადამკიდეს დამებადა ეს აზრი.

— დიდებულია, დიდებული, ჩემო არქმიდ! აღარაფერია დარჩენილი მაგ ბოთლში?

ამბა ექვს კაცს ერთი რომისებური რას გვეყოფოდა (ხეთისო პაპა არა სვამდა) და მეორეც მივაყოლეთ.

— ბარემ ჩემი წინწაბაკარიც გავსინჯოთ, — თქვა ვანომ, — აღარ ღირს შენახვა.

ასე, რომ გვარიანნი სმა-ჭამა გაჩაღდა. ამასობაში იონაც გაშრა.

—ესეც საუზმე! — თქვა კოლიამ და ცეცხლისა და არაყ-რომისებურისგან ზომაზე მეტად შეგარდისფერებული ცხვირი ხმაურით მოიწმინდა. — ახლა საქმეს მივხედოთ, მე მგონი აღარაფერია დასალევი.

— დასალევი აღარაფერია, — დაუფასტურა იონამ. — ისე არ ვიტყოდი უარს, კიდევ რომ ყოფილიყო.

ტაპლიაანთ ბაღეში ამაოდ ვიცოდეილეთ, აპარანის ჯაგებშიც ამაოდ დავიკაწრ-დავიჩხვიტეთ. ჩლიაძის მეძებარი, რომელიც კოლიას ჰყავდა წამოყვანილი, უთავბოლოდ დარბოდა ალმა-დაღმა. არც კურდღელი შეგვხვედა და არც გნოლის ბუნდს წავეწყდომივართ.

ბეღლს მაინც არ ვიტეხდით. შეუპოვრად მიგრეგვეთო წინ — ხან ერთად, ხან წყვილ-წყვილად, ხან ცალ-ცალკე. გადავინაფრიერეთ ულეკარის ველი, სათივე და ოსიაანთ ფერდობს შევუყეთეთ.

ანაზდად მეძებარმა შეუყეფა და გაეკეშბული ეცა ბუჩქნარს.

— აიტ, კურდღელია, ბიუეთ! — შესძახა კოლიამ და ჩაჰბაჯი მოზიდა.

მართლაც მოვკარით კურდღელს თვალი, აღმა გარბოდა ზურგზე ყურებგადაწყობილი, მეძებარი ფეხდაფეხ მისდევდა ყეფით.

პირველად კოლიამ ესროლა — ერთხელ, მეორედ, აცილა, მერე მეც მივაყოლე: აეცილე, ვანომაც აცილა...

კურდღელი და მეძებარი ფლატეს მიადგნენ, წამით ორივე შეჩერდა. კოლიამ კვლავ ესრო-

ᲔᲓᲔᲜᲘ ᲙᲝᲑᲘᲫᲔ
ᲛᲝᲜᲘᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲯᲘᲠᲘᲜᲘ

ლა, ტყვია კლდეს მოხვდა. სროლა და კურდღლის შეხტომა ერთი იყო, იგი ძაღლს დაეცა ზემოდან, დაზაფრულმა მეძებარმა იკივლა და ორივენი კოტიალ-კოტრიალით დაეშვნენ თავქვე.

— ვაიმე, ძაღლი მოკალი! — იყვირა კოლიამ.

კურდღელმა თავი შეიმაგრა. სროლით და ყიჟინით თავგზააბნეულმა ჩვენკენ აიღო გეზი.

კოლიამ თოფი გადახსნა, ფალასკაზე მოისვა ხელი მასრების ამოსაღებად, მაგრამ ვეღარ მოასწრო თოფის გატენა — ამ დროს სწრიდ მის უეხეთან ჩაეკროლა კურდღელმა.

— ე, ბიჭო, კურდღელი! — კვლავ არაადამიანური ხმით იყვირა მან და გაქცეულ ტყიურს კონდახი მოუქნია... მოქნეცა ვეღარ მოზომა და ხვეში ჩაეშვა. მეც მას მივყევი.

ხეციდან რომ ამოვფოფდით, ვიეის მოკკარი თვალი, ჩვენ ამოვედეთ ნიშნიში.

ვეემოდ ერთხელ კიდევ იჭექა თოფმა და გასროლის ხმა კაკო ერტელიშვილს ყიჟინამ შესცვალა.

კოლიამ ყველაფერს თავი მიანება და ძაღლს გამოუდგა.

— ეპეთ, მოდი აქ, ეპეთ! მოდი აქ, შე უპატრონო! ბაღერდი, შე სამალლეგ!

ძაღლი ყვირილზე შეჩერდა და ფეხებთან ვაუგორდა წკმუტუნით. საბედნიეროდ, ტყვია არ მოხვედროდა.

— კიდევ კარგი, — ქოშინით ამბობდა, — თორემ შენ გადაურჩებოდი ჩლაიძს? ცოლშვილს ურჩენია ეს „ყონჩი“.

კაკოც გამოჩნდა. კურდღელი უკანა ფეხებით აეწია მაღლა და გახარებული ყვიროდა:

— მოკალი, მოკალი!

— რა მოკალი, ბოშო, შენ? — შეუტია კოლიამ, — ვერ დაინახე მე რომ დავაგორე?

— შენ?! — ვიაკვირვა კაკომ, — რა ვიცი, შენ ძმაბრი, ძაღლი მოკალიო.

— ძაღლი არა ფარშავანგი! ვერ დაინახე, პირველად მე რომ მოვარტყი ფალტეზე?

— რა ვიცი, მე რომ ვესროლე, მაშინ კი ჩაიქცა ფა.

— შენ დაბრილი წაალეგე.

— კურდღელს ერთი ტყვია აქვს მოხვედრილი.

— ა, უყურე ახლა ამ ღლაპს!

როგორც იყო დავშოშმინდით, გამარჯვება ვიზეიმეთ და ახლა უფრო გულმოცემულებმა ვავზეიეთ წინ. ნანადირევი კაკომ აიკიდა.

ყველაზე უფრო გახარებული კი გივი იყო.

— ო, რა კადრი გამოვიჩიენ! — ჩამილაპარაკა, გვერდით რომ ჩამიარა.

ეს იყო ალ ეს. შუადღე გადავიდა და იმ ერთი საცოდავი კურდღლისა და ოროიდე ჩხართვის მეტი ვერაფერი მოკალეთ. მონადირენი კი შვიდნი ვიყავით.

— არაფერი კამოგვივა, ხალხნო, — თქვა ბოლოს ხეთანსა ჰაპამ, — დანავსულდეს ბალიანი და ეგ არი. ისევ წმინდა გიორგის ტყეში ავიდეთ...

— წმინდა გიორგის ვეახლოთ ხომ? ვილოცოთ, იქნება ხელი მოგვიმართოს, — ღვარძლიანად გაიწუწუტნა ვანომ.

— დამაცა, ნუ მასხარაობ! წმინდა გიორგის ტყეში შეწირული ქომეგბზე ვინადროთ.

— როგორ?

— როგორ და ხომ იცით, ჩვენი სოფლის ყრუეს ეგეთი წესი აქვთ — გიორგობა დღეს და შობა-აღდგომის დღესასწაულებზე ქომეგბი მოპყავთ შესაწირავად წმინდა გიორგის სახელზე. აიყვანენ და გაუშვებენ. ქომეგბი, აბა, სადღა ეყოლენ და იქვე რჩებიან — სოფელი შორსაა. ღღისით ტყეში იჩხრიკებიან, ღამით კი საყდარში იბუდებენ.

— ტყუილია ეგ, იქ ქომეგბს რა გაარჩევს?

— აგერ იონა და მაგას ჰკითხეთ. წინეგბზე შეშისათვის ვიყავეთ იქა, თან თოფებიც წაეიღეთ. იონამ და ზურიკომ სამი დედალი და ერთი მამალი ვაავიგრეს.

— მართლა, კაცო?

— ეჰო, ეგრეა, — აკერი დაუკრა იონამ, — თანაც კაი მსუქნები. სუ მატლებითა და ჭიაყელა-ხოჭოებით იყვნენ დალალებულნი.

— ფუჭ, იტყვის რაღა!

— მერე ღმერთი რომ გაგვირისხდეს და დაგვერიოს?

—ღმერთთან მე ჩაგიწყობთ საქმეს,—გაგვამხნევა პატარა ვანომ, — ხო იცით, მღვდლისნი სიძე ვარ და ქრისტე-წმინდა გიორგისთან კარგად მაქვს საქმე.

ბევრი რომ არ გავაგრძელთო, ხეთისო პაპას წინადადება ჭკუაში დაგვიჯდა და პირი აღმა ვქენთ.

ტყემდე კარგა მანძილი გვქონდა გასაელელი. ერთ რიგად გავმწკრივდით და ასე მივდევდით ბილიკს. კურდღლებსა და გნოლებზე გული ავიყარეთ. უბრად მივდიოდით დალილები და საკმაოდ მოშიებულები. ძაღლმაც შეგვატყო უფუნებობა და პროცესიას ბოლოში მოექცა— კუდამოძუებული და თავჩაქნილდრეული მოგვყვებოდა.

პირიქით მაღალი იალნო მოჩანდა — გარეკახეთის მშვენება. ახლა თოვლი იდო მის თხემზე. ტყეისფერი, ძმიმე ღრუბლები ფერდობებზე გაძაგრულიყო და ერთის პირქუში იერი მისცემოდა.

ზაფხულში არავინ ყოფილხართ აქეთ? რა სანახავია მაშინ იალნოს ქედი! მსუბუქი, თეთრი ღრუბლებით ჯიღდამშვენებული, შვილს ბილიკაკეი და ანკარა წყაროები.

... იქეთაც ხშირად ეყოფილვართ სანადიროდ, დაგვილახნ-დაგვინადირნია მისი ტყიანი კალთები და იალაღები.

ამასობაში ბედი-მწერალი ახალ ფათერაკს გვიმზადებდა თურმე. გავიკაკეთ თუ არა, ხამიდან საბარო ატომანქანით მომავალი მეკორწილეები შემოგვეყარნენ, დოლ-გარმონით და ზათქით მოდიოდნენ ნაბახუსევნენ. ანტონა ტაბლიაშვილს ცოლის დისშვილი გაეთხოვებინა იქაური ბიჭზე. მანქანა ნაკორწილეები ხორცით აეკსო, გოჭ-ქათმები და ხაჭაპურები შამფურზე წამოეგო ერთი ტიკეორა არაყიც გამოეყოლებინთ. რა გაეხარდათ ჩვენი დანახვა! მაწკანიდან ჩამოცვივდნენ და ყიეფინთ შემოგვეგებენენ. ჯერ თოფები წაგვალოდეს და ერთი ბათქა-ბუთქი აეყენეს. კოლიას და ხვოსსო პაპას რომ არ ეეფაკანთო, იქნებ ერთმანეთიც დაეხოცანთ. მერე დაშოშმინდნენ, პურმარილი წამოყარეს მინდორზე და, ტუშით შეეფდეკით ეს ეკეფეს. მოელი დღის მშიერები ეიყავით და, იცოცხლე, გული ეიჯერეთ — მაღლანი პურ-მარილი ეკიან ხაშმელებმა. ერთი კია, მაყრებს ჩვენსავით ჭიქების წამოღება დავეწყნოდათ და პირდაპირ ტიკეორიდან დაეეწაფეთ არაყს.

დაღოცვილია ხაშმური ორნახადი, თავისებური ატომატი აქვს, გადაჭკრავ თუ არა, თბილად დაგიფლნა ძარღვებში.

ასე, რომ როცა ცარიელი ტიკეორა მანქანის ძარაზე მოვისროლეთ და მაყრიონს გამოვეთხოვეთ, დიდებული გუნებაზე ეიყავით. მარტო ხვოსსო პაპამ არ გაიკარა არაყი:

— ჩემს ასთმას არ უხდებიო და, ჩვენც გვშლიდა მომეტებულ სმას, მაგრამ რას გახდებოდა.

ყველ წმინდა გიორგის ტყისკენ შევუყვავთ.

არაყი კი დაწყებულ საქმეს განაგრძობდა: უფრო და უფრო გაგვიჯდა ჯანში.

კოლიას და ვანოს ენა ეგმბერდოდათ. მე მათი ლაპარაკისა არა მესმოდა და, ერთმანეთს კი ჩინებულად აგებინებდნენ.

აი, დაანლოცეთ მათი საუბრის შინაარსი:

კოლია: რა სკობია სოფელს, შენ ხომ იცი, რომ მე ქალაქში შემიძლია ეიცხოვრო, მაგრამ არა, რა შეედრება აქაურობას, არ მოკვედები ას. წელიწადს. ქალაქში კი ადრე კვდება კაცი.

ვანო: მაშ რატომ არის, რომ ყველა ქალაქს აწუდება, აგე ჩვენ ეილები — წამოიზრდებიან თუ არა, იქითკენ გარბიან. რატომ არ ეკრე?

კოლია: სირეგვნე მათი! თუმცა ახალგაზრდები არიან, შეელენ ხაშში და ისევ აქაურობას დაუბრუნდებიან. ასე არ ეყავი შენნე?

მე: — ისე, მე თუ ჭკიფსავთ, ქალაქის მცხოვრებთა ზრდის კოეფიციენტს ძირითადად დღესასწაულები განსაზღვრავენ.

კოლია: რაო, კაცო?!

მე: — რაო ბატონო, და, აი, ახალი წელიო, რვა მარტია, მუშაფრის დღეო. და ასე შემდეგ. დღესასწაულებზე ყველა ოჯახშია გიგანტური ფეხმოკიდებული ლხინი. ეს ლხინი ერთ-ერთ ადგილზე, ანუ ოჯახში, ერთ-ერთ ადგილზე, ანუ ოჯახში ერთ-ერთ ოთახში, ერთ-ერთ ოთახში ერთ-ერთ ადგილზე, ანუ ოჯახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაგდოს ძაღლმა, რომელს ვესროლო? მონადირე იმხვეი ამ მომენტში და ვერც ერთს ვერ ესროდ. ხომ გაგიგონია: ორი კურდღლის მადევარი... ისე რა გვარი ვარო, რა თქვი შენ?

გიგამ წაუყოლა.

კოლია: — შე კაცო, რა გვარის კაცი ხარ-მეთქი შენ?

გიგი: — ჯულაყმაძე, ბატონო.

კოლია: — რაიო! რაება გვარი გამოილია ამ ქვეყანაზე?

გიგი: — რატომ ვითომ, აბა ყველა დადეშქელიანი და ხეტეტურაშვილი ხომ არ იქნება?

კოლია: — რა გითხრა, იცი? გამოიცანეთ მაგ გვარი, ბიძიკო, რავა, სხვა გვარი გამოილია ქვეყანაზე?

გიგი: — გამოვიცანეთ, ბატონო, ერთხელ ჯულაყმაძე ვიყავი და ახლა ჯულაყმაძე ვარ. ისე, ძმაო და ბიძავ, რო რამე იყოს, არ მოეშვები ჩემს გვარს?!

გიგის ცოტა უკეთხად გამოუვიდა. კოლია წამოეწითო.

— უყურე ერთი ამას! ბიჭო, შენ მუჯლაყმაყმიძე ხარ თუ რაღაც ჩორთი, უფროსთან ლაპარაკი არ იცი?!

— უფროსი რომ ხარ, უფრო მეტი ზრდილობა გმართებს, უფროსო! — ხმას აუწია გიგამ.

— შენ, ბიჭო, რას ტლიკინებ, ხომ არ გინდა მოგებრეწნდე და სული გაგაცხებინო?

— ბიძავ და ძმაო, რა გითხრა, იცი? შენ კურდღელი ხომ არ გგონიავ, რომ მაშინებ?

ვანამ თავი ასწია, თვალები ააფაფხული და მოკინკლავეთ ჯადახეთ:

— ფუუ, ცოტა წამთელიმა და... ვინ გაცლის ძილს?!

დალოცვილია ხაშმური ორნახადი. დიდხანს არ ცხრება მისი ცხოველმოქმედი ძალა.

ასე რომ საჭირო გახდა ჩემი სასწრაფო ეკსპანსია. ბევრი ხვეწნა-მუდარა ალარ დასჭირვებია, მალე დავაშოშმინე მოკინკლავენი. გიგი არიერგარდში გავგზავნე, კოლიამ კი ვანოსთან განაგრძო საუბარი..

წმინდა გიორგის ტყესაც მივაღწიეთ. მთის თავზე თეთრგუმბათიანი საყდარი გამოჩნდა. ანაზღდად მამლის ყიელი შემოგვესმა.

— ეჰა, ხო გითხარით, ყოფილა თუ არა ქათმები! — დაიბრალა კოლიამ. დაავიწყდა, რომ ქათმების კვალზე ჩვენსა პაპამ დაგვაყენა.

— ნაღდია! — დაემოწმა იონაც.

— ცოტა შორს კია, მაგრამ ნიჩვენ!

— აბა შევეჭიდეთ აქ, — კვლავ დაუბრუნდა მბრძანებლური ციდო კოლიას, — ხვთისო სადლაა?

— ჩამოვვრჩა. თავისი ანგარიშები აქვს ბუჩქებში.

— დაველოდოთ თუ შევეუყეთ?

— შევეუყეთ, დავგვწევა. სულ ერთია, ეგ ქათმე ვერ მოკლავს ქათამს.

— თუ მოკლავს, ეგ მოკლავს, თუ ერ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიყოდო. მამამისმაც თურმე შეუსრულა თხოვნა, რაღაც ზღაპრულ ფასად შეიძინა ეს ლალ-მარგალიტით მოოქვილი გარმონი. ამ სამი დღის წინ სახლში მარტო ეს ბიჭი და მისი ასი წლის პაპა ყოფილა. ღამით სამი კაცი დასხმიან თავს და გარმონის გატაცება მოუნდომებიათ. ავადმყოფ ბიჭს ნაჯახი უხლეშია და თავდასმასმელებს დარეკია. ერთი მათგანისათვის მხარი მოეტეხია, შვილშვილს პაპაც წამოშვეულება. ჩხუბსა და ძიძგილობაში მოხუცისათვის ხელი უკრავთ და კედლისათვის მიუნარცხებიათ. ბერიაკეი იქვე მომკვდარა.

მომზეფლერებმა რაღაი შეატყეს ცუდად წაგვიდეთ საქმეო, მიატოვეს გარმონი, დაავლეს ხელი დაჭრილს და გაიქნენ.

ბეგრი ეძებეს მილიციამ ავისმქნელები, მაგრამ მთ კვალსაც ვერ მიაგნო. ვინ იფიქრებდა, თუ აქ შეაფარებდნენ თავს.

— ალბათ ქალებს მიირთმევენ ეგ მკვდარ-ქალები, რა ვქნათ ახლა?

— ხელში უნდა ჩავიგდოთ როგორმე ეგ კაცისმკვლელები, — დამეჯოლეთ თქვა კოლიამ, — მოვიფიქროთ რაიმე. ვანო, მოიწი ახლოს, შენც აქეთ მოდი იონა.

სამი კაცი, სამი ყოფილი ოფიცერი, მართალია, კოლია ატრეულრისტი იყო და სამოცდათექვსმეტ ყალბიან ქვეძეხს უბაძეუნებდა ფაშისტებს, მაგრამ ოფიცერი რას ოფიცერია, თუ ყოველვარ სიტუაციაში ვერ გაერკვევა.

პატარა ვანო ხარისხით სხვებზე უფროსი იყო. მაგრამ გენშტაბის სარდლობა მაინც კოლიამ ითავა.

— არავითარი რთული ოპერაციაა: წინ წაგა ხვთისო. ბერიაკეი და თოფს არ ესერიან, მიგი იმ ნადირებთან და ფუსაფეთ შეიქცევს. ჩვენ ექვსნი კი ექვსივე მხრიდან შემოვერტყმეთით ვარს. ჩუმად მიეეპარებით და ჩემს ძახილზე „ვპერიოდ“! მოეთოდნელად დაეეხსმით თავს.

შტაბის წევრებმა და რიგითებმა ერთმანეთს გადაეხედეთ.

— შენ, კოლია, გეტყობა, არაყი ჯერ არ გამოგნელებია, — დაიწყო ვანომ.

— რატომ, კაცო!

— რატომ და ხვთისო ბერიაკეია და არაფერს დაუშაეებენო, ამბობ, ხომ არ დაგაიწყოდა, სწორედ ასი წლის ბერიაკეი რომ მოკლეს მაგ უღმერთოებმა?

ვანოს მოულოდნელმა არგუმენტმა ჩიხში მოაქცია მთავარსარდალი, მაგრამ გამოსავალს მალე მიაგნო.

— ბერიაკეი შემთხვევით მოკლეს, შე კაცო!

— ასე შემთხვევით მოკლავენ ახლაც.

სამხედრო საბჭოს თათბირი დროებით შეაჩერა ხვთისო პაპას გამოჩენამ.

— რა იყო, ხალხო, რა სრული იყო?

შტაბის უფროსმა სახელდახელოდ გააცნო ხვთისოს საქმის ვითარება და თავისი სანდალ-ლო მონახაზიც წარუდგინა დეტალურად.

ხვთისოს ჯერ ხელი აუკრავა, მერე, როგორც იყო, სული მოიბრუნა და სათითაოდ აგვათვალ-ჩაგვათვალიერა.

— ჭკუაზე ხართ? — უცებ იყვირა ბერიაკა

საახალწლო სუფრასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჩანა ბრეგვაძე

სქუერი* გახლავთ ბაჩანა —
ბაჩანა განა ჰიპია!
თარგმნა „ფედროსი“, „ნადიმი“
დიდი, პატარა „ჰიპია!“
ვინც წაიკითხა, სუყველამ
იძახა იპი-იპია!
მოკლედ, მოკლედ რომ მოგიჭრათ —
გენიალური ტიპია!

---

* სქუერი — ჰიპის საპირისპირო ტიპი.

პა-დე-დე: თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე

ხან — ნაძვისხეზე!
ხან — ჩიჩილაკზე!
მოყვრის — სალსენად!
მტრების — ჯინაზე!
აქეთ — თამაზი!
იქით — ოთარი!
აქაც — ჭილაძე!
იქაც — ჭილაძე!

სანამ პა-დე-დე
დამთავრებულა,
უნდა გავავსო
ორი სასმისი,
და ვადღეგრძელო
ოქრო — თამაზი,
და ო. ჭილაძის
ოქროს საწმისი!

ანა კალანდაძე

არა სიდედრით და არა ცოლით —
ვამაყობთ პოეტ დაიკოს ყოლით.
ჩვენ რა ვართ შენთან, ძვირფასო ანა —
ღვინოსთან — წყალი!
ათასთან — ნოლი!

გვაცნობე ოღონდ, ოცის რომ გახდე,
და, გეფიცებით, ცას შევძრავთ
სროლით!

ძეთევან ლოსაბერიძე

მიწაცა თქვენი ქეთევან
თქვენს წინა მშვილდოსანია!
ნაძღეები დადგავთ! წავაგებ? —
ძირში მომჭერით თმანია!

ჭაბუა ამირეჯიბი

დათასა და მუშნის გამო
ატყდა დიდი გნიასობა!
მომილოცავს! როგორც იქნა,
დაამტკიცე კნიაზობა.
რა გისურვო საახალწლოდ? —
იყოს მუდამ დალოცვილი
შენი ნიჭი, გული, წიგნი,
მეუღლე და ექვსი (6) შვილი!

გიორგი ფულეისკირი

წყალი მისვამს ნილოსისა—
ასუანი ამიგია.
ენგურჰესსაც მე ვაშენებ,
ქაფრა ჯერ არ ჩამიგია.
დამიჭირეს, ღვინო მასვეს:
„ეჰ რა კარგად აგიგია!“
მომპარვია იანვარი,
არაფერი გამიგია!

ზინა კვერენჩხილაძე

მთელი ღამე არ გვაძინა:
ხან გვატირა, ხან გვაცინა.
— მასში უფრო მოგწონთ ვინა?
— ფედრა!
— თქვენ?
— მე თვითონ ზინა!

მედეა ხარ! ყოველღამე
შვილებს კლავ და...გვიზრდი შვილებს!
მიემატე „ცისკრის“ სუფრის
წევრებს, უკვე დალოცვილებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილოცავ ახალგაზრდა მეცნიერს ალექსანდრე (ე. ი. ალიკა. ხ. ჩ. ტ. ტ.) ალექსიძეს

(ბილოცავს თან ახლავს რამდენიმე სჯოლიო)

ღმერთმა ნუ მოგიშალოს
ნიჭი ძმის[1] და ბებოსი[2]!
და სულ მავიწყდებოდა,
სიბრძნე ბერძნულ ეპოსის!

მგონი ვიღაც გამომრჩა!—
გულს არ დაგწყვეტ ამაზე!
გაის ამ დროს შეგჩერდეთ
შენს დიდებულ მამაზე[3]!

---

[1] ძმა — გოგი ალექსიძე. ნიჭიერი ბალეტმეისტერი.

[2] ბებია — ცნობილი ქართველი პოეტი მარიჯანი.

[3] მამა — დიმიტრი ალექსიძე. გამოჩენილი ქართველი რეჟისორი.

რევაზ თვარაძე

დიდი გალაკტიონის
ნაღდო ჭირისუფალო!
შე ეტრუსკო ქართველო
(ესე იგი, თუბალო!).
შე თუბალო გუჯარო!
(იმერელო, ესე იგი!).
ლექსიც გვინდა, სტატიაც,
თარგმანიც და ესსეებიც!

ოთარ ლორთქიფანიძე

—მითხარ, მითხარ, ჩემო ოთარ,
მიწის ქვევით რამდენია?
— მიწის ქვევით? საქართველო?
ბარე ასი ამდენია!
— შრომა, გარჯა, რუდუნება
კვლავ საჭირო რამდენია?
— ბილიონჯერ მეტი ოფლი,
ვიდრე ვანში დამდენია!

დიმიტრი ერისთავი

თუ გინდა, რომ მომავალში
დიდი ტილო გაჭიმო —
დღეის შემდეგ აივანზე
ყირა აღარ გაჭიმო!

ან ნახატი მომე, ანდა
შემისრულე ნატვრა:
ვიყო შენი მეგობარი
და მორჩილი ნატურა!

ნოდარ გაგუნია

ხო მიყურებ? მოზვრის ყანწს
ვავსებ დოყათინად!
გაგიმარჯოს მაგ შენი
რონდო-ტოკატინად!

გახსოვს? საბას ივავებს
როგორ გალობს ბომარი!
ვკითხოთ აგერ მთელ სუფრას:
არა, ნაღდი ხომ არი?!.

გურამ ფანჯიკიძე

მარცხნივ კიცხეს, მარჯვნივ კიცხეს
ჩვენი გურამ ფანჯიკიძე.
გაკიცხავდნენ, აბა არა? —
ხან ქურდზე წერს, ხან ჯიბგირზე!

ბოლოს მაინც დაუფასდა
(უფრო სწორედ, გაუმართლა):
ნაღდად ვიცი ორი კაცი,
ვინც ეს წიგნი დაუმადლა!

ელისო ვირსალაძე

აჰა, ჩემო ელისო,
ეს ახალი წელიცო;
ხატვისა და ფიქრისო,
სიმღერის და წერისო!

კლავიში და კლავიში!
დაჰკრა თითი, თან აჰყვა!
ზეიმია ნამდვილი
მარტო შენი დანახვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგერტ სტურუა

ჭირიმე შენი, ზოგიერ —
თებერვით რომ არ „აცურდი“.
ქართული! — აი, რობიკოს
„ხეპენინგიც“ და „აბსურდიც“.

კარგია, როცა დარბაზში
გულწრფელი ცრემლი ღვარღვარებს,
მარა სიცილი არ გვინდა? —
რეიქნა, ბიჭო, ყვარყვარე?!

რისმაგ გორდეზიანი

(მილოცვას ამჯერადაც თან ერთვის მეცნიერული აპარატურა — სქოლიოები)

გორდეზიანს,[1] ჯინორიას,[2]
ყაუხჩიშვილს[3], ყაუხჩიშვილს[4]
დაუნათლავთ შენთვის ჭკუა,
ნიჭი, ცოდნა, გული, ჯიში!

გეხვეწები, ძმაო რისმაგ,
როგორც მეცნიერს და ლექტორს:
აქილევსი... ხომ ჩვენია? —
მიგვიხედე ახლა ჰექტორს!

ყველას, ყველას!

მართლა ახალს, მართლა ნამდვილს —
მოგილოცავთ ამ ახალ წელს,
პატიოსან ყოველ ქართველს,
თავს რომ მაღლა ამაყად წევს!
წელს შეგასწროთ სწორედ იმდენს,
რაც ამქვეყნად „ფიატია“.
აგაშენოთ!
დაგამშვენოთ!
გლოცავთ თქვენი

ტია-ტია

---

[1] ბენო გორდეზიანი — რისმაგის მამა, ქართული შრიფტის ამაგდარი.
[2] ოთარ ჯინორია — მწერალი და მეცნიერი-გერმანისტი, რისმაგის სიმამრი.
[3] თინათინ ყაუხჩიშვილი — ცნობილი ბიზანტინისტი, რისმაგის სიდედრი.
[4] სიმონ ყაუხჩიშვილი — გამოჩენილი მეცნიერი, თინათინ ყაუხჩიშვილის მამა (იხ. სქოლიო „თ. ყაუხჩიშვილი“).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხო ენაზე

ᲐᲨᲨ

ᲛᲘᲩᲔᲚ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘ — ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲚᲘ

ამერიკელმა მწერალმა მიტჩელ უილსონმა, რომელიც, საბჭოთა მკითხველისთვის ცნობილია რომანებით „სიცოცხლე წუდიადში“, „ჩემი ძმა, ჩემი მტერი“, და „შეხვედრა შორეულ მერიდიანზე“ (ინოსტრანნაია ლიტერატურა“ № 2, 3, 4, 1956; № 1, 2, 3, 4, 1961), გამოაქვეყნა ახალი წიგნი — „ცოდნის წყურვილი“. რა აქცევს ადამიანებს მეცნიერებად? ვინ არიან ისინი — მეცნიერები? აი, ასეთია აღნიშნული წიგნის პრობლემა. ნაწარმოები მოგვითხრობს თანამედროვე მეცნიერთა სულიერ სამყაროზე.

მიტჩელ უილსონი თავადაც დიდებულად მომზადებული ფიზიკოსია, მოწაფე საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების ფერმისა და რაბისა. მწერალი ესაუბრა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ფედერაციული გერმანიის, ისრაელის, ინდოეთისა და იაპონიის მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. მისი წიგნის რეცენზენტი, ცნობილი ინგლისელი მწერალი ჩ. პ. სნოუ მიგვითითებს, რომ ნაღდი მეცნიერება არასდროს არ იძლევა უეცარ ეკონომიურ ეფექტს, რომ ძნელია განსაზღვრო იდეალური პირობები მეცნიერული შრომისათვის და, რაც მთავარია, ნიჭიერი ადამიანების გამოვლინება ბავშვობიდანვე უნდა ხდებოდეს.

„ერთის მხრივ, წერს სნოუ, — რასაც კი ავტორი მოგვითხრობს სავსებით გონივრულია, თუმცა იგი ახალს არაფერს გვაცნობს, მაგრამ წიგნში დასმული პრობლემა, რაც შეიძლება „მეცნიერების ეკოლოგიად“ მოვნათლოთო, უჩვეულოდ საინტერესოა და შეუფასებელ სიმდიდრეს წარმოადგენს“.

ᲒᲓᲠ

ᲙᲝᲠᲔᲚᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲜᲘᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ

ეუროსალი „ნოიე დოიჩე ლიტერატურაზე“ იუწყება, რომ, შარშან, დეკემბერში, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ აღნიშნა, დიდი გერმანელი პოეტის ჰაინეს დაბადების 175 წლისთავი. 1972 წლის 12 დეკემბერს ბერლინის გერმანიულ თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა.

6-9 დეკემბერს ვაიმარში ჩატარდა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, აგრეთვე მოეწყო სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების დისკუსია თემაზე — „ჰაინე და ახალგაზრდობა“.

ჰაინეს სახელობის პრემიის ლაურეატები შეხვდნენ მკითხველებს და წაიკითხეს ნაწყვეტები დიდი პოეტის ნაწარმოებებიდან, ხოლო „ჰაინეს შემოქმედების შემსწავლელმა საზოგადოებამ“ მოაწყო პოეტის ცხოვრებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐ

ᲤᲘᲚᲛᲘ ᲛᲘᲒᲐᲚ ᲝᲢᲝᲠᲝ ᲡᲘᲚᲡᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲗ

ვენესუელის ყოველკვირეული „სეტტიმო დია“ გვამცნობს, რომ დამთავრდა გადაღება კინოფილმისა მიგელ ოტერო სილვას რომანის „როცა ტირილი მსურს, არ ვტირის“ მიხედვით.

ყოველკვირეულის კორესპონდენტის კითხვაზე როგორ დაგებადა ამ რომანის ეკრანიზაციის აზრია, ფილმის რეჟისორმა მაურისიო ვალერსტეინმა განაცხადა—რომანმა საოცრად მიმიზიდა და სცენარისტ რომან ჩალბოსთან ერთად დავიწყე კოდეს მისი ეკრანზე ამეტყველებაო.

— დარწმუნებული ვარ, — თქვა შემდეგ რეჟისორმა, — რომ ვენესუელის პრობლემატიკა, ამავე დროს მთელი სამხრეთამერიკული ქვეყნების პრობლემატიკაცაა, მაგრამ, ცხადია, სხვა ქვეყნის მაყურებელს ფილმი მხოლოდ ამის გამოროდი მოეწონება, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, შეძლელით თუ არა კარგი ფილმის შექმნა. საერთოდ რომანები, და მით უმეტეს, სამხრეთამერიკული ძალზე მდიდარია დაძაბული მოქმედებებითა და სიტუაციებით, ამიტომ ძნელია ყველაფერი ორსაათიან ფილმში ჩასტეო, ექვსგარეშეა, რომანში ბევრია ისეთი რამ, რაც აუცილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია ფილმისათვის. ისე კი, ფილმის გადაღება მეტად სახალისო იყო.

ინდოეთი

საბჭოთა კოეზია ინდოეთში

ინდოეთის ინტელიგენცია დღითიდღე ფართო ყურადღებას უთმობს საბჭოთა ლიტერატურას, განსაკუთრებით კი პოეზიას. საბჭოთა პოეტები ინდოეთის თითქმის ყველა წამყვან ენაზე ითარგმნებიან.

საბჭოთა პოეზიისადმი ინდოეთის საზოგადოების მზარდი ინტერესის დამადასტურებელია ეურნალ — „მარუ ვანნ“ სპეციალური ნომერი, რომელიც მოლიანად საბჭოთა პოეზიას ეძღვნება. ეს ეურნალი ჭაიპურში გამოდის რაჯასტანის ენაზე და მისი უცვლელი რედაქტორი დაარსების დღიდანვე, 1961 წლიდან, არის რავატ სარასვატი.

„მარუ ვანნ“ მკითხველს ოცზე მეტი საბჭოთა ავტორის ლექსებს სთავაზობს. ნაწარმოებები თარგმნა რამნატ ვიას პარიკარმა. ნომერი იხსნება ა. ტვარდოვსკის ლექსებით, შემდეგ კი დაბეჭდილია უფროსი თაობის წარმომადგენელი პოეტები — ნ. ზაბოლოცკი, ბ. ვასილიევი, ო. ბერგოლცი, მირზო ტურსუნ-ზადე, გ. ლეონიძე. ინდოელი მკითხველი აქ გაეცნობა აგრეთვე შედარებით უფრო ახალგაზრდა თაობის პოეტების კ. ვანშენკინის, ი. დრუნინას, რ. კაზაკოვას, რ. როჟდესტვენსკის, ა. ვოზნესენსკის, ი. მარცინკიავიჩუსის ლექსებსა და მატეუევას ნოველებს.

ინგლისი

ინგლისელები კითხულობენ აიტმატოვს

გამომცემლობა „ხოდერ ენდ სტაუტონმა“ გამოსცა ჩინგიზ აიტმატოვის „თეთრი ხომალდი“. გაზეთმა „მორნინგ სტარმა“ ამ წიგნზე გამოაქვეყნა რეცენზია, რომლის ავტორი წერს, რომ აიტმატოვის ნაწარმოებში მკითხველი ხედავს არა მარტო დიდ მხატვარს, არამედ უწინ ჩამორჩენილი ყირგიზეთის წარმომადგენელსაც, აქ გვხვდება ხალხური ლეგენდები, ბუნების სილამაზის აღწერანი და ზრუნვა ბუნების დაცვაზე. ყველაფერი ეს ეროვნის ადამიანის ცხოვრების ამაღლებულ ამბავს. მკითხველის სამსჯავროზეა გამოტანილი ადამიანთა ხასიათის ამაღლებული თუ მდაბალი მხარეები.

საფრანგეთი

ანდრე სტილი რასულ გამზატოვის შესახებ

ანდრე სტილი გაზეთ „ოუმან

824/15

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236